



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

თინათინ მაჩაიძე

# ქვეყნის უსაქმიანობის

(სახელმძღვანელო ბაკალავრიატის საფეხურის ფილოლოგიურ  
მიმართულებათა სტუდენტებისათვის)

სახელმძღვანელო შეიქმნა სასწავლო კურსისათვის „ლექსიკოგრაფიის შესავალი“ და განკუთვნილია ბაკალავრიატის საფეხურის ფილოლოგიური მიმართულებების სტუდენტებისათვის. სახელმძღვანელოში განხილულია შემდეგი საკითხები: ლექსიკოგრაფიის, როგორც კომპლექსური, ინტერდისციპლინური დარგის სტატუსი თანამედროვე მსოფლიოში და ქართული ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა; ევროპული და ქართული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები; ლექსიკოგრაფიის ფუნქციები; ლექსიკოგრაფიის ძირითადი ჟანრები, კერძოდ: ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები, ორენოვანი ლექსიკონები და ეკვივალენტობის პრობლემა თარგმნით ლექსიკონებში, ტერმინოლოგიური ლექსიკონები, სასწავლო ლექსიკონები; ელექტრონული კორპუსების მნიშვნელობა თანამედროვე ლექსიკოგრაფიისათვის; ელექტრონული ლექსიკოგრაფია. აღნიშნული საკითხების განხილვასთან ერთად, სახელმძღვანელოს მიზანია: სტუდენტებს განუვითაროს ლექსიკონთან მუშაობის უნარ-ჩვევები, გააცნობიერებინოს აკადემიური ლექსიკონების მნიშვნელობა მათი მომავალი პროფესიისათვის; გამოუქმნოს კრიტიკული დამოკიდებულება ლექსიკონების ხარისხისადმი.

რედაქტორები: პროფ. **შუქია აფრიდონიძე**

პროფ. **რუსუდან ზექალაშვილი**

დაკაბადონება, წიგნისა და ყლის დიზაინი: **ირინა სიღამონიძე**

© **თინათინ მარგალიტაძე**

ელვინება ზატონ არიანე ჟანტურისას



# სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . .	VII
<b>თაზი 1.</b> თანამედროვე ლექსიკოგრაფიის სტატუსი და ქართული ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა . . . . .	1
<b>თაზი 2.</b> ლექსიკოგრაფიის რაობა და ფუნქციები. ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები . . . . .	9
<b>თაზი 3.</b> რა ტიპის ნაშრომია ლექსიკონი? სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კომპონენტები . . . . .	18
<b>თაზი 4.</b> სიტყვის მნიშვნელობის რაობა . . . . .	34
<b>თაზი 5.</b> სიტყვის მნიშვნელობის კვლევის მეთოდები . . . . .	43
<b>თაზი 6.</b> ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები . . . . .	59
<b>თაზი 7.</b> ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონები. ეკვივა-ლენტობის პრობლემა ორენოვან ლექსიკონებში . . . . .	71
<b>თაზი 8.</b> სასწავლო ლექსიკონები . . . . .	85
<b>თაზი 9.</b> ინგლისური ენის გავლენით ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები . . . . .	99
<b>თაზი 10.</b> ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები . . . . .	114
<b>თაზი 11.</b> დარგობრივი ლექსიკოგრაფია . . . . .	130
<b>თაზი 12.</b> ელექტრონული ლექსიკოგრაფია . . . . .	148

<b>თაზო 13.</b> ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან: XVII-XIX საუკუნეების ორენოვანი ლექსიკონები ევროპულ ენებთან მიმართებით . . . . .	161
<b>თაზო 14.</b> მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების თარგმნითი ლექსიკონები . . . . .	178
გამოყენებული ლიტერატურა . . . . .	193

## წინასიტყვაობა

1983 წელს ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის (EURALEX) სადამფუძნებლო კონგრესზე ცნობილმა ბრიტანელმა ენათმეცნიერმა ჯონ სინკლერმა ხაზგასმით აღნიშნა უნივერსიტეტებში ლექსიკოგრაფიის სწავლების აუცილებლობა. მისი აზრით, საჭირო იყო სამაგისტრო პროგრამის შექმნა, რაც ხელს შეუწყობდა ლექსიკოგრაფიის გარდაქმნას პრაქტიკული საქმიანობიდან აკადემიურ დისციპლინად და ლექსიკოგრაფიას აქცევდა ინტერდისციპლინურ დარგად საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული ლინგვისტიკის, ზოგადი ენათმეცნიერების თეორიებისა და მეთოდების მჭიდრო კავშირით ლექსიკოგრაფიულ მუშაობასთან.

როდესაც ლექსიკოგრაფიის სწავლებაზე დავიწყე ფიქრი 2007 წელს ჩემთვის ჯონ სინკლერის ეს ციტატა ცნობილი არ იყო, თუმცა დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონზე ხანგრძლივმა მუშაობამ, მრავალმა შეცდომამ, რომლებიც უნებურად მოგვივიდა ამ მნიშვნელოვან პროექტზე მუშაობისას სწორედ ლექსიკოგრაფიული ცოდნისა და გამოცდილების არარსებობის გამო, მეც იმავე დასკვნამდე მიმიყვანა. თავდაპირველად მომზადდა სალექციო კურსი ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის „ლექსიკოგრაფიის შესავალი“, რომელსაც ვუკითხავდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებს. 2009-2011 წლებში ამოქმედდა სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები ლექსიკოგრაფიაში. კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოს დაემატა „ლექსიკოგრაფიის მაგისტრის“ აკადემიური ხარისხი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სალექციო კურსი „ლექსიკოგრაფიის შესავალი“ იკითხება სხვადასხვა ფილოლოგიური

მიმართულების და არა მარტო ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის. სწორედ ამ აუდიტორიისათვის შეიქმნა წინამდებარე სახელმძღვანელო, რომელიც დაეფუძნა როგორც ამ საგნის სწავლების ჩემს მრავალწლიან გამოცდილებას, ისე ამ წლებში მომზადებულ სალექციო კურსებსა და სხვადასხვა სამეცნიერო სტატიაში ასახულ ჩემს მოსაზრებებს ამა თუ იმ ლექსიკოგრაფიულ საკითხზე (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

სახელმძღვანელოს ყოველ თავს დართული აქვს კითხვარი, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, დაეხმაროს სტუდენტს სახელმძღვანელოს თითოეულ თავში წარმოდგენილი მასალის უკეთ ათვისებასა და უფრო საფუძვლიანად აღქმაში, მეორე მხრივ კი, მისი მიზანია, წაახალისოს სტუდენტში დამოუკიდებელი აზროვნება და კონკრეტულ თემაზე საკუთარი, თუნდაც კრიტიკული, შეხედულების ჩამოყალიბებისა და გამოთქმის უნარი. გარდა კითხვარისა, სტუდენტებისათვის დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობა: პრაქტიკული სავარჯიშოები, ტესტები, სალექსიკონო სიტყვა-სტატიების ანალიზი, პრეზენტაციები ამა თუ იმ ლექსიკონზე ან ლექსიკოგრაფიულ საკითხებზე და სხვა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სახელმძღვანელოს რედაქტორებს, პროფესორ შუქია აფრიდონიძეს და პროფესორ რუსუდან ზეჯალაშვილს, მისი გულდასმით წაკითხვისა და სასარგებლო რჩევებისათვის. ასევე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს კოლეგა-ლექსიკოგრაფს, ფილოლოგიის დოქტორ გიორგი მელაძეს, რომელმაც ყურადღებით წაკითხა ხელნაწერი და შეადგინა კითხვარი სახელმძღვანელოს ყოველი თავისათვის.

**თინათინ მარგალიტაძე**

## თავი 1.

# თანამედროვე ლექსიკოგრაფიის სტატუსი და ქართული ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა

*„თუ განწირული ყივის ვინმე, ვითა შეშლილი, –  
შურისძიების ნიშანია, ღვთით მოვლენილი,  
ადამის მოდგმას მარადიულ ტანჯვა-გოდებად  
ერგო სიტყვათა შეკონება ლექსიკონებად“.*

*სემიუელ ჯონსონი\**

**ლექსიკოგრაფია** ბერძნული სიტყვაა (lexikos – „სიტყვისა, სიტყვასთან დაკავშირებული“, graphō – „ვწერ“) და აღნიშნავს მეცნიერების დარგს, რომელიც ქმნის ლექსიკონებს და ამუშავებს მათ შედგენასთან დაკავშირებულ მრავალ სამეცნიერო პრობლემასა თუ საკითხს. ლექსიკოგრაფია აღრიცხავს ლექსიკონების ჟანრებს, ამუშავებს სხვადასხვა ჟანრის ლექსიკონების შექმნის მეცნიერულ პრინციპებს, ლექსიკოგრაფიული მონაცემების შეკრებისა და მათ სალექსიკონო სიტყვა-სტატიად ჩამოყალიბების მეთოდებს, შეისწავლის სხვადასხვა ჟანრის ლექსიკონების სიტყვა-სტატიის სტრუქტურასა და კომპონენტებს, სიტყვის მნიშვნელობის კვლევის მეთოდებს და სხვ.

XXI საუკუნე აღბეჭდილია დიდი, ხშირ შემთხვევაში რევოლუციური წინსვლით მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში. გამოწვევის არც ლექსიკოგრაფია ყოფილა. თუ ადრე ლექსიკოგრაფიას ლექსიკოლოგიის ნაწილად განიხილავდნენ, დღეს ბევრი მეცნიერი ლექსიკოგრაფიას გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგადაც კი არ მიიჩნევს. მათი აზრით, ლექსიკოგრაფია არის კომპლექსური, ინტერ-

\* შუქია აფრიდონიძის თარგმანი; ეს სტროფი დონალდ რეიფილდმა წაუმძღვარა თავისი რედაქციით შექმნილ „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონს“.

დისციპლინური, დამოუკიდებელი დარგი, რომელიც იყენებს არა მარტო ლინგვისტურ თეორიებს, არამედ კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდებს, ბუნებრივი ენის დამუშავების თეორიებსა და მეთოდებს და სხვ.

ლექსიკოგრაფიამ მრავალსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში დიდი ევოლუცია განიცადა. გლოსარიუმები, რომლებიც მხოლოდ რთულ და გაუგებარ სიტყვებს განმარტავდნენ, ჩაანაცვლეს ლექსიკონებმა, რომლებმაც ენის მთელი ლექსიკა მოიცვეს. იხვენებოდა ლექსიკონებში სიტყვის მნიშვნელობის აღწერის მეთოდოლოგია. ასე გაჩნდა მხატვრული ლიტერატურიდან ამოკრეფილი საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების კორპუსები, რომელთაც ლექსიკოგრაფები სიტყვის მნიშვნელობების აღწერისა და ილუსტრირებისას იყენებდნენ. ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის\* შემოქმედებითმა გუნდმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლექსიკონის ცნება უპრეცედენტო სიმაღლემდე აიყვანა და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას. ამ ლექსიკონისათვის შეიქმნა ათმილიონიანი კორპუსი, რომელმაც მოიცვა 7 საუკუნე და 5000 წყარო, ხოლო თავად ლექსიკონში ორ მილიონზე მეტი საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება შევიდა.

ლექსიკოგრაფია მუდამ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა და მიჰყვება ენათმეცნიერებისა თუ სხვა მომიჯნავე დარგების განვითარებას. ისტორიულ-შედარებითი მეცნიერების მიღწევები აისახა ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის ეტიმოლოგიებში, რომლებიც თითოეულ სიტყვას აქვს დართული. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ელექტრონული კორპუსების შექმნა დაუყოვნებლად აისახა ლექსიკოგრაფიაში, რომელიც მთლიანად დაეფუძნა მრავალმილიონიანი ელექტრონული კორპუსებიდან ამოღებულ და გაანალიზებულ მონაცემებს. ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარებამ სრულიად ახალი პერსპექტივები გადაუშალა ამ დარგს და ლექსიკოგრაფია

---

\* OED – *Oxford English Dictionary on Historical Principles* (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

აქცია თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ, სწრაფად განვითარებად მიმართულებად.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი ფილოლოგიისა და კულტურის სინთეზია, სიტყვა კულტურის მნიშვნელობის უაღრესად ფართო გაგებით. ენა გადამწყვეტ როლს ასრულებს ამა თუ იმ ხალხის იდენტობისა და კულტურის განსაზღვრაში. მას უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ეროვნული თვითმყოფადობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების საქმეში, ლექსიკონი კი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს ამ იდენტობის შესაცნობად და წარმოსაჩენად. ნებისმიერი ერის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი მისი ენის მეშვეობით რეალიზდება, ენა კი მთელი თავისი სისავსითა და სიმდიდრით ლექსიკონებშია აღნუსხული. ლექსიკონის, როგორც ერის კულტურული სახის გამომხატველი ნაშრომის, განსაკუთრებული როლის აღიარებამ, ლექსიკონთა კორპუსების კულტურული და პოლიტიკური, სტრატეგიული მნიშვნელობის გაცნობიერებამ განაპირობა ლექსიკოგრაფიული აქტივობის უპრეცედენტო აღმავლობა ევროპასა და ამერიკაში. შეიქმნა მრავალი ლექსიკოგრაფიული ცენტრი, გაფართოვდა თეორიული და კვლევითი მუშაობა ლექსიკოგრაფიის დარგში, გაიზარდა გამოცემულ ლექსიკონთა ტიპები, განვითარდა საბავშვო და სასკოლო ლექსიკოგრაფია, ჩამოყალიბდა ლექსიკოგრაფთა სხვადასხვა ასოციაცია: ევროპაში, ამერიკაში, აზიასა და აფრიკაში.

ამ ვითარების ფონზე საკმაოდ მძიმედ გამოიყურება ქართული ლექსიკოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა. დასამალი არ არის, რომ დღეისათვის ძირითადი და სავალდებულო ლექსიკონების თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მნიგნობრობის მქონე ქვეყანას, და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს. ამ ვითარებას მრავალი ახსნა აქვს, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია ლექსიკოგრაფიის სტატუსის არასწორი გაგება: ლექსიკოგრაფის შრომა დაუფასებელია და არ მიიჩნევა სამეცნიერო საქმიანობად.

## არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება?

ეს კითხვა მხოლოდ ქართულ აკადემიურ წრეებში არ დაისმის. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არც ევროპელ კოლეგებს არა აქვთ. მოვიყვან ფრაგმენტს ინგლისელი ლექსიკოგრაფის, პროფესორ ჯეფრი უილიამსის, წერილიდან:

„...აკადემიურ წრეებში ლექსიკოგრაფიის მნიშვნელობას ხშირად აკნინებენ, მიიჩნევენ რა მას მხოლოდ ხელობად და არა სამეცნიერო დისციპლინად. ამგვარი წარმოდგენა ლექსიკოგრაფიაზე არამცთუ უმართებულოა, არამედ სახიფათოც: ლექსიკოგრაფი არა მარტო შეისწავლის ენას, როგორც კომუნიკაციის ძირითად საშუალებას, არამედ თავად ქმნის ლექსიკონის სახით იმ ინსტრუმენტს, რომლითაც ენა და მასში უკუფენილი კულტურული ფასეულობები ხელმისაწვდომი ხდება როგორც შესასწავლად, ისე საზოგადოების მიერ მათ სრულად აღსაქმელად და დასაფასებლად“.

\* \* \*

„ლექსიკონის შედგენა“, *“to compile a dictionary”*, *“compiler un dictionnaire”*, *“составить словарь”* – გამოდის, რომ ისეთი რთული ნაშრომის შექმნას, როგორც ლექსიკონია, იმთავითვე ზემოთ ჩამოთვლილი ზმნები დაუკავშირეს: „შედგენა“, *“to compile”*, *“compiler”*, *“составить”* – ზმნები, რომლებიც საკმაოდ მექანიკური საქმის კეთებას აღნიშნავენ.

სიტყვა შედგენას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქცია შემდეგნაირად განმარტავს: *„ნაწილებისაგან ან ცალკეული ერთეულებისაგან მთელის შექმნა (ასოებით სიტყვების შედგენა, სიის შედგენა, ოქმის შედგენა...)“*.

ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი ზმნას *“to compile”* ასე ხსნის: *“to make, compose, or construct (a written or printed work) by arrangement of materials collected from various sources”* (ნაშრომის შექმნა, შედგენა, შეთხზვა სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილი მასალის დალაგების გზით). აღსანიშნავია, რომ ზმნას *“to compile”* ოქსფორდის ხსენებულ ლექსიკონში სხვა მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ: *“to compose*



*as original work*” (ორიგინალური ნაშრომის / ნაწარმოების შეთხზვა, მაგ., სონეტისა). ეს მოძველებული მნიშვნელობაა, ოღონდ ფრაზა “*to compile a dictionary*” ოქსფორდის ლექსიკონში პირველი მნიშვნელობის საილუსტრაციოდია მოყვანილი და არა მეორე მნიშვნელობისა, რომელიც ორიგინალური ნაწარმოების შეთხზვას გულისხმობს. გასაოცარია მსგავსი დამოკიდებულება ოქსფორდის დიდი ლექსიკონის შემქმნელებისაგან, ვინაიდან სწორედ ამ ლექსიკონმა ჩაუყარა საფუძველი ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორიაში მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას.

ამგვარ დამოკიდებულებას ლექსიკოგრაფიის მიმართ, გარკვეულწილად, XVIII საუკუნის დიდმა ინგლისელმა ლექსიკოგრაფმა სემიუელ ჯონსონმა დაუდო სათავე, როდესაც თავისი „ინგლისური ენის ლექსიკონში“ სიტყვა **ლექსიკოგრაფი** ასე განმარტა: **Lexicographer** “*a writer of dictionaries; a harmless drudge, that busies himself in tracing the original, and detailing the signification of words*” („ლექსიკოგრაფი, ვინც ლექსიკონებს წერს; უწყინარი მონა, რომელიც სიტყვების პირველწყაროს ადგენს და მათ მნიშვნელობებს გამოყოფს“). ასე დაჰყვა ლექსიკოგრაფიას მონური, კატორღული შრომის დამლა და დაიკარგა ამ საქმიანობის მეორე მხარე – სამეცნიერო, შემოქმედებითი. მას შემდეგ მრავალი ლექსიკოგრაფი ცდილობდა მითისთვის ლექსიკოგრაფის მძიმე შრომის შესახებ შეემატებინა ამ საქმიანობის სამეცნიერო და შემოქმედებითი ასპექტები, მაგრამ, როგორც ჩანს, არცთუ შედეგიანად, რადგან კითხვა – არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება? – როგორც აღინიშნა, კვლავაც აქტუალურად რჩება არა მხოლოდ ქართულ სამეცნიერო წრეებში.

და მაინც რა არის ლექსიკოგრაფია? ლექსიკოლოგიის ნაწილი? გამოყენებითი ენათმეცნიერების ნაწილი? დამოუკიდებელი დარგი?

ძნელია დაიძებნოს ლექსიკოგრაფიის ორი ისეთი განმარტება, რომლებიც მეტ-ნაკლებად ახლოსაა ერთმანეთთან და არ არის ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთსაწინააღმდეგოც კი. დისკუსიას იმის შესახებ, არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება, დაემატა კამათი თემაზე: არსებობს თუ არა ლექსიკოგრაფიის თეორია?

ჩემთვის ლექსიკოგრაფია არის დამოუკიდებელი, ინტერდისციპლინური დარგი თავისი თეორიითა და პრაქტიკით. ლექსიკოგრაფია არის თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა. დაუშვებლად მიმაჩნია ლექსიკოგრაფიის პრაქტიკის განხილვა თეორიისაგან მოწყვეტით. სწორედ თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობა აქცევს დარგს აკადემიურ დისციპლინად. აკადემიური ლექსიკოგრაფია არის ლექსიკოგრაფიული თეორიით აღჭურვილი პრაქტიკა, ხოლო მეცნიერ-ლექსიკოგრაფი – ადამიანი, რომელიც ფლობს ლექსიკოგრაფიის თეორიას და ასე ქმნის ლექსიკონს. ლექსიკოგრაფია არ არის ლექსიკოლოგიის ნაწილი და არ საზრდოობს მხოლოდ ლექსიკოლოგიური თეორიებით. გერმანელი ენათმეცნიერის, ჰერბერტ ვიგანდის, მაგალითი რომ მოვიშველიოთ, სიხშირული ლექსიკონის შესაქმნელად სტატისტიკური კვლევის მეთოდების ცოდნაა საჭირო ან, მაგალითად, ვალენტობის ლექსიკონებში გრამატიკა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ლექსიკა; ასევე გასათვალისწინებელია ტერმინოლოგიური ლექსიკონები, წარმოთქმის, შესტების ლექსიკონები და სხვა. ლექსიკოგრაფია არ შეიძლება განვიხილოთ გამოყენებითი ენათმეცნიერების დარგად, ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობით, რადგან ის არ არის მხოლოდ ლინგვისტური თეორიების გამოყენება პრაქტიკაში. ყოველი თეორია, ლინგვისტური თუ ლექსიკოგრაფიული, პრაქტიკაში ტრანსფორმირდება ლექსიკოგრაფიული საჭიროებისათვის და ყოველი ლექსიკოგრაფიული პრაქტიკა წარმოშობს ახალ გამოცდილებას, რომელიც ავსებს და გარდაქმნის არსებულ თეორიებს.

ლექსიკოგრაფიის მიმართ ჩემს მიდგომას ყველაზე კარგად გადმოსცემს ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსის, გერმანელი მეცნიერის, ფრანც იოზეფ ჰაუსმანის სიტყვები: **“Die Lexikographie ist eine wissenschaftliche Praxis, die das Erstellen von Wörterbüchern zum Ziel hat”** („ლექსიკოგრაფია არის სამეცნიერო საქმიანობა, რომლის მიზანაც ლექსიკონების შექმნაა“).\*

\* Hausmann, F. J. (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

ლექსიკოგრაფიის სტატუსის განსაზღვრა მეტად მნიშვნელოვანია თანამედროვე საქართველოში, სადაც ლექსიკოგრაფიის უგულვებელყოფამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ხელი შეუშალა ამ დარგის წინსვლას, წარმოშვა აკადემიური ლექსიკონების, პროფესიონალ ლექსიკოგრაფთა მწვავე დეფიციტი, აქედან გამომდინარე სხვა მძიმე შედეგებით. ევროპელმა ლექსიკოგრაფებმა შეიძლება გააგრძელონ კამათი ამ თემაზე, მათ თავიანთი ენებისათვის უკვე კარგა ხანია შექმნილი აქვთ მრავალფეროვანი ლექსიკოგრაფიული რესურსები. საქართველოში კი, დარგში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ საკითხის გადაწყვეტა გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს, რამაც უნდა ააღორძინოს ჩვენს ქვეყანაში თეორიასა და მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული აკადემიური ლექსიკოგრაფია.

\* \* \*

## **1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

1. რას ნიშნავს სიტყვა „ლექსიკოგრაფია“?
2. რა სახის საქმიანობას მოიცავს ლექსიკოგრაფია?
3. რა ტიპის ლექსიკონები შეგიძლიათ დაასახელოთ?
4. რა ევოლუცია განიცადა ლექსიკოგრაფიამ საუკუნეების განმავლობაში?
5. რა როლი ითამაშა ოქსფორდის დიდმა ლექსიკონმა ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის, განვითარებაში?
6. რა მნიშვნელობა აქვს ლექსიკოგრაფიას ერის კულტურული იდენტობის გაცნობიერებისა და შენარჩუნების საქმეში?
7. როგორია დღეს ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა საქართველოში?
8. რა განაპირობებს თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის არცთუ სახარბიელო მდგომარეობას?
9. რა შეხედულებები არსებობს ლექსიკოგრაფიის სტატუსის შესახებ?

10. ნიშნავს თუ არა ის, რომ ლექსიკოგრაფიას, გარდა წმინდა მეცნიერული კომპონენტისა, გამოყენებითი ფუნქციაც აქვს, იმას, რომ ლექსიკოგრაფია მეცნიერებად არ უნდა ჩაითვალოს?
11. რა აზრისაა ინგლისელი ლექსიკოგრაფი, პროფესორი ჯეფრი უილიამსი ლექსიკოგრაფიის რაობაზე?
12. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით ჯეფრი უილიამსის მოსაზრებებს?
13. რამდენად განაპირობა ლექსიკოგრაფიისადმი დამოკიდებულება ინგლისელი სემიუელ ჯონსონის მიერ სიტყვა „ლექსიკოგრაფის“ განმარტებამ ?
14. როგორ განსაზღვრავდა ლექსიკოგრაფიის გერმანელი თეორეტიკოსი ფრანც იოზეფ ჰაუსმანი ამ დარგის რაობას?
15. თქვენი აზრით, არის თუ არა ლექსიკოგრაფია მეცნიერება?

## **II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:**

მომზადეთ მოკლე ინფორმაცია იმ ლექსიკონების შესახებ, რომლებსაც იცნობთ და იყენებთ სწავლის პროცესში.

## თავი 2.

### ლექსიკოგრაფიის რაობა და ფუნქციები.

#### ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები

როგორც პირველ თავში აღინიშნა, ლექსიკოგრაფია არის კომპლექსური, ინტერდისციპლინური დარგი, რომელიც ქმნის ლექსიკონებს და ამუშავებს მათ შედგენასთან დაკავშირებულ მრავალ სამეცნიერო პრობლემასა თუ საკითხს.

ტერმინი „ლექსიკოგრაფია“ ორი მნიშვნელობით იხმარება: ერთია **პრაქტიკული ლექსიკოგრაფია** (ლექსიკონების შედგენა), მეორე კი – **თეორიული ლექსიკოგრაფია** (მეცნიერება ლექსიკონების შექმნის პრინციპებისა და მისთ. შესახებ). თუ **თეორიული ლექსიკოგრაფია** მეცნიერების შედარებით ახალი დარგია, **პრაქტიკული ლექსიკოგრაფია**, ანუ ლექსიკონების შედგენა უძველესი დროიდან იღებს სათავეს.

თეორიული ლექსიკოგრაფია შემდეგ კომპონენტებს მოიცავს:

**1. ლექსიკოგრაფიის თეორიის ზოგადი ნაწილი**, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ლექსიკოგრაფიის რაობა და ფუნქციები; ლექსიკონთა ტიპოლოგია; სხვადასხვა თეორია, რომლებიც საფუძვლად უდევს ლექსიკონების შექმნას, კერძოდ, ლექსიკური სემანტიკის თეორიები, სემანტიკური კვლევის მეთოდები, კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდების ჩათვლით; ბუნებრივი ენის დამუშავების მეთოდები და თეორიები და სხვ.

**2. ლექსიკოგრაფიის ისტორია.** ლექსიკოგრაფიის ისტორია შეისწავლის საკითხთა ფართო წრეს: ამა თუ იმ ქვეყნის ლექსიკოგრაფიის ისტორიას, ცალკეული ჟანრების ისტორიას, ევროპული ლექსი-

კოგრაფიის ისტორიას, ცალკეული ლექსიკოგრაფიული პროექტების ისტორიასა და მისთ.

**3. ლექსიკოგრაფიის ჟანრები.** ლექსიკოგრაფიის თეორიის ეს ნაწილი შეისწავლის და აღწერს იმ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს სხვადასხვა ჟანრის ლექსიკოგრაფიული ნაშრომების შექმნას. ეს ჟანრებია: ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები; ისტორიული ლექსიკონები; დიდი ორენოვანი ლექსიკონები; ერთენოვანი და ორენოვანი სასწავლო ლექსიკონები; ერთენოვანი, ორენოვანი და მრავალენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონები; სხვადასხვა ტიპის სპეციალიზებული ლექსიკონები და სხვ.

ლექსიკოგრაფიის თეორიის ეს ნაწილი შეისწავლის სხვადასხვა ჟანრის ლექსიკონების შექმნის ეტაპების დაგეგმვის მეთოდოლოგიას: წყაროების მოძიებას, მონაცემთა შეკრებასა და დამუშავებას, სიტყვა-სტატიების შექმნას, თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ჟანრის ლექსიკონების შექმნის პროცესში და მისთ. ლექსიკოგრაფიის თეორიის ამ ნაწილში ასევე შედის ლექსიკონების კრიტიკული განხილვა, ანუ ლექსიკონების რეცენზირება.

**4. ლექსიკონების გამოყენების კვლევა.** ბოლო წლებში ბევრი თეორიული ექსპერიმენტი შემუშავდა და ჩატარდა ლექსიკონების ეფექტიანობის გამოსავლენად. ლექსიკონის მომხმარებლებზე ორიენტაცია, მათი საჭიროებებისა და ლექსიკონების გამოყენების უნარ-ჩვევების ანალიზი გადაიქცა უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ლექსიკონების დაგეგმვის, მათი სამეცნიერო აპარატის შემუშავებისა და შედგენის პროცესში. თეორიული ლექსიკოგრაფიის ამ ნაწილში ასევე შედის ლექსიკოგრაფიის დიდაქტიკა, ანუ ლექსიკონების გამოყენების სწავლების საკითხები.

მაშასადამე, ლექსიკოგრაფიას ორი მხარე აქვს: პრაქტიკული ლექსიკოგრაფია, ანუ ლექსიკონების შექმნის პროცესი (აღსანიშნავია, რომ ბევრი ლექსიკოგრაფი, მათ შორის ჩვენც, ერიდება სიტყვა „შედგენის“ გამოყენებას ლექსიკონებთან მიმართებით და იყენებს ზმნას „შექმნა“) და ლექსიკოგრაფიის თეორია, რომელიც მიმართულია პრაქ-

ტიკული საქმიანობისაკენ და მოიცავს იმ თეორიებსა და თეორიულ კვლევებს, რომლებიც ლექსიკოგრაფს აღჭურავს ლექსიკონის შექმნისათვის აუცილებელი ცოდნით. ლექსიკოგრაფიის თეორია არის ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის თეორიული საფუძველი, რომლის გარეშეც არ იქმნება აკადემიური ლექსიკონები.

გარდა თეორიული და პრაქტიკული ლექსიკოგრაფიისა, **ასევე უნდა განვასხვაოთ ზოგადი ლექსიკოგრაფია და სპეციალიზებული ლექსიკოგრაფია. ზოგადი ლექსიკოგრაფია** გულისხმობს ისეთი ლექსიკონების შედგენას, რომლებშიც ასახულია ამა თუ იმ ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი. **სპეციალიზებული ლექსიკოგრაფია** დაკავშირებულია სხვადასხვა სახის დარგობრივი ლექსიკონების შედგენასთან, ესაა: ტექნიკური, ბიოლოგიური, მათემატიკური, გეოგრაფიული და ა.შ. ამგვარ ლექსიკონებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ენისა და ერისათვის, რადგან დარგობრივი ტერმინოლოგიის შემუშავებისა და სათანადოდ განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ამა თუ იმ დარგის სრულფასოვანი განვითარება. სპეციალიზებულ ლექსიკონებს განეკუთვნება აგრეთვე სინონიმთა და ანტონიმთა ლექსიკონი, ფრაზეოლოგიური ერთეულების ლექსიკონი, ორთოგრაფიული ლექსიკონი, სლენგის ლექსიკონი, დიალექტური ლექსიკონი და სხვ.

## ლექსიკოგრაფიის ფუნქციები

ლექსიკოგრაფიის არსისა და მნიშვნელობის უკეთ გასაგებად საჭიროა ლექსიკოგრაფიის ფუნქციების განხილვა, რომელთა შორისაც გამოიყოფა ლექსიკოგრაფიის შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

**1. ენათა შორის კავშირის დამყარების ფუნქცია, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონით.**

**2. მშობლიური ენის აღწერის, ნორმალიზაციისა და დოკუმენტირების ფუნქცია.** ეს ფუნქცია ხორციელდება ვრცელი განმარტებითი ლექსიკონებით, აგრეთვე სპეციალური ერთენოვანი ლექსიკონებით, როგორცაა, მაგალითად, ორთოგრაფიული ლექსიკონი და სხვ.



ნორმალიზაციის ფუნქცია ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად მიგვაჩნია. ინგლისური ენის ისტორიაში XVII-XVIII საუკუნეებს ნორმალიზაციისა და სიზუსტის პერიოდი ეწოდება. სწორედ იმ დროს გამოცემულმა ლექსიკონებმა და გრამატიკის სახელმძღვანელოებმა შეუწყო ხელი ინგლისური ენის ნორმალიზებას და მიანიჭა მას სტაბილურობა. ენის ნორმალიზაციის ფუნქციას დავუბრუნდებით, როდესაც განვიხილავთ ინგლისური ენის გავლენით თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებს (მე-9 თავი). ინგლისური ენის გავლენით მსოფლიოს არაერთ ენაში მიმდინარეობს ანალოგიური პროცესები. ლინგვისტთა, ლექსიკოგრაფთა და თვით საზოგადოების სწრაფვა, გააკონტროლოს ეს ცვლილებები, ხანდახან იწვევს ისეთ კრიტიკას, როგორცაა ქვემოთ მოყვანილი ციტატა მერიამ-უებსტერის ონლაინლექსიკონის ბლოგიდან:

*“The only languages that do not change are dead languages, and the only reason they do not change is because no one speaks them anymore. Semantic change is a sign of a healthy language, not evidence that young people/journalists/some group of musicians are ruining our precious tongue.*

*The role of the dictionary is to make note of these changes and to document them as accurately as possible. A good dictionary has the responsibility of explaining to you how other people use the language; it does not have the responsibility of adhering to some imagined standards of correctness”.\**

„არ იცვლება მხოლოდ მკვდარი ენა და ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იგი არ იცვლება, არის ის, რომ ამ ენაზე აღარავინ არ ლაპარაკობს. სემანტიკური ცვლილება ენის სიჯანსაღის ნიშანია და არა ნიშანი იმისა, რომ ახალგაზრდები / ჟურნალისტები / მუსიკოსთა ესა თუ ის ჯგუფი ჩვენს ძვირფას ენას ანადგურებენ.

\* <https://www.merriam-webster.com/words-at-play/dictionary-facts-and-trivia/dictionaries-are-not-the-stern-nannies-of-the-english-language> [ნანახია: 17 იანვარი, 2020].



ლექსიკონის როლი ისაა, რომ დააფიქსიროს ეს ცვლილებები და, რაც შეიძლება ზუსტად მოახდინოს მათი დოკუმენტირება. კარგი ლექსიკონის დანიშნულებაა, განგვიმარტოს, თუ როგორ იყენებენ ენას სხვა ადამიანები; მის დანიშნულებას არ შეადგენს რაღაც წარმოსახვითი სისწორის ნორმების დაცვა“.

ასეთი მიდგომა ლექსიკოგრაფიის ნორმალიზაციის ფუნქციისადმი ისეთივე უკიდურესობად მიმაჩნია, როგორიცაა პურიზმი, რომელიც საერთოდ არ უშვებს ენაში არც ერთ უცხო სიტყვას.

**3. ენის შესწავლის ფუნქცია** მოიცავს როგორც უცხო ენების, ისე მშობლიური ენის შესწავლას. იგი ასევე გულისხმობს კლასიკური ენების შესწავლას, ენათა განვითარების ძველი თუ საშუალო პერიოდის შესწავლას და მისთ. ასეთია, მაგალითად, ლათინურის, ძველი ბერძნულის, საეკლესიო სლავურის, სანსკრიტის ლექსიკონები და ა.შ.

**4. ენის მეცნიერული შესწავლის ფუნქცია.** ამ ფუნქციამ წარმოშვა მრავალი უცნობი და ეგზოტიკური ენის ლექსიკონები. ასეთი ლექსიკონები, მათ შორის ორენოვანიც, იქმნებოდა არა ამ ენათა შესასწავლად, არამედ უცნობი ენების აღწერისა და მეცნიერული შესწავლის მიზნით.

შემდგომში ლექსიკოგრაფია ოთხი ძირითადი მიმართულებით განვითარდა: **ნორმალიზაციის ლექსიკოგრაფია**, რომლის მიზანია ენის დეტალური აღწერა, სიტყვების დანერილობის, წარმოთქმის, გრამატიკული დახასიათების, პოლისემიური მნიშვნელობების, იდიომების და ა.შ. აღნუსხვა, ნორმალიზება, დოკუმენტირება. ამ მიმართულებამ შექმნა ისეთი შედეგები, როგორებიცაა ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები.

**აღწერილობითი ლექსიკოგრაფია**, რომელიც მოიცავს ცოდნის სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შექმნას.

**ფილოლოგიური ლექსიკოგრაფია**, რომლის მიზანია ეტიმოლოგიური და ისტორიული ლექსიკონების, მონათესავე ენათა შედარებითი ლექსიკონების შედგენა და სხვ.

სასწავლო ლექსიკოგრაფია, რომელიც მიზნად ისახავს როგორც ერთენოვანი, ასევე ორენოვანი / თარგმნითი სასწავლო ლექსიკონების შექმნას.

## ლექსიკოგრაფიის განვითარების საწყისი ეტაპი.

### გლოსები და გლოსარიუმები.

#### ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები

ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი პირველი ცდა, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია, არის აქადელეების\* მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2340 წელს შედგენილი სიტყვათა ნუსხა, რომლითაც ისინი თავიანთი წინამორბედი შუმერების\*\* არასემიტური, აგლუტინაციური ენის ახსნასა და ინტერპრეტაციას ცდილობდნენ. ამ აქადურ-შუმერულ „ლექსიკონს“ რიგი ენათმეცნიერებისა პროტოლექსიკონს უწოდებს.

დასავლური ლექსიკოგრაფიის თვალსაზრისით, ბერძნები იყვნენ პირველები, რომელთაც ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან დაიწყეს ლექსიკონის ტიპის გლოსარიუმების შედგენა. „გლოსა“ ბერძნული სიტყვაა და ენას აღნიშნავს (*glossa*). მისი თავდაპირველი მნიშვნელობა კი იყო რთული ან ბუნდოვანი შინაარსის სიტყვა, რომელიც ახსნას, განმარტებას საჭიროებდა. აღნიშნულ განმარტებებს გადამწერები ხელნაწერის გვერდის არშიაზე ან სტრიქონებს შორის მიაწერდნენ ხოლმე. მოგვიანებით შეიცვალა გლოსების დართვის პრაქტიკა და მათი ერთობლიობა, ანუ გლოსარიუმი ერთიანი სახით ხელნაწერის ბოლოში გადავიდა. ასე მივიდა უძველესი ლექსიკოგრაფია გლოსარიუმამდე.

უძველესი ბერძნული გლოსარიუმები უპირატესად ერთი ავტორის ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი გლოსების, ანუ რთული და გაუგებარი სიტყვების განმარტებებს შეიცავდა. ერთ-ერთი ასეთი ავტორი იყო

\* აქადელეები – ძვ. წ. XXIV-XVIII სს-ში ჩრდილოეთ შუამდინარეთში დამკვიდრებული სემიტი ტომები, რომელთაც შეიერთეს სამხრეთი შუამდინარეთი და შექმნეს დიდი სახელმწიფო.

\*\* შუმერები – უძველესი ხალხები სამხრეთ შუამდინარეთში, ახლანდელი ერაყის ტერიტორიაზე.

ჰომეროსი. აღსანიშნავია, რომ ძველი ბერძნები დარგობრივი ტერმინების ლექსიკონებსაც ადგენდნენ, მაგ., ტექნიკურ ლექსიკონს, სამედიცინო ტერმინების ლექსიკონს, დიალექტოლოგიურ ლექსიკონსა და ა.შ.

ევროპის ქვეყნებში ლექსიკოგრაფიამ განვითარების სამი ძირითადი ეტაპი განვლო:

I. ლექსიკოგრაფიის განვითარების წინარე პერიოდი (ჩვ. ნ-ის XV საუკუნემდე), როდესაც ძირითადად იქმნებოდა გლოსები, გლოსარიუმები და მსგავსი ნაშრომები, ხოლო ფუნქცია იყო – რთული და გაუგებარი სიტყვების ახსნა;

II. ლექსიკოგრაფიის განვითარების ადრეული პერიოდი (XV-XVII სს.). ამ დროს იქმნება ორენოვანი ლექსიკონები, რომელთა ფუნქციაა ენათა შორის კავშირის დამყარება და ენათა შესწავლა.

III. ლექსიკოგრაფიის განვითარების პერიოდი (XVIII საუკუნიდან), როდესაც რეალიზდება ლექსიკოგრაფიის ყველა ფუნქცია და იქმნება ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები, ისტორიული ლექსიკონები და სხვ.

მაშასადამე, განმარტებითი ლექსიკონების შექმნას წინ უსწრებდა ორენოვანი ლექსიკონების შედგენა, მეტიც: ამ ტიპის ლექსიკონების შედგენას საუკუნეებიც კი აშორებს. ინგლისური ენის პირველი ორენოვანი ლექსიკონი 1500 წელს შეიქმნა, კერძოდ, ლათინურ-ინგლისური, ინგლისურ-ლათინური კი – 1499 წელს. ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი მხოლოდ XVIII საუკუნეში გამოვიდა – ორი საუკუნით გვიან. იგივე ითქმის ესპანურ, ფრანგულ, გერმანულ ენებთან დაკავშირებით.

ანალოგიური მდგომარეობაა ევროპის ფარგლებს გარეთაც: სპარსული ენის პირველი ლექსიკონი ორენოვანია – არაბულ-სპარსული (XI ს.). გამონაკლისია იეროგლიფური დამწერლობის მქონე ქვეყნები (ჩინეთი, იაპონია), სადაც ძალიან ადრე შეიქმნა სწორედ განმარტებითი ლექსიკონები, რაც შესაძლოა იეროგლიფების განმარტების აუცილებლობით იყო ნაკარნახევი (ჩინური I-II სს., იაპონური – VIII ს.).

ლექსიკოგრაფიის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციები, როგორცაა: მშობლიური ენის აღწერისა და ნორმალიზაციის ფუნქცია,

ისევე, როგორც ენის მეცნიერული შესწავლის ფუნქცია, აღმოცენდა გაცილებით გვიან, ვიდრე ენათა შორის კავშირის დამყარების ფუნქცია და, შესაბამისად, ორენოვანი ლექსიკონები, მაგრამ XVIII საუკუნიდან ამ ფუნქციებმა ცენტრალური ადგილი დაიკავა და სხვა ფუნქციები შეავიწროვა. 1850-1950-იან წლებში ევროპის ქვეყნებში ვრცელი განმარტებითი, ისტორიული, ეტიმოლოგიური ლექსიკონების შედგენა იქცა ლექსიკოგრაფთა მთავარ ამოცანად. ორენოვანმა ლექსიკოგრაფიამ დროებით მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

\* \* \*



### 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა არის ლექსიკოგრაფია?
2. რომელს მიანიჭებდით პრიორიტეტს გამოთქმებიდან „ლექსიკონის შედგენა“ vs „ლექსიკონის შექმნა“?
3. დაასახელეთ ლექსიკოგრაფიის ორი ასპექტი.
4. რას გულისხმობს ტერმინები „პრაქტიკული ლექსიკოგრაფია“ და „თეორიული ლექსიკოგრაფია“?
5. რომელი ძირითადი კომპონენტებისგან შედგება თეორიული ლექსიკოგრაფია?
6. რა მიზნით იკვლევენ ლექსიკონების გამოყენებას?
7. რა მეთოდებით იკვლევენ ლექსიკონების გამოყენებას?
8. რა განსხვავებაა ზოგად ლექსიკოგრაფიასა და სპეციალიზებულ ლექსიკოგრაფიას შორის?
9. რა ძირითადი ფუნქციები აქვს ლექსიკოგრაფიას?
10. რა განსხვავებული მოსაზრებები არსებობს ლექსიკონის ფუნქციაზე, მოახდინოს ენის ნორმალიზაცია, ანუ დაადგინოს ენობრივი ნორმები და გაატაროს ისინი ცხოვრებაში?
11. რა წვლილი მიუძღვის ძველ შუამდინარეთს ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის, ჩამოყალიბებაში?

12. ვინ იყვნენ შუმერები და აქადელები? რა როლი ითამაშა მათი ენებისა და კულტურების კონტაქტმა ლექსიკოგრაფიის განვითარებაში?
13. სად დაედო დასაბამი დასავლურ ლექსიკოგრაფიას?
14. რა არის გლოსები და გლოსარიუმები?
15. რა სამი ძირითადი ეტაპი განვლო ევროპულმა ლექსიკოგრაფიამ?

## **II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:**

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ლექსიკონების საიტიდან შეარჩიეთ 10 ლექსიკონი და განსაზღვრეთ თითოეული მათგანის ჟანრი. საიტის მისამართია: <https://www.nplg.gov.ge/geo/E-Dictionaries>.

## თავი 3.

### რა ტიპის ნაშრომია ლექსიკონი?

#### სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კომპონენტები

ლექსიკონი რთული, კომპლექსური ნაშრომია და ცალკეული, დამოუკიდებელი სიტყვა-სტატიებისაგან შედგება. სალექსიკონო სიტყვა-სტატია, თავის მხრივ, მრავალ კომპონენტს მოიცავს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკონს აქვს ორგვარი სტრუქტურა: მაკროსტრუქტურა (macrostructure) და მიკროსტრუქტურა (microstructure).

#### მაკროსტრუქტურა

ლექსიკონის **მაკროსტრუქტურა** ვერტიკალურადაა განლაგებული და წარმოადგენს ლექსიკონში შესული ყველა ლექსიკური ერთეულის სრულ სიას. მაკროსტრუქტურას სხვაგვარად **სიტყვანი** ეწოდება, ლექსიკონის სიტყვანი, ანუ ლექსიკონში შესული სიტყვების ერთობლიობა.

ლექსიკონის სიტყვანის შერჩევა რთული პროცესია და განსხვავებული ჟანრის ლექსიკონებში სხვადასხვაგვარად უნდა გადაწყდეს. ვრცელი განმარტებითი ლექსიკონების მაკროსტრუქტურა განსხვავდება სასწავლო ლექსიკონების სიტყვანისგან. განსხვავებულად შეირჩევა სიტყვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონებისათვის და ა.შ.

არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მაკროსტრუქტურული საკითხი, რომელთაგან ერთ-ერთი ომონიმიაა. **ომონიმები** ეწოდება მსგავსი დანერილობის, მაგრამ სრულიად განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს.

მაგ.: ქართული **ხელი**, როგორც ზედა კიდური და

**ხელი**, როგორც გიჟი (გახელეებული ადამიანი).

ასევე, ქართული **ბარი**, როგორც ინსტრუმენტი,

**ბარი**, როგორც ვაკე ადგილი (მთა და ბარი) და

**ბარი**, როგორც ერთგვარი კაფე (კაფე-ბარი).

ომონიმია ფართოდაა გავრცელებული ინგლისურ ენაში.

მაგ.: **pink** – მიხაკი.

**pink** – პინკი (*მცირე ზომის გემი, უპირატ. თევზსაჭერი*), საზღვაო ისტორიული ტერმინი.

**pink** – ახალგაზრდა ორაგული.

**pink** – ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა.

ომონიმია სხვა ევროპულ ენებშიც გვხვდება, მაგ.: იტალიური

**fóro** – ნახვრეტი...

**fòro** – (*ისტორიული*) ფორუმი...

არსებობს ორგვარი მიდგომა ლექსიკონში ომონიმების წარმოდგენის პრინციპისადმი. ერთი მიდგომით, ომონიმები ლექსიკონის მაკროსტრუქტურაში შეტანილია, როგორც ცალკე სიტყვა-სტატიები, მეორე მიდგომით კი, ომონიმები ერთ სიტყვა-სტატიაში ერთიანდება. ვფიქრობთ, მიზანშეუწონელია ომონიმების გაერთიანება ერთ სიტყვა-სტატიაში, რადგან ომონიმები ლექსიკურად სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. გარდა ამისა, ომონიმები სხვადასხვა ეტიმოლოგიის სიტყვებია, რომლებიც გრაფიკულად და წარმოთქმით ერთმანეთს დაემთხვა ენის ისტორიული განვითარების პროცესში.

ლექსიკონებში ომონიმები, ჩვეულებრივ, აღინიშნება პატარა არა-ბული ციფრებით მეთაური სიტყვის მარჯვენა ზედა კუთხეში.

მაგ.: **pink<sup>1</sup>** – მიხაკი.

**pink<sup>2</sup>** – პინკი (*მცირე ზომის გემი, უპირატ. თევზსაჭერი*), საზღვაო ისტორიული ტერმინი.

**pink<sup>3</sup>** – ახალგაზრდა ორაგული.

**pink<sup>4</sup>** – ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა.

**კონვერსია**, ომონიმიის მსგავსად, მნიშვნელოვანი მაკროსტრუქტურული საკითხია. კონვერსიით ნაწარმოები სიტყვები მსგავსი ლექსიკური მნიშვნელობის ერთეულებია, რომლებიც სხვადასხვა მეტყველების ნაწილს განეკუთვნება. მაგ., **bay** – როგორც არსებითი სახელი „ყეფა“ და **to bay** – როგორც ზმნა „ყეფა (ყეფს)“. კონვერსია ფართოდაა გავრცელებული ინგლისურ ენაში: **winter** (ზამთარი) – **to winter** (გამოზამთრება, ზამთრის სადმე გატარება), **pocket** (ჯიბე) – **to pocket** (ჯიბეში ჩადება), **plant** (მცენარე) – **to plant** (დარგვა, დათესვა) და ა.შ.

კონვერსია სხვა ევროპულ ენებშიც გვხვდება.

მაგ.: იტალიური

**affetto** (ზედსართავი სახელი) – რაიმესგან რომ იტანჯება, ტანჯული.

**affetto** (არსებითი სახელი) – ვინც რაიმესგან იტანჯება.

ლექსიკონში კონვერსიით ნაწარმოები სიტყვების წარმოდგენის საკითხისადმი მიდგომაზე ორგვარია: ზოგი ლექსიკონი მათ ერთ სიტყვა-სტატიაში აერთიანებს, ზოგში კი ცალ-ცალკეა აღწერილი. კონვერსია სიტყვათმანარმოებელი საშუალებაა და ენაში ახალ სიტყვებს აწარმოებს. შესაბამისად, ეს სიტყვები ლექსიკონში ცალ-ცალკე უნდა იყოს შეტანილი. კონვერსიული ფორმები ლექსიკონში რომაული ციფრებით აღინიშნება.

მაგ.: **bay I** – ყეფა

**bay II** – ყეფა (ყეფს)

ან გამიჯნულია გრამატიკული კვალიფიკაციებით. მაგ.:

**bay noun** – ყეფა

**bay verb** – ყეფა (ყეფს)

მნიშვნელოვანი მაკროსტრუქტურული საკითხია **მრავალსიტყვიანი ლექსიკური ერთეულების** შეტანა ლექსიკონში. მაგ.: როგორ უნდა იყოს ლექსიკონში წარმოდგენილი **Internally displaced person** (დევნილი)? როგორც დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეული, სიტყვანის ნაწილი თუ მისი შემადგენელი რომელიმე სიტყვის



შესაბამისი სიტყვა-სტატიის ნაწილი (ვთქვათ, **displaced ან person**)? ლექსიკონების ბეჭდურ გამოცემებში მრავალსიტყვიანი ლექსიკური ერთეულები, ჩვეულებრივ, შესაბამისი სიტყვის სიტყვა-სტატიაში იყო ასახული. ელექტრონული და ონლაინლექსიკონების ეპოქამ ბევრი რამ შეცვალა. ონლაინლექსიკონში აღარ არის ადგილის პრობლემა, განსხვავებით ბეჭდური ლექსიკონისგან. სწორედ ამიტომ თანამედროვე ელექტრონულ და ონლაინლექსიკონებში ამგვარი მრავალსიტყვიანი ერთეულები ხშირად მაკროსტრუქტურის ნაწილია და ცალკე ერთეულებად შეტანილი.

### მიკროსტრუქტურა

განსხვავებით ვერტიკალური მაკროსტრუქტურისგან, მიკროსტრუქტურა ჰორიზონტალურადაა განფენილი. ლექსიკონის მაკროსტრუქტურაში შესული ყოველი ლექსიკური ერთეული არის **მეთაური სიტყვა** და იგი აღწერილია შესაბამის **სიტყვა-სტატიაში**. სიტყვა-სტატიები დამოუკიდებელია ერთმანეთისგან და, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:

- სიტყვის მართლწერა;
- სიტყვის ტრანსკრიფცია;
- სიტყვის გრამატიკული დახასიათება;
- სიტყვის მნიშვნელობის აღწერა:
  - პოლისემიური მნიშვნელობების გამიჯვნა;
  - შესიტყვებების, იდიომების დადგენა;
- სიტყვის კვალიფიკაციების განსაზღვრა
  - (დროისმიერი, ადგილისმიერი, სტილისტიკური, დარგობრივი).

#### **მართლწერა.**

სიტყვა-სტატია იწყება სიტყვის მართლწერის აღწერით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინგლისური ენისათვის, რომლის სიტყვებსაც ხშირად დაწერილობის რამდენიმე ვარიანტი აქვს.

დანერილობის ვარიანტები შეიძლება, უბრალოდ, მძიმით გაიმიჯნოს.

მაგ.: **anecdotic, anecdotal**

მაგრამ ამ შემთხვევაში არ ვიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თანაბრადაა გავრცელებული ვარიანტები თუ არა. თუ ვარიანტები თანაბრადაა გავრცელებული ენაში, მათ შორის ინერება სიტყვა ან.

მაგ.: **anecdotic** ან **anecdotal**.

თუ ერთ-ერთი ვარიანტი ნაკლებადაა გავრცელებული, მის წინ ინერება აგრ. (აგრეთვე).

მაგ.: **acaricide** აგრ. **acaracide**.

ყოველ ენას თავისი სპეციფიკა აქვს. მაგ., **ფრანგულ** ენაში ზედსართავ სახელებს მიეთითება მდედრობითი სქესის ფორმის აღმნიშვნელი ბოლოკიდური ხმოვანი **-e**.

ბოლოკიდური **-e** დაერთვის არსებით სახელებსაც, რომლებიც ორივე სქესის სიტყვებია.

მაგ.: **adéquat, -e** – ადეკვატური.

**adhérent, -e** – წვერი.

### **ტრანსკრიფცია.**

ვინაიდან ინგლისური სიტყვის წარმოთქმა უმეტესწილად განსხვავდება გრაფიკული გამოსახულებისაგან, ინგლისურ ლექსიკონებში სიტყვა-სტატიის შემდეგი აუცილებელი კომპონენტია ტრანსკრიფცია. თანამედროვე ელექტრონულ და ონლაინლექსიკონებში სიტყვის წარმოთქმა გახმოვანებულიცაა.

თითოეულ სიტყვას ახლავს კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ტრანსკრიფცია, რომელიც ასახავს სიტყვის ფლერადობას. წარმოთქმა ისევე, როგორც დანერილობა, სიტყვას შეიძლება რამდენიმე ჰქონდეს. ლექსიკონებში, მით უფრო დიდ ლექსიკონებში, შეტანილია სიტყვის წარმოთქმის ყველაზე გავრცელებული ვარიანტები.

მაგ.: **charisma** [kə'rizmə]

**biochemistry** [ˈbaɪə(ʊ)ˈkɛmɪstrɪ]. ეს ტრანსკრიფცია ორგვარად უნდა წავიკითხოთ: [ˈbaɪəˈkɛmɪstrɪ] ან [ˈbaɪəʊˈkɛmɪstrɪ].

იტალიურ და ფრანგულ ენებს ტრანსკრიფცია თითქოს არ სჭირდება, რადგან ორივე ენას აქვს კითხვის მკაფიოდ ჩამოყალიბებული წესები. მიუხედავად ამისა, სასწავლო ლექსიკონებში ამგვარ ენებსაც შეიძლება ჰქონდეს დართული ტრანსკრიფცია.

მაგ.: იტალიური: **affascinare** [affaʃʃiˈna:re] *v t* **1**. მოჯადოება (<მო>აჯადოებს); ...

ფრანგული: **addition** [adisjɔ̃] *n f* **1**. მათ. მიმატება...

ლექსიკონებში სიტყვის წარმოთქმის გადმოსაცემად ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ შემუშავებული ფონეტიკური ნიშნები.

### სიტყვის გრამატიკული დახასიათება.

სიტყვა-სტატიის შემდეგი მნიშვნელოვანი კომპონენტია სიტყვის გრამატიკული დახასიათება. კერძოდ, ნაჩვენებია, რომელი მეტყველების ნაწილია აღწერილი სალექსიკონო სტატიაში (*n* – **noun** არსებითი სახელი; *v* – **verb** ზმნა და ა.შ.). შემდეგ ყოველი მეტყველების ნაწილს ერთვის სათანადო გრამატიკული დახასიათება. რომანული ენებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მეტყველების ნაწილის მითითება, რადგან ამ ენებს აქვს გრამატიკული სქესი. შესაბამისად, არსებით სახელებს ლექსიკონში მიეთითება სქესიც.

მაგ.: **activité** [aktivite] *n f* **1**. აქტიურობა; აქტივობა; ენერჯია...

აღნიშნულ ფრანგულ სიტყვას მითითებული აქვს მეტყველების ნაწილი (*n* – არსებითი სახელი) და სქესი (*f* – მდედრობითი სქესი).

ინგლისურ ენაში **ზმნას**, გარდა მეტყველების ნაწილისა, დართული აქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, ის გარდამავალია თუ გარდაუვალი, მაგრამ იტალიური ენისთვის ეს ინფორმაცია არ არის საკმარისი და ზმნას სჭირდება შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:

<i>v t</i>	გარდამავალი ზმნა
<i>v i</i>	გარდაუვალი ზმნა
<i>v rifl</i>	უკუქცევითი ზმნა
<i>v t pron</i>	გარდამავალი ნაცვალსახელური ზმნა
<i>v i pron</i>	გარდაუვალი ნაცვალსახელური ზმნა
<i>v rifl recipr</i>	ურთიერთუკუქცევითი ზმნა

ქართული ზმნის შემთხვევაში გაცილებით მეტი გრამატიკული ინფორმაციის მიწოდებაა საჭირო ზმნურ სიტყვა-სტატიაში და სხვ.

გარდა ამისა, ყოველ ენაში ყველა მეტყველების ნაწილს გრამატიკული ინფორმაციის ნაწილში მითითებული აქვს არანესიერი წარმოების ფორმებიც. ინგლისურ ენაში არსებითი სახელისათვის ეს არის მრავლობითი რიცხვის არანესიერად ნაწარმოები ფორმები (**wife – wives**), ზედსართავი სახელისათვის – არანესიერი ხარისხების მანარმოებელი ფორმები (**good – better – best**), ზმნის შემთხვევაში – არანესიერი ზმნების ნამყო დროისა და ნამყო დროის მიმღეობის ფორმები (**go – went – gone**) და სხვ. (დამატებით იხილეთ დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ინსტრუქცია ვებ-საიტზე: <https://dictionary.ge/ka/guide/#12>).

### სიტყვის მნიშვნელობის აღწერა.

სიტყვა-სტატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია მისი მნიშვნელობის აღწერა. სიტყვის მნიშვნელობის აღწერის მეთოდებს მომდევნო თავებში განვიხილავთ. ამ თავში კი ყურადღებას გავამახვილებთ პოლისემიაზე, რადგან სიტყვებს ხშირად ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვს და ეს მნიშვნელობები სათანადოდაა აღწერილი ლექსიკონში. დიდი განმარტებითი ლექსიკონები, ჩვეულებრივ, ცდილობენ სიტყვის პოლისემია სრულად წარმოადგინონ სიტყვა-სტატიაში. მაგ., ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში სიტყვას **heart** აქვს 30-მდე მნიშვნელობა. სასწავლო ლექსიკონების სიტყვა-სტატიებში ლექსიკოგრაფები იყენე-

ბენ სიხშირულ პრინციპს და ამა თუ იმ სიტყვის ყველაზე ხშირად ხმარებული მნიშვნელობები შეაქვთ.

### **პოლისემია.**

პოლისემია ანუ მრავალმნიშვნელობიანობა რეალურად არსებობს ყოველი კონკრეტული ენის ლექსიკურ სისტემაში. პოლისემიური სიტყვა შედგება რამდენიმე ლოგიკურ-საგნობრივი თვალსაზრისით განსხვავებული მნიშვნელობისაგან, რომლებიც, აზრობრივი განსხვავებების მიუხედავად, არ არღვევენ პოლისემიური სიტყვის მთლიანობას და მის ცალკეულ ვარიანტებად გვევლინება.

მაგ.: ქართული სიტყვა **ხისტი**:

**1. არადამთმობი, არადამყოლი; უკომპრომისო.** ხისტი დამოკიდებულება. ხისტი ხასიათი. ხისტი მიდგომა. ხისტი პოზიცია. ხისტი ორთაბრძოლა. ხისტი ფეხბურთი.

**2. მოუქნელი, მკაცრი.** ხისტი პოლიტიკა. ხისტი კანონი. ხისტი ნორმები. ხისტი პოლიტიკოსი.

**3. მაგარი, არადრეკადი; უღუნველი.** ხისტი ღერო. ხისტი მოდელი. ხისტი ჯავშანფილა. ხისტი საბურავი. ხისტი ძარა. ხისტი სისტემა.

**4. ხეშეში, ხმელი, ხამი.** ხისტი ბუმბული. ხისტი წყალი.

როგორც ვხედავთ, სიტყვას **ხისტი** 4 პოლისემიური მნიშვნელობა აქვს ქართულ ენაში.

ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს სხვა ევროპული ენებიდან: პოლისემიურია გერმანული სიტყვა **zurückziehen**:

1. უკანვე განევა (<გა>სწევს) / წაღება (ხელისა, ფეხისა და სხვ.);

2. გა<მო>ყვანა (გა<მო>იყვანს), უკან დაწევა (ჯარებისა, პირადი შემადგენლობისა);

3. ნათქვამზე, ადრე გაკეთებულ შეთავაზებაზე და მისთ. უარის თქმა (იტყვის), უკანვე წაღება / გაუქმება (განაცხადისა, საჩივრისა, შენიშვნისა და მისთ.);

4. ძველ საცხოვრებელ ადგილას, სამშობლოში და სხვ. დაბრუნება (<და>ბრუნდება) აგრ. ითქმის ფრინველების შესახებ;

5. განმარტობა (განმარტოვდება), განცალკევებულ ადგილას გასვლა (დასასვენებლად და მისთ.); გაცლა, წასვლა (ხალხისგან, საზოგადოებისგან და მისთ.); **sich von jdm zurückziehen** ვინმეს ჩამოშორება, ვინმესთან ურთიერთობისთვის თავის არიდება; **sich von der Welt zurückziehen** გარესამყაროს / საზოგადოებას ჩამოშორება; **sich in sich (Akk) zurückziehen** საკუთარ თავში ჩაკეტვა;

6. (von, aus) სამსახურიდან / თანამდებობიდან გადადგომა (გადადგება); პოლიტიკიდან, მოღვაწეობის სფეროდან და სხვ. წასვლა; ამა თუ იმ საქმიანობისთვის თავის დანებება.

პოლისემიურია შვედური სიტყვა **ofärdig**:

1. კოჭლი; დასახიჩრებული, დაშავებული; დაინვალიდებული, უნარშეზღუდული; **hans son är tyvärr född ofärdig** სამწუხაროდ, მისი ვაჟი დაბადებიდან ინვალიდია / უნარშეზღუდულია;

2. დაუსრულებელი, დაუმთავრებელი, ჯერ მზად რომ არ არის; არასრული; **boken är ännu ofärdig** წიგნი ჯერ არ არის დამთავრებული.

\* \* \*

რა ინვესს პოლისემიას?

რატომ უჩნდება სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა?

საენათმეცნიერო ლიტერატურაში პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად ენაში ეკონომიის პრინციპის მოქმედება სახელდება – შინაარსის პლანის მრავალკომპონენტურობა გამოხატვის პლანში ერთი ერთეულითაა წარმოდგენილი. ამით თითქოს დაიძლევა ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს ენის შედარებით შეზღუდულ რესურსებსა და სამყაროს უსასრულო კონკრეტულობას შორის.

პოლისემიის წარმოშობა ასევე აიხსნება რეალური მსგავსებით იმ საგნებსა თუ მოვლენებს შორის, რომლებიც ენაში ერთი სიტყვით სახელდება. სამყაროს აღქმის პროცესში ადამიანის აზროვნება ცდილობს

ასახოს არა მარტო ცალკეული საგნები და მოვლენები, არამედ ის რეალური მსგავსებაც, რომელიც მათ შორის არსებობს. მაშასადამე, პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზია **ადამიანის აზროვნების თავისებურება, ასახოს ენაში სამყაროს მრავალფეროვნება და ერთიანობა.**

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ: სამყაროს შემეცნების პროცესში ადამიანის აზროვნება ცდილობს, ახალი, შეუცნობელი საგნები და მოვლენები ასახოს მათი კავშირებისა და მიმართებების მეშვეობით უკვე ნაცნობ, შემეცნებულ საგნებსა და მოვლენებთან, ანუ პოლისემიის წარმოშობის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ **ადამიანის აზროვნების უნარი, სამყაროს მრავალფეროვნება დაიყვანოს ერთიანობაზე მისი შემეცნების პროცესში.**

პოლისემიის წარმოშობის კიდევ ერთი მიზეზი, მრავალი ენათმეცნიერის აზრით, თვით ლექსიკური მნიშვნელობის ბუნებითაა შეპირობებული. **მნიშვნელობის აბსტრაქტული ბუნება, მისი განმარტებადი ფუნქცია უნდა მივიჩნიოთ პოლისემიის აღმოცენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.**

პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობები თანაბარი ღირებულებისა არ არის. ყოველი პოლისემიური სიტყვის სტრუქტურაში გამოიყოფა „სემანტიკური ცენტრები“, „მსხვილი“ (ანუ ძირითადი) მნიშვნელობები, რომლებიც ლექსიკონში მუქი ციფრებითაა გამოყოფილი: **1., 2.** და ა.შ. მოცემული „სემანტიკური ცენტრები“ რიგ შემთხვევაში შეიცავს ქვემნიშვნელობებს, რომლებიც ლექსიკონში ფრჩხილიანი არაბული ციფრებითაა დანომრილი: **1), 2), 3)...** მაშასადამე, პოლისემიური სიტყვის სალექსიკონო სტატიაში ორმაგი ნუმერაციაა: **1. 1), 2), 3)...**

### **შესიტყვებები, იდიომები.**

სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მნიშვნელოვანია შესიტყვებებისა და იდიომების შეტანა. როგორც ერთმა ცნობილმა ლექსიკოგრაფმა, ენტონი კოუიმ (Anthony Cowie) ერთხელ აღნიშნა, უცხო ენის შესწავ-



ლისას სირთულეს ქმნის არა სიტყვები, არამედ სწორედ შესიტყვებები (those comings together of words). მაგ.: ინგლისური სიტყვის **background** სიტყვა-სტატიაში შეტანილია ისეთი შესიტყვებები, როგორებიცაა: **educational background, historical background, family background, political background** და სხვ. შესიტყვებები მნიშვნელოვანია თარგმნით / ორენოვან ლექსიკონებში, რადგან შესიტყვებები სხვა ენაზე ხშირად სიტყვასიტყვით არ ითარგმნება.

მაგ.: **family background** – წარმომავლობა, ოჯახიშვილობა, გვარი-შვილობა

**educational background** – განათლება

**historical background** – ისტორიული ფონი

**political background** – პოლიტიკური წარსული.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ასევე მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიური ერთეულების შეტანა. როგორც ცნობილია, ფრაზეოლოგიური ერთეულის მნიშვნელობა არ უდრის მასში შემავალი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს. მაგ., ქართული იდიომი **სიტყვის ბანზე აგდება** ნიშნავს „პასუხისთვის თავის არიდებას, საუბრის სხვა თემაზე გადატანას“. მას არაფერი აქვს საერთო არც სიტყვასთან და არც ბანთან. სწორედ ამიტომ საჭიროა მათი განმარტება ლექსიკონში ან სხვა ენაზე სათანადო ეკვივალენტის მითითება, თუ ლექსიკონი ორენოვანია.

### **კვალიფიკაციები.**

სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ასევე აუცილებელია კვალიფიკაციების გამოყენება. გამოიყოფა ოთხი ტიპის კვალიფიკაციები: დროისმიერი, ადგილისმიერი, სტილისტიკური და დარგობრივი.

### **დროისმიერი კვალიფიკაციები.**

დროისმიერი კვალიფიკაცია გვიჩვენებს, სიტყვა არქაულია, მოძველებულია, იშვიათია თუ გამოიყენება თანამედროვე ქართულში, ინგლისურში და ა.შ. ინგლისურ ლექსიკონებში გვხვდება კვალიფიკაციები: **archaic, obsolete, dated, old-fashioned, becoming rare** და ა.შ.



მაგ.: ქართული სიტყვა **სტოლა** მოძველებულია და არ გამოიყენება თანამედროვე ქართულში. მისი მნიშვნელობაა „ფლოტი, მრავალი საბრძოლო გემი“.

თანამედროვე ქართულში მოძველებულია სიტყვები: **სპა, სპასალარი, ეჯიბი** და სხვ.

მოძველებული შეიძლება იყოს არა თავად სიტყვა, არამედ მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა. მაგ.: სიტყვა **თავადი**-ს მოძველებული მნიშვნელობაა „მთავარსარდალი“; **ძეგლი**-ს მოძველებული მნიშვნელობაა „სვეტი“ და სხვ.

არქაულია ინგლისური სიტყვა **bodkin** – „ხანჯალი“.

ინგლისურ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციაში **მოძველებულია (obsolete)** ისეთი სიტყვა, რომლის ხმარება 1755 წლის შემდეგ არ არის რეგისტრირებული. დროისმიერი კვალიფიკაცია **არქაული (archaic)** მიუთითებს, რომ მოცემული სიტყვა იხმარება 1755 წლის შემდეგ, მაგრამ დღესდღეობით შემორჩენილია მხოლოდ თითო-ოროლა ან სპეციალურ კონტექსტებში (მაგ., პოეზიაში, იურიდიულ ტექსტებში).

დროისმიერი კვალიფიკაციების მითითება ლექსიკონში აუცილებელია, თუმცა სხვადასხვა ლექსიკონი ამ საკითხს სხვადასხვაგვარად უდგება: ზოგი ლექსიკონი არ მიჯნავს მოძველებულს არქაულსგან და იყენებს მხოლოდ კვალიფიკაციას – მოძველებული. **არქაულ** სიტყვებთან ხშირად გვხვდება სტილისტიკური კვალიფიკაციები: **პოეტური, ამაღლებული, ზოგჯერ წიგნური** და ა.შ.

თანამედროვე სასწავლო ტიპის ლექსიკონები ხშირად მიმართავენ დროისმიერ კვალიფიკაციებს: **old use, old-fashioned** და მისთ.

### **ადგილისმიერი კვალიფიკაციები.**

ინგლისური ენის ლექსიკონებში ასევე მეტად მნიშვნელოვანია ადგილისმიერი კვალიფიკაციების მითითება. უპირველეს ყოვლისა, როგორც ცნობილია, არსებობს ინგლისური ენის ოთხი უმთავრესი ვარიანტი: ბრიტანული, ამერიკული, ავსტრალიური და ახალზელანდიური. ეს არის ოთხი დიდი სახელმწიფო, სადაც ინგლისური ენა ერთადერთი სახელმწიფო ენაა. ასევე მნიშვნელოვანია კანადური

და სამხრეთაფრიკული ვარიანტები, ვინაიდან კანადაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ინგლისური ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა.

შესაბამისად, ლექსიკონებში გვხვდება კვალიფიკაციები:

ბრიტანული ინგლისური (British English);

ამერიკული ინგლისური (American English);

ავსტრალიური ინგლისური (Australian English);

ახალზელანდიური ინგლისური (New Zealand English);

კანადური ინგლისური (Canadian English);

სამხრეთაფრიკული ინგლისური (South African English).

ადგილისმიერი კვალიფიკაციების მითითება ასევე აუცილებელია **ფრანგული** ენისათვის. ფრანგული ენა მეორე ან ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა ბელგიაში, შვეიცარიასა და კანადაში. ფრანგული ენა ასევე გავრცელებულია საფრანგეთის ყოფილ კოლონიებში აფრიკასა და ამერიკაში, კერძოდ: ალჟირში, მაროკოში, კონგოს რესპუბლიკაში, გვინეაში და სხვ.

ადგილისმიერი კვალიფიკაციები მნიშვნელოვანია **ესპანური** ენისთვისაც, რადგან ესპანური ენა სახელმწიფო ენაა ესპანეთში, მექსიკაში, არგენტინაში, ჩილეში, ბოლივიაში, პერუსა და სხვა ქვეყნებში.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ასევე მოყვანილია დიალექტური ფორმები, ნასესხებ სიტყვებს კი ახლავს სათანადო მითითება წყარო ენაზე, საიდანაც სიტყვაა ნასესხები.

### **სტილისტიკური კვალიფიკაციები.**

როგორც ცნობილია, ენის ლექსიკის ერთი ნაწილი სტილისტურად შეფერილია. არის სიტყვები, რომლებიც მხოლოდ სასაუბრო მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, მეორე ნაწილი მხოლოდ წიგნური სტილისთვისაა მისაღები; არსებობს უხეში, ვულგარული, სლენგური სიტყვები, რომელთა ხმარება შეზღუდულია ნეიტრალურ ლექსიკასთან შედარებით და, თუ არა სათანადო კვალიფიკაცია, ასეთი

ლექსიკონის არასათანადო ხმარებით ადამიანი შეიძლება უხერხულ მდგომარეობაშიც აღმოჩნდეს. არსებობს მაღალფარდოვანი სიტყვები, აგდებითი, კიცხვითი მნიშვნელობის მქონე სიტყვები და ა.შ.

ყველაზე გავრცელებული სტილისტიკური კვალიფიკაციებია:

წიგნური (bookish, formal);

სასაუბრო (colloquial, informal);

სლენგი (slang);

ვულგარული (vulgar, obscene);

აგდებითი (derogatory);

დამცრობითი (pejorative);

კიცხვითი (contemptuous);

ამაღლებული (elevated);

ხუმრობითი (jocular) და ა.შ.

მაგ.: გარდაცვალება – წიგნური სიტყვაა, მოკვდომა – სასაუბრო, ჩაძაღლება – უხეში, ვულგარული;

შეხედვა – ნეიტრალური სიტყვაა, მზერა – ამაღლებული;

მოკვლა – ნეიტრალური სიტყვაა, დაბრედა – სლენგი;

ამბის გახმაურება – ნეიტრალური სიტყვაა, გაბაზრება – სლენგი და ა.შ.

### **დარგობრივი კვალიფიკაციები.**

ლექსიკონებში, როგორც წესი, წარმოდგენილია დარგობრივი ტერმინოლოგია, მაგ.: ზოოლოგიური, ბიოლოგიური, მათემატიკური, იურიდიული, ტექნიკური, კომპიუტერული, გეოგრაფიული, გეოლოგიური და სხვ. ლექსიკონის მასშტაბებიდან და ლექსიკოგრაფიული პრინციპებიდან გამომდინარე, დარგობრივი ტერმინოლოგია შეიძლება შეტანილი იყოს დიდი რაოდენობით, ან შედარებით ნაკლებად, მაგრამ დარგობრივი ტერმინოლოგიის შეტანასა და აღწერას ვერც ერთი ლექსიკონი ვერ აარიდებს თავს, ვინაიდან არ შეიძლება ლექსიკონში

არ იყოს მცენარეებისა და ცხოველების სახელები, მინერალებისა და ქიმიური ნივთიერებების სახელები, მნიშვნელოვანი იურიდიული ტერმინები და მრავალი სხვა. ყველა ტერმინს ლექსიკონში ახლავს სათანადო დარგობრივი კვალიფიკაცია.

\* \* \*



## 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. დაასახელეთ ლექსიკონის ორგვარი სტრუქტურა.
2. რა განსხვავებაა ლექსიკონის მაკროსტრუქტურასა და მიკროსტრუქტურას შორის?
3. რა არის ლექსიკონის სიტყვანი და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი სხვადასხვა ჟანრის ლექსიკონებში?
4. რა არის ომონიმია და ლექსიკონში მისი წარმოდგენის რომელი პრინციპები გამოიყენება ლექსიკოგრაფიაში?
5. რა არის კონვერსია და ლექსიკონში მისი წარმოდგენის რომელი პრინციპები გამოიყენება ლექსიკოგრაფიაში?
6. რა სიძნელები ახლავს თან მრავალსიტყვიანი ლექსიკური ერთეულების ასახვას ლექსიკონში?
7. რა არის ლექსიკონის მიკროსტრუქტურა და რა ძირითადი კომპონენტებისგან შედგება იგი?
8. რა ფუნქცია ეკისრება ლექსიკონში ტრანსკრიფციას?
9. რა ინფორმაციას აწვდის მკითხველს სიტყვის გრამატიკული დახასიათება?
10. რა ღირებულება აქვს სიტყვის მნიშვნელობის აღწერას, როგორც ლექსიკონის მიკროსტრუქტურულ კომპონენტს?
11. რა არის პოლისემია და როგორ აისახება იგი სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში?
12. რა არის შესიტყვებები და იდიომები და რატომ არის მნიშვნელოვანი ლექსიკონში მათი შეტანა?

13. რა არის სალექსიკონო კვალიფიკაციები და რა დატვირთვა აქვთ მათ ლექსიკონის მიკროსტრუქტურაში?
14. რა ძირითადი ტიპის კვალიფიკაციები გამოიყენება სიტყვა-სტატიის შედგენისას?

## II. შუასრულეთ შედეგი დავალება:


1. დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონიდან ამოიწერეთ კონვერსიისა და ომონიმიის მაგალითები ([www.dict.ge](http://www.dict.ge));
2. შეარჩიეთ რომელიმე პოლისემიური სიტყვის 3-4 მნიშვნელობა და შეეცადეთ გააანალიზოთ სემანტიკური კავშირები მათ შორის;
3. შეარჩიეთ 5 სლენგური სიტყვა, რომლებსაც ხშირად იყენებენ თქვენი მეგობრები;
4. მარჯორი უორდროპის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონიდან“ ამოიწერეთ 5 მოძველებული სიტყვა და 5 თანამედროვე ქართული სიტყვის მოძველებული მნიშვნელობა (ლექსიკონის ელექტრონული ვერსია: <https://margaliti.com/EGD-web.pdf>).

## თავი 4.

### სიტყვის მნიშვნელობის რაობა

ლექსიკონში აღნუსხულია ამა თუ იმ ენის სიტყვები და მათი მნიშვნელობები. სწორედ ლექსიკოგრაფიის განვითარება და განმარტებითი ლექსიკონების შექმნა გახდა XVIII საუკუნეში ლექსიკური სემანტიკის წარმოშობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი და ბიძგი მისცა სიტყვის მნიშვნელობის შესწავლას.

მნიშვნელობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და რთული საკითხია ენათმეცნიერებისა და არა მხოლოდ ენათმეცნიერებისა. მნიშვნელობასთან დაკავშირებული არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი არ დასმულა და განხილულა ფილოსოფოსთა, ლოგიკოსთა, ფსიქოლოგთა და სხვათა უშუალო მონაწილეობის გარეშე. მნიშვნელობაში ყველაზე ნათლად აისახება იმ მიმართებათა ნაირსახეობა და სირთულე, რაც არსებობს ადამიანს, გარემომცველ სამყაროსა და ენას შორის.



ოგდენისა და რიჩარდსის ეს ცნობილი სემიოტიკური სამკუთხედი კარგად წარმოაჩენს სიტყვის მნიშვნელობის არსს, ზემოხსენებულ მიმართებას ადამიანს, გარემომცველ სამყაროსა და ენას შორის. დენოტატი (Denotatum) – გარემომცველი სამყაროს ის სეგმენტია, ის

ნანილია (საგანი, მოვლენა, ნიშან-თვისება და ა.შ.), რომელსაც სიტყვა აღნიშნავს. უფრო ზუსტად, დენოტატი არის სიტყვის მიერ აღნიშნულ საგანთა, მოვლენათა და ა.შ. კლასი. მაგ., დენოტატი არის არა ერთი რომელიმე კონკრეტული მგელი ან ერთი კონკრეტული მელა, ძროხა და სხვ., არამედ მგლების კლასი, მელიების კლასი, ძროხების კლასი და ა.შ. აღმნიშვნელი (**Expression**) თავად სიტყვაა, ნიშანია, ანუ მისი ბგერითი კომპლექსია (მ-გ-ე-ლ-ი, მ-ე-ლ-ა, ძ-რ-ო-ხ-ა...). აღსანიშნი (**Designatum**) კი არის ენობრივი კოლექტივის წარმოდგენა მოცემულ საგანთა კლასზე, ანუ იგი არის კონცეპტი, ცნება საგანთა ამა თუ იმ კლასზე, როგორც მას აღიქვამს მოცემული ენობრივი კოლექტივი. შესაბამისად, ქართულ ენაში დათვის მნიშვნელობას განსაზღვრავს არა ამ ცხოველის ანატომია ან მისი სხვა მახასიათებლები, არამედ ის, თუ როგორ აღიქვა იგი ქართულმა ენობრივმა კოლექტივმა. სწორედ ამიტომ ქართულში **დათვი** ასოცირდება „ტლანქი გარეგნობის, ზანტი მოქმედების, უშნო ქცევის, მიხრა-მოხრის“ ადამიანთან (ქეგლ\*); **მელა** ასოცირდება „პირმოთნე, გაიძვერა, ცბიერ“ ადამიანთან (ქეგლ); **ძროხა** – „მოუქნელ, ტლანქ, გაუთლელ, ხეპრე“ ადამიანთან (ქეგლ) და ა.შ. სხვა ენობრივ კოლექტივს შეიძლება აღნიშნული ცხოველები სხვა ასოციაციებს აღუძრავდეს, მაგალითად, ინდოეთში ძროხა წმინდა ცხოველია, რაც ბუნებრივად აისახება ამ ხალხის ენაში. შეუძლებელია **აქლემი** ერთნაირ ასოციაციებს აღუძრავდეს ქართველსა და არაბს. ინგლისური შესიტყვება **feline grace** (სიტყვასიტყვით „კატისებრი გრაცია“) ქართულად „ავაზისებრი გრაციით / მოქნილობით“ გადმოგვაქვს, რადგან **კატა** ქართულ ენაში არ ასოცირდება მოქნილ, სექსუალურ მიხრა-მოხრასთან. ინგლისელი იტყვის **dirty dog** „უზნეო, არამზადა ადამიანზე“. ქართულად ამ ფრაზას გადმოვთარგმნით არა ძალლით, არამედ **ღორით**, რადგან ქართულ ენაში სწორედ ღორი იწვევს უზნეო, მორალურად ბინძური ადამიანის ასოციაციას. **Dog** ინგლისურ ენაში ასევე აღნიშნავს „შეუხედავ ქალს“ და „მდარე ხარისხის ყოვლად

\* ქეგლ – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით.

უვარგის რამეს“. ინგლისური სიტყვა **dog**-ის ეს მნიშვნელობები ქართულად ასევე ვერ გადმოითარგმნება „ძალლით“. ქალის შემთხვევაში ეს მნიშვნელობა უნდა ითარგმნოს როგორც „საფრთხობელა“, მეორე შემთხვევაში კი როგორც „ნაგავი“. მაგ., **This film is an absolute dog** ეს ფილმი ნაგავია, არაფრად არ ვარგა.

**გული** ბევრ ენაში უკავშირდება გრძნობებს, ემოციებს. ინგლისურსა და ქართულში მას ასევე უკავშირდება ვაჟკაცობა (**he plucked up his heart** – გული მიეცა). ერთ-ერთ აფრიკულ ენაში ვაჟკაცობა დაკავშირებულია ღვიძლთან და არა გულთან. სინამდვილეში, როგორც ქირურგები ამბობენ, გული არც ემოციის, არც გრძნობისა და არც ვაჟკაცობის ადგილი არაა, იგი უბრალოდ ტუმბოა, რომელიც სისხლის მიმოქცევას უზრუნველყოფს. ასეთი მაგალითები უსასრულოდ შეიძლება მოვიყვანოთ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სიტყვის მნიშვნელობას განსაზღვრავს არა ობიექტური სამყაროს საგანი, მოვლენა და მისი., არამედ ჩვენი წარმოდგენები გარე სამყაროს საგნებსა თუ მოვლენებზე.

მაშასადამე, სიტყვა, ერთი მხრივ, ახდენს სახელდებას, სახელს არქმევს გარემომცველი სამყაროს საგანს, მოვლენასა და ა.შ., მეორე მხრივ კი, თავის მნიშვნელობაში ასახავს მოცემული საგნისა თუ მოვლენის აღქმის, შემეცნების შედეგს.

სახელდება ანუ ნომინაცია არის მიმართება აღმნიშვნელსა (**Expression**) და დენოტატს (**Denotatum**) შორის. ეს მიმართება სიტყვის მნიშვნელობას არ წარმოშობს, ამიტომ არის მათი შემაერთებელი ხაზი წყვეტილი ზემოთ მოყვანილ სამკუთხედზე. სიტყვის მნიშვნელობას ქმნის კონცეპტი, ცნება მოცემულ დენოტატზე (აღსანიშნი, **Designatum**).

მაშასადამე, სიტყვა არის ორმხრივი ერთეული, რომელსაც აქვს როგორც გამოხატვის პლანი (გრაფიკული, ბგერითი ფორმა), ისე შინაარსის პლანი (მნიშვნელობა). სიტყვის ამ ორი პლანის მიმართება, რომელიც საზოგადოებრივად, კოგნიტიურად და ისტორიულად შეპირობებულია, განსაზღვრავს კიდევ ენის არა მხოლოდ არსებობას, არამედ მის განვითარებასაც.



ენობრივი წარმოდგენები სამყაროს რეალურ საგნებსა და მოვლენებზე რთულად იქმნება სამყაროს შემეცნების პროცესში. გარემომცველი სამყაროს აღქმა ადამიანის ცნობიერების მიერ, გარემომცველი სამყაროს შემეცნება ადამიანის გონების მიერ, უაღრესად რთული პროცესია. **სამყაროს აღქმა ადამიანის გონებაში არაა მისი სარკისებური ასახვა.** ეს არის მრავალსაფეხურიანი, რთული პროცესი განზოგადებისა, ცნებათა, კანონთა ფორმირებისა და ა.შ., რომელიც ადამიანს ეხმარება გარემომცველი სამყაროს აღქმასა და შემეცნებაში. შემეცნება ორ ეტაპად მიმდინარეობს: პირველია სამყაროს გრძნობადი აღქმა, რომელიც ადამიანის უშუალო გამოცდილებას ეყრდნობა, მეორე კი აბსტრაქტული, ლოგიკური შემეცნებაა, რომელიც განზოგადებს ადამიანის გრძნობათა ორგანოების მიერ აღქმულ სამყაროს. გრძნობადი და ლოგიკური აღქმის პროცესები ქმნის მჭიდრო, განუყოფელ ერთიანობას.

სწორედ ასეთი პროცესების შედეგად შეიმეცნებს ენობრივი კოლექტივი სამყაროს და ასახავს მას სიტყვათა მნიშვნელობებში. ამიტომ ეკისრება ენას განსაკუთრებული როლი ადამიანთა და, საზოგადოდ, ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში. სწორედ ამიტომ განვიხილავთ ენას, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებულ სისტემურ-სტრუქტურულ წარმონაქმნს, რომელიც განისაზღვრება არა მარტო შიდასტრუქტურული, არამედ სოციალური ფაქტორებით, აზრობრივი კატეგორიებითა და ფუნქციებით.

ენა სამყაროს ერთგვარ ლინგვისტურ სურათს ქმნის. ენათმეცნიერები ხშირად აღნიშნავენ, რომ უცხო ენების შესწავლა არის გარე სამყაროს დამატებითი შესწავლა. ყოველი ახალი უცხო ენა ცვლის გარე სამყაროს შემეცნების ფოკუსს, ჩვენს ყურადღებას მიმართავს ცოდნის დამატებითი ასპექტებისაკენ.

სიტყვის მნიშვნელობის ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველი ენა სამყაროს თავისებურად ანაწევრებს. მაგ., ინგლისური ენა ასხვავებს მაგიდის აღმნიშვნელ ორ სიტყვას – **table, desk**. ქართული და ჩეხური ენებისათვის მაგიდის დანიშნულება არ არის არსებითი,

ამიტომ ქართული **მაგიდა** და ჩეხური **stul** ორივე ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას მოიცავს – **table** და **desk**.

ინგლისური სიტყვა **morning** მოიცავს დროს განთიადიდან 12 საათამდე; ჩეხური **rano**, გერმანული **Morgen** არის დროის მონაკვეთი დილის 9 ან 10 საათამდე; შვედური **morgon** კი აღნიშნავს დროის მონაკვეთს დილის 6 საათამდე.\*

ინდურ ენაში სიყვარულის აღსანიშნავად ექვსი სიტყვა გამოიყენება. ინდური ენა ასხვავებს მშობლების სიყვარულს შვილებისადმი, სიყვარულს ადამიანებისადმი და საგნებისადმი, სიყვარულს ბავშვებისადმი, ქალისა და მამაკაცის სიყვარულს და ყველა შემთხვევისათვის სხვადასხვა სიტყვას იყენებს. ქართული და ინგლისური ენები არ განარჩევენ სხვადასხვა სახის სიყვარულს, ამიტომ ამ ენებში მის აღსანიშნავად ერთადერთი სიტყვა არსებობს: **სიყვარული, love**.

ენებს შორის არსებული განსხვავების შესახებ ჯერ კიდევ 1836 წელს წერდა დიდი გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი თავის ნაშრომში **“The Heterogeneity of Language and its Influence on the Intellectual Development of Mankind”**.

*“...The character and structure of a language expresses the inner life and knowledge of its speakers, and that languages must differ from one another in the same way and to the same degree as those who use them. ... Sounds do not become words until a meaning has been put into them, and **this meaning embodies the thought of a community**”.\*\**

„...ენის ბუნება და სტრუქტურა გამოხატავს მასზე მოლაპარაკე ხალხის შინაგან სამყაროსა და ცოდნას და ენები უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან იმგვარად და იმ ხარისხით, როგორც განსხვავდებიან მათზე მოლაპარაკე ადამიანთა საზოგადოებები... ბგერები ვერ გადაიქცევა სიტყვებად, სანამ მათში არ ჩაიდება მნიშვნელობა,

\* მაგალითები მოყვანილია ლ. ზგუსტას წიგნიდან *Manuel of Lexicography* (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

\*\* *On Language. On the Diversity of Human Language Construction and Its Influence on the Mental Development of the Human Species*, Cambridge University Press, 1999.

მნიშვნელობაში კი განსხვავებულია **ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები**“.

მაშასადამე, ენობრივი მნიშვნელობის არსის უზოგადესი და უმოკლესი განმარტება ასე ჩამოყალიბდება: **მნიშვნელობა – ეს არის ამა თუ იმ ნიშანთან დაკავშირებული კონცეპტი, ცნება**. სიტყვა არის ძირითადი სანომინაციო და კოგნიტიური ერთეული, რომლის ლექსიკური მნიშვნელობა განისაზღვრება საგნის, მოვლენის ან მიმართების ასახვით ცნობიერებაში, რომელიც შედის სიტყვის სტრუქტურაში, როგორც მისი ე.წ. შიდა ფორმა. შიდა ფორმასთან მიმართებით სიტყვის გარეგანი ფორმა წარმოადგენს ერთგვარ მატერიალურ გარსს, რომელიც საჭიროა არა მხოლოდ მნიშვნელობის გამოსახატავად და სხვა ადამიანებისათვის მის შესატყობინებლად, არამედ თვით ამ მნიშვნელობის აღმოცენების, ფორმირების, არსებობისა და განვითარებისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, დენოტატი, გარემომცველი სამყაროს ნაწილი: საგანი, მოვლენა, ნიშან-თვისება, მოქმედება და ა.შ., არ ქმნის სიტყვის მნიშვნელობას. მას ქმნის გარემომცველი სამყაროს ამა თუ იმ საგანსა თუ მოვლენაზე შექმნილი წარმოდგენა (ცნება, კონცეპტი, **Designatum**) ენობრივი კოლექტივის ცნობიერებაში.

სამყაროს აღქმის უნიკალური, მხოლოდ ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელი სურათი ილექება მოცემული ენის სიტყვათა მნიშვნელობებში და დოკუმენტირებულია ამ ენის ლექსიკონებში. ენისა და მნიშვნელობის ფენომენის სირთულე, მისი მჭიდრო კავშირი ადამიანის ცნობიერებასთან და მის მიერ სამყაროს აღქმა-შემეცნებასთან განსაზღვრავს, ზოგადად, ლექსიკოგრაფიისა და, კერძოდ, ლექსიკონის შექმნის სირთულეს.

სიტყვის მნიშვნელობის ზემოთ აღნიშნული თავისებურებიდან გამომდინარე, ორი ენის, ერთი შეხედვით, თითქოსდა იდენტური სიტყვების მნიშვნელობები თითქმის არასოდეს არ ემთხვევა ერთმანეთს, რაც ქმნის **სემანტიკურ ასიმეტრიას** ენებს შორის. ეს მით უფრო დამახასიათებელია ისეთი არამონათესავე, სისტემურად სავსებით

განსხვავებული ენებისათვის, როგორცაა ქართული და ინგლისური, ან ენებისმიერი სხვა ევროპული ენა. ინგლისური (ან სხვა ევროპული) ენის რომელიმე სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა შესაძლოა ქართული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ერთ ნაწილს მიესადაგოს, ხოლო მისი სხვა ნაწილები სრულიად სხვა სიტყვებს დაუკავშირდეს. ეს არის ენობრივი ნორმა, ანუ კანონზომიერება.

მაგ., ქართულ სიტყვას **ისარი**, ინგლისურში შეესატყვისება **arrow**, საათის ისარი კი ინგლისურად არის **hand of a clock**;

**კარის** ინგლისური შესატყვისია **door**, მაგრამ **კარი (ფეხბურთში)** – **goal**; წიგნის **კარისთვის** კი ინგლისურში იხმარება **chapter**;

ქართულ ზედსართავ **სწორს** ინგლისურში შეესატყვისება – **straight** (მაგ., *ქურა*), თუმცა **სწორი პასუხისთვის** ინგლისურში იხმარება – **correct answer**; **სწორი სახის ნაკვეთებისთვის** კი – **regular features**.

ინგლისური სიტყვების **thick, delicate** შემცველ შესიტყვებათა ქართულ ენაზე ადეკვატურად გადმოტანისას სრულიად სხვადასხვა ქართული სიტყვის გამოყენება ხდება საჭირო:

<b>thick book</b>	სქელი წიგნი
<b>thick forest</b>	დაბურული / გაუვალი ტყე
<b>thick population</b>	მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა
<b>thick darkness</b>	თვალშეუვალი / უკუნი სიბნელე
<b>delicate taste</b>	დახვეწილი გემოვნება
<b>delicate wine</b>	ნაზი ბუკეტის მქონე ღვინო
<b>delicate casket</b>	ნატიფი ზარდახშა
<b>delicate figure</b>	წერწეტა / კენარი ტანი.

**To strip** ქართულად ითარგმნება შემდეგნაირად – **ტანსაცმლის გახდა**;

მაგრამ: **to strip the room** – ოთახის ავეჯისგან დაცლა;

**to strip a bed** – ლოგინიდან თეთრეულის აღება (გასარეცხად);

**to strip the paint** – საღებავის აფხეკა;

**to strip of the rank** – წოდების ჩამორთმევა და სხვ.

\* \* \*

სემანტიკური ასიმეტრია წარმოქმნის ეკვივალენტობის პრობლემას ორ ენას შორის, რაც, როგორც შესაბამის თავში იქნება განხილული, ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ყველაზე დიდ გამოწვევასა და პრობლემას წარმოქმნის.

\* \* \*



### 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. ენის რა კომპონენტებია რეგისტრირებული ლექსიკონში?
2. რამ მისცა ბიძგი სიტყვის მნიშვნელობის მეცნიერულ შესწავლას?
3. რა ასახავს რთულ მიმართებებს ადამიანს, გარემომცველ სამყაროსა და ენას შორის?
4. რას ასახავს გრაფიკულად ოგდენისა და რიჩარდსის ე.წ. „სემიოტიკური სამკუთხედი“?
5. რა კომპონენტებისგან შედგება აღნიშნული „სემიოტიკური სამკუთხედი“?
6. რა არის **დენოტატი** (denotatum) და რას აღნიშნავს იგი: კონკრეტულ საგანს თუ ამ ტიპის საგანთა კლასს?
7. რას წარმოადგენს **აღსანიშნი** (designatum)?
8. რა არის **აღმნიშვნელი** (expression)?
9. რა არის სახელდება ანუ ნომინაცია „სემიოტიკური სამკუთხედის“ კონცეფციის ფარგლებში?
10. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ სამყაროს აღქმის პროცესში იგი ადამიანის გონებაში სარკისებურად აისახება?
11. რამდენად უნივერსალურია სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები გარემომცველი რეალობის ამა თუ იმ საგანზე?

12. რით ხსნიდა ენებს შორის განსხვავებებს დიდი გერმანელი ენათმეცნიერი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი?
13. როგორ მოქმედებს ახალი ენის შესწავლა ადამიანის გონებასა და ცნობიერებაზე?
14. როგორ შეიძლება მოკლედ და ზოგადად ჩამოყალიბდეს ენობრივი მნიშვნელობის არსი?
15. რატომ წარმოქმნის ენათა შორის არსებული **სემანტიკური ასიმეტრია** ეკვივალენტობის პრობლემას?

## II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონიდან მოიძიეთ სემანტიკური ასიმეტრიის მაგალითები ინგლისურ და ქართულ სიტყვებს შორის (<https://dictionary.ge>).

## თავი 5.

### სიტყვის მნიშვნელობის კვლევის მეთოდები

როგორც წინა თავში იქნა ნაჩვენები, სიტყვის მნიშვნელობა აბსტრაქტულია. იგი დაკავშირებულია სამყაროს შემეცნების პროცესთან. შემეცნების პროცესი კი მოიცავს როგორც გრძნობადი აღქმის, ისე აბსტრაქტული, ლოგიკური შემეცნების ეტაპს, რომელიც განაზოგადებს ადამიანის გრძნობათა ორგანოების მიერ აღქმულ სამყაროს.

სიტყვის აბსტრაქტული მნიშვნელობის აღსაწერად ლექსიკოგრაფის ხელთაა მხოლოდ კონკრეტული წინადადებები, კონკრეტული გამონათქვამები, რომლებშიც გამოყენებულია ესა თუ ის სიტყვა. ლადისლავ ზგუსტა, ჩეხი წარმოშობის ამერიკელი ლექსიკოგრაფი და ლექსიკოგრაფიის თეორეტიკოსი, სავსებით სამართლიანად მიიჩნევს ამ ფაქტს ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად. კერძოდ, ლექსიკოგრაფმა უნდა აღწეროს სიტყვის აბსტრაქტული მნიშვნელობა ენის სისტემურ დონეზე, მას კი ხელი მიუწვდება მხოლოდ კონკრეტულ გამონათქვამებზე მეტყველებაში.

როგორ უნდა დადგინდეს სიტყვის მნიშვნელობა?

მაგალითად, როგორ უნდა განისაზღვროს ქართული სიტყვა **გულის** მნიშვნელობა?

ამისათვის საჭიროა შეგროვდეს ყველა ის კონტექსტი, ფრაზები, წინადადებები, რომლებშიც ეს ქართული სიტყვა გამოყენებული.

მაგალითად:

კაკლის გული, თესლის გული, კვერცხის გული.

ქადის გული.

თბილისი საქართველოს გულია.

იგი გადაეშვა ზღვის გულში.

გიორგიმ ვერ დაუდო გული სამუშაოს.

მეგობრების დანახვაზე ნიკას გული მიეცა.

ამაყი გული აქვს, ჩვილი გული აქვს, კეთილი გული აქვს.

გული გაუტყდა, გული დაეჩაგრა, გული მოუკვდა.

გულის რვიანი, გულის ტუზი და ა.შ.

ამგვარი კონტექსტების ანალიზის გარეშე შეუძლებელია გამოვყოთ სიტყვა **გულის** ისეთი მნიშვნელობები, როგორებიცაა:

1. **ქერქში ან ნაჭუჭში მოქცეული ნაყოფის შიგნითა ნაწილი** (კაკლის გული, თესლის გული, კვერცხის გული).
2. **ნამცხვრის შიგთავსი** (ქადის გული).
3. **რაიმეს ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, ცენტრი** (თბილისი საქართველოს გულია).
4. **რაიმეს შუა ადგილი** (იგი გადაეშვა ზღვის გულში).
5. **ყურადღება** (გიორგიმ ვერ დაუდო გული სამუშაოს).
6. **გამხნელება, გათამამება** (მეგობრების დანახვაზე ნიკას გული მიეცა).
7. **ადამიანის შინაგანი სამყარო, მისი ფსიქოლოგიური თვისებების ერთობლიობა** (ამაყი გული აქვს, ჩვილი გული აქვს, კეთილი გული აქვს).
8. **გრძნობები, ემოციები** (გული გაუტყდა, გული დაეჩაგრა, გული მოუკვდა).
9. **ბანქოს ერთ-ერთი სახეობა** (გულის რვიანი, გულის ტუზი) და ა.შ.

სიტყვა **ფაქიზის** მნიშვნელობების დასადგენად საჭიროა სხვადასხვა კონტექსტის შეკრება, რომლებშიც მოცემული სიტყვაა გამოყენებული. მაგ.:

ფაქიზი გრძნობა, ფაქიზი დამოკიდებულება.

ფაქიზი სულის ადამიანი.

ეს საკმაოდ ძნელი და თავისებურად ფაქიზი საკითხია. ვინაიდან ფაქიზი საქმეა, გადამწყვეტი სიტყვა დიპლომატებმა უნდა თქვან. ფრთხილი და ფაქიზი თემაა.



ფაქიზი მჭამელი.

ფაქიზი მიდგომა, ფაქიზი ანალიზი და სხვ.

აღნიშნული კონტექსტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს აღვ-  
წეროთ სიტყვა **ფაქიზის** შემდეგი მნიშვნელობები:

1. **სპეტაკი, უმნიკვლო** (ფაქიზი გრძნობა, ფაქიზი დამოკიდე-  
ბულება).
2. **დახვეწილი, ნატიფი** (ფაქიზი სულის ადამიანი).
3. **საფრთხილო; დელიკატური, საჩოთირო** (ეს საკმაოდ ძნელი  
და თავისებურად ფაქიზი საკითხია. ვინაიდან ფაქიზი საქმეა,  
გადამწყვეტი სიტყვა დიპლომატებმა უნდა თქვან. ფრთხილი  
და ფაქიზი თემაა).
4. **აზიზი** (ფაქიზი მჭამელი).
5. **ფრთხილი; საგულდაგულო** (ფაქიზი მიდგომა, ფაქიზი  
ანალიზი) და სხვ.

ამა თუ იმ სიტყვის გამოყენების კონტექსტების ერთობლიობას  
**სიტყვის სიმფონიას** ან **კონკორდანსს** ვუწოდებთ. **კორპუსი** კი ეწო-  
დება ამა თუ იმ ენის სიტყვებისათვის შეკრებილი კონტექსტების ერ-  
თობლიობას. რაც უფრო მეტი საილუსტრაციო ფრაზა და წინადადე-  
ბაა მოპოვებული ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის (მნიშვნელობების)  
დასადგენად, მით უფრო ობიექტურია ლექსიკოგრაფის მიერ აღწერი-  
ლი სიტყვის მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ ლექსიკოგრაფი ცდილობს,  
რაც შეიძლება სრულად შეაგროვოს ამა თუ იმ სიტყვის კონკორდანსი.  
ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა მასშტაბის სამუშაოები უძლ-  
ვის წინ ვრცელი განმარტებითი ლექსიკონების შექმნას, რადგან სწო-  
რედ ამგვარ ლექსიკონებშია სრულად აღწერილი მოცემული ენის  
სიტყვათა მნიშვნელობები. ამ ტიპის ლექსიკონებში შესული ყოველი  
სიტყვისათვის იქმნება კონკორდანსი, მთელი განმარტებითი ლექ-  
სიკონისათვის კი – ვრცელი კორპუსი, რომლის ანალიზსაც ეფუძნება  
სიტყვების მნიშვნელობების აღწერა ენის სისტემურ დონეზე. ასეთი  
გამონვლილვითი ანალიზის ჩატარება განმარტებით ლექსიკონზე მუშა-

ობისას აუცილებელია იმისათვის, რომ ლექსიკონის დეფინიციებში აისახოს ენობრივი ნორმის გამოყენების სოციალური გამოცდილება, დაფიქსირდეს ამა თუ იმ ენის მატარებელთა კოლექტიური წარმოდგენა სიტყვის მნიშვნელობაზე, განზოგადდეს მრავალი თაობის ცოდნა და გამოცდილება, რაც უკუფენილია ენაში. სწორედ ამგვარი მეთოდით მუშაობის შედეგია ის, რომ განმარტებითი ლექსიკონის ავტორი თავისი სახელით კი არ გვესაუბრება, არამედ იგი ერთგვარი შუამავალია საზოგადოებასა – მოცემული ენის კოლექტიურ მატარებელსა – და იმ პირს შორის, რომელიც ლექსიკონს მიმართავს ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ინგლისური ლექსიკოგრაფიის ისტორიაში ერთ-ერთ გამორჩეულ ფიგურად მიიჩნევა XVIII საუკუნის ლექსიკოგრაფი სემიუელ ჯონსონი, რადგან სწორედ მან დაუდო სათავე ვრცელი ტექსტური კორპუსის შექმნასა და გამოყენებას ლექსიკონის შედგენისას. „ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონისათვის“ ჯონსონმა დაამუშავა 500 ლიტერატურული წყარო, საიდანაც 250000 საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება შეარჩია, თავად ლექსიკონში კი 110000 საილუსტრაციო ფრაზა შეიტანა.

XIX საუკუნეში ოქსფორდის დიდი ლექსიკონის (OED – *Oxford English Dictionary on historical principles*) შემოქმედებითმა გუნდმა ლექსიკონისათვის ათმილიონიანი კორპუსი შექმნა, რომელმაც 5000 წყარო და 7 საუკუნე მოიცვა, ხოლო თავად ლექსიკონში ორ მილიონზე მეტი საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება შევიდა.

ასეთი ტექსტური კორპუსი შეიქმნა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისთვისაც“, რომელიც 8 ტომს მოიცავს და შეიქმნა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით გასული საუკუნის 50-60-იან წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

სიტყვის მნიშვნელობის კვლევის ამ მეთოდს ეწოდება **კონტექსტური ანალიზის მეთოდი**, რომელიც ითვალისწინებს სიტყვის გამოყენების კონტექსტების მაქსიმალურად სრულად შეკრებასა და მათი ანალიზის საფუძველზე სიტყვის განზოგადებული მნიშვნელობის (მნიშვნელობების) გამოყვანას ენის სისტემურ დონეზე.

## ელექტრონული კორპუსები

XVIII-XIX საუკუნეების ტექსტური კორპუსები მე-20 საუკუნეში ჩაანაცვლა ელექტრონულმა კორპუსებმა. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან კომპიუტერმა და კომპიუტერიზებული რესურსების შექმნამ გადატრიალება მოახდინა ლექსიკოგრაფიაში. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ლიტერატურული, სამეცნიერო, პრესისა და სხვა ტექსტების ციფრულ ფორმატში გადაყვანა და მრავალმილიონიანი ერთეულების შემცველი ელექტრონული ბაზების შექმნა. ამგვარმა რესურსებმა სრულიად ახალი შესაძლებლობები შექმნა ენათა კვლევისათვის. გარდა იმისა, რომ დაჩქარდა ლექსიკოგრაფიული მასალის მოძიების პროცესი, სიტყვის მნიშვნელობის აღწერაც უფრო ობიექტური გახდა.

„...უკვე მრავლად მოიპოვება იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ენობრივი ფაქტები, რომლებიც, ენის მრავალსაუკუნოვანი კვლევის მიუხედავად, არსად არ ყოფილა აღნუსხული; მეორე მხრივ, ენობრივი მოვლენები, რომლებსაც ხშირად გვთავაზობენ, როგორც ინგლისური ენის ფუნქციონირების ნორმას, ფაქტობრივი მონაცემებით არასაკმარისად დასტურდება“, \* – წერდა 1985 წელს ჯონ სინკლერი, კორპუსული ლინგვისტიკის ერთ-ერთი პიონერი დიდ ბრიტანეთში.

იმ ფაქტის აღმოჩენამ, რომ ელექტრონული კორპუსების მეშვეობით ვლინდებოდა ისეთი ენობრივი ფაქტები, რომლებიც ადრე არსად არ იყო დოკუმენტირებული, ან პირიქით, ნორმად მიჩნეული ენობრივი მოდელები დიდი კორპუსების ბაზაზე სათანადოდ არ დასტურდებოდა, დიდი ინტერესი აღძრა ამგვარი რესურსებისადმი და განაპირობა თავდაპირველი ელექტრონული კორპუსების არნახული ზრდა. ინგლისური ტექსტების ბირმინგემის კოლექცია, რომელიც 1980 წლისათვის 20 მილიონ სიტყვას მოიცავდა, 1990 წლისათვის 320 მილიონ სიტყვამდე გაიზარდა.

\* Sinclair, J. (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).



პირველი კომპიუტერული რესურსები ეპოქალური მნიშვნელობის აღმოჩენად იქცა, რამაც განსაზღვრა ელექტრონული კორპუსების სწრაფი განვითარება და ძირითად წყაროებად მათი გამოყენება ლექსიკონთა შექმნის პროცესში. მართლაც, თუკი შევადარებთ იმას, რომ ოქსფორდის დიდი ოცტომიანი ლექსიკონისთვის ათმილიონიანი კორპუსის შეგროვებას 10 წელი დასჭირდა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ის შესაძლებლობა, რომელსაც მრავალმილიონიანი ელექტრონული კორპუსები უქმნის ლექსიკოგრაფებს.

დღეისათვის უკვე არსებობს მრავალი ენის ეროვნული კორპუსი. **ეროვნული კორპუსი** ენოდება ელექტრონული ტექსტების ისეთ ერთობლიობას, რომელიც მხოლოდ ერთი კონკრეტული ენისთვის იქმნება. თანამედროვე კორპუსები რამდენიმე მილიარდ სიტყვაფორმას (ე.წ. ტოკენს) შეიცავს და აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური საძიებო და საანალიზო სისტემებით.

ერთენოვანი ელექტრონული კორპუსების კვალდაკვალ გაჩნდა ორენოვანი ელექტრონული კორპუსებიც: ტერმინოლოგიური ტექსტების პარალელური კორპუსები (იურიდიული, ტექნიკური, სამედიცინო და სხვ.); მხატვრული ლიტერატურის პარალელური კორპუსები: გერმანულ-ინგლისური, ფრანგულ-გერმანული, იტალიურ-ინგლისური, ჩინურ-ინგლისური, ჩინურ-ფრანგული და ა.შ.

ქართული ენისათვის შექმნილია რამდენიმე კორპუსი, რომლებიც გაერთიანებულია ქართული ენის ეროვნულ კორპუსში. ეს კორპუსი განთავსებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <http://gnc.gov.ge>. აღსანიშნავია ინგლისურ-ქართული პარალელური კორპუსი, რომელიც დღეისათვის შედგება სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის ქვეკორპუსებისაგან და რამდენიმე მილიონ სიტყვაფორმას მოიცავს. პარალელური კორპუსის ინტერნეტ-მისამართია: <https://corp.dict.ge/>

(ელექტრონული კორპუსების შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ:

<https://margaliti.com/members2/corpuslinguistics.pdf>).



## სიტყვის მნიშვნელობის კვლევა ელექტრონული კორპუსების გამოყენებით

სიტყვის მნიშვნელობის კვლევა ელექტრონული კორპუსების გამოყენებით უფრო ობიექტური გახდა, რადგანაც იგი არა მხოლოდ ამომწურავ ემპირიულ მასალას აწვდის ლექსიკოგრაფს, არამედ იმის საშუალებასაც აძლევს, გამოიკვლიოს ცალკეული სიტყვის მნიშვნელობის სიხშირული მონაცემები და ლექსიკონში შეიტანოს უფრო ხშირი, და შესაბამისად, ტიპური კონტექსტები.

როგორც ჯონ სინკლერმა სამართლიანად აღნიშნა ზემოთ მოყვანილ ციტატაში, კორპუსულ მონაცემთა გამოყენება მნიშვნელოვნად ცვლის სიტყვის მნიშვნელობის აღწერას და ხშირ შემთხვევაში ტექსტური კორპუსის ბაზაზე შექმნილი სალექსიკონო სიტყვა-სტატიისგან საკმაოდ განსხვავებულ სურათს იძლევა.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ სიტყვა-სტატია **ხისტი** „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ (ქეგლ) და შევადაროთ იგი კორპუსული მასალის საფუძველზე შექმნილ სიტყვა-სტატიას.

**ხისტი – ქეგლ-იდან:**


**ხისტი-ი (ხისტისა)** ხეშეში, ხმელი, ხამი. *ქათმის ბუმბული ხარისხით ბატისა და იხვის ბუმბულზე დაბლა დგას, ვინაიდან ის მძიმეა, უხეშია და უფრო ხისტია.* ♦ **ხისტი წყალი** (ქიმია) კირიანი მარილებით მდიდარი წყალი; ხამი წყალი.

\* \* \*

როგორც ვხედავთ, ქეგლ-ის მიხედვით, სიტყვა **ხისტი** წარმოდგენილია ერთი მნიშვნელობით: „ხეშეში, ხმელი, ხამი“. ქართული ენის ეროვნული კორპუსი გვანვდის აღნიშნული სიტყვის შემცველ შემდეგ ძირითად კონტექსტებს:

*ხისტი დამოკიდებულება. ხისტი ხასიათი. ხისტი მიდგომა. ხისტი პოზიცია. ხისტი ორთაბრძოლა. ხისტი ფეხბურთი. ხისტი პოლიტიკა. ხისტი კანონი. ხისტი ნორმები. ხისტი პოლიტიკოსი. ხისტი ღერო.*

ხისტი მოდელი. ხისტი ჯავშანფილა. ხისტი საბურავი. ხისტი ძარა. ხისტი სისტემა. ხისტი ბუმბული, ხისტი წყალი (იხ. სურ. 2).



სურ. 2. ხისტის კონკორდანსი ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან.

ამ კონტექსტების ანალიზის საფუძველზე ხისტის სალექსიკონო სიტყვა-სტატია ასე გამოიყურება:

- 1. არადამთმობი, არადამყოლი; უკომპრომისო.** ხისტი დამოკიდებულია. ხისტი ხასიათი. ხისტი მიდგომა. ხისტი პოზიცია. ხისტი ორთაბრძოლა. ხისტი ფეხბურთი.
- 2. მოუქნელი, მკაცრი.** ხისტი პოლიტიკა. ხისტი კანონი. ხისტი ნორმები. ხისტი პოლიტიკოსი. ხისტი სისტემა.
- 3. მაგარი, არადრეკადი; ულუნველი.** ხისტი ღერო. ხისტი მოდელი. ხისტი ჯავშანფილა. ხისტი საბურავი. ხისტი ძარა.
- 4. ხეშეში, ხმელი, ხამი.** ხისტი ბუმბული. ხისტი წყალი.

\*\*\*

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი:

ქველ-ი (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი) ასე აღწერს არსებით სახელ ბადის პოლისემიურ მნიშვნელობებს:

**ბადე (ბადისა) 1.** ძაფის (თოკის, მავთულის...) გამოყენებით ფარჩხატად ნაქსოვი (სხვადასხვა დანიშნულებისა). ბურთი ბადეში გაეხვია. მწერებისაგან დასაცავად სამზარეულოს ფანჯარას მავთულის ბადე გაუკეთეს...

**2.** თევზის (აგრეთვე ფრინველის) საჭერი მოწყობილობა, ბადედ ნაქსოვი. თან ბადეც ნავილე, მინდოდა მეთევზავა. კალმახიც მოჰყვა ბადეს.

**3.** პროდუქტების, წვრილმანი ნივთების სატარებელი თვალედი ჩანთა.

**4.** სპეციალური უჯრედებიანი ნახაზი დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ასოებისა და ციფრების გამოსაყვანად. ასოები ისევ ბადეში უნდა წარმოდგეს.

\*\*\*

როგორც ვხედავთ, **ბადეს** ამ ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობა აქვს. ქართული ენის ეროვნულ კორპუსში აღნიშნული სიტყვის გადამონმეებით დადასტურდა ისეთი კონტექსტები, რომლებიც ქეგლში არ არის აღნუსხული, კერძოდ:

მაუნყებლობის ბადე. სატელევიზიო ბადე. სამაუნყებლო ბადე. ასპარეზობის ბადე. წყვილთა ბადე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ არსებით სახელ **ბადეს** თანამედროვე ქართულში განუვითარდა **განრიგის**, ამ შემთხვევაში სატელევიზიო ან რადიოგადაცემების ან ასპარეზობის განრიგის, მნიშვნელობა.

\*\*\*

ქეგლ-ი ასე აღწერს სახელზმნის **გამოყვანა** პოლისემიურ მნიშვნელობებს:

**გამოყვანა** – სახელი გამოიყვანს ზმნის მოქმედებისა.

**1. შიგნიდან გარეთ წამოყვანა.** ბიჭები მეორე ცხენის გამოყვანას შეუდგნენ.



**2. დატოვებინება (რაიმესი); თავის დანებებინება (რაიმესთვის).**

გამგეობის შემადგენლობიდან ნევრის გამოყვანა. სკოლიდან ბავშვის გამოყვანა. ხალხის სილარიბიდან გამოყვანა და სწავლა და ცოდნა ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ იმათ უერთმანეთოდ მნიშვნელობა არა აქვთ.

**3. საბრძოლველად, საასპარეზოდ თავის მოყრა; ვინმეს წინააღმდეგ <წა>მოყვანა (ჯარისა, ხალხისა...).** ლაშქრის გამოყვანა.

**4. გამოტანა (დასკვნისა...), დადგენა.** [ამ] საბუთიდან მეორე დასკვნის გამოყვანაც შეიძლება.

**5. გამოსახვა, გამოკვეთა.** სახეების (ჩუქურთმების) გამოყვანა (ქვაზე, ხეზე...). – ათანასეს... დაესწავლა ქალაქდზე თავისი სახელისა და გვარის გამოყვანა.

**6. ამოხსნა, გამოანგარიშება.** [ბიჭს] მეოთხეკლასელთა ამოცანების გამოყვანა შეეძლო.


**7. გაყვანა, გაჭრა, გაკეთება, გამართვა, მონყობა (იქიდან აქეთ).** დასრულდა... ერთი კილომეტრის მანძილიდან სასმელი წყლის გამოყვანა. მიმდინარეობს რუსთაველის გამზირიდან [ბიბლიოთეკა-მდე] გაზის მილებს გამოყვანა.

**8. განვრთნა, გამოზრდა, განაფვა; დასპეციალება.** ხელოსნად გამოყვანა. – შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი... ვალია მშობლებისა.

**9. გარკვეული წესით, ტექნოლოგიით დამზადება, გაკეთება (შაშხისა...).**

\* \* \*

ქართული ენის ეროვნული კორპუსი უფრო მეტ და მრავალფეროვან კონტექსტებს იძლევა აღნიშნული სიტყვის შესახებ. შესაბამისად, კორპუსული მასალის ანალიზის საფუძველზე იკვეთება შემდეგი დამატებითი მნიშვნელობები:



სურ. 3. გამოყვანის კონკორდანსი ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან.

1. წინა ტურშიც სდომებიათ მისი [მოთამაშის] მოედანზე გამოყვანა, მაგრამ განაცხადში შეყვანა ვერ მოუსწრიათ.

გამოცდილი სპორტსმენების დახმარებით მათი მომზადება და შეჯობრებაზე გამოყვანა...

მეორე ტაიმში ლომიას გამოყვანას ვაპირებდი, გუშინ იგი ეროვნული ნაკრებიდან დაგვიბრუნეს.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მისი ნაკრებში გამოყვანა შეცდომაა.

**მნიშვნელობა – [ასპარეზობაში ჩართვა]**

2. ის ისეთი სპეციალისტია, გუნდის კრიზისიდან გამოყვანა არ უნდა გაუჭირდეს.

ცალკე აღებულ პარტიას არ ძალუძს ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა საქართველოს გამოყვანა უმძიმესი კრიზისიდან.

სხვანაირად წარმოუდგენელია ქვეყნის გამოყვანა არსებული უმძიმესი მდგომარეობიდან...

უნდა მოხდეს მცირე ბიზნესის მძიმე ვითარებიდან გამოყვანა...

**მნიშვნელობა – [კრიზისის, სირთულის და მისთ. დაძლევაში, გადალახვაში ხელის შეწყობა; თავის დაღწევა (კრიზისისთვის, სირთულისთვის და მისთ.)]**

**3.** ამიტომ მის წინააღმდეგ ხალხის გამოყვანა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში 600 ათასიანი არმიის გამოყვანა შეუძლია.

რომ დასჭირდეს სამშობლოს, რამდენი კაცის გამოყვანა შეგიძლიათ?

10 სახანძრო მანქანის გამოყვანა კი მხოლოდ იმ მიზეზით გახდა საჭირო, რომ ქუჩა საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული...

**მნიშვნელობა – [შეკრება, თავის მოყრა (ვინმეს წინააღმდეგ, ამა თუ იმ მიზნით)]**

**4.** ტყუილად ვაძლევთ მაგათ მილიონებსო... გოგუაძის გამოყვანა იქნებოდა „რუსთავზე“-ო.

პირველი არხის ხელმძღვანელობას ჩემი ეთერში გამოყვანა აუკრძალოს...

**მნიშვნელობა – [ჩვენება, ეთერის დათმობა]**

**5.** აფხაზეთიდან სამშვიდობო ძალების გამოყვანა მისი პირადი ინიციატივაა.

პანკისიდან ჩეჩენი დევნილების ეტაპობრივი გამოყვანა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე განლაგება...

დევნილების გამოყვანა შენობიდან ვაკე-საბურთალოს რაიონული პოლიციის მეშვეობით მოხერხდა.

საქართველოს დსთ-დან გამოყვანა...

მოხდა მგზავრთა ევაკუაცია და მათი გვირაბებიდან გამოყვანა.

**მნიშვნელობა – [ტერიტორიის, ქვეყნის და სხვ. დატოვებინება]**

6. ამ კულტურების ლაბორატორიულ პირობებში გამოყვანა.

**მნიშვნელობა – [გამოზრდა, კულტივირება]**

7. მიმართვის ავტორის კომისიიდან გამოყვანა.

ბავშვის სკოლიდან გამოყვანა.

**მნიშვნელობა – [რაიმესთვის თავის დანებებინება]**

8. სოხუმის იზოლატორიიდან სამი ქართველი პარტიზანის გამოყვანა მანამდე ვერ მოხერხდება, ვიდრე ამ პროცესში თავად არ ჩაერთვება.

საჭიროა მოხდეს დანესებულებათა ადმინისტრაციების დაქვემდებარებულიდან გამოყვანა.

ქვეყნის გამოყვანა რუსეთის გავლენის სფეროდან...

**მნიშვნელობა – [გათავისუფლება]**

\* \* \*

სიტყვის მნიშვნელობის კორპუსულმა კვლევამ განავითარა კონტექსტური კვლევის მეთოდი და უფრო სრულყოფილი მასალის მოძიების პროცესი, რის შედეგადაც ლექსიკონებში მაქსიმალურად ობიექტური გახდა სიტყვის მნიშვნელობის შესწავლა და აღწერა ენის სისტემურ დონეზე.

\* \* \*



## 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რასთან არის დაკავშირებული სიტყვის მნიშვნელობა?
2. რა მასალა აქვს ხელთ ლექსიკოგრაფს სიტყვის მნიშვნელობის აღსაწერად? ამგვარი მასალის გამოყენებისას წამოჭრილ რა სირთულეს უსვამდა ხაზს ჩეხური წარმოშობის ამერიკელი ლექსიკოგრაფი ლადისლავ ზგუსტა?

3. რა ენობრივი კონტექსტები და ფრაზები გვეხმარება, მაგალითად, სიტყვა „გულის“ მნიშვნელობათა გამოსავლენად?
4. შესაძლებელია თუ არა სიტყვის კონტექსტური ანალიზის საფუძველზე ისეთი მნიშვნელობების აღმოჩენა, რომლებიც ლექსიკონებში მოყვანილი არ არის?
5. რა ენოდება სიტყვის გამოყენების კონტექსტების ერთობლიობას?
6. რა არის კორპუსი?
7. რატომ არის მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფისთვის ლექსიკონში შესატანი ამა თუ იმ სიტყვის სრული კონკორდანის შეგროვება?
8. ვინ იყო XVIII საუკუნეში მოღვაწე ინგლისელი ლექსიკოგრაფი, რომელმაც სათავე დაუდო ვრცელი ტექსტური კორპუსების გამოყენებას ლექსიკონის შედგენისას?
9. რა სახის მასალა გამოიყენეს XIX საუკუნეში ოქსფორდის დიდი ლექსიკონის (OED – Oxford English Dictionary on historical principles) შესაქმნელად?
10. რა მეთოდი გამოიყენეს საქართველოში მეოცე საუკუნის 50-60-იან წლებში არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით გამოცემული „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ქეგლ) შესაქმნელად?
11. როდის გამოჩნდა პირველად ელექტრონული კორპუსები და რას წარმოადგენს ის?
12. ინგლისური ენის რომელ ძირითად ელექტრონულ კორპუსებს იცნობთ?
13. კორპუსების ბაზაზე ლექსიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილი რა საინტერესო გარემოება აღნიშნა ჯონ სინკლერმა?
14. რა უპირატესობა აქვს სიტყვის მნიშვნელობის კორპუსულ კვლევას ელექტრონული კორპუსების გამოყენებით?
15. სიტყვა „ხისტის“ რა დამატებითი, თანამედროვე მნიშვნელობები გამოიყოფა „ქართული ენის ეროვნულ კორპუსში“ დადასტურებული კონტექსტების ანალიზის საფუძველზე?

## **II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:**

შეარჩიეთ რომელიმე ქართული სიტყვა და ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან ამოიწერეთ მისი კონტექსტები:

(<http://gnc.gov.ge/gnc/simple-query?session-id=251506056356687>) .

## თავი 6.

### ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები

*“The spirit of nationalism has often proved a driving force in the making of dictionaries. Scholars were quick to recognize that the compilation of a reliable and comprehensive dictionary was one sign of the achievement of their country’s maturity, just as the lack of grammars and dictionaries indicated the dominance of a foreign power or the weakness of a truly national feeling”.*

**Collison \***

„ეროვნული სულისკვეთება ხშირად გამხდარა ლექსიკონების შექმნის მამოძრავებელი ძალა. მეცნიერებმა მალევე გააცნობიერეს, რომ სანდო და ვრცელი ლექსიკონი მათი ქვეყნის განვითარებისა და სიმწიფის ერთ-ერთი ნიშანი იყო, – სწორედ ისევე, როგორც გრამატიკის სახელმძღვანელოებისა და ლექსიკონების უქონლობა უცხო ქვეყნის დომინირებაზე ან ჭეშმარიტად ეროვნული გრძნობის სისუსტეზე მიუთითებდა“.

**კოლისონი**

*“The patriotic role of the monolingual dictionary may have been one of its major functions”.*

**Zgusta**

„ერთენოვანი / განმარტებითი ლექსიკონის პატრიოტული როლი შესაძლოა მისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია იყო“.

**ზგუსტა**

ლექსიკონების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპად ვრცელი განმარტებითი ლექსიკონები ითვლება. მათი მეშვეობით ხორციელდება ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია – მშობლიური ენის აღწერის, ნორმალიზაციისა და დოკუმენტირების ფუნქცია. XVIII

\* Collison R. L. 1982. A History of Foreign-Language Dictionaries. Deutsch, London. გვ. 18.



საუკუნიდან მოყოლებული, სწორედ ეს ფუნქცია და ამგვარი ლექსიკონების შექმნა იქცა ლექსიკოგრაფების მთავარ ამოცანად ევროპის ქვეყნებში.

განმარტებითი ლექსიკონების შექმნას ქრონოლოგიურად ხშირ შემთხვევაში უსწრებდა ორენოვანი ლექსიკონების შედგენა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან განმარტებითი ლექსიკონების შესაქმნელად საჭიროა სათანადო პირობები: უპირველეს ყოვლისა, ლიტერატურული წერილობითი ენის განვითარების მაღალი დონე, რაც აუცილებელი პირობაა სიტყვის მნიშვნელობის აღსანერად და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამგვარი ლექსიკონის საჭიროება მოცემული ენობრივი კოლექტივისთვის. განმარტებითი ლექსიკონების შედგენა მეტყველებს მოცემულ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების სულიერი ცხოვრების განვითარების მაღალ დონეზე, ენობრივი კოლექტივის ლინგვისტურ „სიმწიფეზე“. აღსანიშნავია, რომ მრავალი ენის პირველ განმარტებით ლექსიკონებში დასტურდება რიგი განმარტებებისა, რომლებიც სხვა, უფრო განვითარებული ლიტერატურული ენის საშუალებებითაა შესრულებული (მაგალითად, ევროპული ენების პირველი ლექსიკონები შეიცავს სიტყვების განმარტებებს ლათინურ ენაზე; აზიის, ამერიკის, აფრიკის ხალხთა ლექსიკონებში არის განმარტებები ევროპულ ლიტერატურულ ენებზე).

განმარტებით ლექსიკონებში სიტყვები იმავე ენის სხვა სიტყვების მეშვეობითაა განმარტებული. მაგ.: ინგლისური სიტყვა **heart** „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში“ (OED)\* შემდეგნაირადაა განმარტებული:

*The hollow muscular or otherwise contractile organ which, by its dilatation and contraction, keeps up the circulation of the blood in the vascular system of an animal.*

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული კი სიტყვა **გულ**-ს შემდეგნაირად განმარტავს:

*„ღრუ კუნთოვანი ორგანო, რომელიც რიტმული შეკუმშვების შედეგად ამოძრავებს სისხლს; ადამიანს აქვს გულმკერდის მარცხენა მხარეს“.*

\* ეს სიტყვა-სტატია სრულად შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი ინტერნეტ-მისამართიდან: <https://margaliti.com/HEART%20-%20OED.html>



დიდი განმარტებითი ლექსიკონის შექმნის უპირველესი მიზანია მშობლიური ენის ლექსიკური ფონდის მაქსიმალურად სრულად აღწერა და დოკუმენტირება. ეს პროცესი მრავალ კომპონენტს მოიცავს, რომლებიც ძირითადად განვიხილეთ მესამე თავში (მაკროსტრუქტურა, მიკროსტრუქტურა, გრამატიკული ინფორმაცია, კვალიფიკაციები და სხვ.). გამოვყოფთ დიდი განმარტებითი ლექსიკონების რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვან კომპონენტს.

### ეტიმოლოგია

სიტყვის ეტიმოლოგიის, წარმომავლობის ანალიზს დიდ განმარტებით ლექსიკონებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რომელ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება მეთაური სიტყვა? მშობლიური სიტყვაა იგი თუ ნასესხობა? მაგ., ქართული ენისათვის, რომელიც ქართველურ ენათა ოჯახს განეკუთვნება, მშობლიური სიტყვა არის საერთოქართველური სიტყვა, რომელიც დასტურდება ქართულის მონათესავე ენებშიც: მეგრულში, ლაზურსა და სვანურში. სიტყვა „დათვი“ მშობლიური სიტყვაა, სხვა ქართველურ ენებში მისი შესატყვისებია: მეგრული – *თუნთი*; ლაზური – *თუთ-ი/მთუთ-ი*; სვანური – *დაშდუ*. სიტყვა „მგელი“ კი ნასესხობაა: იგი, სავარაუდოდ, სომხური ენიდანაა ნასესხები. მშობლიურია ქართული სიტყვა „თაფლი“ (ქართული *თაფლ-ი*, მეგრული *თოფურ-ი*, სვანური *თუ/თუ-ი*), „ღმერთი“ (ქართული *ღმერთ-ი*, მეგრული *ღორონთ-ი*, ლაზური *ღორმოთ-ი*, სვანური *ღერმეთ-/ღერბეთ-ი*)\*. ნასესხებია „ჩანთა“ (თურქული ენიდან), „ფანჯარა“ (სპარსული ნასესხობა), „თარჯიმანი“ (არაბული ნასესხობა) და სხვ.

სიტყვის ეტიმოლოგია, ჩვეულებრივ, კვადრატულ ფრჩხილებშია მოცემული სალექსიკონი სიტყვა-სტატიის დასაწყისში. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ქეგლ) ეტიმოლოგიას უთითებს მხოლოდ ნასესხებ სიტყვებს, რაც გულისხმობს, რომ სხვა სიტყვები მშობლიურია. ქეგლ-ი არ უთითებს ქართული სიტყვის მონათესავე ფორმებს სხვა ქართველურ ენებში.

\* მაგალითები მოყვანილია ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის წიგნიდან „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

ეტიმოლოგიას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში“ (OED), რომელიც, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ინგლისური ენის დიდ განმარტებითს ლექსიკონს, ისტორიული ლექსიკონიცაა. ოქსფორდის ლექსიკონში ყველა სიტყვა-სტატიას ახლავს ვრცელი ეტიმოლოგიური ინფორმაცია სიტყვის წარმომავლობის შესახებ. თუ სიტყვა განეკუთვნება საერთოგერმანიკულ ლექსიკას, ეტიმოლოგიაში მითითებულია მოცემული სიტყვის მონათესავე ფორმები სხვა გერმანიკულ ენებში.\*

მაგ.: **hand** საერთო გერმანიკულ ლექსიკას განეკუთვნება. მისი ეტიმოლოგია ასეთია ოქსფორდის ლექსიკონში: [Com. Germ.: OE. *hand*, *hōnd* = OFris. *hand*, *hond*, OS. *hand*, OHG. *hant*, ON. *hōnd*, Goth. *handus*]. აღნიშნული ეტიმოლოგიიდან ვიგებთ, რომ სიტყვა **hand** საერთოგერმანიკულია (Common Germanic) და მისი მონათესავე ფორმები სხვადასხვა გერმანიკულ ენებში შემდეგია: ძველი ფრიზული *hand*, *hond*, ძველი საქსური *hand*, ძველი ზემოგერმანული *hant*, ძველი სკანდინავიური *hōnd*, გოთური *handus*.


სიტყვა **father** უფრო ძველ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება, კერძოდ, საერთო ინდოევროპული სიტყვაა.\*\* შესაბამისად, მის ეტიმოლოგიაში მითითებულია არა მხოლოდ მონათესავე სიტყვები სხვადასხვა გერმანიკულ ენებში (ძველი ფრიზული *feder*, *fader*, ძველი საქსური *fadar*, *fader*, ძველი ზემოგერმანული *fater*, ძველი სკანდინავიური *faðer*, გოთური *fadar*), არამედ მოცემულია მონათესავე სიტყვები სხვა ინდოევროპულ ენებში, მაგ.: სანსკრიტში *pitar*, ლათინურში *pater*, ბერძნულში *πατήρ* და სხვა (იხ. სურ. 1).

ოქსფორდის ლექსიკონში შეტანილია 249300 ეტიმოლოგია და ეს აღნიშნული ლექსიკონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნოვატორული

\* ინგლისური ენა გერმანიკულ ენათა ჯგუფში შედის. მისი ახლო მონათესავე ენებია: გერმანული, ჰოლანდიური, ფრიზული, სკანდინავიური, გოთური და სხვა გერმანიკული ენები.

\*\* გერმანიკული ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი შტოა. სხვა შტოებია: ინდური ენები, ბერძნული ენა, კელტური ენები, სლავური ენები, რომანული ენები და სხვა.

ლექსიკოგრაფიული პრინციპია, რადგან ისტორიულ-შედარებითი მე-  
 თოდი და მეცნიერული ეტიმოლოგია სწორედ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.



სურ. 1.

## სიტყვის მნიშვნელობები.

### საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები

დიდი განმარტებითი ლექსიკონები მაქსიმალურად სრულად ასახავენ ამა თუ იმ სიტყვის პოლისემიურ მნიშვნელობებს. სწორედ ესაა ენის სრულად აღწერა და დოკუმენტირება. მაგალითად, ოქსფორდის ლექსიკონში განმარტებულია სიტყვა **heart**-ის 30 ძირითადი მნიშვნელობა; ასევე აღწერილია მისი შემცველი ყველა შესიტყვება თუ იდიომი.

განმარტებით ლექსიკონებში დიდი ყურადღება ეთმობა საილუსტრაციო მასალას, ანუ საილუსტრაციო ფრაზებს, წინადადებებს, რომლებიც ადასტურებენ სიტყვის ამა თუ იმ მნიშვნელობით გამო-

ყენების შემთხვევებს და აკონკრეტებენ, აზუსტებენ მოცემულ მნიშვნელობას. წინა თავში დეტალურად იყო განხილული სიტყვის მნიშვნელობის / მნიშვნელობების აღწერის მეთოდები, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ეტაპები. როგორც ითქვა, ოქსფორდის ლექსიკონისათვის შეგროვდა 10 მილიონი საილუსტრაციო ფრაზა და წინადადება, საიდანაც თავად ლექსიკონში 2,4 მილიონი კონტექსტი შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ციტატებისთვის მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი შეიმუშავეს: ყოველ ციტატას მითითებული აქვს წყარო და თარიღი. საილუსტრაციო წინადადებებში ვხედავთ ციტატებს ანგლოსაქსური ეპოსიდან „ბეოვულფი“, ანგლოსაქსური ქრონიკებიდან, ბიბლიიდან, ჩოსერის, შექსპირის, მილტონის, დიკენსის და სხვა ავტორთა თხზულებებიდან. საყურადღებოა ისიც, რომ წყაროები ლექსიკონში დიდი სიზუსტითაა მითითებული. მაგ., შექსპირის ციტატებს დართული აქვს ინფორმაცია პიესის, მოქმედების და სცენის შესახებაც კი. ბიბლიის შემთხვევაში ასევე დამონმებულია თავი და მუხლი და სხვ. (იხ. სურ. 2).

Oxford English Dictionary

Home Options Entry History Search History Entry Bookmarks Search Bookmarks Find in Page Skip

Oxford English Dictionary **father** FIND WORD

RESULTS ENTRY

**father, n.** SECOND EDITION

PRONUNCIATION SPELLINGS ETYMOLOGY QUOTATIONS DATE CHART ADDITIONS

**1. a.** One by whom a child is or has been begotten, a male parent, the nearest male ancestor. Rarely applied to animals.

c825 *Vesp. Psalter* xxvi[j]. 10 Forðon feder min & modur min forleorton mec. c1000 *ÆLFRIC Deut.* xxiv. 16 Ne slea man fæderas for suna gylton. c1200 *Trin. Coll. Hom.* 165 ðe sune wusshed þe fader deað ar his dai cume. c1290 *S. Eng. Leg.* I. 14/457 He liet., maken him king of al is fader lond. c1350 *Will. Palerne* 241 A kowherde, sire, is my kynde fader. c1400 *Rom. Rose* 4863 Whanne fader or moder arn in grave. 1473 J. WARKWORTH *Chron.* 10 Herry Percy, whos fadere was slayne at Yorke felde. 1571 *LYNDESEY MS. Collect.*, The lull birdis straikis thair fader in the face with thair wings. 1597 *MONTGOMERIE Anno. Ingliis Railer* 12 Brurus., Quha slew his fader howping to succeed. 1670 G. H. *Hist. Cardinals* II. II. 144 Gineti., proved his Fathers own Son. 1753 *HANWAY Trav.* (1762) I. II. xiv. 62 For a son to call his father by that endearing name. 1884 *TENNYSON Becket* v. ii, His father gave him to my care.

**b. fig.** (Quots. 1597<sup>2</sup> and 1802 have given rise to proverbial phrases.)

1398 *TREVISA Barth. De P.R.* xvii. i. (1495) 591 Aristotle sayth that the erthe is moder and the sonne fader of trees. 1577 B. GOOGE *Heresbach's Hund.* II. (1586) 75b, So shall the branch [when grafted] live, being both nourished by his olde Mother, and his newe Father. 1597 *SHAKES. 2 Hen. IV.* I. 1. 8 Eury minute now Should be the Father of some Stratagem. *Ibid.* IV. v. 93 Thy wish was Father (Harry) to that thought. 1604 *Jas. I. Countess* (Arb.) 102 The foure Complexions, (whose fathers are the foure Elements). 1802 *WORDSW. Rainbow*, The child is father of the man. 1859 *KINGSLEY Misc.* (1860) I. 7 He., too often makes the wish father to the thought.

**c.** (More explicitly *spiritual father*.) The teacher to whom a person owes his religious life.


1382 *WYCLIF 1 Cor. iv.* 15 If 3e han ten thousands of lide maistris in Crist Jhesu, but not manye fadris. 1769 H. *VENN in Life*

LIST BY ENTRY LIST BY DATE ENTRY MAP HELP PRINT SAVE

SIMPLE SEARCH ADVANCED SEARCH



ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ეს პრინციპები შეიმუშავეს XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სწორედ 1850 წელს დაარსდა ლონდონში ფილოლოგიური საზოგადოება, რომელმაც ესოდენ მასშტაბური პროექტი ჩაიფიქრა. ლექსიკონის გუნდმა ეს პრინციპები შეიმუშავა კომპიუტერულ ეპოქამდე დიდი ხნით ადრე და არა მარტო შექმნა ერთ-ერთი უდიდესი ტექსტური კორპუსი (10 მილიონი ბარათი), არამედ ამ პრინციპებით შეადგინა ლექსიკონი, რომელიც მოგვიანებით თავად იქცა სრულყოფილ მონაცემთა ბაზად და მის საფუძველზე უკვე XX საუკუნის დასასრულს (1992) შესაძლებელი გახდა მრავალი საძიებო ფუნქციის მქონე თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონის შექმნა.



სურ. 3.


საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებებისათვის თარიღების დართვამ შესაძლებელი გახადა ენაში ყოველი ინგლისური სიტყვის პირველად დადასტურების თარიღის დადგენა. ელექტრონულ ლექსიკონს აქვს ფუნქცია – **list by date**, რომელიც ლექსიკონის მაკროსტრუქტურის ყოველ სიტყვას უთითებს ამ თარიღს (იხ. სურ. 3). მეტიც, კონტექსტების თარიღების მემწეობით შესაძლებელია პოლისემიური სიტყვების გადატანითი მნიშვნელობების წარმოშობის თარიღების

დადგენაც და პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა განვითარების ქრონოლოგიისათვის თვალის მიდევნება.

კონტექსტებისათვის წყაროების დართვამ შესაძლებელი გახადა ისეთი ელექტრონული ლექსიკონის შექმნა, რომელშიც ნებისმიერი ავტორის, მაგ., შექსპირის, ციტატების ამოკრებაა შესაძლებელი (იხ. სურ. 4).


მე-4 სურათზე გამოსახული სლაიდის ზედა მარცხენა კუთხეში ჩანს შექსპირისეული ციტატების რაოდენობა: 29971 ციტატა. ამ პრინციპით შესაძლებელია ლექსიკონში ციტირებული ყველა სხვა ავტორის კონტექსტების ამოკრება. მე-4 სურათზე ჩანს, რომ შექსპირისეულ ციტატებში მითითებულია პიესის სათაური, მოქმედება და სურათიც კი, რაც საშუალებას იძლევა, ძიება განხორციელდეს შექსპირის ცალკეული ნაწარმოებების მიხედვითაც. ასეთი ინფორმაცია მნიშვნელოვანია თანამედროვე ინგლისური სიტყვების შექსპირისეულ მნიშვნელობათა დასადგენად, რომლებიც ხშირად განსხვავდება მოცემული სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობისგან.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში წარმოდგენილი ეტიმოლოგიებიც მრავალგვარი ინფორმაციის მოძიების საშუალებას იძლევა. მაგა-



სურ. 4.


ლითად, შესაძლებელია ინგლისური სიტყვების მონათესავე სიტყვების ამოკრება სხვადასხვა ენიდან: სანსკრიტიდან, ძველი საეკლესიო სლავურიდან, ავესტურიდან, ძველი ირლანდიურიდან, ასევე სხვა ძველი თუ თანამედროვე გერმანიკული და ინდოევროპული ენებიდან. მე-5 სურათზე ჩანს ამგვარი ძიების შედეგები ბერძნული სიტყვებისათვის:



სურ. 5.

სწორედ ამ ნოვატორული პრინციპებისა და მასშტაბის გამო შეადარეს ოქსფორდის ლექსიკონის სრული ტომეულის (20 ტომი) მეორე გამოცემა 1989 წელს მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებას, მეცნიერულ ევერესტს, მსოფლიოს უდიდეს საგამომცემლო მოვლენას (იხ. სურ. 6). ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ჯეიმზ მარის ხელმძღვანელობით ბევრად გაუსწრეს დროს და შექმნეს მომავლის

სურ. 6.



ლექსიკონი, რომელიც ინგლისური სიტყვების კვლევის ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა დღესაც.

მაშასადამე, „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონში“ ყოველი სიტყვისათვის შექმნილია მისი სრული ისტორია; დასმულია საკითხები: მშობლიურია სიტყვა თუ ნასესხები? რომელ ეტიმოლოგიურ შრეს განეკუთვნება მშობლიური სიტყვა? რომელი ენიდანაა ნასესხები მოცემული სიტყვა? რომელ პერიოდშია იგი ნასესხები? რომელ წელს ჩნდება ენაში მოცემული სიტყვა? რომელ წელს ჩნდება ენაში პოლისემიური სიტყვის გადატანითი მნიშვნელობები და როგორია მათი ქრონოლოგია? ამასთან ერთად, სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში სრულადაა აღწერილი სიტყვის ყველა მნიშვნელობა, შესიტყვება, იდიომი, ყოველი მნიშვნელობა უხვადაა ილუსტრირებული ციტატებით და ყოველ ციტატას დართული აქვს თარიღი და წყარო.

ასე შექმნეს ჯეიმზ მარიმ და მისმა რედაქტორებმა ენის აღწერისა და დოკუმენტირების მოდელი, რომელსაც ბევრი მიმდევარი გაუჩნდა კონტინენტზე.

*“I feel that in many respects I and my assistants are simply pioneers, pushing our way experimentally through an untrodden forest, where no... man’s axe has been before us”. \**

**James Murray**

*„მე ვგრძნობ, რომ ბევრი თვალსაზრისით მე და ჩემი თანამშრომლები ვართ პიონერები, რომლებიც ექსპერიმენტულად ვიკვალავთ გზას ფეხ-დაუდგმელ ტყეში, სადაც... არავის ცული არ მოხვედრილა ჩვენამდე“.*

**ჯეიმზ მარი**

ასეთი პრინციპებით შექმნილი ლექსიკონი არა მარტო სრულყოფილად აღწერს ენას, არამედ, როგორც ზემოთ აღინიშნა, არის მოცემული ენის სიტყვების კვლევის მნიშვნელოვანი წყარო.

სწორედ ამ თვისებების გამო უკავია ვრცელ განმარტებით ლექსიკონებს განსაკუთრებული ადგილი ნებისმიერი ერის სულიერ და

\* Muggleston, 2000 (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).



კულტურულ საგანძურში, სწორედ ამ თვისებების გამოა საჭირო საზოგადოების ინტელექტუალური და სულიერი „სიმნიფე“, სალიტერატურო ენის განვითარების მაღალი დონე, რათა ამ საზოგადოების წიაღში აღმოცენდეს ასეთი მასშტაბური ნაშრომი საკუთარი ერისა და ენის უკვდავსაყოფად.

\* \* \*



### 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა ფუნქციები აქვს ვრცელ განმარტებით ლექსიკონებს?
2. რატომ უსწრებს ხშირად ორენოვანი ლექსიკონების შედგენა განმარტებითი ლექსიკონების შექმნას?
3. რა ენაზეა მოცემული განმარტებით ლექსიკონებში შეტანილი სიტყვების განმარტებანი?
4. რა მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან შედგება დიდი განმარტებითი ლექსიკონების სიტყვა-სტატიები?
5. რა არის სიტყვის ეტიმოლოგია?
6. რატომ არის დიდ განმარტებით ლექსიკონებში მნიშვნელოვანი სიტყვის ეტიმოლოგიური წარმომავლობის ასახვა?
7. რა საინფორმაციო ღირებულება აქვს სიტყვა-სტატიაში შეტანილ საილუსტრაციო ფრაზებს?
8. რა წყაროებიდან არის აღებული ის საილუსტრაციო ციტატები, რომლებიც ოქსფორდის დიდ ლექსიკონშია შეტანილი?
9. როდის შეიმუშავეს ოქსფორდის ლექსიკონის რედაქტორებმა ის პრინციპები, რომელთაც ეს ლექსიკონი დაეფუძნა?
10. რა სახის მონაცემთა ბაზა შეიქმნა ოქსფორდის დიდი ლექსიკონის პროექტისთვის?
11. რამდენ ბარათს შეიცავდა ეს ტექსტური კორპუსი?
12. რა სასარგებლო ფუნქციები აქვს ოქსფორდის დიდი ლექსიკონის თანამედროვე ელექტრონულ ვერსიას? (დაასახელეთ რამდენიმე)

## II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:

რომელიმე განმარტებითი ლექსიკონიდან (ქართული, ინგლისური, ფრანგული და სხვა) შეარჩიეთ ერთი სიტყვა-სტატია და გააანალიზეთ მე-3 და მე-6 თავში განხილული კომპონენტების მიხედვით.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი:

<http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>

ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი: <https://www.lexico.com/>

სხვა ენების განმარტებითი ლექსიკონები შეარჩიეთ ამ საიტიდან:

[https://www.lexilogos.com/dictionnaire\\_langues.htm](https://www.lexilogos.com/dictionnaire_langues.htm)

## თავი 7.

### ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონები

#### ეკვივალენტობის პრობლემა ორენოვან ლექსიკონებში

დიდი განმარტებითი ლექსიკონების მსგავსად, ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონები არანაკლებ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ერის განათლებისა და კულტურისათვის. თარგმნითი ლექსიკონების მეშვეობით მყარდება კავშირი ენებსა და ერებს შორის, მათი საშუალებით ვსწავლობთ უცხო ენებს, ვთარგმნით მშობლიურ ენაზე სამეცნიერო თუ მხატვრულ ლიტერატურას. თარგმნითი ლექსიკონები ლექსიკოგრაფიის განვითარების ადრეულ ეტაპზევე შეიქმნა. სწორედ ამ ფაქტში ჩანს ერების სწრაფვა ერთმანეთთან კავშირისაკენ, ერთმანეთის ენების შესწავლისაკენ, სხვა ენაში უკუფენილი ცოდნის, გამოცდილებისა და ფასეულობათა აღქმისა და გაცნობისაკენ.

„ქართული ენის ინგლისურენოვან სპეციალისტებს ან შემსწავლელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ განსაკუთრებით სჭირდებათ ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. ამგვარი ნაშრომის გარეშე ჩვენთვის ქართული ენის სიმდიდრე და მასში დაუნჯებული საგანძური მიუწვდომელი და შეუცნობელი რჩება. ქართულ-ინგლისური ლექსიკონი დიდად გააადვილებს ქართული ენის შესწავლის საქმეს და ჩვენთვის (ევროპელი და ამერიკელი ქართველოლოგებისათვის) შეაღებს კარს ქართული კულტურის საიდუმლოებათა უკეთ ჩასაწვდომად და აღსაქმელად“, – სწერდა ჰოვარდ არონსონი, ამერიკელი ქართველოლოგი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიას 1998 წელს (<https://margaliti.ge/new/howard.htm>).

ტრადიციული გაგებით, თუ განმარტებითი ლექსიკონები სიტყვებს იმავე ენის სხვა სიტყვების მეშვეობით განმარტავს, ორენოვან / თარგმნით ლექსიკონებში ერთი ენის სიტყვებს სათარგმნელ ენაში მათი **ეკვივალენტი** უნდა მიეთითოს.

მაგ.: **pit** – ორმო; ღრმული, ჩაღრმავებული ადგილი (*მინაში*) ...

**platitude** – გაცვეთილი გამონათქვამი, ბანალობა ...

რამდენად ცალსახაა ზემოთ მოყვანილი განმარტებები? რამდენად უნივერსალურია ეს პრინციპები: განმარტებები – განმარტებით ლექსიკონებში და ეკვივალენტები – ორენოვან / თარგმნით ლექსიკონებში?

ჰარტმანისა და ჯეიმზის „ლექსიკოგრაფიის ლექსიკონი“ „**ეკვივალენტობასა**“ და „**ეკვივალენტურს**“ შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ურთიერთდამოკიდებულება ორი ან რამდენიმე ენის იმ სიტყვებსა და ფრაზებს შორის, რომელთაც ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ“.

რამდენად არის შესაძლებელი ეკვივალენტობა ორი ენის სიტყვებს შორის? რამდენად შეიძლება ინგლისური სიტყვების მნიშვნელობა სათანადო ქართული სიტყვების მნიშვნელობათა ეკვივალენტური იყოს?

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ეკვივალენტობა სიტყვის მთლიანი პოლისემიური სტრუქტურის დონეზე. შეუძლებელია ერთი ენის პოლისემიურ სიტყვას ზუსტად იგივე პოლისემიური მნიშვნელობები ჰქონდეს სხვა ენაში, დამთხვევის / კონვერგენციის ხარისხი აქ საკმაოდ დაბალია. ეს არის ენობრივი კანონზომიერება.

მაგ.: **eruption** [ɪˈrʌpʃ(ə)n] *n* **1.** 1) ამოხეთქა (*ვულკანისა*); ამოფრქვევა, ამოტყორცნა (*ლავისა, ფერფლისა*); 2) ცეცხლის ალის ამოვარდნა; *წყლის გამოხეთქა / წყლის მიერ ჯებირის და ა.შ. გარღვევა*;

**2.** კბილების ამოჭრა / ამოსვლა;

**3.** 1) *გრძნობების და ა.შ. ამოხეთქა*; 2) *ეპიდემიის და ა.შ. გაჩენა; ომის ატყდომა*;

**4.** ამოხეთქა, ერთბაშად, უხვად ამოსვლა (*კვირტებისა, შტოებისა, ფესვებისა და ა.შ.*);

**5. მედ. 1)** გამონაყარი (*კანზე*) ...

ამის შედეგად **წყარო** ენის ერთ სიტყვას (მაგ., eruption) **სამიზნე** ენაში სხვადასხვა სიტყვა შეესატყვისება (ამოხეთქა, ამოფრქვევა, ამოტყორცნა, ამოვარდნა, გარღვევა, ატყდომა და სხვ.).

ეს მოვლენა არ არის მხოლოდ ინგლისური და ქართული ენების ლექსიკონათვის დამახასიათებელი. იმავე ლინგვისტურ მოვლენასთან გვაქვს საქმე ენათა სხვა წყვილების შემთხვევაში. მაგალითად, ქვემოთ მოყვანილია იტალიურ-ქართული სიტყვა-სტატია.

### **ragione [ra' dzone] s f**

1. გონება, ჭკუა, ინტელექტი; აზროვნება; **agire contro ragione** უგუნურად მოქცევა; **l'uomo è dotato di ragione** ადამიანი დაჯილდოებულია აზროვნების უნარით;

2. დამამტკიცებელი საბუთი, არგუმენტი, მოსაზრება; **ragioni valide** დასაბუთებული / დამაჯერებელი არგუმენტები; **chiedere ragione a qc** ვინმესგან ახსნა-განმარტების მოთხოვნა;

3. 1) მიზეზი, საფუძველი, მოტივი; **la ragione per la quale / per cui / vado all'estero** მიზეზი, რის გამოც საზღვარგარეთ მივდივარ; **dare ragione di q.c.** რისამე მიზეზის ახსნა / განმარტება; **non è una buona ragione** ეს საფუძვლიანი მიზეზი არ არის; **per quale ragione?** რა მიზეზით? რატომ?

2) უფლება; **far valere le proprie ragioni** საკუთარი უფლებების დაცვა;

4. პროპორცია; თანაფარდობა; პროცენტი, პროცენტული რაოდენობა; კოეფიციენტი; მაჩვენებელი; **in ragione diretta** მათ. პირდაპირ-პროპორციულად...

სწორედ ამ ვითარების გამო არის მნიშვნელოვანი ორენოვან ლექსიკონში პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა მაქსიმალურად სრულად აღწერა, მეორე ენის სათანადო შესატყვისების მითითებით.

\* \* \*

ეკვივალენტობის პრობლემა არსებობს არა მხოლოდ პოლისემიური სიტყვების მთელი სტრუქტურის დონეზე, არამედ იგი თავს იჩენს

ცალკეული მნიშვნელობის დონეზედაც და ამ ტიპის ეკვივალენტობა ქმნის ყველაზე დიდ პრობლემას ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას. ქვემოთ ამ სახის ეკვივალენტობის პრობლემაზე გვექნება მსჯელობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორენოვანი ლექსიკოგრაფები სწორედ ცალკეული მნიშვნელობის დონეზე არსებულ სემანტიკურ ასიმეტრიას განიხილავენ ეკვივალენტობის პრობლემად.

მაშასადამე, გავიმეოროთ შეკითხვა: რამდენად არის შესაძლებელი ეკვივალენტობის არსებობა ორი ენის თითქოსდა მსგავსი სიტყვების მნიშვნელობებს შორის? შეიძლება თუ არა ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა შესაბამისი ქართული სიტყვის მნიშვნელობის ეკვივალენტური იყოს?

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

**Reverberate:**

*to have a strong effect on people for a long time or over a large area*

*to have continuing and serious effects*

*... often negative effects...*

*... to effect everyone in a company, country, etc.*

**გამოხმაურება:**

*რისამე მიმართ ამა თუ იმ, ჩვეულებრივ, დადებითი დამოკიდებულების გამომჟღავნება.*

**გამოძახილი:** *იგივეა, რაც გამოხმაურება.*

როგორც ამ განმარტებებიდან ჩანს, ეს ორი, თითქოს ერთი შეხედვით ეკვივალენტური სიტყვა, საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ინგლისური განმარტებიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ ფაქტს, მოვლენას დიდი, ხშირად უარყოფითი გავლენა აქვს დიდი ხნის განმავლობაში ბევრ ადამიანზე, დიდ ტერიტორიაზე, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ქეგლ-ის ზემოთ მოყვანილი განმარტებისაგან.

**Restless:**

*unable to stay still or be happy where you are, because you are bored or need a change.*

**მოუსვენარი:**

*ვინც ან რაც ვერ ისვენებს, მოსვენებით ყოფნა არ შეუძლია.*

ამ ორი განმარტების შედარებაც ცხადყოფს იმ სხვაობას, რაც ინგლისურ და ქართულ, თითქოსდა ერთი შეხედვით, მსგავს სიტყვებს აქვს. ინგლისურ დეფინიციაში იკვეთება ის კომპონენტები, რომელთა გამოც ადამიანი ვერ ისვენებს ან არ არის ბედნიერი: მას მოჰბეზრებია ყოფა ან ცვლილებები სურს. ინგლისური სიტყვის მნიშვნელობის ეს ნიუანსები ქართული „მოუსვენრის“ განმარტებაში არ ჩანს.

**Rough:**

*Having a surface diversified with small projections, points, bristles, etc., so as to be harsh or disagreeable to the touch; not even or smooth (OED).*

**უხეში:**

*რაც ნაზი არ არის, მოუქნელი (დაუმუშავებელი, მოუთელავი, ხამი), მოუხეშავი, ხეშეში (ქეგლი).*

ინგლისური სიტყვის დეფინიციაში ხაზგასმულია ის, რომ ზედაპირი არ არის გლუვი, უსწორმასწორო და ხორკლიანია (ზედაპირზე არსებული შვერილების, ამოსული მოკლე უხეში თმის და ა.შ. გამო), უსიამოვნო და უხეშია ხელით შეხებისას და სხვ. ქართული **უხეშის** განმარტებაში ინგლისური სიტყვის **rough** მნიშვნელობის ეს ნიუანსები არ ჩანს.

\* \* \*

ასეთი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება. ეს სხვაობა ორი ენის თითქოსდა მსგავს სიტყვებს შორის, როგორც აღინიშნა, არის ენობრივი კანონზომიერება და ეს ნებისმიერმა კვალიფიციურმა ლინგვისტმა იცის.

განსხვავებული ეკვივალენტობის გამო, როგორც მეოთხე თავში აღინიშნა, ინგლისური ენის ამა თუ იმ სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა ქართული სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ერთ ნაწილს ესადაგება, ხოლო მისი სხვა ნაწილები სრულიად სხვა სიტყვებს



უკავშირდება, რაც ქართულად თარგმნისას, ცხადია, სხვადასხვა ქართული სიტყვის შერჩევას მოითხოვს:

<i>rough road</i>	ოღროღრო გზა
<i>rough edges [surface]</i>	უსწორმასწორო კიდეები [ზედაპირი]
<i>rough skin</i>	ხორკლიანი / ხეშეში კანი
<i>rough cloth</i>	უხეში / მქისე ქსოვილი
<i>rough hands</i>	უხეში / დაკოჭრებული ხელები.

ჰარტმანისა და ჯეიმზის „ლექსიკოგრაფიის ლექსიკონში“ „ეკვივალენტობისა“ და „ეკვივალენტურის“ ზემოთ მოყვანილი ციტატა შემდეგნაირად გრძელდება:

„ენობრივი და კულტურული არაიზომორფულობის შედეგად თარგმნითი ეკვივალენტები, როგორც წესი, არის ნაწილობრივი, მიახლოებითი, არასიტყვასიტყვითი და ასიმეტრიული (და არა სრული, პირდაპირი, სიტყვასიტყვითი და ორმხრივი). ამდენად, ორენოვან ლექსიკონში მათი განსაზღვრა სირთულეებთანაა დაკავშირებული და საჭირო ხდება ხელოვნურად შექმნილი განმარტებითი ეკვივალენტების მოშველიება“. ინგლისურ განმარტებაში ავტორები იყენებენ ტერმინს *surrogate equivalent*, რომელიც სიტყვასიტყვით არის „სუროგატული ეკვივალენტი“.


ეს განმარტება გვიჩვენებს, თუ რამდენ პრობლემას უქმნის ორენოვან ლექსიკოგრაფებს სემანტიკური ასიმეტრია სხვადასხვა ენათა ერთი შეხედვით მსგავს სიტყვებს შორის. ამგვარი ასიმეტრია კიდევ უფრო იზრდება გენეტიკურად არამონათესავე და სისტემურად სრულიად განსხვავებულ ისეთ ენებს შორის, როგორცაა ინგლისური და ქართული ენები. თუმცა სემანტიკური ასიმეტრია ახლო მონათესავე ენათა წყვილებშიც ფართოდაა გავრცელებული.

მოვიყვანთ ერთ მაგალითს: ცნობილია, რომ ინგლისური და გერმანული ენები ახლო მონათესავე ენებია. მიუხედავად ამისა, მათ შორისაც არის სემანტიკური ასიმეტრია. მაგ., გერმანულ ზედსართავ სახელს *„spröde“* ინგლისურ ენაში შეესატყვისება *„fragile“* ან *„break-*

able” (*sprödes Glas* “fragile glass”); მაგრამ *spröde Fingernägel*-ის სათარგმნელად სხვა ინგლისური ზედსართავი სახელია საჭირო, კერძოდ, “brittle” (**brittle** fingernails); “*spröde Haut*” ან “*spröde Lippen*” უნდა ვთარგმნოთ ინგლისური ზედსართავებით “**crispy**” ან “**dry skin/lips**”; “*spröde Gotik-Mauern*” გადაითარგმნება როგორც “**delicate**”, “**subtle**” ან “**fine Gothic walls**”.

დავუბრუნდეთ ისევ ინგლისურ და ქართულ ენებს.

ინგლისური და ქართული მსგავსი სიტყვების მნიშვნელობები ერთმანეთს სხვადასხვა შეფარდებით გადაფარავს, რაც გრაფიკულად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:



როგორც ვხედავთ, გადაფარვა შეიძლება იყოს ძალიან მცირე, საშუალო ან შედარებით მოცულობითი. მეოთხე ნახაზზე კი გამოსახულია ის შემთხვევები, როდესაც ინგლისური ცნება ქართულად საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული, ანუ მნიშვნელობები საერთოდ არ გადაიფარება.

მაგ.: **brocket** ორი წლის ხარირემი.

**overspill** ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია დიდი ქალაქიდან ქვეყნის ნაკლებად დასახლებულ ადგილას.

## ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის გზები დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინლექსიკონში

როგორ გადაჭრეს „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ ([www.dict.ge](http://www.dict.ge)) რედაქტორებმა ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი პრობლემა ან რა გზით ცდილობენ ისინი ინგლისური სიტყვების მნიშვნელობათა იმგვარი სიზუსტით გადმოცემას, როგორც ამას მოითხოვს ისეთი კანონიკური ნაშრომი, როგორიც ლექსიკონია?

ზემოთ მოვიყვანეთ **rough** ზედსართავი სახელის ერთი მნიშვნელობა, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ქართულ ეკვივალენტს მოითხოვს:

*rough road* ოღროჩოღრო გზა

*rough edges [surface]* უსწორმასწორო კიდეები [ზედაპირი]

*rough skin* ხორკლიანი / ხეშეში კანი

*rough cloth* უხეში / მქისე ქსოვილი

*rough hands* უხეში / დაკოჭრებული ხელები.

რა არის ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინგლისური ზედსართავი სახელის **rough** ქართული ეკვივალენტი: **ოღროჩოღრო? მქისე? დაკოჭრებული? ხეშეში?..**

**ოღროჩოღრო, მქისე, დაკოჭრებული, ხეშეში rough-**ის თარგმნითი ეკვივალენტებია კონკრეტულ კონტექსტებში, ისინი უფრო კონკრეტული შინაარსის სიტყვებია და **rough-**ის ზემოთ მოყვანილ დეფინიციას არ შეესატყვისება (*Having a surface diversified with small projections, points, bristles, etc., so as to be harsh or disagreeable to the touch; not even or smooth*). **ოღროჩოღრო, ხეშეში, მქისე, დაკოჭრებული rough-**ის თარგმნითი / კონტექსტური ეკვივალენტებია, თავად ინგლისური სიტყვის მნიშვნელობის ქართული ეკვივალენტი კი, – „სუროგატული ეკვივალენტი“, ჰარტმანისა და ჯეიმზის ტერმინოლოგიით, – იქმნება ინგლისურ დეფინიციასთან მაქსიმალური მიახლოებით: **უსწორ-მასწორო, ხორკლიანი, უხეში / არაგლუვი ზედაპირის მქონე.**

ამ ტიპის ეკვივალენტს ჩვენ ვუნოდებთ **მნიშვნელობის ეკვივალენტს**. იგი ზოგადია და ინგლისური სიტყვის მნიშვნელობას აღწერს ენის სისტემურ დონეზე. სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ორივე ტიპის ეკვივალენტი უნდა იყოს წარმოდგენილი: მნიშვნელობის ეკვივალენტი და თარგმნითი / კონტექსტური ეკვივალენტი, რომელთა კომბინაციაც საშუალებას იძლევა მაქსიმალურად ზუსტად გადმოიცეს წყარო ენის სიტყვის მნიშვნელობა.

ქვემოთ წარმოდგენილია სიტყვის **rough** სალექსიკონო სტატია, რომელშიც ლურჯი ფერით გამოყოფილია მნიშვნელობის ეკვივალენტი, მწვანე ფერით კი – თარგმნითი / კონტექსტური ეკვივალენტი.

**Rough** უსწორმასწორო, ხორკლიანი, უხეში / არაგლუვი ზედაპირის მქონე; rough road **ოღროჩოღრო** გზა; rough edges [surface] უსწორმასწორო კიდეები [ზედაპირი]; rough skin **ხორკლიანი / ხეშეში** კანი; rough cloth **უხეში / მქისე** ქსოვილი; rough hands **უხეში / დაკოჭრებული** ხელები.

მაშასადამე, „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ განასხვავებს მნიშვნელობის ეკვივალენტსა და თარგმნით / კონტექსტურ ეკვივალენტს. „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ რედაქტორთა ამოცანა მუდამ იყო და არის ამ ორ ენას შორის ეკვივალენტობის აღწერა უფრო **ზოგად, სისტემურ დონეზე**, ნაცვლად ცალკეულ კონკრეტულ კონტექსტებში დადასტურებული მხოლოდ თარგმნითი ეკვივალენტების მითითებისა.

მნიშვნელობის ეკვივალენტი სხვადასხვა მეთოდით იქმნება. შევჩერდებით რამდენიმე ტიპობრივ შემთხვევაზე:

1. ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა ხშირად იმდენად ფართოა ქართულ მნიშვნელობასთან შედარებით, რომ იგი რამდენიმე ქართულ სიტყვას მოიცავს. მაგ.: **Facility (facilities) buildings, services, equipment, etc. that are provided for a particular purpose.**

**Squawk a loud grating call or cry of birds (parrots, seagulls, peacocks, etc).**

ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობის ეკვივალენტად გამოტანილია ის ქართული სიტყვები, რომლებსაც მოიცავს ინგლისური მნიშვნელობა.

მაგ.: **Facility (facilities) ნაგებობა, ობიექტი; ტერიტორია, ადგილი; სათავსო, ოთახი (ამა თუ იმ დანიშნულებისა).**

ან

ინგლისური მნიშვნელობის ეკვივალენტად შექმნილია მოკლე განმარტება, რომელსაც მოსდევს სხვა ქართული ეკვივალენტები.

მაგ.: **Squawk ხმამალალი, მკვეთრი ხმის გამოცემა (გამოსცემს); ჩხავილი, კივილი, ყივილი, ყიყინი, კრიახი და ა.შ.**

2. ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება საკმაოდ ვიწრო იყოს.

მაგ.: **rough having large and dangerous waves (of sea).**

ასეთ შემთხვევებში ქართული მნიშვნელობის ეკვივალენტს სათანადო დაზუსტება ახლავს: **აბობოქრებული (ითქმის ზღვის შესახებ).**

**rough wild and with storms (of weather).**

**ქარიშხლიანი (ითქმის ამინდის შესახებ).**

3. მნიშვნელობის ეკვივალენტად ხშირად შეირჩევა უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვა (სიტყვები), რომელიც მაქსიმალური ინფორმაციის შემცველია.

მაგ.: **to mar გაფუჭება, დაზიანება; დამახინჯება; nervousness marred the effect of his speech ნერვიულობის გამო მისმა მოხსენებამ უფერულად ჩაიარა; nothing marred our happiness ჩვენს ბედნიერებას ჩრდილს არაფერი აყენებდა, ჩვენი ბედნიერება უღრუბლო იყო; to mar one's joy სიხარულის ჩამწარება; small-pox marred her face ყვავილმა სახე დაუკენკა; the new power station mars the beauty of the countryside ახალი ელექტროსადგური სოფლის ხედს აუშნოებს / ამახინჯებს.**

**To escape თავის არიდება, თავიდან აცილება, აცდენა (საფრთხისა, უსიამოვნებისა და ა.შ.); to escape a blow დარტყმის აცდენა; to escape punishment ⊖ სასჯელს დაუძვრა, დაუსჯელი დარჩა; they escaped suspicion მათზე ეჭვიც კი არავის მიუტანია; they barely escaped with their lives ≅ სულზე გაასწრეს, ძლივს დააღწიეს თავი; he narrowly escaped being drowned ბენვზე გადარჩა დახრჩობას.**

**Delicate დახვეწილი, ნატიფი, ფაქიზი; delicate taste დახვეწილი გემოვნება; delicate hint მოხდენილი გადაკვრა (სიტყვისა); delicate wine ნაზი ბუკეტის მქონე ღვინო; delicate casket ნატიფი ზარდახშა; delicate operation ვირტუოზული ოპერაცია; delicate lace ნატიფად ნაქსოვი**

მაქმანი; delicate features **დახვეწილი / ნატიფი** სახის ნაკვეთები; delicate figure **წერწეტა / კენარი ტანი**.

4. ინგლისური მნიშვნელობის ეკვივალენტი რიგ შემთხვევაში განმარტებითია. მაგ.:

**overspill** **ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია დიდი ქალაქიდან ქვეყნის ნაკლებად დასახლებულ ადგილას.**

**privacy** **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (საზოგადოების ჩარევისაგან).**

განმარტებითი ტიპის ეკვივალენტებს მივმართავთ მაშინ, როდესაც ინგლისური ცნება ქართულად არ არის ლექსიკალიზებული, ან როდესაც ინგლისურ და ქართულ მნიშვნელობათა გადაფარვა მეტად მცირეა.

ინგლისური სიტყვების მნიშვნელობები ლექსიკონში მაქსიმალურად წარმოჩნდება მნიშვნელობის ეკვივალენტების კომბინირებით თარგმნით / კონტექსტურ ეკვივალენტებთან. აქედან გამომდინარე, **საილუსტრაციო მასალას** განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში“. ერთი მხრივ, კონტექსტი წარმოდგენილია იმისათვის, რომ ლექსიკონის მომხმარებელს მიენოდოს ინგლისური სიტყვის კონტექსტური ეკვივალენტები, რაც აუცილებელია გამართული, ლიტერატურული თარგმანისათვის.

მაგ.: **Facility** **ნაგებობა, ობიექტი; ტერიტორია, ადგილი; სათავსო, ოთახი (ამა თუ იმ დანიშნულებისა);** a military facility სამხედრო **ობიექტი**; a storage facility სასაწყობე **სათავსო / ფართი**, საწყობი; a parking facility ავტომანქანის **სადგომი / დასაყენებელი ადგილი**; a research facility კვლევითი **დანესებულება**; a medical facility სამედიცინო **დანესებულება**.

მეორე მხრივ, ლექსიკონის რედაქტორები ყოველთვის განიხილავდნენ და განიხილავენ საილუსტრაციო მასალას ინგლისური სიტყვის მნიშვნელობის წარმოჩენის ორგანულ ნაწილად. ხშირ შემთხვევაში სიტყვის მნიშვნელობა სრულად სწორედ საილუსტრაციო მასალის დახმარებით წარმოჩნდება. მაგ.:



**Restless: მოუსვენარი, დაუდგარი; დაუდგრომელი, დაუცხრომელი; მოუთმენელი.**

არც ერთი ეს სიტყვა არ გადმოსცემს ზუსტად ინგლისური სიტყვის **restless** მნიშვნელობას (*unable to stay still or be happy where you are, because you are bored or need a change*). ამიტომ ინგლისური სიტყვის მნიშვნელობა სრულად გახსნილია საილუსტრაციო მასალაში. პირველი მაგალითი: *the children had been indoors all day, and were getting restless* **ბავშვები მთელი დღე შინ იყვნენ და ვეღარ ისვენებდნენ / ცმუკავდნენ / ადგილს ვეღარ პოულობდნენ** – გვიჩვენებს ინგლისური დეფინიციის ერთ კომპონენტს, კერძოდ: **unable to stay still or be happy**; მეორე კონტექსტი: *the audience was becoming restless* **დარბაზი მოთმინებას კარგავდა** – გვიჩვენებს ინგლისური დეფინიციის მეორე ასპექტს, კერძოდ: **because you are bored**. მესამე საილუსტრაციო წინადადება კი: *after five years in the job, he was beginning to feel restless* **ამ თანამდებობაზე ხუთწლიანი მუშაობის შემდეგ იგი თანდათან ინტერესს კარგავდა / სამუშაოს გულს ვეღარ უდებდა** – წარმოაჩენს ინგლისური სიტყვის მნიშვნელობის კიდევ ერთ კომპონენტს – **you need a change**.

მაშასადამე, „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ავტორები მიჯნავენ სიტყვის მნიშვნელობის ეკვივალენტებსა და თარგმნით / კონტექსტურ ეკვივალენტებს. მათ შეიმუშავეს მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს მნიშვნელობათა ეკვივალენტებისა და მრავალრიცხოვან საილუსტრაციო ფრაზასა და წინადადებაში წარმოდგენილი თარგმნითი ეკვივალენტების კომბინირებას.

მნიშვნელობის ეკვივალენტებისა და თარგმნითი / კონტექსტური ეკვივალენტების კომბინირება, განმარტებითი ლექსიკონის პრინციპების გამოყენება, საილუსტრაციო მასალის საგულდაგულო შერჩევა საშუალებას იძლევა მაქსიმალურად სრულად გაიხსნას ინგლისური სიტყვების მნიშვნელობა და წარმოჩინდეს მნიშვნელობის ყველა ნახნაგი, ყველა ნიუანსი.



ეს არის ის სიახლე, რომელიც „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ გუნდმა შემოიტანა და დანერგა ინგლისურ-ქართულ ლექსიკოგრაფიაში.

\* \* \*

ამგვარი მეთოდოლოგიით შექმნილი ორენოვანი ლექსიკონი მნიშვნელოვანია როგორც უცხო ენის სიღრმისეულად შესასწავლად, ასევე მთარგმნელობითი საქმიანობისათვის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მშობლიური ენის ლექსიკური სიმდიდრის შესანარჩუნებლად.

\* \* \*



## 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა კულტურული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა აქვს ორენოვან / თარგმნით ლექსიკონებს?
2. რას წერდა ორენოვანი ლექსიკონების მნიშვნელობის შესახებ პროფესორი ჰოვარდ არონსონი 1998 წელს?
3. რით განსხვავდება განმარტებითი ლექსიკონი ორენოვანი / თარგმნითი ლექსიკონისგან?
4. ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით, რა არის ეკვივალენტი?
5. როგორ არის განსაზღვრული „ეკვივალენტობა“ და „ეკვივალენტური“ ჰარტმანისა და ჯეიმზის „ლექსიკოგრაფიის ლექსიკონში“?
6. რამდენად შესაძლებელია სრული ეკვივალენტობის არსებობა ორი ენის სიტყვებს შორის? მაგალითად, შეიძლება თუ არა, რომ ინგლისური სიტყვების მნიშვნელობა იყოს ქართული შესაბამისი სიტყვების მნიშვნელობათა სრულად ეკვივალენტური?
7. არის თუ არა პრაქტიკულად შესაძლებელი ეკვივალენტობის არსებობა რომელიმე ორი ენის სიტყვების მთლიანი პოლისემიური სტრუქტურის დონეზე?

8. ეკვივალენტობის პრობლემის თვალსაზრისით, რა დასკვნების გაკეთება შეიძლება ინგლისური სიტყვის **eruption** და მისი ქართული შესატყვისების, ანდა იტალიური სიტყვის **ragione** და მისი ქართული შესატყვისების ანალიზის საფუძველზე?
9. რომელია **წყარო** ენა და რომელი – **სამიზნე** ენა, ვთქვათ, ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში? ქართულ-იტალიურში?
10. არსებობს თუ არა ეკვივალენტობის პრობლემა პოლისემიურ სიტყვათა ცალკეული მნიშვნელობების დონეზე?
11. რატომ ქმნის არასრული ეკვივალენტობა პრობლემას ცალკეულ მნიშვნელობათა დონეზე ორენოვანი ლექსიკონების შედგენისას?
12. რამდენად სრულად ესადაგება ამა თუ იმ ინგლისური (ან სხვაენოვანი) სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა მისი სინონიმური ქართული სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურას? როგორ შეიძლება სემანტიკურ სტრუქტურათა ამ ურთიერთდამოკიდებულების გამოსახვა გრაფიკულად?
13. რას წერდნენ ჰარტმანი და ჯეიმზი თარგმნითი ეკვივალენტების შესახებ მათი ზემომოყვანილი ციტატის გაგრძელებაში?
14. რა არის **მნიშვნელობის ეკვივალენტი** და **კონტექსტური ეკვივალენტი**?
15. ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის რა გზები და მეთოდებია გამოყენებული დიდ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში?

## II. შიასრულეთ შიხდეგი დავალბა:

„დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონიდან“ ([www.dict.ge](http://www.dict.ge)) შეარჩიეთ ერთი სიტყვა-სტატია და გააანალიზეთ ეკვივალენტობის პრობლემის თვალსაზრისით. შერჩეული სიტყვა შეადარეთ სხვა ინგლისურ-ქართული ლექსიკონების ანალოგიურ სიტყვა-სტატიებს და იმსჯელეთ ამ ლექსიკონებში ეკვივალენტობის პრობლემის გადაჭრის გზების მსგავსებასა და განსხვავებებზე.

## თავი 8.

### სასწავლო ლექსიკონები\*

სასწავლო ლექსიკოგრაფია, როგორც ჟანრი, გასული საუკუნის 40-იან წლებში წარმოიშვა და ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებად იქცა XX საუკუნის მეორე ნახევარში დიდ ბრიტანეთში.

სანამ ჟანრის თავისებურებებსა და ისტორიას შევეხებით, განვიხილოთ ერთი სიტყვა-სტატია „კემბრიჯის სასწავლო ლექსიკონიდან“ (*Cambridge Learner's Dictionary*) და „ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონიდან“ (*Oxford Advanced learner's Dictionary*):

#### Cambridge Learner's Dictionary

**heart** / ha:t / *noun*

1. **ORGAN** the organ inside your chest that sends blood around your body

*Isabel's heart was beating fast.*

**heart disease/failure**

2. **CENTRE** the centre of something

*Her office is in the heart of Tokyo.*

3. **the heart of sth**

the most important part of something

*We need to get to the heart of the matter.*

4. **FEELINGS** someone's deepest feelings and true character

*She has a kind heart.*

5. **SHAPE** a shape that is used to mean love

See picture shapes

6. **hearts**

playing cards with red, heart shapes on them

\* ამ თავში გამოყენებულია ა. ბეჟუანის ინგლისური ენის ლექსიკოგრაფია (H. Béjoint, *The Lexicography of English*. იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

„კემბრიჯის სასწავლო ლექსიკონი“ განკუთვნილია ინგლისური ენის საშუალო (intermediate) ან საშუალოზე დაბალ დონეზე (pre-intermediate) მცოდნეთათვის, „ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონი“ კი შექმნილია ინგლისური ენის საშუალოზე უფრო მაღალ დონეზე (advanced) მცოდნე მომხმარებლებისათვის.

## Oxford Advanced Learner's Dictionary

### heart

#### PART OF BODY

1. the organ in the chest that sends blood around the body, usually on the left in humans:

// The patient's heart stopped beating for a few seconds. // heart trouble / failure // to have a weak heart // I could feel my heart pounding in my chest (= because of excitement etc.)

2. (literary) the outside part of the chest where the heart is: // She clasped the photo to her heart.

#### FEELINGS / EMOTIONS

3. the place in a person where the feelings and emotions are thought to be, especially those connected with love:

// She has a kind heart. // Have you no heart? // He returned with a heavy heart (= sad). // Her novels tend to deal with affairs of the heart.

#### -HEARTED

4. (in adjectives) having the type of character or personality mentioned:

// cold-hearted // kind-hearted

#### IMPORTANT PART

5. heart (of sth) the most important part of sth:

// the heart of the matter / problem // The committee's report went to the heart of the government's dilemma. // The distinction between right and wrong lies at the heart of all questions of morality.

#### CENTRE

6. heart (of sth) the part that is in the centre of sth:

// a quiet hotel in the very heart of the city

### OF CABBAGE

7. [C] the smaller leaves in the middle of a cabbage, lettuce, etc.

### SHAPE

8. [C] a thing shaped like a heart, often red and used as a symbol of love:

// The words “I love you” were written inside a big red heart.

### IN CARD GAMES

9. hearts [pl] one of the four sets of cards (called suits) in a pack / deck of cards, with red heart symbols on them:

// the queen of hearts

თუ ამ სიტყვა-სტატიებს შევუდარებთ იმავე სიტყვის (heart) სალექსიკონო სტატიას დიდ განმარტებით ლექსიკონში, რომლის ნიმუშადაც წარმოდგენილი იყო „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი“ (იხ. <https://margaliti.com/HEART%20-%20OED.html>), დავინახავთ რამდენიმე თვალში საცემ განსხვავებას:

1. პოლისემიურ მნიშვნელობათა რაოდენობა: თუ ოქსფორდის დიდ ლექსიკონში heart სიტყვის 30 მნიშვნელობაა განმარტებული, სასწავლო ლექსიკონებში პოლისემიური მნიშვნელობები არის მხოლოდ 6 (კემბრიჯის სასწავლო ლექსიკონში) და 9 (ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონში).
2. ლექსიკა, რომლითაც სიტყვის მნიშვნელობებია განმარტებული დიდ ლექსიკონსა და სასწავლო ლექსიკონებში: დიდ ლექსიკონში მნიშვნელობათა განსამარტავად საკმაოდ რთული ლექსიკაა გამოყენებული.

მაგ. : *The hollow muscular or otherwise contractile organ which, by its dilatation and contraction, keeps up the circulation of the blood in the vascular system of an animal.*

სასწავლო ლექსიკონებში იგივე მნიშვნელობა ბევრად მარტივადაა გადმოცემული: *the organ inside your chest that sends blood around your body.*

3. ასეთივე მარტივი ლექსიკაა საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებში.
4. საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები უფრო მოკლეა, ვიდრე დიდ განმარტებით ლექსიკონში. კონტექსტებს არა აქვთ მითითებული წყარო და თარიღი.
5. სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში არ არის წარმოდგენილი სიტყვის ეტიმოლოგია (თუმცა მოგვიანებით სასწავლო ლექსიკონების ელექტრონულ და ონლაინვერსიებში ეს კომპონენტი დაემატა).

განსხვავებით ვრცელი განმარტებითი ლექსიკონებისგან, რომელთა მიზანია ენის მთელი ლექსიკური ფონდის აღწერა, სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობებისა და იდიომატური გამოთქმების სრულად დოკუმენტირება, სასწავლო ლექსიკონებში შედის ენის ლექსიკური ფონდის მხოლოდ ნაწილი, ყველაზე ხშირად ხმარებული სიტყვები და მათი უფრო გავრცელებული მნიშვნელობები თუ ფრაზეოლოგიური ერთეულები და სხვ.

\* \* \*

სასწავლო ლექსიკოგრაფიის განვითარება დაკავშირებულია ისეთ ცნობილ ბრიტანელ მეცნიერთა სახელებთან, როგორებიც არიან: ჰაროლდ პალმერი, ალბერტ ჰორნბი და მაიკლ უესტი. ამ ჟანრის განვითარებას ბიძგი მისცა ინგლისური ენის შესწავლისადმი გაზრდილმა ინტერესმა მთელ მსოფლიოში, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ მიდგომას ენების, განსაკუთრებით კი ინგლისური ენის სწავლებისადმი. პირველი სასწავლო ლექსიკონები იაპონიაში შეიქმნა ტოკიოს „ინგლისური ენის სწავლების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში“, რომლის დირექტორიც 1923-1936 წლებში ჰაროლდ პალმერი იყო.

1927 წელს ზემოხსენებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს დაევალა ინგლისური ენის „ლექსიკური მინიმუმის“ შემუშავება (con-

trolled vocabulary). მასში უნდა შესულიყო ის სიტყვები (1000-2000 სიტყვა), რომელთა ცოდნაც ენის შემსწავლელს ყოველდღიური კომუნიკაციის დამყარების საშუალებას მისცემდა. მეცნიერებმა შეიმუშავეს სხვადასხვა მეთოდი „ლექსიკური მინიმუმის“ დასადგენად. ცნობილია, მაგალითად, ჩ. ოგდენის ე.წ. „ბეისიკ ინგლიშ“ (basic English), 850 სიტყვისაგან შემდგარი გამარტივებული ინგლისური ენა და მის მიერ შემოთავაზებული ენის სწავლების სისტემა.

„ლექსიკური მინიმუმის“ შესაქმნელ მეთოდებს შორის გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება: „ობიექტური რაოდენობრივი მეთოდი“ და „სუბიექტური მეთოდი“. „ობიექტური რაოდენობრივი მეთოდის“ წარმომადგენლები იყვნენ ამერიკელი ლინგვისტები კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ედუარდ თორნდაიკის ხელმძღვანელობით. ეს მეთოდი რაოდენობრივ პრინციპს ეყრდნობოდა და 4 მილიონი სიტყვის შემცველ ტექსტში ითვლიდა და არჩევდა ყველაზე ხშირად ხმარებულ სიტყვებს. თორნდაიკმა შექმნა ასეთი სიტყვების სია (1921), რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისური ენის, როგორც უცხო ენის, მასწავლებლებში. ამ მეთოდს დაუპირისპირდა ჰაროლდ პალმერის მეთოდი, ე.წ. „სუბიექტური მეთოდი“. ჰ. პალმერი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამგვარი ლექსიკური მინიმუმის შერჩევასა და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასწავლებლების გამოცდილების გათვალისწინებასა და მკვლევრის სუბიექტურ მოსაზრებას ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობის თუ ღირებულების შესახებ. 1937 წელს კარნეგის კონფერენციაზე შეჯერდა ეს ორი მიდგომა და გადაწყდა მინიმალური ლექსიკის შესარჩევად როგორც სიტყვების სიხშირის, ისე პედაგოგების გამოცდილების გამოყენება.

ამრიგად, „ლექსიკური მინიმუმი“ თავდაპირველად პედაგოგიური მიზნებით შეიქმნა ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სწავლებისათვის. მოგვიანებით ეს სიტყვები იქცა სასწავლო ტიპის ლექსიკონების შექმნის „საშენ მასალად“.

1935 წელს მაიკლ უესტმა და ენდიკოტმა გამოსცეს *The New Method English Dictionary*, რომელშიც 24000 სიტყვა იყო განმარტებული



1923 სიტყვით. 1940 წელს გამოვიდა ჩ. ოგდენის *General Basic English Dictionary*, რომელშიც 20000 სიტყვა განმარტებული იყო „ბეისიკ ინგლისის“ 850 სიტყვით. 1942 წელს გამოვიდა ბრიტანელი მეცნიერის, ალბერტ ჰორნბის, ლექსიკონი *Idiomatic and Syntactic English Dictionary*, რომელმაც სასწავლო ლექსიკონების განვითარებას დაუდო სათავე. ეს იყო პირველი თაობის სასწავლო ლექსიკონები, მათში 20000 ან მეტი ინგლისური სიტყვა განიმარტებოდა 1500-2000 სიტყვის მეშვეობით.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ელექტრონული კორპუსების განვითარებამ შექმნა მეორე თაობის სასწავლო ლექსიკონები, რომელთა პირველი ნიმუში „კობილდის ინგლისური ენის ლექსიკონი“ იყო. ის შეადგინეს ბირმინგემის უნივერსიტეტში ჯონ სინკლერის ხელმძღვანელობით და მასზე მუშაობის ყოველი ეტაპი (მონაცემთა შეგროვება, მათი დამუშავება და ა.შ.) ეფუძნებოდა ამავე უნივერსიტეტში შექმნილ კორპუსს. ამ პერიოდიდან ელექტრონული კორპუსები და სიხშირული პრინციპით შერჩეული სალექსიკონო მასალა (სიტყვები, მნიშვნელობები, შესიტყვებები, ფრაზული ზმნები, იდიომები, საილუსტრაციო ფრაზები და წინადადებები) იქცა სასწავლო ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად.

დიდი ხნის განმავლობაში სასწავლო ლექსიკონებად მიიჩნევდნენ მხოლოდ ერთენოვან განმარტებით ლექსიკონებს. ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონებს შორის ყველაზე ავტორიტეტული და სარწმუნო აკადემიური ლექსიკონებია „დიდ ხუთეულად“ (Big Five) წოდებული შემდეგი ლექსიკონები: „ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონი ენის მაღალი დონის შემსწავლელთათვის“ (*Oxford Advanced Learner's Dictionary*), „კემბრიჯის ინგლისური ენის საერთაშორისო ლექსიკონი“ (*The Cambridge International Dictionary of English*), „კოლინზის კობილდის ინგლისური ენის ლექსიკონი“ (*The Collins COBUILD English Language Dictionary*), „ლონგმენის თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონი“ (*The Longman Dictionary of Contemporary English*) და „მაკმილანის ინგლისური ენის ლექსიკონი“ (*The Macmillan English Dictionary*).

ოქსფორდის ლექსიკონი ალბერტ ჰორნბის ზემოხსენებული სასწავლო ლექსიკონის მემკვიდრეა. იგი ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ შეიძინა და მას შემდეგ სწორედ ამ სახელითაა ცნობილი. დღეისათვის ეს ლექსიკონი შეიცავს 80000 სიტყვა-სტატიას, რომელიც 3000 სიტყვით არის განმარტებული. ე.წ. ოქსფორდის 3000 (Oxford 3000) მნიშვნელოვანი სიტყვანია, რომლის შერჩევაზეც სპეციალისტთა 70-კაციანი ჯგუფი მუშაობდა. ამ სიტყვანის შერჩევისას ითვალისწინებდნენ არა მხოლოდ სიტყვათა გამოყენების სიხშირეს, არამედ მათ მიერ სხვა სიტყვების განმარტების უნარსაც.

ოქსფორდის ლექსიკონს ახლავს ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე და ონლაინვერსია შემდეგ მისამართზე: <https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>

„ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონი“ დიდი ხნის განმავლობაში იყო ერთადერთი სასწავლო ლექსიკონი.


1978 წელს პირველად გამოიცა ლონგმენის ლექსიკონი, რომელიც 55000 სიტყვა-სტატიას მოიცავდა. ლექსიკონის დეფინიციებში გამოყენებულია 3000 სიტყვა, ხოლო თავად ეს სიტყვები ლექსიკონის მაკროსტრუქტურაში წითელი ფერითაა გამოყოფილი. მომდევნო წლებში ლონგმენის ლექსიკონის რამდენიმე გამოცემა დაიბეჭდა და შეიქმნა ელექტრონული და ონლაინვერსიები. ლონგმენის ლექსიკონის ონლაინვერსია ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://www.ldoceonline.com/>

„კოლინზის კობილდის ლექსიკონი“ გამოიცა 1987 წელს. ლექსიკონი შეიქმნა ბირმინგემში ჯონ სინკლერის ხელმძღვანელობით და, როგორც უკვე აღინიშნა, ეს იყო პირველი კორპუსული სასწავლო ლექსიკონი, რომელიც მთლიანად კორპუსულ მასალას დაეფუძნა. კობილდის ლექსიკონმა სასწავლო ლექსიკოგრაფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპად დაამკვიდრა ელექტრონული კორპუსის გამოყენება. კობილდის ლექსიკონი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://www.collinsdictionary.com/>

1995 წელს პირველად გამოიცა „კემბრიჯის სასწავლო ლექსიკონი“, რომლის 50000 სიტყვა-სტატია 2000 სიტყვით იყო განმარტებული. აღნიშნული ლექსიკონის ინტერნეტმისამართია: <https://dictionary.cambridge.org/>

მაკმილანის ლექსიკონი სასწავლო ლექსიკონების ბაზარზე 2002 წელს შემოვიდა. სასწავლო ლექსიკოგრაფიის ისტორიაში პირველად ლექსიკონს ჰქონდა როგორც ბრიტანული, ისე ამერიკული გამოცემები. მაკმილანის ლექსიკონი დიდ ყურადღებას აქცევს შესიტყვებათა შეტანას სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში, ლექსიკონში არის გამოყოფილი სპეციალური ბლოკები იმ სიტყვებისათვის, რომლებიც ყველაზე ხშირად იხმარება მოცემულ მეთაურ სიტყვასთან. მაგალითად, სიტყვა-სტატიაში **background** შეტანილია: **cultural, disadvantaged, educational, ethnic, middle-class, privileged** და სხვ.

მაკმილანის ლექსიკონის ელექტრონულ და ონლაინვერსიებს აქვს ე.წ. მენიუს ფუნქცია (იხ. სურ. 1). სალექსიკონო სიტყვა-სტატიის თავში ერთადაა მოცემული სიტყვის ყველა პოლისემიური მნიშვნელობა, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, ერთიანად აღიქვას სიტყვა-სტატია.



სურ. 1.

კურსორის მიტანითა და დანკაპუნებით მენიუდან შესაძლებელია ყოველ ცალკეულ მნიშვნელობაზე გადასვლა.

მაკმილანის ლექსიკონი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://www.macmillandictionary.com/>

ზემოხსენებული სასწავლო ლექსიკონები ცნობილია შემდეგი აბრევიაციებით:

*Oxford Advanced Learner's Dictionary – OALD*

*Longman Dictionary of Contemporary English – LDOCE*

*Collins COBUILD English Language Dictionary – COB*

*Cambridge International Dictionary of English – CIDE*


*Macmillan English Dictionary for Advanced Learners – MEDAL*

\* \* \*

სასწავლო ლექსიკონები ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. ლექსიკონში შესულია ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები და მათი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობები, შესიტყვებები, ფრაზეოლოგიური ერთეულები;
2. ლექსიკონში უმეტეს შემთხვევაში არ შედის მოძველებული და არქაული სიტყვები, ასევე სიტყვების მოძველებული და არქაული მნიშვნელობები;
3. ლექსიკონში გამოყენებულია მარტივი ლექსიკა, სალექსიკონო დეფინიციები შექმნილია სხვადასხვა რაოდენობის სიტყვებით, 1500-დან 3000 სიტყვამდე;
4. ლექსიკონში არ არის შეტანილი ეტიმოლოგიები;
5. ლექსიკონი მთლიანად ეფუძნება ელექტრონულ კორპუსებს;
6. სასწავლო ლექსიკონებს, როგორც წესი, აქვთ ელექტრონული და ონლაინვერსიები;

7. სასწავლო ელექტრონულ და ონლაინ ლექსიკონებში გამოყენებულია სხვადასხვა ფერისა და ზომის შრიფტები, რათა მასალა უფრო ადვილად აღსაქმელი გახდეს მომხმარებლისთვის;
8. სასწავლო ლექსიკონებს ახლავს ილუსტრაციები (იხ. სურ. 2);
9. ელექტრონულ და ონლაინ ლექსიკონებს დართული აქვს ლექსიკური სავარჯიშოები ლექსიკონში შეტანილი სიტყვებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების უკეთ შესასწავლად და დასამახსოვრებლად.



სურ. 2.

2008 წელს გამოიცა პირველი ამერიკული სასწავლო ლექსიკონი, რომელიც მერიემ-უებსტერმა გამოსცა. ლექსიკონის ინტერნეტვერსია განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://www.learnersdictionary.com>

დღეისათვის სასწავლო ლექსიკონები შექმნილია მსოფლიოს მრავალი ენისათვის.



\* \* \*

როგორც უკვე აღინიშნა, დიდი ხნის განმავლობაში სასწავლო ლექსიკონებად მიიჩნეოდნენ მხოლოდ განმარტებით ლექსიკონებს. უკანასკნელ წლებში ენათმეცნიერები და განათლების სფეროს წარმომადგენლები ალაპარაკდნენ ორენოვანი სასწავლო ლექსიკონების დიდ საჭიროებასა და მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე უცხო ენების სწავლების დარგში. მრავალ ქვეყანაში, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩატარდა ექსპერიმენტები, რომელთა მიზანი იყო იმის გამოვლენა, თუ რომელი ტიპის ლექსიკონია უფრო ეფექტური ახალი სიტყვების, ზოგადად, უცხო ენის ლექსიკონის ათვისებისას. როგორც მრავალი ექსპერიმენტით დადასტურდა, ორენოვანი ლექსიკონები უფრო ეფექტური აღმოჩნდა, განსაკუთრებით ახალი სიტყვების დამახსოვრებისა (*retention*) და მათი სწორ კონტექსტში გამოყენების (*production*) თვალსაზრისით. ამ ექსპერიმენტებმა დიდად წაახალისა ორენოვანი სასწავლო ლექსიკონების შექმნა.

საქართველოში სასწავლო ტიპის ორენოვანი ლექსიკონები გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იქმნება. პირველი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი (20000 სიტყვა) საქართველოში გამოვიდა 1939 წელს. მისი შემდგენელი იყო თბილისის უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ისიდორე გვარჯალაძე. ეს ლექსიკონი არაერთგზის გამოიცა, გამოვიდა მისივე ქართულ-ინგლისური ლექსიკონი, ინგლისურ-ქართული ანდაზების ლექსიკონი. ამ სერიის ბოლო წიგნები დაიბეჭდა 1975 წელს – „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ (40000 სიტყვა) და 1979 წელს – „ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ (40000 სიტყვა), ორივე თამარ გვარჯალაძის თანაავტორობით. ეს ლექსიკონები დიდი ხნის განმავლობაში ერთადერთი იყო და მათ საზოგადოებას დიდი სამსახური გაუწიეს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში გამოვიდა უცხო ენების პედაგოგიური ინსტიტუტის კიდევ ერთი პედაგოგის, ჯუანშერ მჭედლიშვილის, ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელიც უპირატესად

სასწავლო მიზნებს მიესადაგა. 2009 წელს დაიბეჭდა ლექსიკონის მერვე შესწორებული და შევსებული გამოცემა, დავით მჭედლიშვილისა და ივეტა გოცირიძის თანაავტორობით.

2019 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრმა გამოსცა „ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი“ – *English-Georgian Learner's*



სურ. 3.

*Dictionary* (იხ. სურ. 3). ლექსიკონი შეიქმნა იმ გუნდის მიერ, რომელმაც 1995-2014 წლებში მოამზადა და გამოსცა „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ 14 ტომი და შემდგომ მისი ონლაინვერსია ([www.dict.ge](http://www.dict.ge)). სასწავლო ლექსიკონში შევიდა 30000 ყველაზე ხშირად ხმარებული ინგლისური სიტყვა, ამ სიტყვების ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობები, ფრაზული ზმნები, ფრაზეოლოგიური ერთეულები. ლექსიკონის სიტყვა-სტა-

ტიების საილუსტრაციო ფრაზებსა და წინადადებებში უმეტესწილად გამოყენებულია უფრო მარტივი ლექსიკა, ვიდრე „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ მაგალითებში. „ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონის“ ონლაინვერსია ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://learners.dict.ge/>. ლექსიკონს აქვს მობილური აპლიკაცია.

ინგლისური ენის გარდა, სასწავლო ტიპის ლექსიკონები იქმნებოდა და იქმნება სხვა ენებისთვისაც, როგორებიცაა: ფრანგული ენა, ნიდერლანდური ენა და სხვ.





## 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. როდის ჩაისახა სასწავლო ლექსიკოგრაფია, როგორც ჟანრი?
2. რა განსხვავებები და კანონზომიერებები შეიძლება შევამჩნიოთ, თუ ერთმანეთს შევადარებთ სიტყვა-სტატიას **heart** („გული“) „კემბრიჯის სასწავლო ლექსიკონიდან“ და „ოქსფორდის სასწავლო ლექსიკონიდან“, ერთი მხრივ, და „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონიდან“, მეორე მხრივ? ჩამოთვალეთ ზოგიერთი მათგანი.
3. ლექსიკური ფონდის რა ნაწილია შეტანილი სასწავლო ლექსიკონებში?
4. ვინ არიან ბრიტანელი მეცნიერები, რომელთა სახელებთანაც არის დაკავშირებული სასწავლო ლექსიკოგრაფიის განვითარება?
5. რამ მისცა ბიძგი სასწავლო ლექსიკოგრაფიის განვითარებას?
6. რას წარმოადგენს ენის ე.წ. „ლექსიკური მინიმუმი“ (**controlled vocabulary**) და რა მიზნებისთვის არის საჭირო მისი განსაზღვრა?
7. დაახლოებით რამდენი სიტყვა უნდა შედიოდეს „ლექსიკურ მინიმუმში“?
8. ლექსიკური მინიმუმის შექმნის რომელი ორი ძირითადი მეთოდი შეგიძლიათ დაასახელოთ?
9. რომელი ლექსიკონები შედის ავტორიტეტულ სასწავლო ლექსიკონთა „დიდ ხუთეულში“ (**Big Five**)?
10. პირველად რომელი სასწავლო ლექსიკონი შეიქმნა მთლიანად კორპუსული მონაცემების საფუძველზე?
11. რომელი ელექტრონული და/ან ონლაინლექსიკონების დასახელება შეგიძლიათ? რომელ მათგანს იყენებთ ყველაზე ხშირად პირადად თქვენ?
12. რა უპირატესობები აქვს ლექსიკონების შექმნას კორპუსული მონაცემების საფუძველზე?
13. რა ძირითად პრინციპებს ეფუძნება სასწავლო ლექსიკონები?
14. რა ტენდენცია შეინიშნება უკანასკნელ წლებში ორენოვანი სასწავლო ლექსიკონების მნიშვნელობის შეფასების თვალსაზრისით? რამდენად

ადასტურებს ორენოვანი სასწავლო ლექსიკონებისადმი ამ ახლებური მიდგომის უპირატესობას მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული ექსპერიმენტები?

15. რა ეწოდება ლექსიკონს, რომელიც „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიამ გამოსცა 2019 წელს? რამდენი სიტყვა შედის ამ ლექსიკონში?

## II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:

შეარჩიეთ სიტყვა და შეადარეთ ამ სიტყვის სალექსიკონო სტატიები სამ სხვადასხვა სასწავლო ლექსიკონში. ინგლისური ენისათვის მითითებულია ლექსიკონების ვებსაიტები (იხ. მე-8 თავი). სხვა ენების სასწავლო ლექსიკონები შეარჩიეთ ინტერნეტ-მისამართიდან:

[https://www.lexilogos.com/dictionnaire\\_langues.htm](https://www.lexilogos.com/dictionnaire_langues.htm)

## თავი 9.

### ინგლისური ენის გავლენით ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები და მათი გამომწვევი მიზეზები

1989 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ეკოლოგია და კულტურა“ (№2, 13.01), აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე განიხილავს ეკოლოგიის პრობლემებს სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თვალთახედვით და შემოაქვს მეტად საგულისხმო ტერმინი „კულტურის ეკოლოგია“.

„ჩვენ, – წერს მეცნიერი, – მთელ ყურადღებას მივაპყრობთ ფიზიკურ-ბიოლოგიურ ეკოლოგიას და თითქმის მთლიანად უგულებელვყოფთ კულტურის ეკოლოგიის პრობლემებს, მაშინ როდესაც მთელი მსოფლიოს ხალხებს, და განსაკუთრებით მცირერიცხოვან ერებს, ფიზიკური გარემოს სინმინდის დაცვაზე არანაკლებ მწვავედ აწუხებთ ეროვნული კულტურისა და ენის გადარჩენის, თავიანთ ესთეტიკურ და ეთიკურ ფასეულობათა დაცვის საკითხები“. იმ პერიოდში, როდესაც ეს სტატია დაინერა, ქართულ ენას, ისე როგორც საბჭოთა იმპერიაში მოქცეულ სხვა ენებსაც, გადაშენების საშიშროება ემუქრებოდა. დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ქართული ენა ახალი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ამჯერად ეს არის ინგლისური ენის ყოვლისმომცველი გავლენა, რის გამოც ამ პროცესებს ღრმა ანალიზი და გააზრება სჭირდება.

ქართული ენის ლექსიკა ჟამთააღმწერლის სიზუსტით აღწერს ქართველი ხალხის ისტორიასა და მის კავშირებს სხვა ენებთან და ერებთან. ეს ისტორიული კონტაქტები თანამედროვე ქართულ ლექსიკაში ასახულია არაბული, სპარსული, თურქული თუ სხვა წარმოშობის სიტყვებით. ჩვენი ქვეყნის ორსაუკუნოვანმა არსებობამ ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენ-

ლობაში ქართულ ენას დაუტოვა საკმაოდ ვრცელი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, რომელიც განმარტავს ამ პერიოდში ქართულ ენაში შემოსულ უცხო სიტყვებს უშუალოდ რუსული ენიდან ან ევროპული ენებიდან რუსული ენის გავლით. გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოცემული უცხო სიტყვათა აკადემიური ლექსიკონი (მ. ჭაბაშვილი, 1989) 15000-ზე მეტ სიტყვა-სტატიას მოიცავს. რუსული ენის გავლენამ ქართულ ენას ასევე დაუტოვა ასობით ბარბარიზმი, რომელთაგანაც ქართული ენა კვლავაც ვერ განთავისუფლებულა.

მაშასადამე, ქართული ენა ტრადიციულად „ღია“ ენაა. ის ადვილად სესხულობს სიტყვებს სხვა ენებიდან. მიუხედავად ამისა, ბოლო წლებში ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები ქართული საზოგადოებისა და აკადემიური წრეების გაღიზიანებასა და შეშფოთებას იწვევს. როგორც უკვე აღინიშნა, ეს პროცესები დაკავშირებულია ინგლისურ ენასა და მის ყოვლისმომცველ გავლენასთან: ინტერნეტი და თანამედროვე საინფორმაციო თუ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები; საერთაშორისო ურთიერთობები, პირდაპირი დიპლომატიური კავშირები უცხოეთთან, რაც დამოუკიდებლობის წლებს უკავშირდება; საბაზრო ეკონომიკა, ახალი სამეწარმეო და სამართლებრივი ურთიერთობები; რევოლუციური წინსვლა მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში. ეს სიახლეები დაკავშირებულია ახალ ტერმინოლოგიასთან, ახალი ცნებების აღმოცენებასთან, რაც ბუნებრივად მოაწყდა ქართულ ენას სწორედ ინგლისური ენის მეშვეობით.

ლექსიკა უცხო ენის გავლენაზე ყველაზე სწრაფად რეაგირებს და ქართულ ენაში დიდი რაოდენობით შემოედინება სიტყვები ინგლისური ენიდან: დააფდეითება, დაკლიკვა, დალაიქება, დათაგვა, დაფორვარდება, დაქენსელება, დისემინაცია, დედლაინი, დეიოფი, დესტინაცია, დრაივი, დუთიფრი, ევალუაცია, ევიდენსი, ემერჯენსი, ექშენ ფლენი, ვალიდურობა, აჯენდა, აროგანტული, კოპროდუქტი, ასისტანსი და მრავალი სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ინგლისური წარმომავლობის სიტყვას მოეპოვება ქართული შესატყვისი ან შესატყვისები. მაგ.: დააფდეითება – განახლება, დაკლიკვა – დან-

კაპუნება, დალაიქება – მონონება, დათაგვა – მონიშვნა, დაფორვარდება – გადაგზავნა, დაქენსელება – გაუქმება და ა.შ. ამ ტიპის არასაჭირო ნასესხობას ბარბარიზმებს ვუნოდებთ. **ბარბარიზმს** აქვს რამდენიმე დამახასიათებელი ნიშანი: 1. ის არასაჭირო ნასესხობაა, რადგან ენას აქვს მისი შესაბამისი სიტყვა ან სიტყვები. ამ თვალსაზრისით, ბარბარიზმი განსხვავდება უცხო სიტყვისგან, რომელსაც ენაში შემოაქვს ახალი ცოდნა, მაგ., კომპიუტერი, ინტერნეტი, კლონი, მუტაცია და სხვ.; 2. მისი ხშირი გამოყენება მშობლიური ენის სიტყვას ან სიტყვებს განდევნის ხმარებიდან და იწვევს ენის გაღარიბებას; 3. მესამე ნიშანი, რომელიც ბარბარიზმთან ასოცირდება ქართულ ენაში, კარგადაა გადმოცემული „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის“ შესაბამის სიტყვა-სტატიაში: „ენის ვულგარული, დაუხვეწელი მდგომარეობა“ (OED).

უნდა აღინიშნოს განსხვავება რუსული წარმომავლობისა და ინგლისურენოვან ბარბარიზმებს შორის. რუსული წარმოშობის ბარბარიზმები ბევრად მეტია ენაში, ვიდრე ინგლისურენოვანი: ატვიორტკა (*отвёртка*), პრაკლადკა (*прокладка*), გაიკა (*гайка*), კალოდკა (*колodka*), რაზვალი (*развал*) და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბარბარიზმები ათწლეულების განმავლობაში აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ მეტყველებაში, ისინი არ განიხილება საშიშროებად, რადგან არ აბინძურებს სალიტერატურო ენას.

რაც შეეხება ინგლისური წარმომავლობის ბარბარიზმებს, ისინი სწრაფად იქცა მოდად, ფსევდოგანათლებულობის, მაღალი სოციალური სტატუსის ხაზგასმის საშუალებად. სწორედ ამან შექმნა საფრთხე, რამდენადაც ასეთი ლექსიკა აქტიურად ისმის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ექსპერტების მეტყველებაში. სწორედ მედიაშეუწყობილი ამ ტიპის ლექსიკის არამხოლოდ სწრაფ გავრცელებას, არამედ უფრო სწრაფ მომრავლებას ენაში. ინგლისური წარმოშობის ბარბარიზმები თანდათან იქცა ერთგვარ ზვავად, რომელიც ყოველდღე ათობით ქართულ სიტყვას შთანთქავს და წალეკვით ემუქრება ენას.

ინგლისური ენის გავლენა ქართული ენის ლექსიკაზე არ შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული არასაჭირო სიტყვების შემოსვლით ენაში. ძალიან გახშირდა ინგლისური სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობების მიწერა მათი ეკვივალენტი ქართული სიტყვებისათვის, რომელთაც ეს მნიშვნელობა არა აქვთ ქართულში. ასეთია, მაგალითად, ინგლისური **chemistry** და ქართული **ქიმია**. ქართულ ენაში **ქიმია** მხოლოდ მეცნიერების დარგს აღნიშნავს, ინგლისურში კი ამ სიტყვას მეორე მნიშვნელობაც აქვს: „*ძლიერი ფიზიკური მიზიდულობა ადამიანებს შორის; ურთიერთსიმპათია, ემოციური მიზიდულობა ადამიანებს შორის*“. ინგლისური სიტყვის გავლენით ქართულ ქიმიასაც მიანერენ ამ მნიშვნელობას, არადა აღნიშნული მნიშვნელობით ინგლისური **chemistry** არა ქიმიით, არამედ სხვა ქართული ეკვივალენტებით უნდა გადმოიცეს. უდავოა ის ფაქტი, რომ ენებს შორის ასეთი ტიპის სესხებაც ხდება და ქართულ სიტყვას შესაძლოა განუვითარდეს ახალი პოლისემიური მნიშვნელობა ინგლისური შესაბამისი სიტყვის პოლისემიის გავლენით, რასაც ენათმეცნიერაში **სემანტიკური სესხება** ეწოდება. მაგრამ აქაც უნდა განვასხვაოთ ენის საჭიროება და ენისთვის არცოდნით თავს მოხვეული სიტყვების გამოყენება. საგანგაშოა ასეთი შემთხვევების მეტისმეტი გახშირება, რასაც ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ტექსტებში (ფილმებში, რომანებში და ა.შ.) ვაწყდებით. ერთ-ერთი ფილმის ქართულ თარგმანში, სიტყვის უმართებულოდ თარგმნის გამო, წარღვნამდელი ადამიანი კორუმპირებულიც კი გახადეს! (**corrupted**).

კიდევ უფრო რთული ვითარებაა ინგლისური შესიტყვებების, ფრაზეოლოგიური ერთეულების ქართულად გადმოტანისას, რაც ხშირად სიტყვასიტყვით ითარგმნება.

ხაზი უნდა გაესვას ინგლისური ენის გავლენით ქართული ენის ლექსიკაში მიმდინარე პროცესების კიდევ ერთ ასპექტს. როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსული ენის დომინირების პერიოდში ქართულში ბევრი უცხო სიტყვა შემოვიდა. ეს სიტყვები ხშირად ლათინური ძირის

სიტყვებია და, თუმცა ჩვენს ენაში რუსული ენის გზით შემოვიდა, შეიძლება ნებისმიერი ევროპული ენიდან შემოსულიყო.

მაგ., ინტელექტი – интеллект, intellect; ტალანტი – талант, talent; ტრანსპარანტული – транспарантный, transparent; რეზულტატი – результат, result; ნეგატიური – негативный, negative; აპლიკაცია – аппликация, application; რეზერვაცია – резервация, reservation და ა.შ. აღნიშნულმა სიტყვებმა გრძელი გზა განვლო, სანამ ქართულ ენამდე მოაღწევდა: ლათინურიდან ფრანგულში, ფრანგულიდან რუსულში, რუსულიდან ქართულში. ეს სიტყვები ქართულ ენაში ძირითადად დამკვიდრდა იმ მნიშვნელობით, რომელიც მათ რუსულ ენაში ჰქონდათ. დღეს იმავე ლათინური ძირის სიტყვები ქართულში სხვა მნიშვნელობით შემოდის ინგლისური ენიდან, ანუ ხდება ამ სიტყვების ხელახალი სესხება ინგლისური ენიდან. მაგ., რეზერვაცია, როგორც უცხო სიტყვა, ქართულში დამკვიდრებულია შემდეგი მნიშვნელობით: „ჩრდილოეთ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და ავსტრალიაში: ადგილი, სადაც იძულებითი წესით არიან დასახლებული ადგილობრივი მკვიდრნი“ (მ. ჭაბაშვილი, 1989). დღეს ინგლისური ენის გავლენით ამ სიტყვას „დაჯავშნის“ მნიშვნელობით იყენებენ. ანალოგიური მოვლენა დასტურდება სიტყვებთან: „კონტრიბუცია“, „აპლიკაცია“, „კოლაბორაცია“, „ინტერვენცია“ და ა.შ. ამის შედეგად ენაში ჩნდება ომონიმური წყვილები, რადგან ქართულში, ინგლისურისაგან განსხვავებით, ამ ორ მნიშვნელობას შორის კავშირი არ ჩანს. ასეთი მაგალითები ძალიან მომრავლდა. როგორც აღინიშნა, ქართული ენის უცხო სიტყვათა ლექსიკონში 15000 სიტყვა-სტატიაა. ყველა უცხო სიტყვას თუ ამგვარად შეეცვალა მნიშვნელობა, ესეც ქაოსს შექმნის ენაში.

ინგლისური ენის გავლენა არ შემოფარგლულა მხოლოდ ლექსიკური დონით და თანდათან შემოაღწია ისეთ მყარ სისტემებში, როგორებიცაა: მორფოლოგია და სინტაქსი. ქართული ენა სინთეზური ენაა კარგად განვითარებულ დაბოლოებათა სისტემით. ინგლისური ენა კი ანალიზური ენაა, მას არა აქვს დაბოლოებები და გრამატიკულ მიმართებებს სიტყვებს შორის გამოხატავს დამხმარე სიტყვებით,



წინდებულებით, წინადადების წყობითა და სხვა საშუალებებით. ინგლისური ენის გავლენით უკვე შეინიშნება ქართულ ენაში მისთვის ბუნებრივი ბრუნვის დაბოლოებების ამოვარდნის მრავალი შემთხვევა, მაგ.: **office manager** – ოფის მენეჯერი,\* ოფისის მენეჯერის ნაცვლად; **Mercedes Benz fashion week** – მერსედეს ბენც მოდის კვირეული, მერსედეს ბენცის მოდის კვირეულის ნაცვლად; **the Rugby Championship** – რაგბი ჩემპიონატი, რაგბის ჩემპიონატის ნაცვლად; **Covid-infected** კოვიდ ინფიცირებული,\*\* კოვიდით ინფიცირებულის ნაცვლად და სხვ.

ინგლისური ენა არა მარტო მორფოლოგიური სტრუქტურით განსხვავდება ქართული ენისგან, არამედ აზრის გადმოცემის მანერითაც. მაგ., წესად იქცა ინგლისური ტექსტის სიტყვასიტყვით გადმოთარგმა ქართულად, რაც ხშირად აზრის სწორად გაგებას უშლის ხელს. ეს კი ძალიან სახიფათოა მნიშვნელოვანი დოკუმენტების, სახელმძღვანელოების, ინსტრუქციების თარგმნისას, რომ აღარაფერი ვთქვათ მხატვრულ ლიტერატურაზე, საბავშვო წიგნებზე და ა.შ.

მძიმე მდგომარეობაა თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში: პრეციპიტაცია (**precipitation**), შაპერონი (**chaperone**), ქემოატრაქტანტი (**chemoattractant**), ტრანზიციული მუტაცია (**transitional mutation**), რეზიდუალური სტრესის პატერნი (**residual stress pattern**), ობსესიურ-კომპულსიური აშლილობა (**obsessive-compulsive disorder**) და ა.შ. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ ბოლო 10-5 წლის განმავლობაში სხვადასხვა დარგში დამკვიდრებული ტერმინების 90 % ინგლისური ტერმინების ტრანსლიტერირებული ვარიანტებია, მათ შორის – მრავალსიტყვიანი ტერმინებიც.

ამ პროცესების შედეგად ქართული ენა მეტისმეტად დაბინძურდა. წარმოიქმნა იმის რეალური საშიშროება, რომ ცვლილებათა რაოდენობა გადავიდოდა თვისებრიობაში და დიდ ცვლილებებს გამოიწვევდა ენაში, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნიდა ქართული ენის

\* ამ შემთხვევაში სიტყვები ერთად უნდა დაინეროს: ოფისმენეჯერი.

\*\* ამ შემთხვევაშიც სიტყვები ერთად უნდა დაინეროს: კოვიდინფიცირებული.

საკომუნიკაციო და სხვა ფუნქციებს. ასეთი დიდი ცვლილებები ალბათ უცხო არ უნდა იყოს არც ერთი ენის ისტორიისათვის, მათ შორის არც ქართული ენისთვის, მაგრამ ის, რაც ხდება ენაში პოლიტიკური არასტაბილურობის, კოლონიური მდგომარეობისა თუ სხვა მიზეზების გამო, მიუღებელია უკვე ჩამოყალიბებული ეროვნული, სახელმწიფო ენისათვის.

ქართული ენის ასეთი მასშტაბური დაბინძურება მრავალი მიზეზითაა შეპირობებული და ქმნის სწორედ იმგვარ კულტურულ-ეკოლოგიურ პრობლემას ქართველი ხალხისათვის, როგორზედაც აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე წერს თავის ზემოხსენებულ სტატიაში: „ასეთი ხალხებისა და ენების დაკარგვით კაცობრიობა უფრო ღარიბი და ერთფეროვანი ხდება, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ხალხების ეროვნულ გრძნობებზე, რომელთაც ისტორიულმა ბედმა არგუნა, გამხდარიყვნენ ცოცხალი მონმენი თავიანთი ეროვნული ენებისა და ეროვნული კულტურების შებღალვისა“.

## **რა არის ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების მიზეზი?**

ამ პროცესების მიზეზები მრავალგვარია, რასაც განათლების სისტემასა და იქ არსებულ პრობლემებთან მივყავართ. შევეხებით მხოლოდ რამდენიმეს.

ქართველი ბავშვები პირველ კლასში ერთდროულად იწყებენ წერა-კითხვის შესწავლას ქართულ და ინგლისურ ენებზე. საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას რუსული ენის სწავლება საქართველოს სკოლებში იწყებოდა მეორე კლასიდან. ძნელი გასაგებია, რა აუცილებლობითაა დღევანდელი პოლიტიკა ნაკარნახები. პრობლემა მხოლოდ ის კი არ არის, რომ ყველა ბავშვს ერთნაირი გონებრივი შესაძლებლობები არა აქვს და ორ ენაზე ერთდროულად წერა-კითხვის შესწავლა შეუძლება გაუჭირდეს. საქმე ისაა, რომ ის სახელმძღვანელოები, რომლებითაც ქართველი ბავშვები წერა-კითხვას სწავლობენ, ვერ უძლებს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებისა და სხვა დამატებითი რესურსების – დისკების, შემეცნებითი სახალისო

თამაშების და ა.შ. – კონკურენციას. ქართველი ბავშვები უფრო ხალისით სწავლობენ წერა-კითხვას ინგლისურ ენაზე, ვიდრე ქართულად. ეს ეხება პირველდანიყებით საკითხავ ქართულენოვან ლიტერატურასაც, რომელიც კონცეპტუალურად, ენობრივად თუ შინაარსით შეაყვარებდა ქართველ ბავშვებს კითხვას მშობლიურ ენაზე. ფაქტია, რომ უკიდურესადაა გაღარიბებული ქართველი ახალგაზრდების ლექსიკა. მის გამდიდრებას კი ბევრი კითხვა სჭირდება. ქართველი ბავშვები ვერ შეიყვარებენ ქართულად წიგნის კითხვას იმ სახელმძღვანელოებით, საბავშვო წიგნებით, თარგმანებითა თუ სხვა რესურსებით, რომლებიც დღესდღეობით მოგვეპოვება საქართველოში. ქართული ენა უნდა ამეტყველდეს თანამედროვე ტექნოლოგიების ენაზე და ამ ტექნოლოგიებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ბავშვები დარჩებიან მხოლოდ ინგლისურენოვანი ფილმების, თამაშების, გადაცემების ტყვეობაში და ჩვენ წავაგებთ ბრძოლას ქართული ენისათვის.

კიდევ უფრო დიდი პრობლემაა უცხო ენებისა და, კერძოდ, ინგლისური ენის სწავლების მეთოდები, რომლებიც ბოლო ხანებში დამკვიდრდა საქართველოს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში და რომლებმაც სრულიად უარყო მშობლიური ენის გამოყენება უცხო ენების სწავლებისას. დედაენის გამოყენება უცხო ენის სწავლების დროს არ ნიშნავს იმას, რომ, მაგალითად, ინგლისური ენის გაკვეთილი ქართულ ენაზე უნდა ჩატარდეს. ეს ნიშნავს ინგლისური ენის ლექსიკური, გრამატიკული და სინტაქსური ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანას ქართული ენის სათანადო ლექსიკურ, გრამატიკულ და სინტაქსურ ინფორმაციასთან. სულ უფრო მეტი უცხოელი მეცნიერი უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ უცხო ენების სწავლებისას საჭიროა უცხო ენის შემსწავლელს გავაცნობიერებინოთ მის მშობლიურ ენასა და უცხო ენას შორის არსებული სხვაობა, ასიმეტრია. ინგლისურენოვან ბარბარიზმებსა და მთლიანად ქართულ ენაში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება და მათი ანალიზი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს ქართულ და ინგლისურ სიტყვებს შორის არსებობს მარტივი სიმეტრია, რომ ქართული სიტყვები იმავე

შინაარსს გადმოსცემენ ან უნდა გადმოსცემდნენ, რომელსაც მათი შესატყვისი ინგლისური სიტყვები, რომ ერთ ინგლისურ სიტყვას ერთი ქართული სიტყვა უნდა შეესატყვისებოდეს, ორს – ორი და ა.შ. ასეთივე მიდგომაა ფრაზებისა და წინადადებების მიმართ, რომლებიც ხშირად, როგორც ზემოთ აღინიშნა, სიტყვასიტყვით ითარგმნება ინგლისურიდან ქართულად. **შესაძლოა, სწორედ ეს გავრცელებული უმართებულო აზრი იყოს კიდევ ქართულ ენაში ამდენი ბარბარიზმისა და მახინჯი პროცესების მომრავლების წყარო.**

სინამდვილეში კი სრულიად სხვა ვითარება გვაქვს: ქართული და ინგლისური ენები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან ენობრივი აზროვნებით, აზრის გადმოცემის მანერით. ძნელია მოიძებნოს ქართული და ინგლისური ეკვივალენტური სიტყვები, რომლებიც ყველა კონტექსტში ჩაანაცვლებს ერთმანეთს. **ეს არის ენობრივი კანონზომიერება.** სემანტიკური ასიმეტრიის საკითხები დეტალურადაა განხილული ამ სახელმძღვანელოს მეოთხე და მეშვიდე თავებში. ასევე, როგორც აღინიშნა, ინგლისურ ენაში არის სიტყვები, რომლებიც ქართულ ენაში საერთოდ არ არის ლექსიკალიზებული. მაგ., *privacy* ინგლისურ ენაში ნიშნავს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. ქართულ ენაში ჩვენ არ გვაქვს ცალკე სიტყვა, რომელიც ამ ცნებას აღნიშნავს, ამიტომ ქართულად მის გადმოსაცემად საჭიროა სამი სიტყვა: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა“. **ესეც კანონზომიერებაა და იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ენა ლექსიკური სიმდიდრით ჩამორჩება ინგლისურ ენას.** ასევეა ქართულშიც უამრავი ცნება, რომელიც არ არის ინგლისურში ან სხვა ენებში ლექსიკალიზებული. ასეთივე ასიმეტრიაა ინგლისური და ქართული ენების მორფოლოგიურსა და სინტაქსურ წყობას შორის.

**სწორედ ასეთი სწორხაზოვანი სიმეტრიის არარსებობაშია ყოველი ცალკეული ენის, მათ შორის ქართულის, სიმდიდრე და უნიკალურობა.** ეს ასიმეტრია ინგლისური ენის შემსწავლელმა, სპეციალისტმა, მასწავლებელმა თუ მთარგმნელმა კარგად უნდა გაი-

თავისონ და ეს უნდა გახდეს ინგლისური ენისა თუ, ზოგადად, უცხო ენების შესწავლის ქვაკუთხედი.

სწორედ ამ განსხვავებების გამოა საჭირო უცხოენოვანი ინფორმაციის შესაბამისობაში მოყვანა მშობლიური ენის სათანადო ინფორმაციასთან. არადა, ბოლო ხანებში საქართველოში გავრცელებული უცხო ენების სწავლების მეთოდები მაქსიმალურადაა ორიენტირებული სასწავლო პროცესიდან დედაენის განდევნაზე, თარგმანის როლის დაკნინებაზე, რასაც თან ახლავს ორენოვანი, თარგმნითი ლექსიკონების გამოყენებაზე უარის თქმა და მისი ჩანაცვლება ერთენოვანი, უცხოენოვანი განმარტებითი ლექსიკონებით. ინგლისური ბარბარიზმების გამოყენების მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის მათი **ქართული ეკვივალენტების არცოდნა**. მოსაუბრეს უჭირს სათანადო ქართული სიტყვის მიგნება, რადგან მის ცნობიერებაში ესა თუ ის ინგლისური სიტყვა არაა შესაბამისობაში მოყვანილი ბუნებრივ ქართულ ეკვივალენტთან. უცხო ენის სწავლების პროცესიდან მშობლიური ენის განდევნა, ერთი მხრივ, ხელს უშლის უცხო ენის სრულფასოვან შესწავლას, მეორე მხრივ კი, აზარალებს მშობლიურ ენას. უცხო ენის შესწავლა რთული პროცესია, მით უფრო ძნელია ქართველისათვის ინგლისური თუ სხვა ევროპული ენის შესწავლა, რადგან ქართული არ არის ამ ენათა მონათესავე და, როგორც ზემოთ აღინიშნა, მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან როგორც სტრუქტურულად, ისე აზრის გადმოცემის წესით. უცხო ენის შესწავლისას საჭიროა ახალი ენობრივი (ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური) ინფორმაციის მიმართებაში მოყვანა ენის შემსწავლელისთვის ყველაზე უკეთ ნაცნობ ენასთან, ანუ დედაენასთან. ორენოვან, უცხოურ-მშობლიურ ლექსიკონს ესა თუ ის ახალი ლექსიკური ერთეული თუ სინტაქსური კონსტრუქცია ადვილად მოჰყავს მშობლიურ ენასთან შესაბამისობაში. ეს, ერთი მხრივ, აადვილებს სწავლის პროცესს, მეორე მხრივ კი, ენის შემსწავლელს აჩვენებს მშობლიურ ენაზე უცხო ენის ბუნებრივი ლექსიკური თუ სინტაქსური ეკვივალენტების მორგებას და ეხმარება მას, გამართულად წეროს

და იმეტყველოს დედაენაზე, მშობლიურ ენას თავს არ მოახვიოს მისთვის არაბუნებრივი ფორმები. ეს პრობლემა კარგადაა ცნობილი უცხო ენების უფროსი თაობის ქართველი სპეციალისტებისათვის, რომლებიც სათანადო ქართულენოვანი ლექსიკონების სიმცირის ან არარსებობის გამო უცხო ენებს რუსულენოვანი ლექსიკონებით ეუფლებოდნენ. ამის შედეგად უცხო ენის ქართველი შემსწავლელის ცნობიერებაში უცხო სიტყვა შესაბამისობაში იყო მოყვანილი სათანადო რუსულ და არა ქართულ ეკვივალენტთან. იმ პერიოდში ქართული ენა ზარალდებოდა რუსული ენისა და რუსულენოვანი ლექსიკონების სიჭარბის გამო, ახლა კი ანალოგიურად ზარალდება ინგლისურ ენასთან მიმართებით. რასაც საბჭოთა პერიოდში აფუჭებდა რუსულენოვანი ლექსიკონები, ახლა იმასვე აკეთებს მხოლოდ ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონების გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

ბარბარიზმების მომრავლების მეორე მიზეზია **ბოლო 10-15 წლის განმავლობაში საქართველოში ქართული ლექსიკოგრაფიის უგულებელყოფა**. როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალმა ვითარებამ, რომელშიც აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის წლებში, ახალი დარგების განვითარებამ, მეცნიერებისა და ტექნიკის რევოლუციურმა წინსვლამ გამოიწვია ქართულ ენაში ახალი ცნებების, ახალი სიტყვების მოზღვაგება ინგლისური ენის მეშვეობით. **ამ ვითარებას ფილტრად ქართული ლექსიკოგრაფია უნდა დასდგომოდა**, სწორედ ლექსიკონებს უნდა დაეცვა ქართული ენა ქაოსური პროცესებისაგან, სწორედ პროფესიონალ ლექსიკოგრაფებს უნდა ემუშავათ ქართულ ენაში ახალი ცნებების დამკვიდრების გზებსა და მეთოდებზე, სწორედ ამ პერიოდში უნდა შექმნილიყო და გამოცემულიყო ახალი ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები, შექმნილიყო ახალი ლექსიკონები ევროპულ ენებთან მიმართებით, გაცხოველებულიყო მუშაობა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაზე, გადამუშავებულიყო არსებული ლექსიკონები, შექმნილიყო ქართული ენის კორპუსები და ტერმინოლოგიური ბანკები, შემუშავებულიყო ენობრივი ტექნოლოგიები ქართული ენისათვის. სამწუხაროდ, ამის ნაცვლად



ლექსიკოგრაფიული საქმიანობა და ქართველი ლექსიკოგრაფები საქართველოში უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

2010 წელს ბათუმში ჩატარდა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სიმპოზიუმმა მიიღო საგანგებო **მიმართვა საქართველოს მთავრობისა და აკადემიური საზოგადოებისადმი**, რომელშიც გაანალიზდა ქართულ ლექსიკოგრაფიაში შექმნილი მძიმე ვითარება და მისი მიზეზები, შემუშავდა რეკომენდაციები ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მოგვყავს ამონარიდი ამ მიმართვიდან:

„... ქართული ლექსიკოგრაფიის ამჟამინდელი მდგომარეობა, რომელსაც ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს, სერიოზული შეშფოთების საფუძველს იძლევა. ლექსიკოგრაფის კოლოსალური შრომა დღევანდელ საქართველოში თითქმის სრულიად დაუფასებელია... დასამალი არ არის, რომ დღეისათვის ძირითადი და სავალდებულო ლექსიკონების თვალსაზრისით მკვეთრად ჩამოვრჩებით იმ დონეს, რომელიც ევროპული სტანდარტებით მოეთხოვება განვითარებული მნიგნობრობის ქვეყანას, და ეს ჩამორჩენა თანდათანობით გამოუსწორებელ ხასიათს იძენს. ასეთ ვითარებაში დარგს დალუპვა ემუქრება“.\*

სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ორი საერთაშორისო სიმპოზიუმის შედეგად გარკვეული ცვლილებები მოხდა ამ სფეროში, ჯერ არ ჩანს რადიკალური ძვრები, რომლებმაც ეს უმძიმესი ჩამორჩენა უნდა აღმოფხვრას. აღსანიშნავია, რომ სწორი ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების პირობებშიც ქართული ენისათვის ნებისით თუ უნებლიეთ მიყენებული ზიანის აღმოფხვრას ალბათ წლები დასჭირდება.

\* მიმართვის სრული ტექსტი იხილეთ შემდეგ ბმულზე:  
<https://blog.dictionary.ge/archives/114>



**დასკვნის სახით** შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ ენაში მიმდინარე პროცესები გამონვეულია განათლების სისტემაში არსებული ხარვეზებით, უცხო ენების სწავლების არასწორი მეთოდებით, აკადემიური ლექსიკოგრაფიის სრული უგულებელყოფით, ტერმინოლოგიური მუშაობის შეფერხებით და ა.შ. ქართულ ენას არ სჭირდება გაინგლისურება ან გაგერმანულება. მას სჭირდება განვითარება და მორგება ჩვენს თანამედროვე, სწრაფად ცვლად ეპოქასთან, რაც, უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალმა ლექსიკოგრაფებმა და მთარგმნელებმა უნდა გააკეთონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან ერთად, მცოდნე და პროფესიონალი მასწავლებლების აქტიური მონაწილეობით, ამ საქმეში ფართო საზოგადოების ჩაბმითა და გვერდში დგომით, და, ცხადია, სათანადო პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერით სახელმწიფოს მხრიდან.

დავუბრუნდეთ აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის სტატიის სათაურს – „ეკოლოგია და კულტურა“. ფიზიკური გარემოს დაბინძურება მავნეა ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, კულტურის ეკოლოგიის დაბინძურება და ენის შერყვნა კი საფრთხეს უქმნის ერის კულტურულ და ენობრივ იდენტობას.

\* \* \*



## **1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

1. რას გულისხმობდა თამაზ გამყრელიძე 1989 წელს გამოქვეყნებულ თავის სტატიაში, როდესაც კულტურის ეკოლოგიაზე საუბრობდა?
2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ გლობალიზაცია საფრთხეს უქმნის ქართულ ენას? თუ ეს ასეა, რა საფრთხე შეიძლება იყოს ეს?
3. ქართულზე რუსული ენის უარყოფითი გავლენის რა მაგალითები შეგიძლიათ დაასახელოთ?
4. თქვენი აზრით, რა პოლიტიკური რეალიები განაპირობებდა რუსული ენის დომინანტურ ზეგავლენას ქართული ენის ლექსიკაზე?

5. რა განაპირობებს ინგლისური ენის ძლიერ გავლენას ქართულ ენაზე ჩვენს დროში?
6. რას ეწოდება ბარბარიზმი?
7. ლექციაში მოყვანილი ბოლოდროინდელი ნასესხობებიდან რომლები მიგაჩნიათ განსაკუთრებით მიუღებლად? თქვენი აზრით, რომელი მათგანის ხმარება შეიძლება იყოს დასაშვები?
8. რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ სიტყვებისთვის „კომპიუტერი“, „კლონი“, „მუტაცია“, „მეტრო“ და სხვ. წმინდა ქართული შესატყვისობების გამოძებნა? რა გსმენიათ ე.წ. პურიზმის შესახებ და რა აზრისანი ხართ მასზე?
9. რა განსხვავებაა ქართულში შემოსულ რუსულ ბარბარიზმებსა და ინგლისურ ბარბარიზმებს შორის? ქართული ლექსიკის რა ჯგუფებს განეკუთვნებიან ისინი?
10. რა აზრისა ხართ ინგლისურიდან სიტყვების ხელახალი სესხების შესახებ („რეზერვაცია“, „ინტერვენცია“, „კონტრიბუცია“, „აპლიკაცია“, „კოლაბორაცია“ და მისთ.)?
11. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქართულში უცხო სიტყვების მოჭარბებამ ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურაზეც შეიძლება მოახდინოს ზეგავლენა?
12. რა არის ქართულ ენაში უცხო სიტყვების სესხებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების მიზეზი?
13. რამდენად განაპირობებს ინგლისური სიტყვის ქართული ეკვივალენტის არცოდნა ხშირ შემთხვევაში ბარბარიზმების შემოსვლას ჩვენს ენაში?
14. რა ფუნქცია ეკისრება ლექსიკოგრაფიას ქართული ენის სინმინდის შენარჩუნების საქმეში?
15. რამდენად ადეკვატურია სახელმწიფოსა და განათლების სისტემის პასიური დამოკიდებულება ლექსიკოგრაფიის განვითარებისადმი ქართული ენის წინაშე მდგარ გამოწვევათა ფონზე?

## **II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:**

1. მოიძიეთ ინგლისური ენის გავლენით ქართულ ენაში მიმდინარე პროცესების საილუსტრაციო მაგალითები: ბარბარიზმები, გაუმართავი თარგმანები და მისთ.
2. ამ თავში განხილული საკითხების ფონზე ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია ლექსიკოგრაფიის ნორმალიზაციის ფუნქციის მიმართ (იხ. მე-2 თავი).

## თავი 10.

### ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან:

#### ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონები \*

ლექსიკოგრაფიული მუშაობა საქართველოში მნიგნობრობის განვითარებასთან ერთად ჩაისახა. ამას კი, თავის მხრივ, დიდად შეუწყო ხელი საქართველოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ IV საუკუნეში, რასაც მოჰყვა ძველი და ახალი აღთქმის ნიგნების თარგმნა ქართულად. უძველესი პერიოდის ხელნაწერებს – როგორც ნათარგმნს, ისე ორიგინალურს – თან ახლდა „სქოლიო-შეისწავე-შეგონებანი“ (გლოსები), რომლებიც ამა თუ იმ სიტყვა-ცნებას განმარტავდა.

X-XI საუკუნეებში ქართული მთარგმნელობითი საქმიანობისა და ორიგინალური მწერლობის განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი ისეთმა სასულიერო და საზოგადო მოღვაწეებმა, მთარგმნელებმა, მწერლებმა, მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: ექვთიმე მთაწმინდელი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრინი, იოანე ზოსიმე, გიორგი მთაწმინდელი და სხვები, რომლებიც მათთან ერთად მოღვაწეობდნენ. მთარგმნელობითი საქმიანობის გაფართოება მწვავედ აყენებდა განმარტებითი, ორენოვანი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენის აუცილებლობას.

#### ეფრემ მცირე, როგორც ლექსიკოგრაფი


ერთ-ერთ პირველ განმარტებით ლექსიკონად ქართულ ენაზე ითვლება ეფრემ მცირის (XI ს.) მიერ ფსალმუნების მისეული თარგმანისთვის დართული ანბანურად განყოფილი მცირე ლექსიკონი. „ფსალმუნთა თარგმანების შესავლის შუა ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს

\* ამ თავზე მუშაობისას გამოყენებულია ალ. ლლონტის ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები (იხ. ლიტერატურის სია).

ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ლექსიკონად“, – ნერს მზექალა შანიძე 1968 წელს, როდესაც პირველად აქვეყნებს ლექსიკონის სრულ ტექსტს კომენტარებითურთ. ეფრემ მცირე კარგად იცნობდა ძველ ავტორთა ნიგნებისათვის გლოსარიუმების დართვის ბერძნულ-ბიზანტიურ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციას და თვით გახდა ამ ტრადიციის დამამკვიდრებელი ქართულ ლექსიკოგრაფიაში. ეფრემ მცირის ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად მიჩნეულია როგორც ლექსემა, ისე შესიტყვება, ძირითადად – მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაგმა, მაგ., ლექსემები: *ამაღლება, ნათელ, სინმიდე, ქრისტე, ცხორება, ცეცხლ, ძილ, ნრფელ* და სხვ.; სინტაგმები: *ადგილ ღმრთისა, აღდგომა ღმრთისა, ბრწყინვალება მამისა, ელვა ღმრთისა, ზრახვა უფლისა, მცნება ღმრთისა, რისხვა ღმრთისა, სწავლა უფლისა და მისთ.* ეფრემ მცირეს სალექსიკონო ერთეულად გამოტანილი აქვს სახელი და ზმნა, ისიც, ხშირად – შესიტყვების სახით. სახელის სალექსიკონო ერთეულად აღებულია წრფელობითის ფორმა (ბრუნვის ნიშნის გარეშე), ზმნის სალექსიკონო ერთეულად კი – მასდარი.

ეფრემ მცირის ლექსიკონის საილუსტრაციოდ მოგვყავს ერთი სალექსიკონო ერთეული: „ადგილ ღმრთისა ოდესმე ცაჲ ითქუმის, და ოდესმე ეკლესიად, და ოდესმე ქალწული, და ოდესმე გუამი კაცად-კაცადისად, გინა თუ ყოველივე, რომელსაცა ზედა განისუენოს ნებაჲმან ღმრთისამ...“.

თავის განმარტებებში ეფრემ მცირე ხშირად ეყრდნობა და იმონებებს წყაროებს, რაც მის განმარტებებს ენციკლოპედიურ ხასიათს ანიჭებს. აღსანიშნავია, რომ ეფრემ მცირე თავის ლექსიკოგრაფიულ შრომაში ითვალისწინებს როგორც ლექსიკონის შედგენის ადგილობრივ ტრადიციას, ისე იმ პერიოდის მეცნიერებაში დამკვიდრებულ ტრადიციასაც, კერძოდ, ისეთი ავტორიტეტების შრომებს, როგორებიც იყვნენ: ბასილი კესარიელი, იოანე დამასკელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და სხვები.



სურ. 1.  
გვერდი ეფრემ მცირის ავტოგრაფული ხელნაწერიდან.

## სულხან-საბა ორბელიანი

განმარტებითი ლექსიკონების თვალსაზრისით, ქართულ ლექსიკოგრაფიაში მთელი ეპოქა შექმნა სულხან-საბა ორბელიანმა (1658-1725), ქართველმა მწერალმა, ლექსიკოგრაფმა, მეცნიერმა, დიპლომატმა. მისი „ქართული ლექსიკონი“, ე.წ. „სიტყვის კონა“ (XVII ს.), პრაქტიკულად ქართული ენის პირველი სრულყოფილი განმარტებითი ლექსიკონია. სულხანმა ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა და დიდი ამაგი დასდო ქართველ ერს, ქართულ კულტურას, – წერდა აკად. აკაკი შანიძე სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავთან დაკავშირებით, – მის მრავალმხრივ საქმიანობაში ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ქართული ლექსიკონი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დარჩება, როგორც ნიჭისა და დაუცხრომელი შრომის ნაყოფი, როგორც ერთი საუკეთესო მონაპოვართაგანი ქართული კულტურისა.

სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის პერიოდი უაღრესად რთულია საქართველოს ისტორიაში პოლიტიკური თვალსაზრისით, თუმცა აღმავლობის გზაზე იდგა ქართული კულტურა. ამ ეპოქის ქართველი მეფეები – არჩილი, ვახტანგ VI – იყვნენ როგორც ლიტერატურის, ისე ზოგადად განათლებისა და ნიჭიერი ადამიანების დიდი ქომაგები. ქართული ლიტერატურის აღორძინების პერიოდში უამრავი ახალი ლიტერატურული ძეგლი შეიქმნა და თანდათანობით ძნელად გასაგები გახდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. შესაძლოა, ეს იყო საბას ლექსიკონის შექმნის უმთავრესი მიზეზი.

საბას ლექსიკონი შეიცავს 16600-ზე მეტ სიტყვას (მისი ავტოგრაფული ლექსიკონების მიხედვით), რომლებიც ადვილად გასაგები ენითაა განმარტებული. ლექსიკონში შეტანილი ყოველი სიტყვა ქართულ წყაროებშია დადასტურებული და ხშირ შემთხვევაში ლექსიკონში წყაროებიც დამონშებულია. „ქართულ ლექსიკონში“ 140-ზე მეტი ქართული წყაროა დასახელებული. ესაა როგორც ორიგინალი, ისე ნათარგმნი ლიტერატურა, როგორც სასულიერო, ისე საერო-საისტორიო მწერლობა: ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, მამათა ცხოვრებანი, ვეფხისტყაოსანი, ამირან-დარეჯანიანი, როსტომიანი,



კარაბადინი და სხვ. იგი სიტყვებს კრებს თავისი დროის სასაუბრო ენიდან და ცოცხალი კილოებიდანაც. საბამ თავის ლექსიკონში შეიტანა მრავალი ისეთი სიტყვა, რომლებიც იმდროინდელ ლიტერატურაში აღარ იხმარებოდა, რითაც მოახდინა მათი დოკუმენტირება და დიდი ამაგი დასდო ქართულ ენას.



სურ. 2. სიტყვის კონა, მე-18 საუკუნის ხელნაწერის პირველი გვერდები.

სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის გამოკვლევა მისი კონტექსტების ანალიზს ეფუძნება, რომლებიც, როგორც აღინიშნა, ხშირ შემთხვევაში დამონმებულია. საბა თავის ლექსიკონზე მუშაობდა თითქმის 40 წელი. მან გადაამუშავა სამი რედაქცია: პირველი – C, მეორე – B და ბოლო – A. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი პირველად მხოლოდ 1884 წელს დაიბეჭდა, თითქმის 160 წლის შემდეგ ავტორის გარდაცვალებიდან. პირველი გამოცემის რედაქტორი იყო ცნობილი მწერალი რაფიელ ერისთავი, რომელმაც გამოცემას საფუძვლად დაუდო საბას ლექსიკონის უკანასკნელი რედაქცია.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შესულია ყველა მეტყველების ნაწილი. ზმნის წარმოდგენის თვალსაზრისით არ არის და-



ცული ერთიანი წესი, ზმნის მეთაურ სიტყვებად გამოტანილია როგორც პირიანი ფორმები, ისე საწყისი და ორივე განმარტებულია.

საბას ლექსიკონში გამიჯნულია სიტყვის პოლისემიური მნიშვნელობები და ხშირ შემთხვევაში ყოველ მნიშვნელობასთან მითითებულია სათანადო წყარო.

მაგ.: **რქა** არს პირუტყუთა თავსა ნაბამი (21, 22 ფსალ.); **რქა** ენოდების ვენახის ლერწსა (79, 12 ფსალ.); **რქა** ენოდების, რომელსა ჭამდა უძღები შვილი (15, 16 ლუკა); **რქა** ენოდების ხილსა ერთსა, ლობიოსა ჰგავს. **რქა** ენოდების ასოსა ზედა წარზიდულსა, იოტასთან ნახე (5, 18 მათე).

ლექსიკონში დიდი ყურადღება ეთმობა სიტყვათა სინონიმის. საბას სალექსიკონო სტატიებში მოცემულია მეთაური სიტყვების სინონიმები.

<p>35 გიფელი სკერი დარწული. გიფოსონ ო მოვედ მუნ. გივის გავს.</p> <p>გიზი ჩვილი ახალი მოლი. გითხარ (2 ნეშტ. 18. 17).</p> <p>40 ვილანი (93. 25) 41. —). გინჯილი ა დენის ოლარი.</p> <p>(75) ვინჯილი ჩვილი ყრმა ბეწვი. ვინჯილი ბილწად ქსენება (16. 6 ქსაია), ვინა წაბილწვა.</p> <p>გინჯის გინდა.</p> <p>გიობა (27. 10 იერე.) გიობა, გინ ძაგება, გინა ბოროტად ქსენება.</p> <p>გიობა გიობა და გინება ახლო ახლოა.</p> <p>5 გიორგი ო მუშაი.</p> <p>გიფი სიგივეცა განიყოფება ათერთმეტად: შმაგად, ხელად, სულელად, ცოფად, ნადველიანად, რეგუნად, ტბტეჩად, შლეგად, შტეჩად, ფეთიანად და შეთიანად.</p> <p>შმაგი არს სიგიეთი თვისაცა თვისთა ანებდეს და სხუათაცა მანებელ კმნებოდეს.</p>	<p>რეგუნე არს, რომელსა სიბრძნე აკლდეს და მცირედ ხელურსა იქმოდეს.</p> <p>ტბტერი არს, რომელსა სიბრძნე არა აკლდეს, არამედ ხელურსა რასმე იქმოდეს.</p> <p>შლეგი არს არა ხელი, არცა ცნობა მიღებული, არამედ დაუცადებულად თავ გაწირვით განესუქნებელი.</p> <p>შტერი არს, ფრიადისა აღორთულებათა შინაგან ნიეთთა მიერ საგრძობელთა ორწინო მიღებული და საქმისა ვერა კეთილად მქნელი.</p> <p>ფეთიანი არს ლამით საოცართა და ფეთებათა მიერ მცირე ხმს ცნობა მიღებულნი.</p> <p>შმაგი არს სწული, რომელი ხელურად იქცოდეს და ჩხარა დაწვეს და წმოდებს და უგვანად უზნობდეს. გიორგი განიეთი არის ხეთიან საქმიანეთა საყრბოელი.</p> <p>გიორგი სხუათა ენაა, ქართულად წინდი ჰქვინა.</p>
--	---

**სურ. 3. „სიტყვის კონა“.**  
**სიტყვა-სტატია გიფი.**

მაგ., **გიფის** სიტყვა-სტატიაში მას მოჰყავს სინონიმური სიტყვები: **შმაგი, ხელი, სულელი, ნადვლიანი, შლეგი, შტერი** და სხვ. და განმარტავს სხვაობას აღნიშნულ სინონიმებს შორის (იხ. სურ. 3).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის კიდევ ერთი თავისებურებაა სიტყვების სემანტიკურ ბუდეებად დაყოფა და სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში მეთაურ სიტყვასთან დაკავშირებული

სიტყვების შეტანა და მათი განმარტება.

მაგ.: **წვიმის** სიტყვა-სტატიაში ლექსიკოგრაფმა შეიტანა და განმარტა შემდეგი სიტყვები: **ცვარი** არს სინოტივისაგან ჰაერისა უღრუბლოდ მოსული ღამით და დილეულ ფურცელზედ

მდგარი; **ნიჟი** არს ცვარის(ა) უმცირესი ნაწილი და **ღვაფი** ცვარისა უდიდესი; **თქორი** არს წვმა წვლილი და კაცთაგან ძნიად სახილაფი; **თქეში** – უსხოსი თქორისა, ვითარცა აღნაცარი რამე; **ფრუტი** არს თქეში ნისლოვანი; **ჟღმურტი** ფრუტისა უდიდესი და უფროსად ნისლოვანი; **დეღმა** არს წვიმა დიდი და გვიან მომდარებელი; **ისხარი** – წვიმა სწრაფი და ადრე მომდარებელი; **ღლოფო** – წვიმა დიდი და დამაბნელებელი და ღვაროვანი; **ქარიშხალი** არს ქარნარევი ძლიერი წვიმა; **შხაპი** არს ანაზდი და ჩქარი წვიმა; ხოლო ხეთა ფურცელნი რა წვიმას იტვირთავს და შემდგომად წვეთას დაიწყებს, **ღუმხსა** და **ჟვავს(ა)** უწოდენ.

**ნავის** სიტყვა-სტატიაში შეტანილი და განმარტებულია შემდეგი სიტყვები:

მცირესა ნავსა ეწოდების **ნუმა** და მისსა უდიდეს(ს)ა **ვარცლი**. **კოპანო**, **კარაპა**, **კარჭაპა**, **ჭუმალდი**, **კარაფითა**, **ოჩხომელი**, **ოლეჭკანდერი**, **კატარლა** ერთი მეორის უდიდეს-უდიდესნი არიან, ხოლო **ხომალდი** და **დრომონი** უდიდეს ყო(ვ)ელთა, **სტოლი** საომარ(ნ)ი ნავ(ნ)ი.

სიტყვა-სტატია **გზა**:

**გზა** არს ზომიერი კაცთა სავალი ხოლო **შარა** – ვრცელი, და **ბილიკი** – ვიწრო, ხოლო **ქაშანი** – შამბნართა ანუ თოვლთა ზედა გატკეცილი სავალი და **წავარნა** – კლდეთა ზედ(ა) ვიწრო რამე ნადირთა წარსავალი.

**საბელის** სალექსიკონო სტატიაში მოცემულია და განმარტებულია **საკოჭავი**, **ბანარი**, **თოკი**, **ჭაპანი**, **ბაგირი**, **მუკუდი** და სხვ. სემანტიკური ბუდის თითოეული წევრის განმარტებისას ლექსიკოგრაფი იყენებს მეთაურ სიტყვას: **ბაგირი** არს **საბელი** ყოველთა უსხოსი; **საკოჭავი** არს **საბელი** საპალნის შესაკრავი; **მუკუდი** არს **საბელი** ცხენის ყელზედ მოსაბმელი და ა.შ. დაკავშირებული სიტყვების უმრავლესობა ლექსიკონში გატანილია თავ-თავის ადგილას, თუმცა ყველა ბუდე არ არის ამგვარად გავრცობილი და ლექსიკონის 1928 წლის გამოცემაში ეს სამუშაო ა. შანიძემ და ი. ყიფშიძემ დაასრულეს. ლექსიკონში სიტყვათა განმარტებებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სულხან-საბა

ორბელიანი ენას არ განიხილავს იზოლირებული სიტყვების ერთობად. მის განმარტებებში იკვეთება გვარ-სახეობითი მიმართებები სიტყვათა შორის, რაც ენას წარმოაჩენს ურთიერთდამოკიდებული ერთეულების მთლიანობად.

სულხან-საბა ორბელიანმა ამ უმნიშვნელოვანესი ლექსიკოგრაფიული პრინციპის წყალობით მოახდინა დოკუმენტირება ქართულ ენაში ლექსიკალიზებული ასობით უნიკალური ცნებისა, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში დაიკარგა და აღარ შემორჩა თანამედროვე ქართული ენის ლექსიკურ ფონდს.

საბა ლექსიკონში იყენებს პირობით ნიშნებს, რათა ერთმანეთისაგან გაარჩიოს საგნები და მოვლენები: მნათობი (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ფრინველები და ცხოველები, თევზები და მწერები. ყველა ასეთი სიტყვის გვერდით საბას ლექსიკონში საგანგებო ნიშნები აქვს გამოყენებული, რაც დარგობრივი კვალიფიკაციების ტოლფასია. გარდა ამ სიმბოლოებისა, ლექსიკონში შემოღებულია საგანგებო ნიშანი (0) უცხო წარმოშობის სიტყვების აღსანიშნავადაც.

„ქართულ ლექსიკონში“ ასევე განმარტებულია ანთროპონიმები და ტოპონიმები. ამგვარი მასალა, ჩვეულებრივ, განმარტებით ლექსიკონში არ აისახებოდა, მაგრამ საბამ ამ პრინციპს გვერდი აუარა, რათა ეს მასალაც აესახა ლექსიკონში. მას ხელთ ჰქონდა კირილე ალექსანდრიელის სახარების საკუთარ სახელთა ლექსიკონის ქართული თარგმანი, რომელიც მთლიანად შეიტანა „სიტყვის კონაში“.

სულხან-საბას ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, განმარტებითია, თუმცა ქართულ განმარტებებთან ერთად ლექსიკონში მითითებულია ქართული სიტყვების შესატყვისებიც იტალიურ, სომხურ და თურქულ ენებზე. სავარაუდოდ ეს მონაცემები საბამ თავის ლექსიკონში სასწავლო მიზნით შეიტანა. უცხო ენათა შესატყვისობები სიტყვა-სტატიის ბოლოსაა მოცემული, ქართული განმარტების შემდეგ, მაგრამ ქართული ტრანსლიტერაციით. ხშირად სიტყვა ნათარგმნია სამივე დასახელებულ ენაზე, ხან ორზე, ზოგან – მხოლოდ ერთზე.

მაგ.: **ქარტა** ქალაღი. – **სომხური** თუხტ, **თურქული** ქალაზ, **იტალიური** ქარტა.

**ქლიბი** რკინის საფხეკი. – **სომხური** ხარტოც, **თურქული** თეგა, **იტალიური** ლიმა.

**ქვეყანა...** **თურქული** დუნია, **იტალიური** მონდო.

**ქსენონი** სასნეულო სახლი. – **იტალიური** ოსპიდალე.

ლექსიკონის რაფიელ ერისთავის რედაქტორობით გამოსული პირველი ნაბეჭდი გამოცემა არ შეიცავს უცხოენოვან ეკვივალენტებს. ამის მიზეზად აკ. შანიძეს ის მიაჩნია, რომ საბას ლექსიკონის გადამწერებს, როგორც ჩანს, ყველაზე მეტი შეცდომა სწორედ უცხოენის სიტყვების გადანერისას მოსდიოდათ, რადგან მათ არ იცოდნენ ეს ენები. ეს შეცდომები თანდათან მრავლდებოდა და ძნელდებოდა სწორი ვარიანტების დადგენა.

პროფ. ნატალია ორლოვსკაიას კარგად აქვს შესწავლილი საბას ლექსიკონის იტალიური მასალა. იგი აღნიშნავს, რომ იტალიურ სიტყვებში მრავლადაა ძვირფასი ქვების აღმნიშვნელი სიტყვა, ასევე სამედიცინო, ბიოლოგიური, ზოოლოგიური და საეკლესიო ტერმინი. ქართული სიტყვებისათვის იტალიური ეკვივალენტები ძირითადად სწორადაა შერჩეული, თუმცა გვხვდება არასწორად თარგმნის შემთხვევებიც.

სულხან-საბას საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა საქართველოში მოღვაწე იტალიელ მისიონერებთან. მოგვიანებით მან მიიღო კიდევ კათოლიკური სარწმუნოება. შეიძლება სწორედ ამ კავშირმა განაპირობა საბას როგორც პოლიტიკური, ისე ფილოლოგიური ინტერესები. იგი იმ ქართველ მოღვაწეთა შორისაა, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებდნენ დასავლეთზე, როგორც მოკავშირეზე მუსლიმანური ქვეყნების წინააღმდეგ. საბა ევროპაში ყოფნისას ხშირად მიმართავდა მისიონერებს დახმარებისთვის. შესაძლოა, მან მისიონერებისაგან მიიღო ინფორმაცია იტალიურ და ლათინურ

მასალაზეც. ერთი რამ კი ცხადია: იტალიური მასალა მას ევროპაში წასვლამდე არ აუსახავს თავის ლექსიკონში.

საბამ ლექსიკონის ბოლო რედაქციაში იტალიური თარგმანები არ გადაიტანა. მისი ვიზიტი ევროპაში წარუმატებელი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ რომის პაპი და საფრანგეთის მეფე მისდამი კეთილად იყვნენ განწყობილნი, მათ პრაქტიკული დახმარება არ გაუწევიათ საქართველოსათვის. საბა ხანგრძლივი და დამღლელი მოგზაურობიდან იმედგაცრუებული დაბრუნდა. საქართველოში ჩამოსულს კი ხალხი უარყოფითად შეხვდა, როგორც კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარს. სწორედ ამ პერიოდში მუშაობდა საბა თავისი ლექსიკონის ბოლო რედაქციაზე და, თუ მასში იტალიური თარგმანები არ შევიდა, ეს ალბათ სწორედ ამ იმედგაცრუებამ განაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ სულხან-საბა ორბელიანმა ლექსიკონში შეიტანა ვულგარული სიტყვებიც, რომლებიც ზრდილობიან მეტყველებაში არ იხმარება. ასეთია ზოგი ანატომიური ტერმინი, ფიზიოლოგიური მოთხოვნილების გამომხატველი სიტყვები და სხვ. ამას იგი ასაბუთებდა იმ მოსაზრებით, რომ მისი ქართული ლექსიკონი სრული უნდა ყოფილიყო და უმართებულოდ მიაჩნდა ლექსიკაში კარგი და ცუდი სიტყვების გამოყოფა: „ამა წიგნთა შინა არიან სახელნი კეთილნი და ბოროტნი, საქებელნი და საძაგებელნი. უბადონი და ცუდნი არა თუ კიცხვისათვის აღმინერია, რათა საქირდლად იპყრათ, არამედ ენისა სისრულისათვის აღვწერე: თუცა უბადო სახელი აღმოიხოცოს, მერმე-ლა უდარესი მოაკლდეს უალრესსა და ღმერთი-ლა დარჩეს უკეთესი და სხვა არარა, და შემცირდების ენა ქართული“.

სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“ განმარტებითი ლექსიკონიცაა, თარგმნითიც, შეიცავს ენციკლოპედიურ ინფორმაციასაც, რაც მას XVII საუკუნის უნიკალურ ლექსიკოგრაფიულ ნაშრომად წარმოაჩენს. საბამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას და იგი ევროპული და აზიური ლექსიკოგრაფიის დონეზე აიყვანა.

საბას ლექსიკონის პოპულარობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობას გაუტოლდა. ჩვენამდე მოაღწია ლექსიკონის 150-მდე ხელნაწერმა, რომლებიც XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ ნახევარშია გადაწერილი.

„სიტყვის კონის“ ელექტრონული ვერსია ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=8>

## ვახტანგ VI

ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანის აღზრდილი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, ფართო განათლების მწიგნობარიც იყო. მისი ლექსიკოგრაფიული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სპარსული ენიდან შესრულებული თარგმანებისათვის დართული სპარსულ-ქართული ლექსიკონები და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართული განმარტებითი ლექსიკონი.

1709 წელს ვახტანგმა თბილისში პირველი სტამბა დააარსა და ერთ-ერთი პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაბეჭდა, „ვეფხისტყაოსანი“ იყო. პოემის ტექსტს მან საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევა დაურთო, რითაც დიდი ბიძგი მისცა მის შემდგომ შესწავლას და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას. „ვეფხისტყაოსნისათვის“ დართულ კომენტარებში ვრცელი ადგილი უკავია ლექსიკოგრაფიულ მასალას, კერძოდ, ვახტანგს განმარტებული აქვს 640 ძნელად გასაგები სიტყვა, რომლებიც პოემაში გვხვდება. 1937 წელს, აკაკი შანიძემ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელახლა გამოცემისას, ლექსიკონი ცალკე გამოყო კომენტარების ტექსტისგან და ანბანურ რიგზე დაალაგა. ლექსიკონში „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვები ზედმიწევნით ზუსტადაა განმარტებული. პოემაში ნახმარ არაქართულ სიტყვებს მითითებული აქვს წარმოშობა: სპარსული, არაბული, ბერძნული, თურქული და სხვ. ვახტანგის ლექსიკონი 1712 წელს დაიბეჭდა, ამდენად, იგი საქართველოში გამოცემული პირველი ქართული ბეჭდური ლექსიკოგრაფიული ნაშრომია.



## ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ (ქეგლ-ი) რვატომეული გასული საუკუნის 50-60-იან წლებში შეიქმნა დიდი ქართველი ენათმეცნიერის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას, საერთო რედაქციით. ლექსიკონის შედგენასა და რედაქციაზე მუშაობდნენ ქართული მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: გ. ახვლედიანი, ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ვ. კუპრაძე, ქ. ლომთათიძე, გ. წერეთელი და სხვ. ლექსიკონში განმარტებულია 113000-მდე სიტყვა, რაც, როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, არ ამოწურავს ქართული ენის ლექსიკურ სიმდიდრეს. ქეგლ-ისათვის შეიქმნა საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების კორპუსი, ამოკრებილი ქართული ლიტერატურიდან, პრესიდან და სხვ., სულ – მილიონ ექვსასი ათასი ბარათი.

ლექსიკონის I ტომი 1950 წელს გამოვიდა, ხოლო ბოლო, მერვე ტომი – 1964 წელს (სურ. 4). „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა უდიდესი მოვლენა იყო XX ს.-ის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ლექსიკონის პირველი ტომის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „ახალი სალიტერატურო ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის დანიშნულებაა, აღწესდოს და განმარტოს ყველა სიტყვა, რაც კი არის დამკვიდრებული ამჟამად სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სამეცნიეროსა და პოლიტიკურ ლიტერატურაში, პრესაში, – ერთი სიტყვით, წიგნის მეტყველებაში... ლექსიკონი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ქართული სამწერლობო ენის ინტენსიური ზრდა-განვითარების პროცესს. განმარტებითი ლექსიკონი უკუფენს ენისა და – ენის მეშვეობით – კულტურის მდგომარეობას; ამდენად, იგი ეპოქის დოკუმენტია“.



სურ. 4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.

გარდა სალიტერატურო ენისა, ლექსიკონში ვრცელი ადგილი უჭირავს დიალექტურ მასალას. „კუთხური ლექსიკა



შენაკადია ჩვენი სალიტერატურო ენის სიტყვობრივი მარაგისა და ის მეცნიერების მიერ სამართლიანადაა მიჩნეული მის ამოუწყავ რეზერვად. ისევე, როგორც შენაკადი ასაზრდოებს მდინარეს, ადგილობრივი (დიალექტური) ლექსიკა ასაზრდოებს სალიტერატურო ენის საუნჯეს და მისი განუწყვეტელი გამდიდრების უშრეტ, სათავეკრიალა წყაროს წარმოადგენს“ (ქეგლ-ის წინასიტყვაობა).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ახლებურადაა გადანყვეტილი ქართული ზმნის წარმოდგენის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ზმნის ლემატიზაციის საკითხთან დაკავშირებით არსებობს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, თუმცა მწყობრად ჩამოყალიბებული ლექსიკოგრაფიული პრინციპი.\* ერთი პრინციპი ზმნის სალექსიკონო ერთეულად უპირო ფორმას, სახელზმნას, მასდარს, განიხილავს (ევროპული ენებისგან განსხვავებით, ქართულ ზმნას არა აქვს ინფინიტივი), მაგ.: **თესვა, წერა, შენება** და ა.შ. ეს პრინციპი ჩამოყალიბებულია აკაკი შანიძის მიერ და მას ეყრდნობა ქართული ლექსიკონების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეორე პრინციპი შეიმუშავა არნოლდ ჩიქობავამ გასული საუკუნის 40-იან წლებში. ეს აღწერილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში და თავად ლექსიკონიც ამ პრინციპებითაა შედგენილი. იგივე მიდგომა დაედო საფუძვლად რიგ დიალექტურ და სხვა ლექსიკონებს. ამ პრინციპის მიხედვით, ზმნა ლექსიკონში უნდა შევიდეს არა მხოლოდ მასდარის, არამედ პირიანი ფორმების, კერძოდ – პირის, ქცევის, გვარის, ასპექტის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით და ზმნის ლექსიკურ ერთეულად ლექსიკონში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ანმყო დროის მესამე პირის მხოლოდითი რიცხვის ფორმა, მაგ.: **თესავს, ითესავს, უთესავს, ათესვინებს, ეთესება, ითესება, თესია, უთესია.**

„გამომხატველობითი საშუალებების სიმდიდრით ზმნა ქართულში ბევრად წინა დგას სახელზე“, – წერს არნ. ჩიქობავა ქეგლ-ის წინა-

\* იხ. აგრეთვე გამოყენებული ლიტერატურის სიაში მითითებული გ. ცოცანიძის ნაშრომი.

სიტყვაობაში. „ზმნის ექსპრესიული ძალა დიდია, ზმნას შეუძლია წარმოგვიდგინოს მოქმედება როგორც პასიური პროცესი და როგორც აქტიურობის გამოვლენა: ითესება და თესავს; როგორც სუბიექტისათვის განკუთვნილი და როგორც საობიექტო (მასთან – აქტიური, პასიური): ითესავს და უთესავს, ეთესება; როგორც სუბიექტის ნამოქმედარი და როგორც სხვისი მეშვეობით შესრულებული: თესავს და ათესვინებს; როგორც მდგომარეობა, სტატიკურს ყოფაში: თესია და როგორც პროცესი, დინამიკა: თესავს, ითესება, ითესავს და ა.შ. ქართული ენის ეს სიმდიდრე ქართულ ლექსიკონში არ გამოჩნდება, თუ ზმნის წარმომადგენლად ნაზმნარი არსებითი სახელი გვექნება“.

ეს არის ის თეორიული ამოსავალი, რომლის ძალითაც, მეორე პრინციპით შედგენილი ლექსიკონები გვარის, ქცევისა და კაუზატივის ფორმებს სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევენ და, შესაბამისად, ამ ლექსიკონთა სიტყვანში ერთი და იმავე ლექსიკური სემანტიკის ათეულობით სიტყვაფორმა იყრის თავს.

ამ პრინციპების ირგვლივ კამათი დღესაც გრძელდება. პროფესორ შუქია აფრიდონიძის აზრით, „ლექსიკოგრაფია, როგორც მეცნიერება, ფასობს ყველა იმ ღირებული მონაცემის გამომზეურებით, რომლებიც მოეპოვება სათანადო ენებს გრამატიკული თუ სემასიოლოგიური თვალსაზრისით. ლექსიკონში მეცნიერული პრინციპების თანმიმდევრული გატარება იძლევა სათანადო ენის სრულ ინტეგრალურ პორტრეტს“. მეცნიერი ფიქრობს, რომ ზმნის პირიანი ფორმით შეტანა არათუ გამართლებულია იმ ენებისათვის, რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული პრეფიქსული სისტემა, არამედ აუცილებელიცაა.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის გამოცემა დაიწყო 2008 წელს. დღეისათვის გამოცემულია ლექსიკონის ახალი რედაქციის 4 ტომი. ახალი რედაქციის მთავარი რედაქტორია აკად. ავთანდილ არაბული.

ლექსიკონის ონლაინვერსია განთავსებულია ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: <http://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>. ონლაინვერსიაში შესულია რვავე ტომი, მათ შორის ოთხი ტომი ახალი რედაქციით.


## ქართული ლექსიკონი

2014 წელს „ბაკურ სულაკაურის“ გამომცემლობამ გამოსცა გ. ცოცანიძის, ნ. ლოლაძისა და ქ. დათუკიშვილის მიერ შედგენილი „ქართული ლექსიკონი“. ის 25000 სალექსიკონო ერთეულს შეიცავს, აგრეთვე განმარტებულია 9000 ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29000 ზმნური ფორმა. ლექსიკონი ერთენოვანი სასწავლო ლექსიკონების კატეგორიას განეკუთვნება და საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი შეიქმნა ლექსიკონის მართვის სისტემაში (DWS, Dictionary Writing System), როგორც მონაცემთა ბაზა და მას 1000-მდე ილუსტრაცია აქვს დართული.


ლექსიკონის ავტორებმა შემდეგი კომპრომისი გამოძებნეს ზმნის ლემატიზაციის ზემოთ განხილულ ორ პრინციპს შორის: სალექსიკონო ერთეულად ლექსიკონში გამოტანილია მასდარი, რომელთანაც ფრჩხილებში მითითებულია პირიანი ფორმები. მაგ.: გაკეთება (გააკეთებს, გაიკეთებს, გაუკეთებს, გაკეთდება, გაუკეთდება, გააკეთებინებს). ლექსიკონს დართული აქვს ზმნის პირიანი ფორმების საძიებელი ყველა ძირითადი ზმნური კატეგორიის გათვალისწინებით.

ლექსიკონის ონლაინვერსია ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

<https://www.ganmarteba.ge/>



სურ. 5.  
ქართული ლექსიკონი.





### I. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. როდის ჩაისახა საქართველოში ლექსიკოგრაფიული მუშაობა და რა ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენასთანაა იგი დაკავშირებული?
2. თქვენი აზრით, როგორ და რატომ შეუწყო ხელი IV საუკუნეში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადებამ საქართველოში მნიგნობრობის განვითარებას?
3. ვინ იყვნენ X-XI საუკუნეთა ქართველი საზოგადო მოღვაწენი და მნიგნობარნი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენს ქვეყანაში მთარგმნელობითი საქმიანობისა და ორიგინალური მწერლობის განვითარებაში?
4. რით იყო შეპირობებული ამ პერიოდში განმარტებითი, ორენოვანი და ენციკლოპედიური ლექსიკონების შედგენის აუცილებლობა?
5. ვინ ითვლება ერთ-ერთი პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონის ავტორად?
6. რა შეიძლება ითქვას ეფრემ მცირის ლექსიკოგრაფიული მეთოდის შესახებ?
7. რა პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა სულხან-საბა ორბელიანს და როგორი იყო მისი, ასე ვთქვათ, პოლიტიკური ორიენტაცია?
8. რა თავისებურებებით გამოირჩევა საბას „სიტყვის კონაში“ სალექსიკონო მასალის წარმოდგენის მეთოდი?
9. როგორი იყო საბას მიდგომა ლექსიკონში არანორმირებული („უცენზურო“) ლექსიკის შეტანა-შეუტანლობის საკითხისადმი?
10. რა სახის ლექსიკონები აქვს შექმნილი ვახტანგ VI-ს?
11. როდის შეიქმნა ქართული ენის რვატომეული განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ-ი) და ვინ იყოს მისი მთავარი რედაქტორი?
12. რა პრინციპს მისდევს ქეგლ-ი ზმნების ასახვის თვალსაზრისით? ლექსიკონის მომხმარებლისთვის რამდენად მოსახერხებლად გეჩვენებათ ზმნების წარმოდგენის ამგვარი პრინციპი?

13. რა როლი შეასრულა ქართული ენის განმარტებითმა ლექსიკონმა ქართული ლექსიკოგრაფიის, ფილოლოგიისა და, ზოგადად, კულტურის განვითარების საქმეში?
14. რომელ წელს გამოიცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ მომზადებული „ქართული ლექსიკონი“ და რა თვალსაზრისით არის იგი საინტერესო?
15. როგორაა წარმოდგენილი ზმნები ამ ლექსიკონში?

## **II. შეასრულეთ შემდეგი დავალება:**

1. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან“ ამოიწერეთ და გააანალიზეთ ერთი სიტყვა-სტატია;
2. შეარჩიეთ ერთი სიტყვა და შეადარეთ მისი სიტყვა-სტატიები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონსა და ქეგლ-ში.

## თავი 11.

### დარგობრივი ლექსიკოგრაფია

დარგობრივი ლექსიკოგრაფია ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟანრია და გულისხმობს მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ლექსიკონების შედგენას, მაგალითად: მათემატიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი, ფიზიკის ტერმინოლოგიის ლექსიკონი, ფსიქოლოგიის ტერმინოლოგია, მუსიკალურ ტერმინთა ლექსიკონი, სამედიცინო ტერმინოლოგია და ა.შ.

#### ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები

ქართული ლექსიკოგრაფია მდიდარია დარგობრივი ლექსიკონებით, რომლებიც მოიცავს მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკისა თუ კულტურის თითქმის ყველა სფეროს და ამა თუ იმ დარგის საუკეთესო სპეციალისტებისა და ენათმეცნიერების მიერ არის შედგენილი. ეს ლექსიკონები თარგმნითია, უპირატესად – რუსულ-ქართული, ან განმარტებითი. ქართული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენისა და გამოცემის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, კერძოდ მის ტერმინოლოგიურ განყოფილებას, რომელიც დღესაც აქტიურად აგრძელებს მუშაობას ქართულ ტერმინოლოგიაზე.

ქვემოთ მოცემულია ქართველი მეცნიერებისა და ლექსიკოგრაფების მიერ შექმნილი დარგობრივი ლექსიკონების არასრული სია:\*

**„გეოლოგიური ტერმინოლოგია“**. თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1941;

\* ამ ლექსიკონების მნიშვნელოვანი ნაწილი გაციფრებულია და ხელმისაწვდომია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ლექსიკონების საიტზე: <https://www.nplg.gov.ge/geo/E-Dictionaries>

- „რუსულ-ქართული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი“. თბილისი, 1956;
- თ. კვიციანი, „მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი“. თბილისი: „მეცნიერება“, 1961;
- „იურიდიული ტერმინოლოგია“. თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1963;
- ა. ყიფშიძე, გ. ჩხიკვაძე, „მუსიკალური ლექსიკონი“. თბილისი: „განათლება“, 1971;
- „ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი“. თბილისი: „ნაკადული“, 1972;
- მირ. კუტუბიძე, „ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია“. თბილისი: „მეცნიერება“, 1973;
- ს. აბაშიძე, ლ. აბაშიძე, „რუსულ-ქართული სამედიცინო განმარტებითი ლექსიკონი“. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1973;
- რ. შამელაშვილი, „ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი“. თბილისი: „განათლება“, 1975;
- „მოკლე ბიოლოგიური ლექსიკონი“. თბილისი: „განათლება“, 1977;
- „ტექნიკური ტერმინოლოგია“ (რუსულ-ქართული ნაწილი). რ. დვალისა და რ. ლამბაშიძის რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“, 1977;
- „ტექნიკური ტერმინოლოგია“ (ქართულ-რუსული ნაწილი). რ. დვალისა და რ. ლამბაშიძის რედაქციით. თბილისი: „მეცნიერება“, 1982;
- „ფიზიკური ტერმინოლოგია“. თბილისი, 1980;
- ც. მენაბდე, „ინგლისურ-რუსულ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი“. თბილისი: „განათლება“, 1983;
- ც. გაბესკირია, „ინგლისურ-ქართული მათემატიკური ლექსიკონი“. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1983;
- „გეოფიზიკის ტერმინოლოგია“. თბილისი: „მეცნიერება“, 1988;
- ვ. ბარათაშვილი, „საზღვაო ტერმინოლოგია“. თბილისი: „განათლება“, 1985;



- ივ. შაიშმელაშვილი, „სამხედრო ტერმინოლოგია“. თბილისი: „განათლება“, 1987;
- ნ. კერესელიძე, „სოციოლოგიის მრავალენოვანი ლექსიკონი“. თბილისი: „მეცნიერება“, 1988;
- ა. მაყაშვილი, „ბოტანიკური ლექსიკონი“. თბილისი: მეცნიერება, 1991 და სხვ.

როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, გასული საუკუნის 50-80-იან წლებში ტერმინოლოგიური თარგმნითი ლექსიკონები ძირითადად რუსულ ენასთან მიმართებით იქმნებოდა. ეს იმით იყო შეპირობებული, რომ დარგობრივი ტერმინოლოგია რუსული ენიდან შემოდიოდა ქართულში და ქართული ტერმინოლოგიაც ხშირ შემთხვევაში რუსული ტერმინების ანალოგიით იქმნებოდა.

დღეისათვის ვითარება შეიცვალა: თანამედროვე ტერმინოლოგია ინგლისური და სხვა ევროპული ენებიდან შემოდის ქართულ ენაში. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონემ თითქმის ყველა დარგში გამოიწვია მრავალი ახალი სამეცნიერო ცნების წარმოქმნა, რასაც სათანადო ტერმინოლოგიური მუშაობა ესაჭიროება.

XX საუკუნის დასასრული და XXI საუკუნის დასაწყისი აღინიშნა უდიდესი მიღწევებით მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში. მონინავე ტექნოლოგიები ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროშია შემოჭრილი, იქნება ეს საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საავტომობილო საქმე თუ სოფლის მეურნეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ ტექნიკური პროგრესის ტემპი სულ უფრო იზრდება და ჩვენს ყოველდღიურობაში ისეთი რეალიები შემოდის, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ მხოლოდ სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა.

მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ესოდენ სწრაფი განვითარება გულისხმობს ახალი სამეცნიერო ცნებებისა და, შესაბამისად, ახალი ტერმინოლოგიის ბუნებრივ წარმოქმნას და ამ უახლესი ტერმინოლოგიით გაჯერებული სამეცნიერო ლიტერატურის შექმნას.

ამგვარ ლიტერატურასთან მუშაობისა და მისი ადეკვატური აღქმის გარეშე დღეს ძნელი წარმოსადგენია ამა თუ იმ დარგის კვალიფიციური კადრების აღზრდა. სწორედ ამიტომ აქვს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ახალი ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემას, რომლებშიც აისახება უახლესი ტერმინოლოგიური სიახლეებიც. საჭიროა ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა სხვა ენებთან მიმართებითაც. აუცილებელია გასული საუკუნის 50-80-იან წლებში გამოცემული დარგობრივი ლექსიკონების განახლება, შესწორება და შევსება.

ახალი სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავება და დამკვიდრება ურთულესი პროცესია, მაგრამ ასეთი მუშაობის გარეშე დარგის განვითარებაც წარმოუდგენელია. შეიძლება ითქვას, რომ ტერმინოლოგიის განვითარების დონე პირდაპირი მაჩვენებელია ამა თუ იმ მეცნიერული დარგის განვითარების დონისა.

### დარგობრივ ლექსიკონთა ტიპები

დარგობრივი ლექსიკონები შეიძლება იყოს:

1. **განმარტებითი**, ე.ი. ლექსიკონში ტერმინები განმარტებულია იმავე ენის სიტყვებით;  
მაგ.: **ხერხემალი** – (ანატომია) ჩონჩხის მთავარი ნაწილი – მალე-ბისაგან ასხმული ძვლოვანი ღერძი, რომელშიაც მოთავსებულია ზურგის ტვინი.
2. **ორენოვანი / თარგმნითი**, რომელშიც ერთი ენის ტერმინს მეორე ენაზე ეკვივალენტი აქვს მითითებული;  
მაგ.: **backbone** – (ანატომია) ხერხემალი.
3. **მრავალენოვანი**, რომელიც მკითხველს აწვდის ტერმინის ეკვივალენტებს რამდენიმე ენაზე;  
მაგ.: **ხერხემალი** – (ანატომია) ინგლისური **backbone**; ფრანგული **colonne vertébrale**; გერმანული **Rückgrat**; იტალიური **spina dorsale**; ესპანური **columna vertebral**; რუსული **позвоночник** და სხვ.

4. **განმარტებით-თარგმნითი**, რომელშიც მოცემულია როგორც ტერმინის ეკვივალენტი მეორე ენაზე, ასევე მისი განმარტებაც.

მაგ.: **backbone** – ხერხემალი (ჩონჩხის მთავარი ნაწილი – მალე-ბისაგან ასხმული ძვლოვანი ღერძი, რომელშიც მოთავსებულია ზურგის ტვინი).

ამ ტიპის ლექსიკონებში ტერმინს განმარტება შეიძლება დაერთოს ორივე ენაზე.

### ტერმინი და ტერმინოლოგია

ტერმინი განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, რომელიც სამეცნიერო ცნებას აღნიშნავს და, ამდენად, უზრუნველყოფს სპეციალისტთა შორის კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას ამა თუ იმ დარგის ფარგლებში. ტერმინთა ერთობლიობას კი ტერმინოლოგია ეწოდება, მაგ.: მათემატიკური ტერმინოლოგია არის მათემატიკურ ტერმინთა ერთობლიობა, სამედიცინო ტერმინოლოგია – სამედიცინო ტერმინთა და ა.შ. ტერმინოლოგიის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ტერმინის ბუნებისა და ძირითადი მახასიათებლების დადგენა ზოგად ლექსიკასთან მიმართებით. რა კონკრეტული ნიშან-თვისებები განასხვავებს ტერმინებს ზოგადი ლექსიკისაგან და რატომ უნდა ვუნოდოთ ერთ სიტყვას ტერმინი, ხოლო მეორე მივაკუთვნოთ ზოგად ლექსიკას? ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის სპეციალიზაცია და მისი ხარისხი, ანუ იმის გარკვევა, თუ რამდენად სპეციალიზებულ და კონკრეტულ დარგს მიეკუთვნება ესა თუ ის სიტყვა. ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი თვისება ტერმინოლოგიასა და ზოგად ლექსიკას შორის არის ის, რომ ტერმინოლოგია და, ზოგადად, ტერმინები გამოიყენება ისეთი ცნებების აღსანიშნავად, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ დისციპლინებს თუ სფეროებს განეკუთვნება.

მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება საერთო ლექსიკის სიტყვასა და ტერმინს შორის არის თავად ცნება, კონცეპტი, რომელსაც ისინი აღნიშნავენ. ცნება / კონცეპტი, რომელიც ქმნის ზოგადი ლექსიკის სიტყვის მნიშვნელობას, ასახავს მოცემული ენობრივი კოლექტივის

წარმოდგენას გარე სამყაროს ამა თუ იმ საგანზე, მოვლენაზე, ნიშან-თვისებაზე. ამიტომ მსგავსი სიტყვების მნიშვნელობა განსხვავდება ენებში და ქმნის სემანტიკურ ასიმეტრიას ენებს შორის (იხ. მეოთხე და მეშვიდე თავები).

სულ სხვაგვარია ცნება, რომელსაც ტერმინი აღნიშნავს. ეს არის სამეცნიერო ცნება, ამიტომ იგი არ შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ენაში, არამედ უნივერსალურია. მაგალითად, არ შეიძლება ბიოლოგიური ტერმინი **მუტაცია** სხვადასხვაგვარად ესმოდეთ სხვადასხვა ეროვნების ბიოლოგებს ან **შუნტირების ოპერაციაში** განსხვავებულ აზრს დებდნენ ქართველი და ინგლისელი ქირურგები. მეცნიერება უნივერსალურია, ამიტომ უნივერსალურია ის სამეცნიერო ცნებებიც, რომლებსაც ტერმინები ასახავს. შესაბამისად, ტერმინის შინაარსიც უნივერსალურია, მას ქმნის არა ენობრივი კოლექტივის წარმოდგენები, არამედ დარგის სპეციალიტები, რომლებიც შეიმუშავებენ ტერმინთა განმარტებებს და მათში ჩამოყალიბებულია სამეცნიერო ცნების ყველა ძირითადი ნიშან-თვისება.

რაც შეეხება სამეცნიერო ცნების სახელს, იგი შეიძლება განსხვავდებოდეს ენებში. ზემოთ მოყვანილი ტერმინ „ხერხემლის“ მაგალითი ამის ნათელი დადასტურებაა. მისი შინაარსი ერთნაირია როგორც ქართულ, ისე ინგლისურ, ფრანგულ თუ სხვა ენაში, დასახელება კი შეიძლება იყოს განსხვავებული: ხერხემალი, **backbone**, **colonne vertébrale**, **Rückgrat**, **spina dorsale**, **columna vertebral**, **позвоночник** და სხვ.

## ტერმინის სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ტერმინი? როგორია იდეალური ტერმინი?

ტერმინი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს გამჭვირვალე, მოტივირებული, რაც მას ადვილად გასაგებსა და აღსაქმელს ხდის. გამჭვირვალე ტერმინის არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: მრიცხველი, გენსატყორცნი, გლობალური პოზიციონირების სისტემა,

ძნასაკონი, ხელჩაქუჩი, მინამბერი, ფირფიტსაკრავი, საძირკველი, თაფლსაწური და სხვ. არამოტივირებულ ტერმინთა მაგალითად შეიძლება განვიხილოთ უცხო ენებიდან ნასესხები ტერმინები. მაგალითად, დელეცია, ინჰიბიცია, რეზისტენტობა, დიმინუცია, პრეციპიტაცია და ა.შ.

სტრუქტურული თვალსაზრისით ტერმინი შეიძლება იყოს **ერთსიტყვიანი** ან **შედგენილი**. **ერთსიტყვიანი** ტერმინი, თავის მხრივ, იყოფა: **მარტივ** (წრფე, კლონი, გენი, მაღარო, მერქანი და სხვ.), **ნაწარმოებ** (კლონური, გენური, მერქნისებრი და სხვ.) და **რთულ** ტერმინებად (ნამგლისებრუჯრედოვანი, ლაყუჩნინა, გენსატყორცნი, გემთსაშენი, წყალსადენი, ბეტონსარევი და ა.შ.).

**შედგენილი**, ანუ **ანალიტიკური ტერმინი** ორი ან მეტი სიტყვისაგან შედგება (ცენტრალური პროცესორი, უნივერსალური სერიული სალტე, გლობალური პოზიციონირების სისტემა, შიგანვის ძრავა, მარგი ქმედების კოეფიციენტი, მოლეკულური წონა და სხვ.). ამგვარი ტიპის ტერმინები საკმაოდ გავრცელებულია და ნებისმიერი ენის ტერმინოლოგიური სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. შედგენილ ტერმინებს აქვს ერთი მნიშვნელოვანი თვისება – გამჭვირვალობა და მოტივირებულობა, რაც მნიშვნელოვანია ტერმინისათვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ამგვარი ტერმინების ნაკლის არის, რომ მათ აკლიათ სისხარტე და ლაკონიურობა, რაც ასევე ტერმინის მნიშვნელოვანი მახასიათებელია.

ტერმინებად ძირითადად მეტყველების სამი ნაწილი გვევლინება, ესენია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა, თუმცა ყველაზე მეტი ტერმინი არსებითი სახელია.

ტერმინის ბუნების უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია მისი სემანტიკური დახასიათება. ტერმინებს ძირითადად აღწერენ, როგორც მონოსემიურ სიტყვებს, რომლებსაც არ უნდა ჰქონდეს პოლისემია, სინონიმია; სიტყვებს, რომლებიც ზუსტად უნდა ასახავდნენ შესაბამისი ცნების შინაარსს, უნდა გამოირჩეოდნენ ლექსიკური სისტემურობით,

უნდა იყვნენ ექსპრესიულად და ემოციურად ნეიტრალური, თანაც მოკლე და სხარტი.

ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები ახასიათებს ტერმინთა დიდ ნაწილს, თუმცა ყოველთვის არა.

ტერმინთა უმრავლესობა გამოირჩევა მონოსემიურობით, თუმცა არაერთი ტერმინი შეიძლება დავასახელოთ, რომლებსაც პოლისემიური მნიშვნელობები აქვს. მაგალითად, სამხედრო ტერმინს – **intelligence 4** მნიშვნელობა აქვს:

**intelligence – (სამხედრო) 1.** სადაზვერვო ინფორმაცია, დაზვერვის მონაცემები; დაზვერვის მიერ მოპოვებული მასალა; **we have received some fresh intelligence on the enemy artillery** მოწინააღმდეგის არტილერიის შესახებ გარკვეული ახალი სადაზვერვო ინფორმაცია გვაქვს მიღებული; **according to our intelligence, further attacks were planned** ჩვენი სადაზვერვო მონაცემების თანახმად, იგეგმებოდა ახალი თავდასხმები;

**2.** დაზვერვა, სადაზვერვო ორგანო / დანესებულება; **US Military Intelligence** აშშ-ის სამხედრო დაზვერვა;

**3.** დაზვერვა, სადაზვერვო სამსახურის პერსონალი; **we are feeding false information to the enemy's intelligence** მოწინააღმდეგის დაზვერვას ცრუ ინფორმაციას ვანვდით;

**4.** დაზვერვა, სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება.

ბიოლოგიურ ტერმინს **clone 5** მნიშვნელობა აქვს:

**clone – 1)** (მოლეკულური ბიოლოგია) კლონი (ერთი უჯრედის შთამომავალი იდენტური უჯრედების ერთობლიობა);

**2)** (გენეტიკა, ბიოტექნოლოგია) კლონი (მაკრომოლეკულის, მაგ., დნმ-ის ან მისი ფრაგმენტის ზუსტი ასლი);

**3)** (ბოტანიკა, ზოოლოგია) კლონი (მცენარეული ან უმდაბლესი ცხოველური ორგანიზმების უსქესო გამრავლებით / ვეგეტაციურად ან დაკვირტვით წარმოქმნილი შთამომავლობა);

**4)** (ბიოტექნოლოგია) კლონი, კლონირებული ორგანიზმი (გენური ინჟინერიით მიღებული);

5) (იმუნოლოგია) კლონი (სპეციფიკურ ანტიგენზე მოპასუხე T და B ლიმფოციტები).

ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც საერთო ენის კუთვნილი სიტყვა იძენს ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას და მისი ერთ-ერთი პოლისემიური მნიშვნელობა ხდება. მაგ.:

**recital – 1.** სოლო კონცერტი; to give a recital სოლო კონცერტის გამართვა; ...

3. (იურიდიული) დეკლარაციული ნაწილი; აღწერილობითი ნაწილი (ოქმისა, შეთანხმებისა და მისთ.).

**instrument – 1.** ინსტრუმენტი, იარაღი; ხელსაწყო; აპარატი; surgical instruments ქირურგიული ინსტრუმენტები / იარაღები; ...

3. (იურიდიული) დოკუმენტი, საბუთი; აქტი; სიგელი; ratification instruments რატიფიკაციის სიგელები; instrument of surrender კაპიტულაციის აქტი.

ერთი და იგივე სიტყვა ან ტერმინი ხშირად სხვადასხვა დარგის ტერმინად გამოიყენება. მაგ.: **Saltation** შეიძლება იყოს ბიოლოგიის, გეოლოგიის, ფსიქოლოგიის ან პროგრამირების ტერმინი. ასეთი მაგალითები მრავლად გვხვდება ინგლისურ ენაში. მაგ.:

**plate – 1.** თეფში; ... 5. (სამხედრო) ჯავშანფურცელი, ჯავშანფილა; 6. (ელექტროტექნიკა) ელექტროდი (აკუმულატორების ბატარეისა, კონდენსატორისა და ა.შ.); 7. (სამშენებლო) კედლის კოჭი, მაუერლატი (ხის კარკასულ / ჩარჩოსებრ კონსტრუქციებში); 8. (ზოოლოგია) 1) ქერცლი, ქიცვი (თევზებისა და ა.შ.); 2) ძვლოვანი ან რქოვანი ფირფიტა, ფარი (ჯავშნისა); 9. (გეოლოგია) ტექტონიკური / ლითოსფერული ბაქანი, ფილა.

ტერმინოლოგია, ზოგადად, დიდი სინონიმით არ ხასიათდება, მაგრამ გვხვდება ასეთი არაერთი შემთხვევაც.

ტერმინთა სინონიმის ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია, როდესაც ქართული ტერმინის გვერდით ფეხს იკიდებს საერთაშორისო



ტერმინი, ან პირიქით: უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო ტერმინისათვის იქმნება ქართული შესატყვისი. მაგ.:

ხუროთმოძღვრება – არქიტექტურა;

მინანქარი – ემალი;

ჩუქურთმა – ორნამენტი;

ადიტიური – ჯამური;

შაპერონი – მეთვალყურე;

ინჰიბიცია – დათრგუნვა;

ინბრიდინგი – შიდა შეჯვარება;

ფოლდინგი – დაკეცვა;

რეპარაცია – აღდგენა;

პრეციპიტაცია – გამოლექვა და სხვ.

ტერმინთა სინონიმის შემთხვევები დასტურდება მაშინაც, როდესაც ერთი ფორმა მეორის შემოკლებული ვარიანტია. მაგ.: გოგირდის მჟავა – გოგირდმჟავა; აზბესტის ქალაღი – აზბესტქალაღი და სხვ.

ტერმინი ძირითადად არის არაექსპრესიული, ემოციურად ნეიტრალური, თუმცა ტერმინოლოგიურ სიტყვა-სტატიებშიც აღწევს სტილისტიკური კვალიფიკაციები, გვხვდება ტერმინთა სასაუბრო, ხუმრობითი, სლენგური ვარიანტებიც კი. მაგ.: **to cut a melon, white knight** – საფინანსო სლენგური ტერმინები; **barebone, bare metal, bloatware, blue screen of death, crippleware** – კომპიუტერული სლენგი; **basket case, beetle-crusher, broolly hop, bull, battle bowler** – სამხედრო სლენგი და ა.შ.

## თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები

თანამედროვე ტერმინოლოგიის ერთ-ერთი გამოკვეთილი ტენდენცია არის საერთო ენის სიტყვების ხშირი მიგრაცია ტერმინოლოგიაში. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს არ არის ახალი ტენდენცია,

საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიზაციით არაერთი ტერმინია შექმნილი სხვადასხვა ენაში, მათ შორის – ქართულშიც. სიახლე ის არის, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი საერთო ლექსიკის სიტყვების გამოყენება ტერმინოლოგიურ სიტყვანარმოებაში. ტრადიციული დარგების ტერმინოლოგიის შედარება უფრო მოგვიანებით ჩამოყალიბებული დარგების ტერმინოლოგიასთან ამ ტენდენციას მკაფიოდ ავლენს. ამისათვის საკმარისია, თვალი გადავავლოთ იმუნოლოგიის, ბიოტექნოლოგიის, კომპიუტერულ, კავშირგაბმულობის, საინფორმაციო ტექნოლოგიების ტერმინებს, მაგ.: “chaperone” (ძირითადი მნიშვნელობა – *მეთვალყურე ქალი*), “checkpoint” (საკონტროლო-გამშვები პუნქტი), “canalization” (არხების გაყვანა) – გენეტიკა; “footprint”, “footprinting” (ფეხის ნაკვალევი, ფეხის ანაბეჭდი) – მოლეკულური ბიოლოგია; “desktop” (საწერი მაგიდის ზედაპირი), “mouse” (თაგვი), “motherboard” (დედადაფა), “scroll” (გრაგნილი), “host” (მასპინძელი), “to bomb” (დაბომბვა), “to hang” (დაკიდება), “wall paper” (შპალერი), “wall” (კედელი), “memory” (მეხსიერება) – კომპიუტერული ტექნოლოგიები და სხვა. ამგვარი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ანალოგიური ტენდენცია იკვეთება მრავალსიტყვიან ტერმინებშიც: “jumping gene” (სიტყვასიტყვით – *მბტუნავი გენი*), “gene gun” (სიტყვასიტყვით – *გენის თოფი*), “gene library” (სიტყვასიტყვით – *გენის ბიბლიოთეკა*) – ბიოტექნოლოგია; “Portuguese man-of-war” (სიტყვასიტყვით – *პორტუგალიური სამხედრო ხომალდი*) – ზოოლოგია; “memory stick” (სიტყვასიტყვით – *მეხსიერების ჩხირი*), “touch screen” (სიტყვასიტყვით – *შეეხე ეკრანს*) და სხვ.

საერთო ლექსიკის სიტყვების ტერმინოლოგიაში მიგრაციის გარდა გამოკვეთილია უკვე შექმნილი ტერმინების ხშირი გადასვლა დარგიდან დარგში როგორც მონათესავე, ისე სრულიად არამონათესავე დარგებში.

ზემოთ აღწერილი პროცესების მიზეზი ენებში ბევრი ახალი სამეცნიერო ცნების მოზღვაებაა, რასაც ბუნებრივად მოსდევს დიდი

რაოდენობით ახალი ტერმინის შექმნის საჭიროება. ამ ვითარებაში ენა ცდილობს აამოქმედოს ენობრივი ეკონომიის პრინციპი და მაქსიმალურად გამოიყენოს არსებული ენობრივი რესურსები ახალი ცოდნის შესაქმნელად. ეს რესურსები, უპირველეს ყოვლისა, არის საერთო ენის ლექსიკა და უკვე არსებული ტერმინები.

თანამედროვე ტერმინოლოგიის ანალიზმა ასევე გამოავლინა, რომ მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ანალიტიკური, მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა. ამან კი, თავის მხრივ, გამოიწვია მრავალი აბრევიატურის წარმოქმნა მეცნიერებისა და ტექნიკის თითქმის ყველა დარგში: CPU (central processing unit), UPS (uninterruptible power supply), USB (universal serial bus), PDF (portable document format), GPS (global positioning system), CDMA (code division multiple access), HDMI (high-definition multimedia interface), HTML (HyperText Markup Language), UMTS (universal mobile telecommunications system) და ა.შ. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობა 15-20 %-დან თითქმის 70 %-მდეა გაზრდილი.

თანამედროვე ტერმინოლოგიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება უკავშირდება ტერმინთა სინონიმების ზრდას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ტერმინოლოგია თავისი სემანტიკური მახასიათებლებით უახლოვდება საერთო ლექსიკის სიტყვებს, რამაც გამოიწვია გარკვეული ცვლილებები ტერმინოლოგიური სიტყვა-სტატიების სტრუქტურაშიც.

### **თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის პრობლემები**

ამგვარად, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფმა განვითარებამ და დიდი რაოდენობით ტერმინის წარმოქმნამ მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა სფეროში გამოიწვია ტერმინთა სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლების ცვლილება. ენამ აამოქმედა არსებული რესურსები ახალი ცნებებისთვის სახელის დასარქმევად, გახშირდა საერთო ლექსიკის სიტყვების მიგრაცია ტერმინოლოგიაში, ასევე უკვე არსებული ტერმინების გადასვლა ერთი დარგიდან მეორეში, როგორც მონათესავე,

ისე სრულიად არამონათესავე დარგებში, მომრავლდა აბრევიატურები, რაც ანალიტიკური, მრავალსიტყვიანი ტერმინების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია, გახშირდა ტერმინთა სინონიმია და სხვ.

იმ ფონზე, როდესაც ინგლისურ ენაში მკაფიოდ იკვეთება ენობრივი ეკონომიის პრინციპის ამოქმედება და ენა ახალი ცოდნის შესაქმნელად არსებულ რესურსებს იყენებს ნაცვლად ახალი სიტყვების შექმნისა, დაუშვებელია ამ გზით შექმნილ ინგლისურ ტერმინთა გადმოტანა ქართულად მხოლოდ ტრანსლიტერაციით. მაგ.: **რეციპროკული ტრანსლოკაცია, ტრანზიციული მუტაცია, ინკორპორაცია, რეპარაცია, ინბრიდინგი, აუტბრიდინგი, ადიტიური, დიმინუცია, პრეციპიტაცია, დელეცია, ნეიროტრანსმიტერი, ინდუცირება, ლოკომოცია, შაპერონი, ინჰიბიცია, ადჰეზია, ფოლდინგი და ა.შ.** საქართველოში ბოლო წლებში შეფერხებული იყო ტერმინოლოგიური მუშაობა, რაც ქართული ლექსიკოგრაფიის საერთო მდგომარეობის ანარეკლია. სათანადო ენობრივი პოლიტიკისა და ლექსიკოგრაფიის განვითარების გარეშე ამ ტენდენციებმა ქართულ ენას შეიძლება სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

XX საუკუნის 80-იან წლებამდე შექმნილი ტერმინოლოგიის ანალიზი მკაფიოდ ავლენს, რომ ქართული საერთო ლექსიკის სიტყვები, ქართული სიტყვათმანარმოებელი საშუალებები მეტად მარჯვედ გამოიყენებოდა ქართული ტერმინების შესაქმნელად. კლასიკურ პერიოდში შექმნილი ქართული ტერმინოლოგია ძირითადად საზრდოობს ქართული წყაროებით და აქტიურად იყენებს ქართულ რესურსებს ტერმინოლოგიის შესაქმნელად. ტერმინთა მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ, ბუნებრივ ტერმინს წარმოადგენს და დიდი შემოქმედებითი ხასიათით გამოირჩევა. ბოლოდროინდელმა კვლევამ კი გამოავლინა, რომ თანამედროვე ქართული ტერმინების თითქმის 90% მათი შესატყვისი ინგლისური ტერმინების ტრანსლიტერირებული ვარიანტებია, მათ შორის – ანალიტიკური ტერმინებიც.

ზემოთქმული როდი ნიშნავს იმას, რომ ყველა ტერმინი უნდა ითარგმნოს ქართულად. სესხება ყოველთვის იყო და კვლავაც დარჩება ქართული ტერმინთშემოქმედების აქტიურ მეთოდად, თუმცა

საჭიროა ერთგვარი „ოქროს შუაღედის“ პოვნა ქართულ და უცხოურ ტერმინებს შორის. ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავება ფართო კონსენსუსს საჭიროებს ტერმინოლოგებსა და კონკრეტული დარგების სპეციალისტებს შორის. ამ დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს როგორც თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები, ისე ქართული ტერმინთშემოქმედების ისტორია და მდიდარი გამოცდილება.

## ლექსიკოგრაფიის ცენტრის ტერმინოლოგიური ლექსიკონები

2009-2016 წლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრმა შექმნა და ინტერნეტში გამოაქვეყნა 3 ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონი: „ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი“; „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინლექსიკონი“ და „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ონლაინლექსიკონი“.

### ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი.

„ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი“ 2009 წელს შეიქმნა თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით. ლექსიკონი ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <http://mil.dict.ge> (იხ. სურ. 1).

The screenshot shows the online dictionary interface for the term "principles of war". At the top, there is a header in Georgian: "ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი" (English-Georgian Military Dictionary) and "English". Below the header, there is a search bar containing the text "principles of war" and a "ძიება" (Search) button. To the right of the search bar, there are checkboxes for "მთელ ტექსტში" (in the whole text) and "ზუსტი დამოხვევა" (exact match), with the latter being checked. There is also a language selector set to "EN".

Below the search bar, there is a navigation bar with letters A through Z. The main content area displays the term "principles of war" in bold, followed by its phonetic transcription in Georgian: "არსებითი სახელი /,prɪnsəplzəv'wɑ:(r)/". Below this, there is a definition in Georgian: "pl ომის წარმოების პრინციპები (ომის წარმოების ცხრა ძირითადი პრინციპი: მიზანი, თავდასხმა, ძალების თავმოყრა, ძალებისა და საშუალებების ეკონომია, მანევრირება, ერთპიროვნული მეთაურობა, საბრძოლო დაცვა, მოულოდნელობა და სიმარტივე) [იხ. აგრ. objective I 3, offensive I 2, mass I 1, economy of force, manoeuvre I 2, unity of command, security 1, surprise I 1 და simplicity]."

On the left side of the interface, there are two sections: "შეზღუდული საიტეკები" (Restricted sites) and "სამხედრო ცნობარი" (Military glossary). The "შეზღუდული საიტეკები" section lists various terms such as "primary position", "primary radio frequency", "prime", "primer", "principle", "principles of war", "priority message", "priority of fire", "priority of support", "priority target", and "prism binoculars". The "სამხედრო ცნობარი" section lists terms like "აბრევიატურების ინდექსი" (Index of abbreviations), "სამხედრო წოდებები" (Military ranks), "ძირითადი საზოგადოებრივი ერთეულები" (Basic social units), "დროის აღრიცხვა" (Time recording), and "ფონეტიკური ანბანი" (Phonetic alphabet).

In the bottom right corner of the screenshot, there is a reference to "სურ. 1." (Fig. 1).

„ინგლისურ-ქართულ სამხედრო ონლაინლექსიკონში“ შეტანილია თანამედროვე ამერიკული, ბრიტანული და საერთაშორისო საბაზო 9400 ტერმინი ისეთი სფეროებიდან, როგორებიცაა: ტაქტიკა, ოპერაციები, მანევრები, წვრთნები, შენაერთები, პერსონალი, ნოდებები, ტრანსპორტი, იარაღი, აღჭურვილობა, ლოგისტიკა და სხვ. ლექსიკონში სამხედრო ტერმინებთან ერთად წარმოდგენილია საავიაციო, საზღვაო, რადიოტექნიკური, ტექნიკური, კარტოგრაფიული, აგრეთვე სამხედრო-პოლიტიკური და ნატოსთან დაკავშირებული ტერმინები. ლექსიკონში შესულია სამხედრო სფეროში ყველაზე გავრცელებული აბრევიატურები.

**ინგლისურ-ქართულ ბიოლოგიური ონლაინლექსიკონი.**

„ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი“ გამოქვეყნდა 2014 წელს და შეიქმნა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. ლექსიკონში შევიდა საკუთრივ ბიოლოგიური და ბიოლოგიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ისეთი დარგების ტერმინები, როგორებიცაა: ბოტანიკა, ზოოლოგია, მიკრობიოლოგია, ციტოლოგია, გენეტიკა, იმუნოლოგია, ბიოქიმია, ანატომია, ფიზიოლოგია, ეკოლოგია, სულ 23000 სიტყვა-ტერმინი. ლექსიკონი ინტერნეტში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bio.dict.ge> (იხ. სურ. 2).



ლექსიკონში მაქსიმალურადაა ასახული ცხოველთა და მცენარეთა უკანასკნელ ხანებში აღმოჩენილი სახეობები. ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა აღმნიშვნელ ინგლისურ ტერმინებს დართული აქვს სათანადო ლათინური სახელწოდებები. ლექსიკონში აგრეთვე ასახულია საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის რეგიონის ცხოველთა და მცენარეთა ძირითადი ენდემური სახეობები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთი დარგების ტერმინებს, როგორებიცაა: გენეტიკა, იმუნოლოგია, ბიოტექნოლოგია, ეკოლოგია.

**ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ონლაინლექსიკონი.**

„ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინლექსიკონი“ ინტერნეტში აიტვირთა 2016 წელს და განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://techdict.ge> (იხ. სურ. 3).

The screenshot shows the 'English' version of the 'TechDict' online dictionary. The search bar contains the word 'bomb'. Below the search bar, there are navigation tabs for 'დაკავშირებული სიტყვები' (Related words), 'სინონიმები' (Synonyms), and 'მეზობელი სიტყვები' (Neighboring words). Under 'დაკავშირებული სიტყვები', 'bomb II' and 'crash II' are listed. Under 'სინონიმები', 'freeze up' is listed. Under 'მეზობელი სიტყვები', 'handshaking', 'hand shield', 'hand tool', 'hand vice', 'handwheel', and 'hang' are listed. The main entry for 'hang' is displayed, including its phonetic transcription /hæŋ/, its part of speech (verb), and detailed definitions in Georgian. The definitions describe the process of freezing or crashing a computer system. The interface also includes a keyboard layout and a search icon.

სურ. 3.

აღნიშნული ლექსიკონიც შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შეიქმნა. **ტექნიკურ ლექსიკონში** ძირითადად შევიდა ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის, მანქანა-დანადგარებისა და მათი ნაწილების, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, საავტომობილო, სამშენებლო, სამთამადნო, სარკინიგზო და ჰიდროტექნიკური ტერმინოლოგია, სულ



18000 სიტყვა-სტატია. ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი არის პირველი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც შეიქმნა ლექსიკონის მართვის სისტემაში, როგორც მონაცემთა ბაზა. ამან შესაძლებელი გახადა ტერმინოლოგიური ნყვილების ავტომატური წარმოქმნა, რის შედეგადაც ლექსიკონში დღეს არის 87292 ტერმინოლოგიური ნყვილი: ინგლისურ-ქართული (18670), ქართულ-ინგლისური (24036), ინგლისურ-რუსული (8516), რუსულ-ინგლისური (11591), ქართულ-რუსული (12966) და რუსულ-ქართული (11513).

\* \* \*



**I. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:**

1. რას ნიშნავს „დარგობრივი ლექსიკონი“?
2. რომელ ქართულ დარგობრივ ლექსიკონებს დაასახელებდით? (მოიყვანეთ ზოგიერთი მათგანი)
3. ძირითადად, რომელ ენასთან მიმართებით იქმნებოდა თარგმნითი დარგობრივი ლექსიკონები XX საუკუნის 50-80-იან წლებში? რით იყო ეს შეპირობებული?
4. რა მხრივ არის დღეისათვის მდგომარეობა შეცვლილი და რამ გამოიწვია ეს?
5. რა ამოცანებს უსახავს ქართველ ლექსიკოგრაფებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სწრაფი განვითარება?
6. რატომ არის აუცილებელი ახალი ინგლისურ-ქართული და ქართულ-ინგლისური ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა?
7. რომელი ინგლისურ-ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკონები შეადგინა „ლექსიკოგრაფიის ცენტრმა“?
8. გამოგიყენებიათ თუ არა რომელიმე მათგანი?
9. რა თავისებურებებით გამოირჩევა „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ონლაინლექსიკონი“?
10. დარგობრივი ლექსიკონების რა ტიპები შეგიძლიათ დაასახელოთ?

11. დარგობრივ ლექსიკონთა ამ ტიპებიდან რომელი ტიპის დარგობრივი ლექსიკონია ყველაზე უფრო სასარგებლო და გამოსადეგი პირადად თქვენთვის?
12. როგორ განსაზღვრავდით ცნებას „ტერმინი“ და რა განსხვავებაა საერთო ლექსიკის სიტყვასა და ტერმინს შორის?
13. ტერმინების რომელი სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლების გამოყოფა შეგიძლიათ?
14. თანამედროვე ტერმინოლოგიის განვითარების რომელი ძირითადი მიმართულებები შეგიძლიათ დაასახელოთ?
15. რა პრობლემებს აწყდება თანამედროვე ქართული ტერმინოლოგია?

## **II. შიასრულეთ შიხდები დავალება:**

ლექსიკოგრაფიის ცენტრის მიერ გამოცემული ინგლისურ-ქართული დარგობრივი ლექსიკონებიდან შეარჩიეთ 5 სიტყვა-სტატია და გააანალიზეთ როგორც ლექსიკოგრაფიული პრინციპების, ისე ქართულ ტერმინთა სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლების თვალსაზრისით.

## თავი 12.

### ელექტრონული ლექსიკოგრაფია


ელექტრონული ლექსიკოგრაფია XX საუკუნის მინურულისა და XXI საუკუნის პირმშოა და მოიცავს ლექსიკონებს, რომელთა მონაცემები ციფრულ ფორმატშია გადაყვანილი ან შექმნილი და ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა საშუალებით შეიძლება. სწორედ ეს საშუალებები განსაზღვრავს ელექტრონული ლექსიკონების ძირითად ტიპებს:

- დესკტოპაპლიკაციები CD-ROM-ზე ან DVD-ROM-ზე. ლექსიკონების კომპიუტერში ჩატვირთვის შემდეგ ისინი დისკის გარეშე მუშაობენ;
- აპლიკაციები სმარტფონების, აიპადებისა თუ სხვა მონყობილობებისთვის;
- ინტერნეტ-/ონლაინვერსიები. ლექსიკონი განთავსებულია ინტერნეტში და მასზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტის მეშვეობით;
- ჯიბის ელექტრონული ლექსიკონები, რომლებიც სპეციალურ მცირე ელექტრონულ ხელსაწყოშია ჩატვირთული. ეს პატარა ელექტრონული ხელსაწყოები ასანთის კოლოფის ან საკრედიტო ბარათის ზომისაა და ძალიანაა გავრცელებულია, უპირატესად, იაპონიასა და სინგაპურში, სადაც მათ ჯიბის ბეჭდური ლექსიკონები ჩაანაცვლეს. სავარაუდოდ, ჯიბის ელექტრონული ლექსიკონები მომავალში სხვა ქვეყნებშიც გახდება პოპულარული;
- ელექტრონული ლექსიკონები ასევე არსებობს როგორც ფუნქცია, ჩაშენებული ელექტრონული წიგნების წამკითხველ მონყობილობაში (E-reader).

## ელექტრონული ლექსიკონების ისტორია

ელექტრონული ლექსიკონები CD-ROM-ზე პირველად გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოჩნდა და ისინი, ძირითადად, ბეჭდური გამოცემების ანალოგიური იყო.

„ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი“ (OED), კერძოდ, მისი პირველი გამოცემა დისკის სახით ხელმისაწვდომი გახდა 1988 წელს. 1989 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა OED 2 – ლექსიკონის მეორე გამოცემა ოც ტომად, რამაც უდიდესი გამოხმაურება პოვა მთელ მსოფლიოში (ეს ლექსიკონი ვრცელადაა განხილული მე-5 თავში). OED 2-ის დესკტოპაპლიკაციის პირველი ვერსია გამოიცა 1992 წელს, მეორე – 1999 წელს, მესამე კი – 2002 წელს. OED 2-ის ერთ-ერთი ბოლო CD-ROM ვერსია არის 2007 წელს გამოცემული 3.1 ვერსია (იხ. სურ. 1).



სურ. 1.

„ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის“ ეს ვერსია ელექტრონული ლექსიკოგრაფიის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. ამ ელექტრონული ლექსიკონის მრავალი საძიებო ფუნქციონალი ვრცელადაა განხილული მე-5 თავში.

2000 წლის მარტში ინტერნეტში აიტვირთა ოქსფორდის ლექსიკონის ონლაინვერსია და იგი ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლებისათვის. ლექსიკონის განახლებასა და შევსებაზე მუდმივად მუშაობს რედაქტორების ჯგუფი და OED-ს ონლაინვერსია ამ ლექსიკონის ერთ-ერთი ყველაზე უახლესი ვარიანტია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბრიტანეთში გაჩნდა სასწავლო ლექსიკონის პირველი დესკტოპაპლიკაცია. ეს იყო *Collins English Dictionary*-ს მესამე გამოცემა – CED 3 (1991). 2002 წლიდან მაკმილანის (*Macmillan English Dictionary for Advanced Learners 1*), ლონგმე-

ნისა (*Longman Dictionary of Contemporary English 4*) და ოქსფორდის (*Oxford Advanced Learner's Dictionary 7*) გამომცემლობებმა თითქმის ერთდროულად გამოსცეს სასწავლო ლექსიკონები, რომლებსაც დართული ჰქონდა დისკი ლექსიკონის ელექტრონული ვერსიით (ეს თემა დეტალურადაა განხილული მე-8 თავში). ლექსიკონის ბეჭდურ ვერსიასთან ერთად დესკტოპაპლიკაციისა და ინტერნეტვერსიის არსებობა შემდგომში სასწავლო ლექსიკოგრაფიის, როგორც ჟანრის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნად იქცა.

საფრანგეთში პირველი ლექსიკონი, რომელიც დისკის სახით გამოიცა 1988 წელს, იყო *Dictionnaire Hachette*. 1989 წელს გამოქვეყნდა რობერის ფრანგული ენის ვრცელი განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია (*Grand Robert de la langue française*). *Petit Robert* – რობერის ლექსიკონის შეკვეცილი ვერსია ელექტრონული ლექსიკონის სახით CD-ROM-ზე 1996 წელს შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონის ტექსტი საგანგებოდ მომზადდა ელექტრონული გამოცემისათვის. იმავე წელს CD-ROM-ზე გამოქვეყნდა ფრანგული ენის მეორე ავტორიტეტული განმარტებითი ლექსიკონი – ლარუსი (*Petit Larousse Illustré*). ამავე პერიოდიდან იწყება ელექტრონული ლექსიკონების შექმნა თითქმის ყველა ევროპული ენისათვის.

თუ 80-იან და ნაწილობრივ 90-იან წლებში გამოცემული ელექტრონული ლექსიკონები ბეჭდური ლექსიკონების მხოლოდ ელექტრონული ვარიანტები იყო, მოგვიანებით შეიქმნა სპეციალური პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც ლექსიკონების ტექსტები სპეციალურად მზადდება ელექტრონული და ონლაინგამოცემებისათვის.

## ელექტრონული და ონლაინლექსიკონების უპირატესობები

ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას ბევრი უპირატესობა აქვს ბეჭდურ ლექსიკონებთან შედარებით. უპირველეს ყოვლისა, ერთ დისკზე შესაძლებელია ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციის შენახვა. ის საკმარისია „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის“ (OED) 20 ტომის მასალის მოსათავსებლად, ენციკლოპედია „ბრიტანიკას“ 44 მილიონი სიტყვის დასატევად და ა.შ.

ელექტრონული ლექსიკონების ამ შესაძლებლობის გამო უფრო პატარა მოცულობის სასწავლო ლექსიკონებს დართული აქვს სხვადასხვა დამატებითი ინფორმაცია: კომენტარები, ლექსიკური სავარჯიშოები, თეზაურუსები, თამაშები და მისთ.

ელექტრონულ ლექსიკონებში შესაძლებელია შემდეგი: სიტყვის სრული პარადიგმის შეტანა, სიტყვისთვის ეტიმოლოგიის, სინონიმების, ანტონიმების, დამატებითი საილუსტრაციო ფრაზებისა და წინადადებების დართვა ელექტრონული კორპუსებიდან. მოცულობის თვალსაზრისით ელექტრონული ლექსიკოგრაფიის შესაძლებლობები მართლაც უსაზღვრო და ამოუწურავია.

ელექტრონულ ლექსიკონებში გამარტივებულია ძიების სისტემა. ელექტრონული ფორმატი საშუალებას იძლევა, რომ მკითხველმა მოიძიოს სიტყვა, შესიტყვება, იდიომი და ა.შ. ძიება შესაძლებელია სიტყვის არასრულად შეყვანის ან არასწორად აკრეფის დროსაც კი. სიტყვის მოძიება შესაძლებელია მთელ ტექსტშიც, სხვადასხვა ფრაზასა და წინადადებაში. მასალის გადარჩევა შესაძლებელია დარგების მიხედვით, ეტიმოლოგიის მიხედვით, ციტირების წყაროს მიხედვით და სხვ. (დანვრილებით იხილეთ მე-6 თავი). ელექტრონულ ლექსიკონებში ინტეგრირებულია აუდიო- და ვიზუალური საშუალებები; შესაძლებელია სალექსიკონო სიტყვა-სტატიის მასალის იმგვარი სტრუქტურირება, რომ მომხმარებელმა, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა ლილაკის ჩართვით მიიღოს მისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია. სალექსიკონო სიტყვა-სტატიაში ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ზომის, ფორმისა და ფერის ფონტების გამოყენება, რაც ლექსიკონს უფრო სასიამოვნოდ აღსაქმელს და ადვილად გამოსაყენებელს ხდის მომხმარებლისათვის.

ელექტრონული ლექსიკოგრაფიის შესაძლებლობები არ არის ბოლომდე ამოწურული და კიდევ ბევრი ახალი ფუნქციის დამატებას უნდა ველოდოთ გამომცემლებისაგან.

ონლაინლექსიკონებს, ბეჭდურ გამოცემასთან შედარებით, აქვს ყველა ის უპირატესობა, რაც ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას (ამაზე

ზემოთ იყო საუბარი). დამატებით ონლაინლექსიკონებს აქვს სხვა ფუნქციებიც. ონლაინფორმატი ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიას საშუალებას აძლევს მუდმივად განაახლოს ლექსიკონი, დაუმატოს მას ახალი სიტყვები, რედაქცია გაუკეთოს და განაახლოს არსებული სიტყვა-სტატიები. ონლაინლექსიკონებს დამატებით დართული აქვს ინფორმაცია იმ სიახლეებზე, განახლებებზე, ახალი სიტყვების დამატებაზე, რასაც ამა თუ იმ ლექსიკონის სარედაქციო გუნდი ახორციელებს.

ონლაინლექსიკონებზე მომუშავე გუნდს ასევე საშუალება აქვს, გააანალიზოს მომხმარებელთა ძიების ლოგები და შეისწავლოს, რას და როგორ ეძებს მომხმარებელი ლექსიკონში. ონლაინლექსიკონების ეს შესაძლებლობა განსაკუთრებით პოპულარული გახდა ბოლო წლებში. ევროპელი ლექსიკოგრაფები ლექსიკოგრაფთა არაერთ სიმპოზიუმსა და კონგრესზე წარადგინენ ძიების ლოგების კვლევის შედეგებს და იმ ცვლილებებს, რაც ლექსიკონში განხორციელდა სწორედ ამ მასალის ანალიზის შედეგად. ონლაინლექსიკონებს ასევე აქვთ ბმულები სხვადასხვა ინტერნეტგვერდებზე.

## ელექტრონული ლექსიკოგრაფია საქართველოში

საქართველოში ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარება XXI საუკუნეში იწყება. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ეს პროცესი ორი გზით წარიმართა: 1. არსებული ბეჭდური ლექსიკონების გაციფრება და ინტერნეტში განთავსება და 2. მონაცემთა დიდი ბაზების საფუძველზე ელექტრონული ლექსიკონების გენერირება ლექსიკონის მასალის მუდმივი გადამუშავების, განახლებისა და შევსების ფუნქციით – ლექსიკონის მართვის პანელის გამოყენებით.

პირველი მიმართულების თვალსაჩინო ნიმუშია ქეგლ-ი – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>), რომელიც ბეჭდური გამოცემის ელექტრონული ვერსიაა (იხ. სურ. 2).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა უკვე მრავალი წელია ახორციელებს მნიშვნელოვან



მეთაური სიტყვა
სიტყვა სტატია

ხელი

შეიყვანეთ სამიეზო სიტყვა

ძიება

მიზის ინსტრუქცია  
შემოკლებანი

**ხელი**

**ხელი**<sup>1</sup> (ხელისა) 1. ადამიანის ზედა კიდურის ნაწილი მაჯიდან თითების ბოლომდე, \_ მტევანი (მხიმე. 2). ხელი მოჰკიდა, \_ ხელს უჭერს. \_ [მვლავის] ზემო ნაწილს წიდაყვამდე მხრისთავი ჰკვია, შუა ნაწილს წიდაყვიდან ხელამდე \_ წურთა (ი. გოგება). ძალს მიუვდინან საჭმელად ხელი მუცლის მკლავისა (გაფი). 2. საერთოდ, ადამიანის ზედა კიდური. [მარომ] ხელები მოხვია ბაბუჯას (ნ. ლომ). 3. იგივეა, რაც სახელური. დოქის ხელი. \_ კალათის ხელი. 4. ერთად სახმარი ნივთების სრული ნაკრები, \_ კომპლექტი. ერთი ხელი ლოგინი. \_ თითო ხელი ტანსამოსი ვიყიდეთ (ა. ნაგარ). || ჯერობა, პარტია, თალია (თამაშის დროს). ერთი ხელი წარდი. 5. წერის, ასოების გამოყვანის თავისებურება. ლამაზი ხელი აქვს. \_ მდივანშეინობრული ხელი. \_ აბა, ეს გამოწვევის ბარათი წაიკითხე... და შემატყე, ვისი ხელისა (ი. მანაშ. თარგმ.). 6. გადატ. ვინც რასმე აკეთებს, \_ მოსაქმე. შრუწველი ხელი. \_ აქ მოთავსებულ ქონებას, რასაკვირველია, ბევრი მომვლელი ხელი ეჭირვებოდა (დ. კლდე). 7. რისამე გაკეთების, მოვლის წესი, \_ ხელობა. ისე კარგადაც კი შევისწავლეთ საჩერლის და ლარის ხელი, რომ ქაღებიც ვეღარა გველოზნიდნენ (აკაკი). სირცხვილ კი იქნება, კვამ ვენახის ხელი არ იცოდეს და მეზურედა დებობდესო (დ. მანაშ). 8. მე. უფლებება, ხელისუფლება. სიტყვა «ხელს» მველ ქართულ იურიდიულ მწერლობაში... უფლების მნიშვნელობაც ჰქონდა (ი. გავაგა). **ხელად** ზმს. ხელით, ხელში. ახლს ხელად ფული არა მაქვს, როდესაც მექნება, მიიღებთ (ლ. არდაზ). || სახელდახელიად, უცბად, ერთბაშად. [მვლანომ] ხელად გამალა სუფრა (აკაკი). [უზნათლოშვილებს] სად უნდა ემოგზათ ასე ხელად ხუთი თუმანი? (გ. ნინოშ). **ხელით** ზმს. მანქანის, მექანიზმის დაუხმარებლად. ხელით ნაკერი. \_ წინათ [ლომს] ცეხვედნენ ხელით, ახლს კი უმეტისად წყლით ცეხვევენ (ი. გოგება). ი რადც... ორი დღის ქერი გვებადა, ...სულერთიან ხელით მოვლოკეთ (ს. მგალობ). ♠ **ხედნიერ ხელზე** საუბ. იტყვიან

**სურ. 2.**

პროექტს, არსებულ ბეჭდურ ლექსიკონებს აცვიფრებს და ამ გზით ხელმისაწვდომს ხდის ფართო საზოგადოებისათვის. ელექტრონული ლექსიკონების ინტერნეტმისამართია:

<https://www.nplg.gov.ge/geo/E-Dictionaries> (იხ. სურ. 3).

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, საქართველოში თანამედროვე ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარების კონცეპტუა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიება კატალოგში

საძიებო სიტყვა

🔍

☰

რუსურები
გერმანურები
საბიბლიოთეკო საბინარობა
ბიბლიოთეკის მისაღებად
GEO ENG

**ელექტრონული ლექსიკონები**

**მნიშვნელობა, ლექსიკონები და მნიშვნელობა**

- **ბიბლიოთეკა** - ეროვნული ბიბლიოთეკის ვიკი-ენციკლოპედია გეოგრაფიულად განლაგებული, ენციკლოპედია ხასიათის სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატიები.
- **ელექტრონული ლექსიკონი** - წარმოდგენილია რამდენიმე სხვადასხვა ლექსიკონით: ფსევდონიმების ლექსიკონი, უცხო სიტყვათა განმარტებით, ადამიანის უფლებათა, სამოქალაქო განათლების, ინგლისურ-ქართული, საკანონმდებლო ტერმინთა, საბიბლიოთეკო ტერმინთა, ხელოვნების, ქართულ სინონიმთა და სხვა ლექსიკონებით.
- **ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკონები** - მოიცავს ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ლექსიკონებს.
- **სასკოლო ლექსიკონი** - წარმოდგენილია სასკოლო პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურის ლექსიკონებით.
- **სასკოლო ლიტერატურა** - იტარებენ სასკოლო სახელმძღვანელოებში შესულ ნაწარმოებებს, აგრეთვე იმ ნაწარმოებებს და ლექსიკონებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდებიან სასკოლო განათლებას.
- **საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი** - წარმოადგენს თქვენთვის სასურველი ისტორიული ძეგლის ბეჭდურ გამოცემებში მარტივად მოძიების საშუალებას.
- **ქართველოლოგიური წიგნებისა და კრებულების ფოტოშასხადის აღწერილობა** - წარმოადგენს იმ პიროვნების, არქიტექტურული ძეგლების, ეთნოგრაფიული წიგნების, ხელნაწერების, ხედიების, რეკების ფოტოების აღწერილობათა მონაცემთა ბაზას.

კონსულტაცია

სურ. 3.

ლური საკითხების დამუშავება დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრთან და „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ სარედაქციო გუნდთან. 2009 წელს ლექსიკონის რედაქტორებმა გადაწყვიტეს ლექსიკონის ონლაინვერსიის შექმნა და მისი ინტერნეტში განთავსება. მათ შეისწავლეს იმ დროისათვის არსებული ელექტრონული ლექსიკონები და არჩევანი შეაჩერეს „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის“ (OED) ზემოხსენებულ მოდელზე. 2010 წელს ინტერნეტში აიტვირთა „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი“ ([www.dict.ge](http://www.dict.ge)).

ონლაინლექსიკონს ძიების მრავალმხრივი შესაძლებლობები აქვს. შესაძლებელია: ძიება, როგორც საკვანძო სიტყვის, ასევე შესიტყვების ან ფრაზის მიხედვით; ძიება სიტყვა-სტატიის მიხედვით და ძიება ლექსიკონის მთელ ტექსტში; ქართული სიტყვებისა და ფრაზების მოძიებაც (იხ. სურ. 4). სიტყვის ძიება ხდება საძიებო ველში მისი არასრული / ნაწილობრივი შეყვანის შემთხვევაში როგორც ინგლისური, ისე ქართული სიტყვებისათვის; სიტყვის არასწორად აკრეფის შემთხვევაში პროგრამა მკითხველს სთავაზობს სავარაუდო სწორ ვარიანტებს; ლექსიკონს აქვს შიდა ბმულები, ამოსაბეჭდი ვერსიის ტექსტის

English

დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი

სახსლები | ლექსიკონის ინსტრუქცია | ლექსიკონის შესახებ | კონტაქტი | ზღოფი

ეპიფანია ძიება

მთელ ტექსტში  ზუსტი დამოხვევა EN

A B C D E F G H I J K L M N O P Q R S T U V W X Y Z

▲ მგზობელი სიტყვები

epinasty  
detrainment  
epinician  
detriment  
epinicion  
detrimental I  
epinikion  
detrimental II  
epipetalous  
detrimentally  
Epiphany  
detrital  
epiphenomena  
detrited  
epiphenomenon  
detrition  
epiphonema  
detritus

**Epiphany** noun [iˈpɪfəni]

1. ეკლ. 1) ეპიფანია, საეკლესიო დღესასწაული (რომელსაც დასავლური ეკლესიები ეჭს იანვარს, შობიდან მეოთხრეტე დღეს აღნიშნავენ), შიძლილი მოგვთა შიერ ყრმა ქრისტეს სანახაოდ ჩამოსვლისაღმა;

2) მყტობრის განყხადება; ნათილსება, ეპიფანია (საეკლესიო დღესასწაული, რომელსაც აღმოსავლური ეკლესიები ეჭს იანვარს, ძელი სტილით ყხრამეტე იანვარს, შობიდან მეოთხრეტე დღეს აღნიშნავენ);


2. (epiphany) 1) გამოყხადება (ღმერთისა, ღვთაებისა, ზებუნებრივი არსებისა);  
2) ინვარნაცია, მნიფერი განსახიერება (ღმერთისა, ღვთაებისა); an epiphany of Vishnu ვიშნუს მნიფერი განსახიერება, ავატარა;

3. (epiphany) 1) აბსოლუ. გონების / ინტელექტის გამობრწყინება;  
2) რისაზე მნიშვნელობის, არის უცყარი (ბმ. ინტუიციური) წვლია ან გამოვლენა.

← detrimentially epiphenomena →

სურ. 4.

ფორმატირების ფუნქცია; მომხმარებელს საშუალება აქვს გაფილტროს მონაცემები დარგების მიხედვით; ონლაინლექსიკონში გამოყენებული შემოკლებები და სიმბოლური ნიშნები ეკრანზე განსხვავებული ფერითაა წარმოდგენილი და მათთან კურსორის მიტანის შემთხვევაში ეკრანზე ჩნდება ფანჯარა სათანადო განმარტებით (იხ. სურ. 5).



სურ. 5.

ონლაინლექსიკონისათვის შეიქმნა მართვის პანელი, რომელიც მოიცავს: ლექსიკონის სიტყვანის რედაქტირების ფუნქციას; ახალი სიტყვების დამატების ფუნქციას; მომხმარებლების მიერ განხორციელებული ძიების ლოგების შენახვის ფუნქციას; რედაქტორისთვის საჭირო ინსტრუმენტებს – გენერატორებსა და კონვერტორებს (იხ. სურ. 6).

2011-2014 წლებში იგივე ტექნოლოგიური ჩარჩო გამოყენებულ იქნა ლექსიკოგრაფიის ცენტრის ტერმინოლოგიური ონლაინ-ლექსიკონებისათვის, კერძოდ, „ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონისა“ (<http://mil.dict.ge>) და „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინლექსიკონისათვის“ (<http://bio.dict.ge>).

ამ პროექტების პარალელურად ქართულ ლექსიკოგრაფიაში მკაფიოდ გამოიკვეთა ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარების შემდგომი ეტაპი: ელექტრონული და ონლაინლექსიკონების შექმნა






სურ. 6.

არა DOC-ფაილებიდან, არამედ სპეციალური ლექსიკონის მართვის სისტემებში (DWS – Dictionary Writing System). ამგვარ სისტემაში ლექსიკონის მასალა გადანაწილებულია მონაცემთა ბაზის სხვადასხვა ველში, რომელიც ბევრად მაღალი ხარისხის ონლაინ- და ელექტრონული ლექსიკონების გენერირების საშუალებას იძლევა.

ამ მიმართულების ერთ-ერთი მაგალითია ლექსიკოგრაფიის ცენტრის „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინლექსიკონი“ (<http://techdict.ge>), რომელიც ინტერნეტში აიტვირთა 2016 წელს. ეს ლექსიკონი არის ე.წ. „ელექტრონულად დაბადებული“ ლექსიკონი (“digitally born”), რომელიც შეიქმნა „მრავალენოვანი ლექსიკონის მართვის სისტემაში“, როგორც მონაცემთა ბაზა. ბაზაში გამოიყო შემდეგი ველები: მეთაური სიტყვა (ინგლისური, რუსული, ქართული), განმარტება (ქართული), დარგობრივი კვალიფიკაციები, სინონიმები, დაკავშირებული სიტყვები, შესიტყვებები და საილუსტრაციო წინადადებები და სხვ. (იხ. სურ. 7).

ლექსიკოგრაფიული მონაცემების ველებად განლაგების შედეგად შეიქმნა თანამედროვე ონლაინლექსიკონი მრავალგვარი საძიებო სისტემებით როგორც ინგლისურ, ისე რუსულ და ქართულ ენებზე,



ავტომატურად წარმოიქმნა ტერმინოლოგიური წყვილები: ინგლისურ-ქართული, ქართულ-ინგლისური, ინგლისურ-რუსული, რუსულ-ინგლისური, რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული და 18000 სიტყვა-სტატიიდან დამატებით შეიქმნა თითქმის 87000 ტერმინოლოგიური ექვსენოვანი წყვილი (იხ. სურ. 8).



ლექსიკონის მართვის სისტემაში შეიქმნა „ქართული ლექსიკონი“ (ავტორები: გ. ცოცანიძე, ნ. ლოლაძე და ქ. დათუკიშვილი), რომელიც 2014 წელს გამოსცა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“. სწორედ ამის შედეგად გახდა შესაძლებელი ლექსიკონის მეტად მოქნილი ონლაინვერსიის შექმნა, რომელიც ინტერნეტში განთავსებულია მისამართზე: <https://www.ganmarteba.ge/>

ამ მიმართულებით შექმნილ ლექსიკონებს შორის უნდა გამოიყოს „ქართულ-ბერძნული იდიომური გამოთქმების ონლაინლექსიკონი“, რომელიც შეიქმნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტური კვლევების ცენტრში (ავტორები: ი. ლობჯანიძე და ს. ბერიკაშვილი). ლექსიკონი შეიქმნა პროფესიონალური ლექსიკონის მართვის სისტემაში (TLex). იდიომური გამოთქმების ლექსიკონი მოიცავს სამ ნაწილს: ქართული იდიომები; ქართულ-ბერძნული იდიომები და ბერძნულ-ქართული ნაწილი. ქართული იდიომები ილუსტრირებულია კორპუსული ავთენტიკური წინადადებებით და ლექსიკონის ქართულ ნაწილთან ინტეგრირებულია ქართული ენის ანალიზატორი, რომელიც ასევე ლინგვისტური კვლევების ცენტრში ი. ლობჯანიძის მიერ შეიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ეს ლექსიკონი არის ერთადერთი ონლაინლექსიკონი, რომელიც ანალიზატორითაა აღჭურვილი (<http://idioms.iliauni.edu.ge/>).

2018 წელს გამოიცა ქართული ენის რამდენიმე დიალექტის კორპუსული ლექსიკონები (პროექტის ხელმძღვანელი არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი მარინე ბერიძე), რომლებიც მთლიანად კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკონებია. აღნიშნული ლექსიკონები ავტომატურად დაგენერირდა „ქართული ენის დიალექტური კორპუსიდან“, რომელიც ასევე მარინე ბერიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა.

ქართული ელექტრონული ლექსიკოგრაფიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკოგრაფიული მონაცემების გამოყენება მანქანური თარგმნის პროექტებში, რამაც უნდა უზრუნველყოს ქართული ენის ინტეგრაცია საერთაშორისო ციფრულ მთარგმნელობით პროდუქტებსა და პროგრამებში და ქართული ენისათვის გამოყენებითი

ფუნქციის შენარჩუნება ყველა თანამედროვე დარგსა თუ სფეროში. ეს მიმართულება დღის წესრიგში აყენებს ენობრივი მონაცემების დამუშავებისა და სტრუქტურირებისადმი ახლებურ მიდგომებს, რომლებიც გაზრდის ლექსიკოგრაფიული მასალის გამოყენების ეფექტურობას არა მხოლოდ ლექსიკონებისათვის, არამედ ბუნებრივი ენის დამუშავების მიზნებისთვისაც.

\* \* \*



### 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა არის ელექტრონული ლექსიკოგრაფია და ელექტრონული ლექსიკონების რომელი ძირითადი ტიპები შეგიძლიათ დაასახელოთ?
2. რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, თქვენი აზრით, ლექსიკონების ელექტრონულ და ონლაინაპლიკაციებს?
3. თუ გამოგიყენებიათ ელექტრონული წიგნების წამკითხველ მონყობილობებში (E-reader) ჩაშენებული ლექსიკონები?
4. როდის გამოჩნდა პირველად ელექტრონული ლექსიკონები?
5. რითი გამოირჩევა „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის“ (OED – *Oxford English Dictionary on historical principles*) CD-ROM ვერსია?
6. რომელი სხვა ინგლისური ელექტრონული ლექსიკონებია თქვენთვის ცნობილი?
7. როდის გამოიცა პირველი ელექტრონული ლექსიკონები საფრანგეთში?
8. როდიდან იწყება საქართველოში ელექტრონული ლექსიკოგრაფიის განვითარება?
9. იყენებთ თუ არა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გაციფრებულ და ინტერნეტში ატვირთულ ონლაინლექსიკონებს?
10. თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრის რომელი ელექტრონული ლექსიკონების დასახელება შეგიძლიათ? იყენებთ თუ არა მათ?
11. რატომ არის მნიშვნელოვანი კორპუსული მონაცემების გამოყენება სრულფასოვანი ლექსიკონების შესაქმნელად?



12. რატომ არის მნიშვნელოვანი თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შექმნა ე.წ. „ლექსიკონის მართვის სისტემებში“ (DWS – Dictionary Writing Systems)?
13. რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ საერთაშორისო მანქანურ მთარგმნელობით პროდუქტებში ქართული ენის ინტეგრაცია და როგორია ლექსიკოგრაფიული მონაცემების როლი ამ საქმეში?

## **II. შიასრულეთ შებდები დავალბა:**

შეარჩიეთ რომელიმე ონლაინლექსიკონი და გააანალიზეთ ელექტრონული ლექსიკოგრაფიისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფუნქციონალის მიხედვით.

## თავი 13.

### ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიიდან:


#### XVII-XIX საუკუნეების ორენოვანი ლექსიკონები ევროპულ ენებთან მიმართებით \*

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია უამთააღმწერლის სიზუსტით ასახავს როგორც ევროპული ქვეყნების ინტერესს საქართველოსადმი, ისე ქართველი ხალხის სწრაფვასა და დაინტერესებას ევროპული ენებითა და სახელმწიფოებით.

ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია 1629 წელს იწყება რომში „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ გამოცემით. ეს წიგნი

იშთაცაა საყურადღებო, რომ იგი პირველი ნაბეჭდი წიგნია ქართულ ენაზე. ლექსიკონის ავტორები არიან სტეფანე პაოლინი, თავისი დროის ერთ-ერთი ცნობილი და გამოცდილი მესტამბე, და ნიკიფორე ჩოლოყაშვილი (ირბახი), ქართველი დიპლომატი, მეფე თეიმურაზ პირველის ელჩი ევროპაში. ლექსიკონი გამოიცა კათოლიკური სარწმუნოების გამავრცელებელი საზოგადოების „პროპაგანდა ფიდეს“ მიერ (იხ. სურ. 1).

სურ. 1.



\* ამ თავში გამოყენებულია თ. უთურგაიძისა და ნ. ორლოვსკაიას ნაშრომები (იხ. გამოყენებული ლიტერატურის სია).

XVII საუკუნეში გაგრძელდა ლექსიკოგრაფიული მუშაობა იტალიურ ენასთან მიმართებით. იტალიელი მისიონერი ბერნარდო მარია ნეაპოლელი, რომელიც თითქმის 10 წელი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ადგენს იტალიურ-ქართულ და ქართულ-იტალიურ ლექსიკონებს. აღნიშნული ლექსიკონები სტამბური წესით არ გამოცემულა და ხელნაწერის სახით არსებობს.

XVII საუკუნის ქართული ენის ორენოვანი ლექსიკონები ძირითადად იტალიურ ენასთან მიმართებით იქმნება. მეზობელი მაჰმადიანი ქვეყნების აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ აიძულებდა ქართველებს, დახმარება დასავლეთში ეძებნათ და ევროპელებისთვის მიემართათ. თავის მხრივ, რომის კათოლიკური ეკლესია დაინტერესებული იყო მისიონერული ცენტრების დაარსებით აღმოსავლეთში. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს ხელს შეუწყობდა კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას. საქართველო მოხვდა იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც კათოლიკური რომის ყურადღება მიიპყრეს. XVII საუკუნეში რომიდან საქართველოში გამოგზავნეს მისიონერები, რომლებიც საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენდნენ ქართული ენისა და კულტურის მიმართ, სწავლობდნენ ქართულ ენას, რაც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა კათოლიკობის ქადაგებას და უკეთ გავრცელებასაც. ეს ვითარება ბუნებრივად აისახა XVII საუკუნის ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიაზე.

### **ნიკიფორე ირბახისა და სტეფანო პაოლინის ქართულ-იტალიური ლექსიკონი.**

როგორც აღინიშნა, პაოლინისა და ირბახის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ ქართულ ენაზე ნაბეჭდი პირველი წიგნია, რომელიც 1629 წელს გამოიცა რომში.

ლექსიკონი მცირე მოცულობისაა, მასში შესულია 3084 სიტყვა, რომელიც 181 გვერდს მოიცავს. სიტყვები ლექსიკონში სამ სვეტადაა წარმოდგენილი:

პირველ სვეტში მოცემულია ქართული სიტყვები, მეორე სვეტში – მათი ლათინური ტრანსლიტერაცია, ხოლო მესამე სვეტში – ქართული სიტყვების იტალიური თარგმანები.

ლექსიკონს დართული აქვს იტალიური სიტყვების საძიებელი გვერდისა და სტრიქონის მითითებით. მეტად დასანანია, რომ ლექსიკონის ქართულ ნაწილში ბევრი შეცდომაა. აქ შეცდომით დაწერილ ქართულ სიტყვებს უფრო ხშირად შეხვდებით, ვიდრე სწორს. ასევე ხშირია შეცდომები ქართული სიტყვების იტალიურ შესატყვისებში. ამ ფაქტს თავისი ახსნა აქვს. სტეფანო პაოლინის ნიკიფორე ჩოლოყაშვილი ეხმარებოდა მხოლოდ ორი-სამი თვის განმავლობაში, თავად პაოლინიმ კი ქართული ენა არ იცოდა და არასოდეს ყოფილა საქართველოში. ლექსიკონის ქართული და იტალიური ნაწილების შედარება, ლექსიკონში არსებული შეცდომების რაოდენობა და ხარისხი მეტყველებს იმაზე, რომ ნიკიფორე ჩოლოყაშვილს დასრულებული ლექსიკონის ქართული ნაწილი არ უნახავს. რაც შეეხება ტრანსლიტერაციის წესებს, ისინი საკმაოდ კვალიფიციურადაა შედგენილი. ლექსიკონს წამძღვარებული აქვს პაპ ურბან მერვისათვის გაკეთებული მიძღვნა.

ქართველი მეცნიერები დიდ ინტერესს იჩენდნენ აღნიშნული ლექსიკონისადმი, მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს: დ. კარიჭაშვილი, მ. თამარაშვილი, თ. უთურგაიძე და მისი დისერტანტი ნ. ზარიძე, ნ. ორლოვსკაია, გ. ჟორდანი, თ. გამეზარდაშვილი და სხვები. ქართველი ენათმეცნიერების უმრავლესობა ინტერესდებოდა ორი საკითხით: ქართული ბგერების ლათინურად ტრანსლიტერაციის წესებითა და ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ვინაობით. ქართული სიტყვების ტრანსლიტერაციის კვლევა საფუძვლად დაედო ლექსიკონის ქართული ნაწილის გაშიფვრას. ნ. ზარიძის სადისერტაციო ნაშრომში ლექსიკონის დაახლოებით 80%-მდე არის ავტორის მიერ გაშიფრული.

როგორც აღინიშნა, პაოლინი-ირბახის ქართულ-იტალიური ლექსიკონში ბევრია შეცდომა, რაც ინვევდა ქართველი ენათმეცნიერების ინტერესს მათი სისტემატიზაციისადმი. შეცდომების გამომწვევი მიზეზების ძიება არაერთი ქართველი მეცნიერის ნაშრომში გვხვდება.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სიტყვა პაოლინის „ქართული-იტალიური ლექსიკონიდან“:

### 1. ბრიკუი **bríkui Troppo**

**ბრიკუი** ნ. ზარიძის მიერ გაშიფრულია, როგორც **ბრიყვი**. ამ სიტყვის ეკვივალენტად მითითებული იტალიური სიტყვის მნიშვნელობა კი არის – **მეტისმეტი, გადაჭარბებული**.

### 2. კურივი **kurívi Moglie**

**კურივი** ნ. ზარიძის მიერ გაშიფრულია, როგორც **ქვრივი**, თუმცა მის იტალიურ ეკვივალენტად მითითებული სიტყვის მნიშვნელობაა **ცოლი**.

### 3. თრიგმელი **thrigméli Lombi**

**თრიგმელი** ნ. ზარიძის მიერ გაშიფრულია, როგორც **თირკმელი**. მესამე სვეტში მოცემული იტალიური სიტყვის მნიშვნელობა კი არის **წელი**.

მიუხედავად ამ ხარვეზებისა, ისტორიული თვალსაზრისით აღნიშნული ლექსიკონის მნიშვნელობა დიდია, რაც აისახა კიდევ ქართველი მეცნიერების ინტერესში მისი შესწავლისადმი.

## **ბერნარდო მარია ნეაპოლელის იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები.**

ბერნარდო მარია ნეაპოლელი განეკუთვნება იმ იტალიელ მისიონერთა რიცხვს, რომლებიც აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოში XVII-XVIII საუკუნეებში. იგი ორჯერ იყო საქართველოში რომის პაპის კურთხევით მისიონერული მოღვაწეობის შესასრულებლად: პირველად 1660 წელს ჩამოვიდა, მაგრამ იმავე წელს გაბრუნდა უკან, ხოლო მეორედ საქართველოში იმყოფებოდა XVII საუკუნის 70-იან წლებში (1670-1679). თითქმის ათი წელი იცხოვრა ბერნარდო მარია ნეაპოლელმა საქართველოში და კარგად შეისწავლა ენა. იგი მეგობრობდა უფლისწულ გიორგისთან, რომელიც შემდგომში მეფე გახდა – გიორგი მეთერთმეტე.

ბერნარდო ნეაპოლელი ღრმად განსწავლული პიროვნება იყო: იცოდა თეოლოგია, ფსიქოლოგია, ლიტერატურა. მისი არქივის შესწავლა გვიჩვენებს, რომ იგი დაინტერესებული იყო ქართული ლიტერატურით.

ბერნარდო ნეაპოლელს ეკუთვნის ორი ლექსიკონი: 1) ქართული-იტალიური და 2) იტალიურ-ქართული. ეს ლექსიკონები არ არის ერთმანეთის იდენტური, ანუ „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ არ არის „იტალიურ-ქართული ლექსიკონის“ სრული გამეორება. ლექსიკონები დაუსრულებელია. „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“ შეიცავს 628 გვერდს, იტალიურ-ქართული კი – 360 გვერდს. ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონები არ გამოცემულა და დაცულია ხელნაწერის სახით ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ამ ლექსიკონების მიკროფირები ინახება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ბიბლიოთეკის საცავში.

ქართული ტექსტი დაწერილია მხედრული ასოებით, სიტყვები დალაგებულია ანბანურ რიგზე. ლექსიკონის ტექსტში ბევრგან ვხვდებით ცარიელ ადგილებს, რომლებიც, სავარაუდოდ, ახალი სიტყვებისა და მათი თარგმანებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ასეთი ადგილები განსაკუთრებით ბევრია „ქართულ-იტალიურ ლექსიკონში“. ზოგჯერ მთელ სვეტში მხოლოდ ორი სიტყვა წერია, ზოგჯერ – ერთიც კი. სწორედ ეს არის მიზეზი ამ ორ ლექსიკონს შორის გვერდების რაოდენობის ასეთი მკვეთრი განსხვავებისა. „იტალიურ-ქართული ლექსიკონი“ ორი ნაწილისგან შედგება: შავად ნაწერი და გადათეთრებული ვარიანტებისაგან. ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონებს არ ახლავს რაიმე თეორიული შესავალი ქართული ენის შესახებ ან მის მორფოლოგიაზე.

ლექსიკონებში დიალექტური მასალა საკმაოდ ვრცელადაა წარმოდგენილი. მნიგნობრული ფორმების გვერდით ხშირად არის გამოყენებული ქართლური დიალექტის ნიმუშები (ცნობილია, რომ ბერნარდო ნეაპოლელი ძირითადად ქართლში, კერძოდ, გორში მოღვაწეობდა), არის აგრეთვე რაჭული, გურული, იმერული ლექსიკის

ნიმუშები. მეტყველების ნაწილებიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზმნას.

იტალიაში დაბრუნებისას ბერნარდომ თავისი ლექსიკონები თან წაიღო, ალბათ იქ აპირებდა მათ დასრულებასა და გამოცემას. იტალიაში დაბრუნებული ბერნარდო ნეაპოლელი ტორე დელ გრეკოს კაპუცინელთა მონასტერში დამკვიდრდა, სადაც მისი ხელნაწერები 1936 წლამდე ინახებოდა, ხოლო 1936 წლის შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნეაპოლის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა. 1681 წელს გამოიცა მისი ქართულად ნათარგმნი წიგნი, ხოლო ლექსიკონები დაუსრულებელი დარჩა და აღარ გამოცემულა.

### მეთვრამეტე საუკუნე

XVIII საუკუნეში კვლავ გრძელდება ქართულ-იტალიური / იტალიურ-ქართული ლექსიკონების შედგენა. კერძოდ, იტალიელმა მისიონერმა, რომლის სახელიც არ არის ცნობილი და გორელი ანონიმის სახელით მოიხსენიებენ, სავარაუდოდ, 1724 წელს „იტალიურ-ქართული ლექსიკონი“ შეადგინა. 2012 წელს რომის წიგნსაცავებში აღმოაჩინეს აქამდე უცნობი „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“. ზოგადად, იტალიისა და იტალიური ენისადმი ინტერესი აისახა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაშიც“. როგორც ცნობილია, განმარტებებთან ერთად ქართულ სიტყვებს სულხან-საბას ლექსიკონში დართული აქვს ეკვივალენტები სამ ენაზე, მათ შორის – იტალიურზეც.

XVIII საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ჰოლანდიელი აღმოსავლეთმცოდნის, ნ. ვიტსენისა და ქართველი დიდებულის, ალ. ბაგრატიონის, „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც ვიტსენმა დაურთო თავისი წიგნის „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი თათრეთი“ მეორე გამოცემას.

### გორელი ანონიმის იტალიურ-ქართული ლექსიკონი.

ბერნარდო ნეაპოლელის ლექსიკონის შექმნიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ გორში უცნობმა იტალიელმა მისიონერმა



შექმნა „იტალიურ-ქართული ლექსიკონი“. აღნიშნული ლექსიკონი, ისევე როგორც ბერნარდო მარია ნეაპოლელის ლექსიკონი, ნიგნად არ გამოცემულა და ხელნაწერის სახით არის დაცული საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში.

გორელი ანონიმის ლექსიკონი შეისწავლეს თედო უთურგაიძემ და ნატალია ორლოვსკაიამ. ლექსიკონის შექმნის თარიღად 1724 წელი მიიჩნევა, ვინაიდან თავად ხელნაწერს ეს თარიღი აქვს მითითებული. გორული „იტალიურ-ქართული ლექსიკონის“ ავტორი გრამატიკულ ნაწილში მიჰყვება მაჯოს გრამატიკას, ხოლო ლექსიკურ ნაწილში – ნეაპოლელის ლექსიკონებს. როგორც ჩანს, ის უკეთ ფლობდა ენას, ვიდრე ბერნარდო ნეაპოლელი, რადგან გორული „იტალიურ-ქართული ლექსიკონი“ უფრო სრულყოფილია. თ. უთურგაიძე აღნიშნავს, რომ ზმნათა დახასიათება ამ ლექსიკონში უფრო სრულია, ბერნარდოს ლექსიკონთან შედარებით. გარდა ამისა, გორულ ლექსიკონს წამძღვარებული აქვს ქართული ენის გრამატიკული აღწერა, რომელიც ასევე არ ჰქონდა ბერნარდოს ლექსიკონებს.

### **ნიკოლას ვიტსენისა და ალექსანდრე ბაგრატიონის ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი.**

1705 წელს ნიკოლას ვიტსენმა გამოაქვეყნა წიგნი „ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი თათრეთი“, რომლის 506-516-ე გვერდებზე არის „ქართული ანუ იბერიული ენის სიტყვების ჩამონათვალი“, ანუ ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი. მისი ავტორები არიან ნიკოლას ვიტსენი და ალექსანდრე ბაგრატიონი.

ცნობილია, რომ ალექსანდრე ბაგრატიონი მეგობრობდა პეტრე პირველთან და მასთან ერთად მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში. ის მეფესთან ერთად საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო ჰოლანდიაშიც. წამოსვლის წინ კი პეტრე პირველმა ნება დართო მას, დარჩენილიყო ჰოლანდიაში და შეესწავლა სამხედრო საქმე.

„ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“ მცირე მოცულობისაა და სულ 904 სიტყვისგან შედგება. ლექსიკონი თავისთავად მნიშვნელო-

ვანია რამდენიმე მიზეზის გამო: უპირველეს ყოვლისა, ის განეკუთვნება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს და ამ პერიოდის ქართული ენა არც ისე განვითარებულია ლექსიკონებით. „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“ ერთ-ერთი პირველი ორენოვანი ლექსიკონია ჰოლანდიურ ენასთან მიმართებით. მეჩვიდმეტე საუკუნის ლექსიკონები, რომლებიც დღემდე ნაბეჭდი თუ ხელნაწერი სახითაა შემორჩენილი, ავად თუ კარგად, აღწერენ ქართულ ენას და გვაძლევენ ქართული ენის შესატყვისებს უცხო ენაზე და, ძირითადად, ეს უცხო ენა იტალიურია. ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონის მანამდე არსებობის დამადასტურებელი არავითარი ფაქტი არ გვაქვს, ამდენად, აღნიშნული ლექსიკონი პირველია და ეს ზრდის მისადმი ინტერესს.

„ჰოლანდიურ-ქართულ ლექსიკონში“ სიტყვები არც ანბანურ რიგზეა დალაგებული და არც თემატურად. სიტყვები წარმოდგენილია სამ სვეტად: ჯერ ჰოლანდიური სიტყვებია, შემდეგ – ქართული სიტყვების ტრანსლიტერაცია ლათინური ასოებით და ბოლოს – ქართული თარგმანი.


მაგ.:	<b>Een Mensch</b>	katzi	კაცი
	<b>Goed</b>	ketili	კეთილი
	<b>De Liefde</b>	sigvaruli	სიყვარული
	<b>Een koei</b>	puri	ფური
	<b>Heilige</b>	tzminta	წმინდა და ა.შ.

ჰოლანდიურ-ქართულ ლექსიკონში ქართული სიტყვები ძირითადად სწორი ფორმითაა წარმოდგენილი, განსხვავებით ადრინდელი ლექსიკონებისაგან. თუმცა, მიუხედავად ამისა, ტრანსლიტერაციის წესები ყოველთვის არ არის გამართული.

**ჯორჯ ელისის ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი.**

XVIII საუკუნეში ჩნდება ინგლისელი ავტორების ინტერესი ქართული ენისადმი. 1788 წელს ლონდონში გამოიცა ჯორჯ ელისის წიგნი „რუკა შავი და კასპიის ზღვებს შორის მოთავსებული ქვეყნებისა

კავკასიის ხალხთა აღწერითა და მათი ენების სიტყვარებით“ (Memoir of Map of the Countries Comprahended Between the Black Sea, and the Caspian, with an Account of the Caucasian Nations and Vocabularies of their Languages). წიგნში აღწერილია კავკასიის ხალხთა ისტორია, კულტურა, რელიგია და მოცემულია ინფორმაცია კავკასიის რეგიონში გავრცელებული ენების შესახებ (იხ. სურ. 2). კავკასიის ქვეყნებს შორის გარკვეული ადგილი ეთმობა საქართველოს და ამ თავს ავტორი ურთავს ქართველური ენების მომცრო შედარებით ლექსიკონს.



სურ. 2.

საყურადღებოა, რომ ავტორი ინტერესდება არა მხოლოდ ქართული ენით, არამედ ქართველური ენებით, და მასში მოცემულია მეგრული და სვანური ენების მასალაც (იხ. სურ. 3). შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი არის პირველი ნიმუში ქართველური ენების განხილვისა ინგლისურ ენასთან მიმართებით.

ჯორჯ ელისი უაღრესად განსწვლული პიროვნება იყო, რომელსაც განათლება კემბრიჯის უნივერსიტეტში ჰქონდა მიღებული. იგი იყო ისტორიკოსი, დიპლომატი, პარლამენტის წევრი. ჯორჯ ელისს თავად არასოდეს უმოგზაურია კავკასიაში და არც საქართველოში, მაგრამ მისი დაინტერესება ამ რეგიონით განაპირობა იმან, რომ 1782-1783 წლებში ჯორჯ ელისი დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა სანკტ-პეტერბურგში. ჯორჯ ელისის წიგნი ძირითადად დაეყრდნო ი. გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებს, ასევე ი. რაინეგის საქართველოს აღწერას, პ.ს. პალასისა და ფრ. მიულერის შრომებს, გამოყენებულია ანტიკური წყაროებიც.

GEORGIAN LANGUAGE				
	<i>Carduel Dialect.</i>	<i>Imeretian.</i>	<i>Suaneti Dialect.</i>	
1. God	Gmerty	Horomti	Gherbet	
2. Heaven	Tsah	Tsash	Tsah	
3. Father	Mamma	Mooma	Moo	
4. Mother	Dedda	Deeda	Dee	
5. Son	Shyilly	Skooa	Yezag	
6. Daugher	Kaly	Ozoory	Zoonak	
7. Brothe	Tsmah	Djeema	Moohkbay	
8. Sister	Da	Datchkym	Datchoor	
9. Husband	Kmary	Komodjy	Chash	
10. Wife	Tsoly	Cheely	Aikhoo	
11. Girl	kally	Ozoory	Soorag	
12. Boy	Bidjaoo	Bidjaoo	Tshkynta	
13. Child	Kmatsvilly, Tsvilly, Krmah	Boshy	Bobsh	
14. Man	Kadtsy	Kodshy	Maray	
15. People	Khalkhee, Erny, Catsuy	Margalee	Khvaeemaray	
16. Head	Tavee, Kavee	Doodee	Tkhom	
17. Face	Peerassa, sakhay, Peeris-sakhay	Peejeeshee		
18. Nose	Tskhveery	Tchkhindee	Yepkhna	
19. Nostrill	Nesto, Nestvy			
20. Eye	Twaly, Tvaly	Toly	Tay	
21. Eyebrow	Tsarby			
22. Eyelashes	Khaltay, Erka			
23. Ear	Koory	Oodjy	Shdeem	
24. Forehead	Shoobly	Kooa	Neekba	
25. Hair	Tma	Toma	Patoo	
26. Cheek	Loka, Koba			
27. Mouth	Peeree	Pidjee	Peel	
28. Throat	Kharkhanto, Tkelly			
29. Teeth	Kbeely, Gbeely	Keebeery	Shdik	
30. Tongue	Aina	Neena	Nin	

როგორც წიგნის წინასიტყვაობიდან ირკვევა, ჯორჯ ელისის შედარებითი ლექსიკონი დაეფუძნა რუსეთის დედოფლის დავალებით გამოცემულ „მსოფლიო ენათა მომცრო შედარებით ლექსიკონს“, რომელიც მოიცავს კავკასიურ ენათა, მათ შორის ქართველურ ენათა მასალას (*“Сравнительные словари всех языков и наречий”*). ეს ლექსიკონი, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი ნამუშევარია, გამოიცა პეტერბურგში ორ ტომად 1787-1789 წლებში. წიგნის წინასიტყვაობაში ჯ. ელისი დანანებით აღნიშნავს, რომ ლექსიკონში არ არის სრულად წარმოდგენილი ინფორმაცია ზოგი ენისა თუ დიალექტის შესახებ, ვინაიდან ეს მასალა არ იყო წყაროდ გამოყენებულ რუსულ ლექსიკონში. იგი ასევე დანანებით აღნიშნავს, რომ ინგლისური ასოებით ვერ მოხერხდა კავკასიური ენების ბგერითი შემადგენლობის მთელი სიზუსტით გადმოცემა. ეს ბგერები ჯერ რუსულ გამოცემაში დამახინჯდა შესაბამისი რუსული ბგერების არარსებობის გამო, შემდეგ კი, ინგლისური ანბანით მათი გადმოცემისას, კიდევ უფრო დაშორდა კავკასიური ენებისა და, მათ შორის, ქართველური ენების ბგერებს. ლექსიკონში რიგ შემთხვევაში აღრეულია ტერმინები ენა და დიალექტი. სვანური ენა მიჩნეულია დიალექტად, ხოლო მეგრული სიტყვები მოხსენიებულია იმერულ დიალექტად. ეს შეცდომა რუსული ლექსიკონიდან გადმოვიდა, სადაც მეგრული სიტყვები ჩაწერილია, როგორც *Имеретинский*. რუსული გამოცემისთვის დამახასიათებელი შეცდომები ჯორჯ ელისმა უცვლელად გადაიტანა ინგლისურ გამოცემაში.

შეცდომათა მიუხედავად, ეს არის ძალზე მნიშვნელოვანი წიგნი, რომლის ლექსიკოგრაფიული ნაწილიც პირველი წყაროა ინგლისურენოვანი სამყაროსათვის კავკასიურ და ქართველურ ენებზე. აღნიშნულ ლექსიკონში შესული ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკური მასალა და, განსაკუთრებით მეგრული და სვანური, მნიშვნელოვანია, რადგან მას უნდა გაეღვივებინა ინტერესი ქართველური ენების მეცნიერული შესწავლისადმი.

## ქართული ენის ორენოვანი ლექსიკონები XIX საუკუნეში

XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილად იქცა, რაც ასევე აისახა ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიაზე. XIX საუკუნეში იქმნება მნიშვნელოვანი ორენოვანი ლექსიკონები, ძირითადად, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე ორენოვანი ლექსიკონების შექმნის ინიციატორებად და ავტორებად უცხოელები გვევლინებიან. ამ ფონზე კიდევ უფრო კარგად იკვეთება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის, ლექსიკოგრაფიული საქმიანობა და მის მიერ შექმნილი ლექსიკონის მნიშვნელობა.

ვითარება იცვლება XIX საუკუნეში, ჩნდება ქართველ ავტორთა მიერ შექმნილი ორენოვანი ლექსიკონები. ამ დროს ქართული ენა რუსული ენის დიდ გავლენას განიცდის. ქართულ ენაში უკონტროლოდ აღწევს რუსული ბარბარიზმები. ამ ფაქტით შეწუხებული ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები ცდილობენ შექმნან ლექსიკონები, რომლებითაც დაიცავენ ქართული ენის სინამდის. ამ პერიოდში გამოცემული არაერთი ლექსიკონის წინასიტყვაობაში არის მითითებული მოტივი, რისთვისაც ისინი იქმნებოდა, კერძოდ, ქართული ენის სინამდის დაცვა.

გარდა რუსული ენისა, ერთადერთი უცხო ენა, რომელთან მიმართებითაც იქმნება ლექსიკონები XIX საუკუნეში, არის ფრანგული. კიდევ ერთი ენა, რომელიც ამ პერიოდში ჩნდება ქართულ თარგმნით ლექსიკოგრაფიაში ლათინური ენაა, რომელიც უპირატესად დარგობრივი ლექსიკონების შესადგენად გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში კვლავ დიდია ინგლისელი ავტორების ინტერესი ქართული ენისადმი. ჯორჯ ელისის შემდეგ 1883 წელს დ. პიკოკმა გამოსცა მის მიერ შედგენილი 224-სიტყვიანი ლექსიკონი, რომელმაც მოიცვა ქართულის, მეგრულის, ლაზურის, სვანურისა და აფხაზურის მონაცემები ინგლისური შესატყვისებით.




XIX საუკუნეში შექმნილ ინგლისურ-ქართულ სიტყვარებს შორის უნდა მოვიხსენიოთ მარჯორი უორდროპის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობისას შედგენილი 1000-სიტყვიანი „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ და მისივე დაუმთავრებელი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის 200-სიტყვიანი ფრაგმენტი ასო ზ-ზე. 2019 წელს, მარჯორი უორდროპის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრმა გამოსცა მარჯორი უორდროპის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ გაციფრებული ვერსია კომენტარებით (იხ. სურ. 4). ეს წიგნი გამოქვეყნებულია ელექტრონულადაც შემდეგ მისამართზე:

<https://margaliti.com/EGD-web.pdf>

XIX საუკუნეში ქართული ორენოვანი ლექსიკოგრაფია სრულიად სხვა სიმაღლეზე აიყვანეს ნიკო და დავით ჩუბინაშვილებმა. ისინი კარგად იცნობდნენ არა მარტო ქართულ ლექსიკოგრაფიულ ტრადიციებს და განსაკუთრებით – საბას ლექსიკოგრაფიულ საქმიანობას, არამედ რუსულ და ევროპულ ლექსიკოგრაფიულ პრინციპებსაც, რომლებიც გადმოიტანეს და დანერგეს ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიაში.

ჩუბინაშვილების ლექსიკონებში კარგად არის გამიჯნული სიტყვების პოლისემიური მნიშვნელობები, სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში მოცემულია საილუსტრაციო მასალა სიტყვის მნიშვნელობის უკეთ წარმოსაჩენად. საილუსტრაციო მასალას მითითებული აქვს წყარო, საიდანაც ეს საილუსტრაციო ფრაზა და წინადადებაა ამოღებული. ქართული ზმნების შემთხვევაში პრინციპად არის ქცეული ლექსიკონში



სურ. 4.



მისი წარმოდგენა მასდარის ფორმით, რომელსაც მითითებული აქვს პირიანი ფორმა, რაც ასევე მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ლექსიკონში ქართული ზმნის წარმოდგენის თვალსაზრისით.

**ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონები.**

ნიკო ჩუბინაშვილი XIX საუკუნის გამოჩენილი მთარგმნელი, არქეოლოგი და ლექსიკოგრაფი იყო. მისი ლექსიკოგრაფიული საქმიანობა 1812-1825 წლებით არის დათარიღებული. ამ დროისათვის ნიკო ჩუბინაშვილს უკვე დამთავრებული ჰქონდა მუშაობა თავის ქართულ-რუსულ და რუსულ ქართულ ლექსიკონებზე, მომდევნო წლებში კი მათ ავსებდა და რედაქციას უკეთებდა. ნიკო ჩუბინაშვილს ეკუთვნის ორი ლექსიკონი: „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ (პირველად გამოიცა 1961 წელს ალ. ლლონტის რედაქციით) და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“.

ნიკო ჩუბინაშვილი ზემოთ დასახელებულ ქართულ ლექსიკონში სულხან-საბას ლექსიკოგრაფიული პრინციპების გამგრძელებელია. მისი ლექსიკონი საბას ლექსიკონის შევსებული, შესწორებული და

განახლებული ვერსიაა. ნიკო ჩუბინაშვილი წინასიტყვაობაში თავის ლექსიკონს უწოდებს „საბა-სულხან ორბელიანისაგან შეთხზულს და მცირედ გამართულს სისტემისაებრ მისისა“ (იხ. სურ. 5).

რაც შეეხება ნიკო ჩუბინაშვილის მეორე ლექსიკონს, ეს ლექსიკონიც ალექსანდრე ლლონტის რედაქციით გამოიცა ორ ტომად: პირველი ტომი (A-H ასოები) – 1971 წელს, ხოლო მეორე – 1973 წელს.

სურ. 5.

თოვა (თოვს, თოვლს) თოვლი მოდის (ვეფხისტ 847, 1584), მთოველი, снежит, снег идет. თოვლი ზამთრით ჰაერში გაყინული და შთამოცვივებული ცვარი წვიმის მაგიერ (ფსალ. 50, 8 და 147, 5, კჭალად 148, 8), снег. რა შემოდგომის სიციფე ღამით ცუარსა დილისასა შეათოვებს, ვითარმე მიწათა გათეთრებადმდე, ეწოდება თოვლი, უკეთუ დასთოვოს ტერფადმდე, არს ფიფქი და უმეტესი მისი—თოვლი. წვიმანარევი არს თოვლშხაპი. თოვლიანსა ნისლსა ეწოდება ბუერი; ხეთა ზედა შეყინულსა ბუერსა—ჭირხლი და უკეთუ შთამოცვივებული თოვლი დადგეს ხეთა ზედა, არს ქურხლი და ხურხლი. ქართთა სასტიკთა თანა მონათოვსა ეწოდება ბუქი და სადა ქარმან შეაგროვოს—ნანქერი. თოვლსა შემაგრებულსა ყინვითა—ბზარი და მცირესა ფიფქსა შებზარულსა—არხილი. რა მზემან შეაღბოს—ლეღმა, რა აჭრელდეს—ლილო. უკეთუ თოვლთა სიმრავლე, მათა ზედა ვერლარა დატენილი, მზის სითბოსაგან მოიშუღლეს—ხვავი და გაზაფხულ თოვლის ნადენს წყალს—ლანქერი და ფშატალა.

**დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი.**

XIX საუკუნის ქართული თარგმნითი ლექსიკოგრაფიისათვის ასევე მნიშვნელოვანი ფიგურაა დავით ჩუბინაშვილი, ქართველი ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე. დავით ჩუბინაშვილმა 1840 წელს გამოსცა „ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი“, ხოლო 1846 წელს – „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. „საუნჯე ქართული ენისა“ – ასე უწოდა დავით ჩუბინაშვილმა თავის სამეცნიერო ლექსიკონს.

დ. ჩუბინაშვილის „საუნჯე ქართული ენისა“ დიდად განსხვავდება საბასა და ნიკო ჩუბინაშვილის ნაშრომებისაგან. დ. ჩუბინაშვილის „საუნჯეში“ შეტანილია 21223 სიტყვა, ხოლო გადამუშავებულ გამოცემაში – 33400 სიტყვა. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი აღსანიშნავია იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში აისახა ქართული ლექსიკონის განვითარება. იმ პერიოდის ქართულ მწერლობაში შემოვიდნენ ახალი მოღვაწეები: გიორგი ერისთავი და დანიელ ჭონქაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ნიკოლაძე. შეიქმნა პერიოდული გამოცემები, გამოიცა მრავალი მხატვრული ნაწარმოები, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები. ეს მდიდარი მასალა ასახულია დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო.

რამდენიმე სიტყვა-სტატია ლექსიკონიდან:

**ლესვა** (ვლესავ), v.a. **вострить**, **aiguiser**, **randre pointu**, **emoudre**. – კბილებისა, **острить зубы**, **aiguister les dents**. (ვილესები), v.p. **востриться**, **etre aiguise**.

**მიერთება** (მივეერთდები), v.r. **присоединяться**, **se reunir**, **s'admettre**. (მივაერთებ), v.a. **присоединять**, **reunir**.



### I. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რა კულტურულ და პოლიტიკურ ტენდენციებს ასახავს ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია?
2. რომელი ლექსიკონით იწყება ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია? კიდევ რითაა საყურადღებო ეს გამოცემა?
3. ვინ იყვნენ „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ შემდგენლები?
4. რა ისტორიულ-პოლიტიკური გარემოებები განაპირობებდა ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონების პრიორიტეტულ მნიშვნელობას მე-17 საუკუნეში?
5. რა ნაკლოვანებები აქვს ნიკიფორე ირბახისა და სტეფანო პაოლინის „ქართულ-იტალიურ ლექსიკონს“? რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი?
6. ვინ იყო ბერნარდო მარია ნეაპოლელი და რით არის ჩვენთვის საინტერესო მისი მოღვაწეობა?
7. რით არის გამორჩეული ე.წ. „გორელი ანონიმის“ ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა?
8. რით არის საყურადღებო ნიკოლას ვიტსენისა და ალექსანდრე ბაგრატიონის „ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი“?
9. რამ განაპირობა ინგლისელი სწავლულის – ჯორჯ ელისის – დაინტერესება ქართული ენითა და ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიით? საკუთრივ ქართულის გარდა, კიდევ რომელი ქართველური ენები აისახა მის ლექსიკონში?
10. რით იყო გამონვეული ის უზუსტობები, რომლებიც ჯ. ელისის ლექსიკონში გვხვდება?
11. რა იცით მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი და ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ?
12. როგორ იმოქმედა მე-19 საუკუნის ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ ქართულ ორენოვან ლექსიკოგრაფიასა და თავად ქართულ ენაზე?

13. რატომ გახდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მე-19 საუკუნიდან ქართული ენის სინმინდის დაცვა და რა როლს ასრულებდა და ასრულებს ამ საქმეში ლექსიკოგრაფია?
14. რა შეგიძლიათ თქვათ ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ?
15. როგორ იმოქმედა ქართული ენის ლექსიკაზე მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ახალი სახეების (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი) გამოჩენამ? რამდენად აისახა ახალი ლექსიკური და ენობრივი რეალობა დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონში?

## **II. შიასრულეთ შეზღვევი დავალეა:**


ჯორჯ ელისის „ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონიდან“ ამოიწერეთ ქართული სიტყვების ინგლისურად ტრანსლიტერაციის საინტერესო შემთხვევები. გააანალიზეთ ტრანსლიტერაციის წესების მიმართება ინგლისური ენის მართლწერის წესებთან.

## თავი 14.

### მეოცე და ოცდამეორე საუკუნეების თარგმნითი ლექსიკონები

მე-20 საუკუნეში ბევრი ორენოვანი ლექსიკონი შეიქმნა როგორც რუსულ, ისე სხვადასხვა აღმოსავლურ, დასავლურ თუ კლასიკურ ენებთან მიმართებით. ვრცელი ევროპულ-ქართული ორენოვანი აკადემიური ლექსიკონებიდან უნდა გამოიყოს: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მომზადებული „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ და „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, კიტა ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრის მიერ გამოცემული „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“ (თინათინ მარგალიტაძის საერთო რედაქციით) და დონალდ რეიფილდის რედაქტორობით შექმნილი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“.

#### კიტა ჩხენკელის ქართულ-გერმანული ლექსიკონი



სურ. 1.

კიტა ჩხენკელი (იხ. სურ. 1) ციურისის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა. იგი ქართულ-გერმანული ლექსიკონის ახალი პრინციპებით შედგენის ინიციატორია.

კიტა ჩხენკელმა ლექსიკონის ნაკვეთებად გამოცემა დაიწყო 1960 წელს ციურისში, სულ გამოიცა 26 ნაკვეთი და ლექსიკონის ბეჭდვა 1974 წელს დასრულდა. მისი მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ ლექსიკონის გამოცემის საქმე მისმა მოწაფემ იოლანდა მარშევმა გააგრძელა და დაასრულა კიდევ. ნაკვეთების დასრულების შემდეგ ლექსიკონი სამ ტომად გამოქვეყნდა და მოიცავს 2470 ნაბეჭდ გვერდს. მასში კარგადაა

წარმოჩენილი ქართული სიტყვების სემანტიკა, სტრუქტურული მოდელები, ბრუნებისა და უღლების სისტემები, ფუძეთა წარმოების სპეციფიკა. ყველა სალექსიკონო ერთეულის ძირი, მარტივი თუ რთული ფუძე ისეა გამოყოფილი, რომ ნათლად ჩანს სიტყვის ცალკეული სტრუქტურული ელემენტები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ფუძეთა მოდელირების სისტემა, კუმშვა, კვეცა და სხვ.

კიტა ჩხენკელს „ქართულ-გერმანული ლექსიკონისათვის“ ქართული ზმნის წარმოდგენის საინტერესო გზა აქვს არჩეული: ზმნის ყველა პოტენციურად წარმოსადგენი ფორმა ერთ ბუდეშია თავმოყრილი და აქვეა მოცემული მათი გერმანული თარგმანი. ამ პრინციპს **ბუდობრივი პრინციპი** ეწოდება. ამით ქართული ენის არმცოდნე მკითხველს საშუალება აქვს, გაერკვეს ქართული ზმნის ფორმათა წარმოებასა და ლექსიკურ ღირებულებაში (იხ. სურ. 2).

**თეს**

Inf. თესვა || თესა  
 T<sup>1</sup> ვთესავ || ვთეს *s. fut*  
*fut* ~ *s.* და~; გან~ † *aussäen*; *fig*  
*zerstreuen, versprengen, auseinander-treiben, -jagen*; გამო~ (zur Ausnützung freier Stellen) *dazwischen an-säen od. -pflanzen* (z.B. Bohnen in e-m Maisfeld); გადა~ von neuem *besäen*; და~ 1. (an-, aus-, ein-)säen (z. B. Korn) 2. be-, an-säen (z. B. Feld) 3. züchten (z.B. Bakterien) 4. *fig* den Keim zu et. (Gutem od. Schlechtem) *legen, säen* (z. B. Hass), *einpflanzen* (z.B. Liebe zu

**თესა**

et.) 5. *fig* (umg.) *vertun, verschleudern* (z.B. Geld); მი~ 1. et. *unsorgfältig* (irgendwo) *säen* 2. *fig* (umg.) *vertun, verschleudern* (z.B. Geld); მო~ 1. *aus-, be-säen* 2. *fig* *ausstreuen, verbreiten* (z.B. Gerücht); შე~ *Bed. s. გამო~*; ჩა~ 1. *einsäen* 2. *fig* den Keim zu et. (Gutem od. Schlechtem) *legen, säen* (z. B. Hass), *einpflanzen* (z.B. Liebe zu et.) [სია  
*aor* -ვთესე *pf* -მითესავს || -მითე-  
 ZP<sup>1</sup> (ს)თესია *fut* ეთესება (ეთესა,  
 -) et. *ist* (aus)gesät/(an)gepflanzt  
 ZP<sup>2</sup> უთესია *fut* ეთესება (ეთესა,

სურ. 2.

**არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის რუსულ-ქართული ლექსიკონი**

XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა მოამზადა და გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ სამ ტომად. ამ გამოცემას ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქარ-



თული ენათმეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები: გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, გ. წერეთელი. ლექსიკონმა 65000-მდე სიტყვა-სტატია მოიცვა და მაქსიმალურად ასახავდა რუსული სალიტერატურო ენის ლექსიკას.

1985 წელს რუსულ-ქართული სამტომიანი ლექსიკონის ბაზაზე ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოსცა მნიშვნელოვნად განახლებული და შესწორებული ვერსია ერთ ტომად, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია და დღესაც უწევს ქართულ საზოგადოებას. „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ ონლაინვერსია ინტერნეტში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=9>

2013 წელს ენათმეცნიერების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა აკადემიური „ქართულ-რუსული ლექსიკონი“ ალ. კობახიძის საერთო რედაქტორობით. ის ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

[https://www.ice.ge/liv/liv/kartul\\_rus.php](https://www.ice.ge/liv/liv/kartul_rus.php)

### **ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრის „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“**

#### **ლექსიკონის ისტორია.**

1995 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრმა დაიწყო „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ტომებად გამოცემა. დღეისათვის გამოქვეყნებულია ლექსიკონის 14 ტომი, რომლებიც 2500-მდე ნაბეჭდ გვერდს მოიცავს (იხ. სურ. 3).

ლექსიკონის შექმნის იდეა უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრაზე ჩაისახა გასული საუკუნის 60-იან წლებში, თვალსაჩინო ქართველი მეცნიერისა და მთარგმნელის, იმჟამად კათედრის გამგის, პროფ. გივი გაჩეჩილაძის, ინიციატივით. ვრცელი



სურ. 3.

აკადემიური ლექსიკონის არარსებობას განსაკუთრებით მწვავედ სწორედ მთარგმნელები განიცდიდნენ და შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამგვარი ლექსიკონის შექმნა სწორედ ინგლისურენოვანი ლიტერატურის ქართულად ადეკვატურად თარგმნის საჭიროებამ განაპირობა.

ლექსიკონზე მუშაობის სანყის ეტაპზე, 60-70-იან წლებში, ინგლისურ-ქართული ლექსიკონის წყაროებად მიჩნეული იყო ინგლისურ-რუსული ლექსიკონები, რომლებიც ქართულად ითარგმნა. გასული საუკუნის 80-იან წლებში რედაქტორთა მცირე ჯგუფმა იტვირთა ლექსიკონის მასალის საფუძვლიანი გადამუშავება, შევსება, განახლება და გამოსაცემად მომზადება. „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ რედაქტორების გადაწყვეტილებით, ლექსიკონის წყაროებად შეირჩა ინგლისური ენის დიდი განმარტებითი ლექსიკონები, კერძოდ: „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი ისტორიულ პრინციპებზე“, უებსტერის ვრცელი ლექსიკონი, რომელთა დეფინიციები გადაიქცა ინგლისური სიტყვების კვლევის ძირითად წყაროდ. სარედაქციო ჯგუფი ასევე ეყრდნობოდა ი. გალპერინის „ახალ ინგლისურ-რუსულ ლექსიკონს“, ლონგმენის, კობილდის და ინგლისური

ენის სხვა ავტორიტეტულ ლექსიკონებს. საქართველოში ინტერნეტის გავრცელების კვალდაკვალ რედაქტორებმა სარედაქციო სამუშაოებში ჩართეს ინგლისური ენის ეროვნული კორპუსი. ლექსიკონზე მუშაობის ეს ეტაპი 35 წლის განმავლობაში გაგრძელდა.

1992 წელს სარედაქციო კოლეგიამ გადაწყვიტა ლექსიკონის შედგენილი და რედაქტირებული სიტყვა-სტატიების კომპიუტერიზაცია და ლექსიკონის ნაკვეთებად გამოცემა ანბანის ასოების მიხედვით. 1995 წელს გამოვიდა „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ პირველი ტომი, ასო A, რომელსაც 1996 წელს მოჰყვა ორი ტომი: B და C. ლექსიკონის ტომების გამოცემა გაგრძელდა 2014 წლამდე.

2009 წელს სარედაქციო კოლეგიამ მიიღო „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ონლაინვერსიის მომზადებისა და ინტერნეტში განთავსების გადაწყვეტილება და 2010 წლის თებერვალში ლექსიკონი განთავსდა ინტერნეტში მისამართზე: [www.dict.ge](http://www.dict.ge) (იხ. სურ. 4).

ონლაინლექსიკონი არ არის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ბეჭდური გამოცემის სტერეოტიპული ვერსია. საფუძვლიანად გადამუშავდა „ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ პირველი ტომები, რომლებიც 1980-90-იან წლებში მომზადდა და გამოიცა. დღეისათვის ლექსიკონი 110000 სიტყვა-სტატიას მოიცავს. იმის გათვალისწინე-

The screenshot shows the website interface for the online dictionary. At the top, there is a logo with a book and the text 'დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონი' (Big English-Georgian Online Dictionary) and 'Margaliti'. The search bar contains the word 'challenge'. Below the search bar, there are navigation options: 'სახლური' (Home), 'ლექსიკონის ინსტრუქცია' (Dictionary instructions), 'ლექსიკონის შესახებ' (About the dictionary), 'კონტაქტი' (Contact), and 'ხელეწიფი' (Copyright). The main content area shows the entry for 'challenge I' as a noun with the phonetic transcription [ˈtʃælɪndʒ]. The entry includes three numbered definitions in Georgian, explaining the word's origin and usage in various contexts, such as a mission, a difficult job, and a nuclear age challenge.

სურ. 4.

ბით, რომ სალექსიკონო სიტყვა-სტატიებში მაქსიმალურად სრულადაა ასახული ინგლისური სიტყვების პოლისემია, შეტანილია უამრავი შესიტყვება, ფრაზული ზმნა, ფრაზეოლოგიური ერთეული, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია – ლექსიკონში შესული მთლიანი მასალა რამდენიმე ასეულ ათას ერთეულს აღწევს.

ონლაინლექსიკონის საძიებო სისტემის მეშვეობით შესაძლებელია როგორც ინგლისური, ისე ქართული სიტყვების, შესიტყვებების, ფრაზების მოძიება.

### **ლექსიკონის სიტყვანი.**

ლექსიკონის სიტყვანის შერჩევა განაპირობა იმ მიზნობრივმა ჯგუფებმა, რომელთათვისაც დაიგეგმა იმთავითვე ლექსიკონი, კერძოდ: ინგლისურენოვანი მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის ქართულად მთარგმნელები, სპეციალურ / დარგობრივ ტექსტებზე მომუშავე სპეციალისტები, ინგლისური ენის შემსწავლელები, რომელთათვისაც ინგლისური ენა მომავალი სპეციალობაა (პედაგოგიკა, მთარგმნელობითი საქმიანობა), ინგლისური ენის შემსწავლელი მომავალი ფსიქოლოგები, ექიმები, ბიოლოგები და ა.შ., რომელთაც ენის შესასწავლად ტერმინოლოგიური ლექსიკა და მათი ქართული ეკვივალენტები სჭირდებათ, ზოგადად ინგლისური ენის შემსწავლელები. აღნიშნულმა მიზნობრივმა ჯგუფებმა განსაზღვრა ის, რომ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში შევიდა როგორც ინგლისური ენის თანამედროვე ლექსიკა მათი გამოყენების მაღალი სიხშირული პრინციპის გათვალისწინებით, ასევე შედარებით ნაკლებად ხმარებული სიტყვები, იშვიათი, მოძველებული, არქაული სიტყვები ან სიტყვების იშვიათი, მოძველებული და არქაული მნიშვნელობები. ლექსიკონში შევიდა თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი“, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ინგლისური ენის სპეციალისტებისათვის, პედაგოგებისათვის, მთარგმნელებისათვის,

სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, რომელთაც დარგობრივ ტექსტებთან უხდებათ მუშაობა; ლექსიკონი ასევე განკუთვნილია სტუდენტთათვის, ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, ზოგადად – ინგლისური ენით დაინტერესებულ პირთათვის.

„დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ მნიშვნელოვანი მაკრო- და მიკროსტრუქტურული საკითხების გადანყვეტა, ასევე ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული სემანტიკური ასიმეტრიის გადაჭრის მეთოდები დეტალურადაა განხილული მესამე (სიტყვა-სტატიის სტრუქტურა და კომპონენტები) და მეშვიდე (ეკვივალენტობის პრობლემა ორენოვან ლექსიკონებში) თავებში.

**ლექსიკონის სარედაქციო კოლეგია:** შუქია აფრიდონიძე, თინათინ მარგალიტაძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი მელაძე, ჭარიანე ჭანტურია, გელა ხუნდაძე.

## დონალდ რეიფილდის „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“


პროფესორი დონალდ რეიფილდი ცნობილი ბრიტანელი სლავისტი და ქართველოლოგია. იგი მრავალი მონოგრაფიის ავტორია რუსული და ქართული ლიტერატურის საკითხებზე, ჩინებული მთარგმნელია, მათ შორის – ქართული ლიტერატურისა ინგლისურ ენაზე.

„ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ ძირითადი პრინციპები დონალდ რეიფილდმა მოხსენების სახით პირველად 1988 წელს ჩამოაყალიბა ევროპულ კავკასიოლოგთა საზოგადოების შეკრებაზე. მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ ინტერნეტის მიღწევების, ლონდონსა და თბილისში ლექსიკონის შემდგენელთა გუნდის კოორდინირებული მუშაობის, აგრეთვე ბრიტანეთის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტის წყალობით მრავალი თაობის ოცნება რეალობად იქცა.

„ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში“ წარმოდგენილია ინგლისური ეკვივალენტები ქართული ენის პრაქტიკულად სრული ლექსი-



კური კორპუსისათვის როგორც სალიტერატურო – უძველესი, კლასიკური თუ თანამედროვე – ენის, ისე სასაუბრო მეტყველებისა და დიალექტური მასალისათვის. ლექსიკონი გამოცემულია ორ ტომად და 140000 სიტყვა-სტატიისაგან შედგება (იხ. სურ. 5).



სურ. 5.

ლექსიკონში შეტანილია **ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის** რვატომეულის პრაქტიკულად ყველა სიტყვა-სტატია. **მეორე** ძირითადი წყარო ლექსიკონისათვის გახდა ქართული ყოველდღიური და კვირეული პრესის (1999-2002) მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავდა დაახლოებით ორ მილიონ სიტყვაფორმას. **მესამე** წყაროდ გამოყენებულ იქნა 40-მდე დიდი მოცულობის ტექსტის ელექტრონული ვერსია თანამედროვე ქართველი მწერლების, ძირითადად, რომანისტების ნაწარმოებებიდან: გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, ბესიკ ხარანაული, გურამ დოჩანაშვილი, თამაზ ჩხენკელი, ვახუშტი კოტეტიშვილი, აკა მორჩილაძე და სხვ. „ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ **მეოთხე** ძირითადი წყარო იყო ილია აბულაძისა და ზურაბ სარჯველაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“.

ლექსიკონის სიტყვანის შერჩევასას ასევე (შერჩევით) გამოყენებულია თანამედროვე ქართული ენის 30-მდე დიალექტური ლექსიკონი და მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები. „ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში“ ასევე შევიდა დიდძალი მასალა თანამედროვე სასაუბრო მეტყველებიდან, მათ შორის – ვულგარული ლექსიკაც.

ლექსიკონი, უპირველეს ყოვლისა, განკუთვნილია ინგლისურენოვანი მკითხველისათვის, რომელიც დაინტერესებულია ქართული ლიტერატურის ძეგლებით, ქართული საისტორიო წყაროებით, ქართველური ენებით. ამიტომ შევიდა ლექსიკონში ძველი და საშუალო პერიოდის ქართული ენის ლექსიკა, დიალექტური მასალა და



ა.შ. ლექსიკონი ასევე გათვალისწინებულია ქართველი მომხმარებლისთვისაც.

განსხვავებით ევროპულ-ქართული ორენოვანი ლექსიკონები-საგან, ქართულ-ევროპული ტიპის ლექსიკონებში დგება ერთი პრობლემა – ქართული ზმნის საკითხი. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიამ, როგორც ეს აღინიშნა მეთავე თავში, ახლებურად გადაწყვიტა ქართული ზმნის წარმოდგენის საკითხი, კერძოდ, თუ ტრადიციულად ქართულ ლექსიკონებში ზმნა შეტანილი იყო სანყისის (მასდარის) სახით, რომელიც სრულად ვერ წარმოაჩენდა ქართული ზმნის სიმდიდრესა და მის კატეგორიებს, განმარტებითმა ლექსიკონმა უარყო ეს ტრადიცია და ზმნა წარმოადგინა არა მხოლოდ სანყისის, არამედ უღლებადი ფორმით: პირის, ქცევის, გვარის, კონტაქტის, დინამიკურობა-სტატიკურობის მიხედვით. როგორც აღინიშნა, განმარტებით ლექსიკონში სალექსიკონო ერთეულად შევიდა სანყისიც და ზმნის აწმყოს (მყოფადის) მესამე პირი სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით. მაგ.:

<b>თესვა</b>	<i>მასდარი, სანყისი</i>
<b>თესავს</b>	<i>მესამე პირი, მხოლოობითი რიცხვი, საარვისო ქცევა, გარდამავალი ზმნა</i>
<b>ითესავს</b>	<i>სათავისო ქცევა</i>
<b>უთესავს</b>	<i>სასხვისო ქცევა</i>
<b>ათესვინებს</b>	<i>კაუზატივი</i>
<b>ითესება</b>	<i>გარდაუვალი ზმნა, დინამიკური ვნებითი</i>
<b>თესია</b>	<i>გარდაუვალი ზმნა, სტატიკური ვნებითი</i>
და სხვ.	

კიტა ჩხენკელმა „ქართულ-გერმანულ ლექსიკონში“ ზმნის წარმოდგენის ბუდობრივი პრინციპი აირჩია. ზმნა წარმოადგინა ფუძის და არა ზმნისწინების მიხედვით ანბანის რიგზე და ყველა ლექსიკური დერივატი და გრამატიკული ფორმა ერთ ბუდეში მოათავსა. დონალდ რეიფილდი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონისთვის“

არნ. ჩიქობავას პრინციპს იყენებს და მის ლექსიკონში ზმნა ყველა ზემოჩამოთვლილი ფორმის მიხედვითაა შეტანილი. მაგ.:

<b>თესვა</b>	sowing (seed...)
<b>თესავს</b>	sows he/she, it (seed ...)
<b>ითესავს</b>	sows he/she, it (seed ...) for oneself
<b>უთესავს</b>	sows he/she, it (seed ...) for smb
<b>ითესება</b>	it (seed...) is being sown
<b>თესია</b>	has been sown (seed ...)
<b>ათესვინებს</b>	has smb sow smth (seed ...)

და ა.შ.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში თავად დონალდ რეიფილდი ასე განმარტავს ამ გადანყვეტილებას: „სალექსიკონო ერთეულთა ასეთი სიმრავლე (ზოგჯერ ერთი სიტყვა-სტატია ერთი ზმნის 20 პირიან ფორმას შეიცავს, მაშინ როცა სხვა, ჩვეულებრივ ლექსიკონში ტრადიციულად თითო ზმნას თითო სალექსიკონო ერთეული ეთმობა) ძალიან ზრდის ჩვენი ლექსიკონის მოცულობას, მაგრამ სამაგიეროდ, იმედია, დროს დაუზოგავს მომხმარებელს. ყველა სხვა პროცედურას, ჩვენი აზრით, ნამგები მხარე უფრო მეტი აღმოაჩნდება, ვიდრე მომგები. ჩამოთვლილი ფორმები მასდართან არცთუ იშვიათად ხელოვნურია, ვინაიდან ბევრ ზმნას მასდარი არ გააჩნია, ხოლო სხვებს მასდარი კი აქვთ, მაგრამ მათი მნიშვნელობის გარკვევა ზოგჯერ ძირს, და თვით ამ მასდარსაც მნიშვნელობათა ისეთი ფართო არე აქვს, რომ დიდად ვერ გვშველის პირიანი ფორმის მნიშვნელობის დადგენაში. კ. ჩხენკელის მიერ არჩეული გზა ზმნების ჯერ ძირების, შემდეგ კი პრეფიქსების მიხედვით დალაგებისა მხოლოდ პროფესიონალ ლინგვისტს თუ დააკმაყოფილებს, ჩვეულებრივ მომხმარებელს კი იგი მთელ საათს დააკარგვინებს ამა თუ იმ სპეციფიკური პირიანი ფორმის ძებნაში. სანამ ელექტრონული სისტემა იმდენად არ დაიხვეწება, რომ თითო სალექსიკონო ერთეულში თითო ქართული ზმნა მოექცეს ქართული ზმნის ფორმათა უზარმაზარი სიის უნიფიცირების შედეგად, ჩვენ მიერ

(არნ. ჩიქობავას კვალზე) არჩეული გზა ყველაზე მოსახერხებლად და ამიტომ ყველაზე ნაკლებ ბოროტებად გვესახება“.

**ლექსიკონის სარედაქციო კოლეგია:** რუსუდან ამირეჯიბი, შუქია აფრიდონიძე, ლორენს ბროერსი, თინათინ მარგალიტაძე, დონალდ რეიფილდი (მთავარი რედაქტორი), ლევან ჩხაიძე, ჭარიანე ჭანტურია.

დ. რეიფილდის „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ გაციფრებული ვერსია ინტერნეტში განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=46>

## ფრანგულ-ქართული ლექსიკონი ნუნუ ქადეიშვილის საერთო რედაქტორობით

მეოცე საუკუნეში შეიქმნა არაერთი ფრანგულ-ქართული და ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. მათ შორის ყველაზე ვრცელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენის სპეციალისტების მიერ შედგენილი „ფრანგულ-ქართული ლექსიკონი“, რომლის მთავარი რედაქტორია პროფესორი ნუნუ ქადეიშვილი. ლექსიკონი გამოიცა სამ ტომად: 1998 წელს გამოვიდა ლექსიკონის პირველი ტომი (852 გვ.), ასოები A-D, 1999 წელს – მეორე ტომი (964 გვ.), ასოები E-O, ხოლო მესამე ტომი გამოიცა 2000 წელს და მოიცავს ასოები P-Z (800 გვ.). ლექსიკონის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან: ნუნუ ქადეიშვილი (მთავარი რედაქტორი), ნინო წულაძე-კალატოზიშვილი, ციური ახვლედიანი, ცისანა ბიბილეიშვილი და დამანა მელიქიშვილი.

## რუსუდან ზექალაშვილის გერმანულ-ქართული და ქართულ-გერმანული ლექსიკონები

2004 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა რუსუდან ზექალაშვილმა და ფილოლოგიის დოქტორმა ჭაბუკი ქირიამ გამოსცეს „გერმანულ-ქართული ლექსიკონი“ (Deutsch-Georgisches Wörterbuch), რომელიც 45000 სიტყვა-სტატიისგან შედგება.

ლექსიკონის რედაქტორია პროფესორი დალი ბახტაძე. ლექსიკონი მოიცავს 751 გვერდს. 2007 წელს გამოვიდა ლექსიკონის მეორე შვესებული და გადამუშავებული გამოცემა, რომელიც 50000 სიტყვა-სტატიისგან შედგება.

ლექსიკონის გაციფრებული ვერსია განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=44>

2009 წელს პროფესორმა რუსუდან ზექალაშვილმა გამოსცა „ქართულ-გერმანული ლექსიკონი“ (Georgisch-Deutsches Wörterbuch), რომელშიც 45000-ზე მეტი სიტყვა-სტატია შევიდა. ამ ლექსიკონის რედაქტორიც პროფესორი დალი ბახტაძეა. ორივე ლექსიკონის სიტყვა-სტატიები მოიცავს არა მხოლოდ სიტყვებს, არამედ შესიტყვებებსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულებსაც.

\* \* \*



## 1. უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

1. რომელ უცხოურ ენებთან მიმართებით იქმნებოდა საქართველოში ორენოვანი ლექსიკონები XX-XXI საუკუნეებში?
2. ევროპულ-ქართული აკადემიური ორენოვანი ლექსიკონებიდან რომელი გამოცემებია განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი?
3. რა იცით კიტა ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შექმნის ისტორიის შესახებ?
4. ქართული ზმნის წარმოდგენის რა გზა აირჩია კიტა ჩხენკელმა თავის ლექსიკონში? ახსენით, რას გულისხმობს ე.წ. „ბუდობრივი პრინციპი“?
5. რას იტყოდით არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ (სამტომეულისა და ერთტომეულის) შესახებ? თუ გისარგებლიათ ამ ლექსიკონ(ებ)ით და, თუ სარგებლობთ, რამდენად ხშირად?
6. როდის დაიწყო თსუ-ს ლექსიკოგრაფიის ცენტრის მიერ „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ტომეულის გამოცემა?

7. როდის დაიწყო ამ ლექსიკონის კომპიუტერიზაცია და როდის გამოვიდა ამ ლექსიკონის პირველი ტომი?
8. რომელ წელს განთავსდა ინტერნეტში „დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონის“ ონლაინვერსია?
9. იცით თუ არა ამ ლექსიკონის ინტერნეტმისამართი და სარგებლობთ თუ არა ამ ლექსიკონით?
10. რა იცით დონალდ რეიფილდისა და მისი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ შესახებ? ხელმისაწვდომია თუ არა თქვენთვის ამ ლექსიკონის ონლაინვერსია?
11. რა პრინციპით არის წარმოდგენილი ზმნა დონალდ რეიფილდის ლექსიკონში? რამდენად მოსახერხებლად მიგაჩნიათ ლექსიკონში ქართული ზმნის წარმოდგენის ამგვარი ფორმა და თქვენთვის უფრო მისაღები ხომ არ იქნებოდა ლექსიკონებში ქართული ზმნების მასდარის/საწყისის სახით შეტანა?
12. რა არგუმენტები მოჰყავს ლექსიკონის წინასიტყვაობაში თავად დონალდ რეიფილდს ქართული ზმნების წარმოდგენის მის მიერ არჩეული მეთოდის სასარგებლოდ?
13. რა იცით საქართველოში 1998-2000 წლებში სამ ტომად გამოცემული „ფრანგულ-ქართული ლექსიკონისა“ და მასზე მომუშავე სარედაქციო კოლეგიის შესახებ? თუ გისარგებლიათ ამ ლექსიკონით?
14. რა იცით რუსუდან ზექალაშვილისა და ჭაბუკი ქირიას მიერ 2004 და 2009 წლებში გამოცემული „გერმანულ-ქართული ლექსიკონისა“ და რუსუდან ზექალაშვილის „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ შესახებ? თუ გისარგებლიათ ამ ლექსიკონებით და როგორ შეაფასებდით მათ?

## II. შეასრულეთ შეზღვევი დავალება:

შეარჩიეთ ერთი ინგლისური სიტყვა, გააანალიზეთ იგი ინგლისური ენის რომელიმე განმარტებითი ლექსიკონით, შემდეგ კი იგივე სიტყვა გადაამოწმეთ „დიდი ინგლისურ-ქართულ ონლაინლექსიკონში“. სხვა მიმართულებების სტუდენტები დავალებას შეასრულებენ იმ ენოვანი ლექსიკონებით, რომელ მიმართულებაზეც სწავლობენ.

## შეარჩიეთ საკრებენთასიო თემები:

1. მოძრაობა „არა ბარბარიზმებს!“ და „ბარბარიზმების ლექსიკონი“  
<https://margaliti.com/25/post18.htm>  
<https://barbarisms.ge/>
2. „სტუდენტური სლენგის ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“
3. ს. პაოლინისა და ნ. ირბახის „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“
4. ჯორჯ ელისის „ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი“  
<https://margaliti.com/25/post19.htm>
5. მარჯორი უორდროპის „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“  
<https://margaliti.com/25/post16.htm>
6. სემიუელ ჯონსონი: ბიოგრაფიული სკეტჩი და ლექსიკონი  
<https://margaliti.com/members2/johnson.pdf>
7. ჯეიმზ მარი და „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონი ისტორიულ პრინციპებზე“  
[https://margaliti.com/members2/lecture9\\_2013.pdf](https://margaliti.com/members2/lecture9_2013.pdf)
8. ნოა უებსტერი და ამერიკული ინგლისური ენის ლექსიკონები  
[https://margaliti.com/members2/lecture13\\_2013.pdf](https://margaliti.com/members2/lecture13_2013.pdf)
9. „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი“: ისტორია, ლექსიკო-გრაფიული პრინციპები  
<https://dictionary.ge/ka/search/>  
[https://margaliti.com/members2/lecture4\\_2013.pdf](https://margaliti.com/members2/lecture4_2013.pdf)
10. „ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი“  
<https://learners.dict.ge/ka/about/>
11. ფრანგული ენის ლექსიკონები (ფრანგული მიმართულების სტუდენტებისათვის)  
<https://www.lexilogos.com/>



12. ესპანური ენის ლექსიკონები (ესპანური მიმართულების სტუდენტებისათვის)  
<https://www.lexilogos.com/>
13. თანამედროვე იტალიური ენის ლექსიკონები (იტალიური მიმართულების სტუდენტებისათვის)  
<https://www.lexilogos.com/>
14. რუსული ენის ლექსიკონები (სლავური მიმართულების სტუდენტებისათვის)  
<https://www.lexilogos.com/>
15. „ინგლისურ-ქართული სამხედრო ლექსიკონი“ და „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ლექსიკონი“. თანამედროვე ქართული ტერმინოლოგიის პრობლემები  
<https://mil.dict.ge/>  
<https://bio.dict.ge/>  
<https://margaliti.com/25/post5.htm>
16. „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონი“  
<https://techdict.ge/>  
<https://euralex.org/wp-content/themes/euralex/proceedings/Euralex%202018/118-4-2995-1-10-20180820.pdf>
17. ძველი ენების ლექსიკონები  
<https://germanic.ge/ka/ang/>

**შენიშვნა:** იმ თემების დასამუშავებლად, რომლებსაც არა აქვს მითითებული ინტერნეტმისამართი, სტუდენტებს მასალები ელფოსტით გაეგზავნებათ.

## გამოყენებული ლიტერატურა

ამირეჯიბი რ., აფრიდონიძე შ., ბროერსი, ლ., მარგალიტაძე, თ., რეიფილდი, დ. (მთავარი რედაქტორი), ჩხაიძე, ლ., ჭანტურია, ა. (2006). „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“ (140000 სიტყვა-სტატია). ლონდონი: „გარნეტი“.

აფრიდონიძე, შ. (2012). ქართული ზმნა და ქართულენოვანი ლექსიკონების აგების პრინციპები (პრეცედენტები და პერსპექტივები). // *საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიაში. სიმპოზიუმის მასალები*. თბილისი: „მერიდიანი“.

აფრიდონიძე შ., მარგალიტაძე, თ. (მთავარი რედაქტორი), მელაძე, გ., ჭანტურია, ა., ხუნდაძე, გ. (1995-2014). „ინგლისურ-ქართული ლექსიკონი“, I-XIV ტომი. თბილისი: „თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი“.

ვიტსენი, ნ. (2013). *ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ტარტარეთი. საქართველო ანუ იბერია და სამეგრელო*. თბილისი: „უნივერსალი“.

თვალთვაძე, დ. (2009). *ეგრემ მცირის კოლოფონები*. თბილისი: „ნეკერი“.

მარგალიტაძე, თ. & ჭილაძე, ს. (2021). „ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის უცნობი ფურცლები (ჯორჯ ელისის ქართველური ენების შედარებითი ლექსიკონი“. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<https://margaliti.com/25/post19.htm>

მარგალიტაძე, თ. (2020). „ენა და კულტურის ეკოლოგია“. *Lexicographica* (International annual for lexicography), № 36. გამომცემლობა: De Gruyter.

<https://www.degruyter.com/view/journals/lexi/36/1/article-p225.xml>

**მარგალიტაძე, თ.** (2020). „ოქსფორდის ინგლისური ენის ლექსიკონის დეფინიციები და ი. მელჩუკის განმარტებით-კომბინატორული ლექსიკონი“. *ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის (EURALEX) მე-19 საერთაშორისო კონგრესის კრებული*. დემოკრიტეს სახელობის თრაკეის უნივერსიტეტი, საბერძნეთი.

[https://euralex2020.gr/wp-content/uploads/2020/11/EURALEX2020\\_ProceedingsBook-p255-261.pdf](https://euralex2020.gr/wp-content/uploads/2020/11/EURALEX2020_ProceedingsBook-p255-261.pdf)

**მარგალიტაძე, თ. & ოძელი, მ.** (2019). *მარჯორი უორდროპის ინგლისურ-ქართულ ლექსიკონი*. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.

<https://margaliti.com/EGD-web.pdf>

**მარგალიტაძე, თ.** (რედაქტორი), მელაძე, გ., ხუნდაძე, გ., აფრიდონიძე, შ., კვერნაძე, ნ., გურიელი, ხ. (2019). *ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი (30000 სიტყვა-სტატია)*. თბილისი: „თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრი“. ISBN 978-9941-30-509-2.

**მარგალიტაძე, თ.** (2018). „კიდევ ერთხელ იმის შესახებ, თუ რატომ არის ლექსიკოგრაფია მეცნიერება“. *Lexikos (Journal of the African Association for lexicography – AFRILEX)*, № 28, 2018. ISSN 2224-0039 (online). DOI: <https://doi.org/10.5788/28-1-1464>

**მარგალიტაძე, თ.** (2019). „ტერმინოლოგიური პოლიტიკის საკითხისათვის საქართველოში“. *საერთაშორისო კონფერენციის კრებული ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში III*. ბათუმი: ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

<https://margaliti.com/TerminologicalPolicyMargalitadze.pdf>

**მარგალიტაძე, თ.** (2018). „ქართული ტერმინოლოგიური ონლაინლექსიკონების ახალი პლატფორმა და მრავალენოვანი ლექსიკონის მართვის სისტემა“. *ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის (EURALEX) მე-18 საერთაშორისო კონგრესის კრებული*. ლიუბლიანას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ლიუბლიანა, სლოვენია.

<https://euralex.org/wp-content/themes/euralex/proceedings/Euralex%202018/118-4-2995-1-10-20180820.pdf>

**მარგალიტაძე, თ. & მელაძე, გ.** „ნაწილობრივი ეკვივალენტობის საკითხის მნიშვნელობა ორენოვანი ლექსიკოგრაფიისა და ენის სწავლებისათვის“. *ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-17 საერთაშორისო კონგრესის კრებული*. თბილისი, 2016.

[http://euralex.org/wp-content/themes/euralex/proceedings/Euralex%202016/euralex\\_2016\\_087\\_p787.pdf](http://euralex.org/wp-content/themes/euralex/proceedings/Euralex%202016/euralex_2016_087_p787.pdf)

**მარგალიტაძე, თ.** (2013). „ევროპულ-ქართული ლექსიკოგრაფიის სათავეებთან“. სამეცნიერო ჟურნალი „ქართველოლოგი“. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

<http://kartvelologi.tsu.ge/public/ge/arqive/8/7>

**მარგალიტაძე, თ. & ქერეჭაშვილი გ.** „ვორდის ფაილებიდან თანამედროვე ონლაინლექსიკონამდე“. საერთაშორისო კონფერენციის კრებული „ელექტრონული ლექსიკოგრაფია 21-ე საუკუნეში (*Electronic lexicography in the 21st century: thinking outside the paper*)“. ტალინი, 2013.

<http://eki.ee/elex2013>

**მარგალიტაძე, თ.** (2012). „დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონი: მეთოდები, პრინციპები, თანამედროვე ტექნოლოგიები“. *ევროპის ლექსიკოგრაფთა ასოციაციის მე-15 საერთაშორისო კონგრესის კრებული*. ოსლო. [http://www.euralex.org/proceedings-toc/euralex\\_2012/](http://www.euralex.org/proceedings-toc/euralex_2012/)

**უთურგაიძე, თ.** (1999). *ქართული ენის შესწავლის ისტორია, ნაწილი I*. თბილისი: „ქართული ენა“.

**ფენრიხი, ჰ. & სარჯველაძე ზ.** (2000) *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*. თბილისი: „სულხან-საბა ორბელიანის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

**ფოჩხუა ბ.** (1974) *ქართული ენის ლექსიკოლოგია*. თბილისი: „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი* (არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, 1950-1964). I-VIII ტომები. თბილისი: „მეცნიერება“.

**ლამბაშიძე, რ.** (1986) „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები“. თბილისი: „მეცნიერება“.

**ლლონტი, ალ.** (1983). *ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

**შანიძე, ა.** (1999). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (კრიტიკული შენიშვნები). *ენათმეცნიერების საკითხები*. ტ. 2. თბილისი.

**შანიძე, მზ.** (1968). შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა (ტექსტი და შენიშვნები). *თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*, 11. თბილისი.

**ჩიქობავა, არნ. & ვათეიშვილი, ჯ.** (1983). *პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები* (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე). თბილისი: „ხელოვნება“.

**ჩუბინაშვილი, დ.** (1984). *ქართულ-რუსული ლექსიკონი* (ა. შანიძის რედაქციით). თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

**ჩუბინაშვილი, ნ.** (1961). *ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ* (ალ. ლლონტის რედაქციით). თბილისი.

**ცოცანიძე, გ.** (2008). ორი განსხვავებული პრინციპის შესახებ ქართულ ლექსიკოგრაფიაში. *ქართველოლოგი*. 3.

**Adamska-Sałaciak, A.** (2014). Bilingual Lexicography: Translation Dictionaries. *International Handbook of Modern Lexis and Lexicography DOI 10.1007/978-3-642-45369-4\_6-1* # Springer-Verlag Berlin Heidelberg.

**Adamska-Sałaciak, A.** (2010). Examining Equivalence. *In International Journal of Lexicography*, 4: 387-409.

**Béjoint, H.** (2010). *The Lexicography of English*. Oxford: Oxford University Press.

---

**Bergenholtz, H. & Gouws, R.** (2012). What is Lexicography? *Lexikos* 22: 31-42.

**Fontenelle, Th.** (2014) From Lexicography to Terminology: a Cline, not a Dichotomy. *Proceedings of the XVI EURALEX International Congress: The User in Focus*. Andrea Abel, Chiara Vettori & Natascia Ralli (eds.). Bolzano/Bozen: Institute for Specialised Communication and Multilingualism, 25-45.

**Gippert, J. & Tandashvili M.** (2015). Structuring a diachronic corpus. The Georgian national corpus project. Gippert, J. & Gehrke, R (eds). *Historical Corpora. Challenges and Perspectives. Corpus Linguistics and Interdisciplinary Perspectives on Language*, v. 5. Tübingen: Narr.

**Hausmann, F. J.** (1985). Lexikographie. *Handbuch der Lexikologie* (Hrsg. Christoph Schwarze / Dieter Wunderlich). Königstein/Ts.: Athenäum, 367-411.

**Mugglestone, L.** (2000). "Pioneers in the Untrodden Forest": The New English Dictionary. In: *Lexicography and the OED. Pioneers in the Untrodden Forest*. Oxford: Oxford University Press.

**[OED]** *Oxford English Dictionary on Historical Principles*. 1989. Second edition on CD-ROM. Version 2.0. Oxford: Oxford University Press.

**Орловская, Н. К.** (1986). *Вопросы литературных связей Грузии с Западом*. Тбилиси: Изд. Тбилисского университета.

**Sinclair, J.** (1984). Lexicography as an Academic Subject. R. R. K. Hartmann (ed.), *LEXeter '83 Proceedings*. Tübingen: Max Niemeyer, 13-30.

**Tarp, S.** (2017). Lexicography as an Independent Science. Pedro A. Fuertes-Olivera (ed.): *Routledge Handbook of Lexicography*. London: Routledge.



**Wiegand, H. E.** (1984). On the Structure and Contents of a General Theory of Lexicography. R. R. K. Hartmann (ed.), *LEXeter '83 Proceedings*. Tübingen: Max Niemeyer, 3-12.

**Zgusta, L.** (1971). *Manual of Lexicography*. Prague: Academia. The Hague: Mouton.

## თინათინ მარგალიტაძე —

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორი ლექსიკოგრაფიის მიმართულებით, უნივერსიტეტის „ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის“ დირექტორი.



„დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინლექსიკონის“ მთავარი რედაქტორი და გამომცემელი ([www.dict.ge](http://www.dict.ge)). რედაქტორი და პროექტის ხელმძღვანელი შემდეგი ლექსიკონებისა: „ინგლისურ-ქართული სასწავლო ლექსიკონი“ (<https://learners.dict.ge>), „ინგლისურ-ქართული სამხედრო ონლაინლექსიკონი“ (<http://mil.dict.ge>), „ინგლისურ-ქართული ბიოლოგიური ონლაინლექსიკონი“ (<http://bio.dict.ge>) და „ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ონლაინლექსიკონი“ (<http://techdict.ge>).

მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის: ორენოვანი ლექსიკოგრაფია (ზოგადი და სპეციალიზებული); ეკვივალენტობის პრობლემა მონათესავე და არამონათესავე ენებში; პოლისემიური სიტყვების უნივერსალური მოდელები; ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია; პარალელური კორპუსები; კორპუსზე დაფუძნებული ლექსიკოგრაფია; მანქანური თარგმნა.